# ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№6 (80) ნოემბერი-დეკემბერი 2020 წელი ფასი 3 ლარი

ნომრის ავტორები

## თამთა მელაშვილი & მარიო ვარგას ლიოსა

1970
2020

**პოეზია**
ერეკლე დეისაძე
ირინა ტაბაღუა
ბექა ახალაია
რაულ ჩილაჩავა
გიორგი ჩუთლაშვილი
ზურაბ პაპიაშვილი
ნატალი დარასელია

**პროზა**
მიშა ბახსოლიანი
ცოტნე ავსაჯანიშვილი
მანანა მენაბდე
მირიან რჩეულიშვილი

**თარგმანები**
ჩარლზ დიკენსი
კონსტანტინოს კავაფისი
დმიტრი სტროცევი





ეროვნული ბიბლიოთეკა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

ყველაფერი ჩვენს წარმოებაში

სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცები;
დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერები;
ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრები;
პოსტერები ბლანკები; კონვერტები;
ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა
ნებისმიერი სირთულის ყუთები;
ასევე ყუთებზე ბეჭდვა;
ყველა სირთულის კვეთები;
ეტიკეტები და სხვა თვითწებადი
პროდუქტები; ბილეთები;
აფიშები, ბანერები, ვიტრინების
და ავტომობილების გაფორმება;
საათების ბრენდირება;
ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგაზე,
ნატურალურ ტილოზე;
პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა;
მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

ციფრული,
ოფსეტური
ბეჭდვა

ქუთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com

საუნჯე
PUBLISHING HOUSE გამომცემლობა

ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მხარდაჭერით

ელექსანთა სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომრის ავტორები

### თამთა მელაშვილი

ელისო კაპანაძე – თამთა მელაშვილი – „უჩინართა შემლოცველი" – 3
თამთა მელაშვილი – შაშვი შაშვი მაყვალი (ნაწყვეტი რომანიდან) – 12

### მარიო ვარგას ლიოსა

მწერლებში ყოველთვის არის სამყაროს გარდაქმნის სურვილი
(ინტერვიუ ლანა კალანდიასთან) – 22

1

## პოეზია

ერეკლე დეისაძე – 29
ირინა ტაბალუა – 33
ბექა ახალაია – 37
რაულ ჩილაჩავა – 42
გიორგი ჩუთლაშვილი – 45
ზურაბ პაპიაშვილი – 48
ნატალი დარასელია – 50

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 4


### პროზა

მიშა ბახსოლიანი – ძილისპირული – 52
ცოტნე ავსაჯანიშვილი – გველები – 56
მანანა მენაბდე – საუბრები ლილისთან – 59
მირიან რჩეულიშვილი – ყვავილობის კვირა – 63

### თარგმანები

ჩარლზ დიკენსი – ინგლისი რიჩარდ პირველის, ლომგულად წოდებულის მმართველობისას (ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა) – 71
კონსტანტინოს კავაფისი – ლექსები (ბერძნულიდან თარგმნეს მაია კაკაშვილმა და მარიამ წიკლაურმა) – 75
დმიტრი სტროცევი – ლექსები (რუსულიდან თარგმნა შოთა იათაშვილმა) – 79



გამომცემლობა – „საუნჯე"
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
ელ-ფოსტა: akhalisaunje@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.newsaunje.ge

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
თამთა მელაშვილი
ელისო კაკანაძე
ლანა კალანდია
ერეკლე დეისაძე
ირინა ტაბალუა
ბექა ახალაია
რაულ ჩილაჩავა
გიორგი ჩუთლაშვილი
ზურაბ პაპიაშვილი
ნატალი დარასელია
მიშა ბახსოლიანი
ცოტნე ავსაჯანიშვილი
მანანა მენაბდე
მირიან რჩეულიშვილი
პაატა ჩხეიძე
როსტომ ჩხეიძე
მაია კაკაშვილი
მარიამ წიკლაური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1 ნომრის ავტორები

## თამთა მელაშვილი –
## „უჩინართა შემლოცველი“

*ელისო მეტრეველი*

როგორც მზისგულზე, როგორც ხელისგულზე, ისე ჩანს თამთა მელაშვილის ყველა ქალი და გოგო. ლაპარაკის დროს თვითონაც ხშირად ახსენებს – „ქალის სათქმელს", „ქალის იარაღს", „ქალის ბრძოლას"; სხვებიც ამბობენ მის ტექსტებზე, რომ ფემინისტურია. ამის მიუხედავად მაინც არ გამომივიდა მისი წიგნების მხოლოდ ფემინისტი ქალის ან ქალი მწერლის „გენდერულ პერსპექტივაში" მოქცევა. „გათვლის" წაკითხვიდან ათი წლის შემდეგაც ჩემთვის ცქნაფას ძმა ისე მძაფრად შთამბეჭდავია, თითქოს მასზე ერთი დიდი წიგნი წამეკითხოს – ჩვილობიდან დიდობამდე, „კონფლიქტის ზონიდან" „სასაზღვრო ზონამდე". რამდენიმე ხაზი, წინადადება, ასეთი „პერიფერიული ხედვა" საკმარისია მისი სხვა ტექსტების ძმების და მამების, საყვარლების და ჯარისკაცების დასანახად, აღსაქმელად და თავში სამუდამოდ ჩასაჭედად... და თუკი სადმე უფერული და „უპატრონო" პერსონაჟი მხვდება, სულ მგონია, რომ მხოლოდ მისი უპატრონობისა და უფერულობის ხაზგასასმელად...



ცალკე ამბავია თამთა მელაშვილის კვლევები, სტატიები, ვიდეოლექციები თუ პოდკასტები ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ. თითქოს მითებით და გაყალბებებით კონტექსტშეცვლილი თუ ჩანაცვლებული „ფიგურებით განწყობილ" ჭადრაკის დაფასთან დგახარ და უყურებ, როგორ ოსტატურად კეთდება სვლები, როგორ უცვლის ადგილებს მეფეს და მხედარს, დედოფალს თუ პაიკს... და ხედავ, როგორი იქნებოდა სამართლიანი „თამაში", როგორი უნდა ყოფილიყო „თამაში" ძალადობის გარეშე... თითქოს შეულოცა და დამალული გამოაჩინა, რაღაც ჯადოსნობით ყველაფერი ხილული გახადა... თითქოს სანთლის შუქს უჩინარი მელნით დაწერილი ფურცელი მიუახლოვე და ისიც ნელ-ნელა „მკვეთრდება", „ამოდის" გამქრალი ამბები და სიტყვები, ხმები, სახელები; ომების, ბანაკებისა და სისტემების, საჯაროობის მიღმა გაუჩინარებული ბედისწერა და ადამიანები – ისეთი მძაფრი, ისეთი ნამდვილი, ისეთი შთამბეჭდავი თუ შემაძრწუნებელი, როგორიც შეიძლება მხოლოდ ცხოვრება იყოს! როგორიც შეიძლება იყოს... საუკეთესო ტექსტი!

თამთა მელაშვილს გამოცემული აქვს წიგნები: „თქმული და უთქმელი ისტორიები: გერმანელები საქართველოში", „ყოჩაღი გოგოები" (თანავტორობით), „მარინეს ანგელოზები", "აღმოსავლეთით", „გათვლა". მიღებული აქვს „წერო", „საბა", ფრანკფურტის

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



*გერმანიის ახალგაზრდული ლიტერატურის პრემია. 2009 წელს გახდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს სტიპენდიანტი. იკვლევს ქართული ფემინიზმის ისტორიას, მასკულინობას, ლგბტ იდენტობებს. გამოქვეყნებული აქვს სტატიები: „ციურიხელი გოგოები: მე-19 საუკუნის ქართველი სტუდენტების კვალდაკვალ", „ლიზიკო ქავთარაძე: გულაგის ქართული მემუარები", „ვის ეშინია ელენე დარიანის?" „თანამედროვე ფემინისტური აქტივიზმი საქართველოში", „ელენე დარიანი-ბაქრაძე", „მარიჯანი" და სხვა... ახლა კი წერს რომანს, რომელიც წლის ბოლომდე გამოვა, და რომლის ფრაგმენტსაც აქ შემოგთავაზებთ.*

*რაკი დედამიწა ისევ „ლოკდაუნებისა" და ნახევრად ვირტუალურ რეჟიმში აგრძელებს ბრუნვას, ჩვენი შეხვედრაც ონლაინ იყო. თამთასაც, როგორც ყველას 2020 წელს, პირველი ეპიდემიაზე ვკითხე; მერე კი ლიტერატურაზეც ვილაპარაკეთ, კიდევ – ძალაუფლებაზე, ჩახშული წრეებისა თუ ჩაკეტილი სამყაროების წესებსა და უწესობაზე; სამყაროს „პატრონებსა" და „უპატრონო პერსონაჟებზე"... გამოსავალზეც.*

***თამთა, შენ წერ ომზე, იკვლევ ქალის ცხოვრებას სხვადასხვა სისტემაში, სადაც ჩაგვრის და შეზღუდვის დიდი „ტრადიციებია". ეპიდემია, მგონი, ჯერ არ ყოფილა შენს მხატვრულ თუ საკვლევ ტექსტებში. რა შეცვალა 2020 წელმა შენთვის, როგორც მწერლისთვის, მკვლევრისთვის და თუნდაც, ერთი ქალისთვის? როგორ ჩაივლის ეს რყევა აქაც და სხვა მსოფლიოშიც?***

პანდემიამ და რამდენიმეთვიანმა იზოლაციამ, პირადად ჩემთვის ის შეცვალა, რომ იმაზე დამაფიქრა, რაზეც აქამდე არ მიფიქრია. რომ დიდი ალბათობით ამიერიდან იმაზე ნაკლებს ვიცხოვრებ, ვიდრე უკვე ვიცხოვრე ეს 41 წელი, ამიტომ მირჩევნია, რომ მეტწილად და უფრო ხშირად ვაკეთო ის, რაც ყველაზე მეტად მომწონს – მეტი ვწერო. ზოგადად მეგონა, რომ პანდემია რაღაცას გვასწავლიდა, ცოტა უკეთესობისკენ შევიცვლებოდით. თუნდაც იმას უფრო მეტად გავიაზრებდით, რომ გარემოს უნდა მოვუფრთხილდეთ, ამ დროს კი დამანგრეველი ჰესების მშენებლობის საკითხი ერთი წამითაც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. უფრო მეტიც, თურმე შეიძლება, პანდემიის დროს, აქვე, ძალიან ახლოს ომი დაიწყოს.

არ არის ეს ყველაფერი ადვილი ამბავი. ჯერ ის, რომ არასოდეს არ იცი, წინ რა გელის, ძალიან დაუცველი ხარ. არ იცი, ხვალ რა მოხდება, შეგეყრება თუ არა ვირუსი, გადაურჩები თუ არა ცუდად ყოფნას, საავადმყოფოში შენთვის ადგილი რამდენად აღმოჩნდება. ძნელია იმაზე დაკვირვებაც, რომ თურმე როგორი შერჩევითი მიდგომა გვაქვს ადამიანების მიმართ, როგორ უფრო ადვილად გვემეტება სიკვდილისთვის მოხუცები ან „თანმხლები დაავადებების მქონე პირები". და კიდევ ის, რომ ამ ყველაფრის უკან, იმ რიგითი ექთნების და ექიმების თავდადებას თითქოს ვერ ვხედავთ, საერთოდ რომ არ ჩანან და მათი სახელი და გვარი შეიძლება ვერც ვერასოდეს გავიგოთ, მაგრამ მათ შრომაზე დგას გადარჩენილი და გამოჯანმრთელებული სიცოცხლეები.

***ჩვენმა თაობამ იცის, რა არის „ჩვენგან დამოუკიდებელი" ნგრევა – მიწისძვრა, რომელსაც ბავშვობაში შეესწარი რაჭაში და მერე რამდენიმე ომი. ახლაც დიდი ომია ჩვენ გვერდით, მთიან ყარაბაღში, სხვა ომებიც – არც ისე შორს. სულ ეს არის ადამიანის ამბავი? არ დამთავრდება? არც სამეცნიერო კვლევა, არც მხატვრული ტექსტი, არც კაცობრიობის გამოცდილება არაფერს ცვლის, არაფერს გვასწავლის?***

იმ მიწისძვრამ და ნგრევამ ჯერ კიდევ ბავშვს ის მასწავლა, რომ სიცოცხლე შეიძლება ძალიან უცებ და მოულოდნელად დამთავრდეს, ამიტომ რაღაც წვრილმანებზე არ ღირს მისი დახურდავება. და ომს რაც შეეხება, ომი ამ ცივილიზაციის ნაწილია და არა მგონია, ამ მილიტარიზმზე, კაპიტალიზმზე და პატრიარქატზე დაშენებულმა ცივილიზაციამ ან ომის გარეშე გაძლოს, ან კიდევ დიდხანს გაძლოს. ძალიან მძიმეა ყარაბაღის ომი ჩემთვის. მარტო იმიტომ არა, რომ უკარგესი სომეხი და აზერბაიჯანელი მეგობრები მყავს, არც მარტო იმიტომ, რომ ორივე ქვეყანაში მიმოგზაურია და ორივე ძალიან შემყვარებია. მძიმეა ეს ომი იმიტომ, რომ უცებ ძალიან აშკარად გვაგრძნობინა – ძალაუფლების შენარჩუნების და გადანაწილების წესები არც არსად და არც ჩვენს რეგიონში კიდევ დიდხანს არ შეიცვლება. ისიც დაგვანახა, რომ ისინი, ვისაც მშვიდობა გვინდა, ბევრნი არ ვართ და ჩვენი ხმაც საკმაოდ სუსტია. ამ პირობებში კი ლიტერატურას, სამწუხაროდ, არა აქვს საკმარისი ძალა, რამე უკეთესობისკენ შეცვალოს.

***ერთხელ დაწერე: „ჩვენ ყველამ აუცილებლად უნდა მოვყვეთ ჩვენი ამბავი. ჩვენ თვითონ უნდა დავწეროთ ჩვენი ისტორია. წერა კაცების ხელშია ფუფუნება, თორემ ჩვენს ხელში იარაღია.“ ეს განცდა, „შეიარაღების“, ახლა მოვიდა თუ თავიდანვე ასე იყო? როგორ იწყებდი, რა მოლოდინი გქონდა და რა გამოვიდა, ახლა რომ უყურებ?***

არა, წერა ძალიან არაცნობიერად დავიწყე. შეიძლება ითქვას, რომ თან ვწერდი და თან ცხოვრებას ვსწავლობდი. ახლაც ასეა. ის, რომ ქალებმა აუცილებლად უნდა ვწეროთ, ნელ-ნელა გავიაზრე, ძირითადად საკუთარი დაკვირვებით, გამოცდილებით, საკუთარი სურვილით, რომ მეც მეთქვა სათქმელი და სხვა ქალებითვისაც მომესმინა. ახლა როცა ვფიქრობ, რომ რაღაც გარდამტეხ მომენტებში შეიძლებოდა სხვანაირად წასულიყო ჩემი ცხოვრება, მერე მაშინვე იმაზე ვიწყებ ფიქრს, იმ სხვა ცხოვრებაში რამდენად დავწერდი და აღმოვაჩინე, რომ წარმოდგენაც არ მინდა, ალტერნატიული ცხოვრების ისეთი ვერსია მქონდეს, სადაც არა ვწერ. იმიტომ, რომ მქონდა ერთი დიდი პერიოდი, როცა არ ვწერდი, როცა ისეთი ცხოვრებით ვცხოვრობდი, რომელიც ჩემი არ იყო და ძალიან მწყდება გული იმ წლებზე. ეს ის წლებია, სადღაც 15 წლიდან 25 წლამდე, როცა ყველაზე ხალასია შენი გონება, ყველაზე ღია ხარ სამყაროსადმი, ყველაზე ცნობისმოყვარე და მე ამ დროს შეგრძნება მქონდა, რომ რაღაც ბნელ ოთახში ვიყავი გამოკეტილი და ხელის ცეცებით ვტკეპნიდი ერთ ადგილს. სამყარო ისე იყო ჩაკეტილი ჩემ გარშემო, ვერც ვხვდებოდი, რა უნდა მეკეთებინა თავის დასაღწევად. მაგრამ მაინც მგონია, რომ ამ წლებმა მასწავლა რაღაც: თვალი ამიხილა. პირველ რიგში ის მასწავლა, რომ ასეთ უიმედო ჩაკეტილ წრეში არასოდეს არ უნდა დაადანაშაულო იქ მომწყვდეული ადამიანი. დამნაშავე აქ ისაა, ვინც ამ წრეებს ქმნის და შიგნით ცდილობს ჩვენს გამოკეტვას. ვისაც აწყობს, სულ არსებობდეს ჩახშული წრეები შიგ მომწყვდეული უიმედო ადამიანებით.

***შენ ვის ამბებს ჰყვები? – ვინ არის მკვლევარი ირინა? არ გკითხები, რა შეიძლება იყოს გამოგონილი ტექსტში, თითქმის არც პროტოტიპების ამბები მაინტერესებს, უფრო ის – რა როლი აქვს ავტორის გამოცდილებას, ცხოვრების წარსულ ან მიმდინარე გარემოებებს ტექსტის წერის დროს? რომ არ ყოფილიყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, დაიწერებოდა „გათვლა“? რომ არ ყოფილიყავი მკვლევარი, იქნებოდა ირინა? და სულაც, კაცი რომ ყოფილიყავი, ეს გოგოები ასეთები იქნებოდნენ? მართლა ყველაფრის გამოგონება შეიძლება თუ „საავტორო ხაზებს“ თავს ვერავინ აღწევს?***

არა, არ ვარ ირინა. არც „გათვლის“ გოგოები ვარ და არც ეთერო – ბოლო რომანის გმირი. ჩემი ასე კონკრეტული მათ არაფერი აქვთ, მაგრამ წერის პროცესში მე თითონ ვხდები დროებით ისინი. ესაა ჩემთვის წერაში ყველაზე საინტერესო პროცესი. სხვა ადამიანის გამოგონება და იმ სხეად ქცევა ცოტა ხნით. ზოგადად, ჩვენ იმდენად შეზღუდულები ვართ, ერთ სხეულში ჩაჭედილები, შეზღუდული თვალთახედვებით და ემოციებით, ყოველდღიური რუტინით, რომ ძალიან მოსაწყენია ერთი ადამიანად ყოფნა მთელი ცხოვრება. აი, მაგალითად, ამ ბოლო რომანის წერა, წინა ორთან შედარებით, უფრო გააზრებული პროცესი იყო ჩემთვის. გმირზეც ბევრს ვფიქრობდი და წერის პროცესში ჩემს თავსაც ვაკვირდებოდი. კარანტინის დროს დავიწყე წერა, მივხვდი, რომ ძალიან მიჭირდა მარტო ერთი რეალობის ატანა და იმასაც ვაცნობიერებ, რომ სხვა ქალ ავტორებთან შედარებით პრივილეგია მქონდა – დრო და საშუალება კარანტინის პერიოდში მეწერა. ძალიან გავყევი წერისას. ანუ მივხვდი, რომ რაღაც მომენტებში რომანის გმირს ვემსგავსებოდი. წონაში მეც მოვიმატე, ისეთი კაბების ჩაცმა დავიწყე, რაც ჩემს წარმოდგენაში მას ეცვა და მე ცხოვრებაში არასდროს აზრად არ მომივიდოდა ჩამეცვა, ხანდახან რაღაცას თუ ვიტყოდი, ვხვდებოდი, რომ მისი ენით ვლაპარაკობ ან მასავით ვბრაზდები. თან ის ასაკით ოდნავ დიდია და მეც რაღაც პერიოდი მეგონა, რომ უკვე 48 წლის ვარ. ჩემთვის „საავტორო ხაზი“ არ ვიცი რაა. ალბათ, რაღაც პატარა დეტალები, რასაც რეალობიდან ვკრეფ და მერე რომანში ჩავრთავ. გმირის სახელი, მაგალითად? თავიდან არ ვიცოდი რა ერქმეოდა და მახსოვს, კბილის ექიმთან ვიზიტისას, ის ხშირად მიმართავდა თავის თანაშემწეს სახელით: „ეთო, ეს მომაწოდე, ეთო, ახლა ის მომაწოდე, ეთერი, სად ხარ?“ და ამ დროს მე პირდაღებული და კბილში ბურღით ვფიქრობ: ვაჰ, რა კარგია! მოდი, ჩემს გმირს ეთერი ერქვას!

აი, კაცი რომ ვყოფილიყავი, ვერ დავწერდი იმას, რაც დაწიწერია ან რასაც დავწერ. მითუმეტეს, თუ ვიქნებოდი თბილისში მცხოვრები, ეთნიკურად ქართველი, ჰეტერო და მართლმადიდებელი კაცი, ყველა პრივილეგიით გადაქლენთილი – ხომ საერთოდ წარმოუდგენელია, ომში მოქცეული თინეიჯერი გოგოები შემექმნა ან ზუმი და რეპრესირებული ირინა?

***ცოტა მეტი მითხარი ეთეროზე – ვინ არის, რას აკეთებს, ვინ ჰყავს, დიდი ტექსტი გამოდის? ის, წერის დროს რომ ეთეროს ემსგავსები, ყოველთვის ასეა ხოლმე? კიდევ რა იცვლება შენს ცხოვრებაში, როცა ახალ ტექსტზე მუშაობას იწყებ?***

ეთერო შუა ხნის ქალია, პროვინციულ ქალაქში მცხოვრები. მარტოხელაა, კაცი – „პატრონი“ არ ყავს. ამიტომ სულ მუდამ თავდაცვის რეჟიმშია, რომ უსაფრთხოდ იგრძნოს თავი. სიბერესაც ისე გეგმავს, რომ უსაფრთხოდ იყოს, მაგრამ ერთი შემთხვევის გამო ყველაფერი თავდაყირა დგება მის ცხოვრებაში. იცი, რა მინდოდა ამით მეჩვენებინა? რამხელა ძალისხმევა უწევთ ქალებს, თუ მათ გვერდით „პატრონი“ არაა, რომ თავი დაიცვან, მაშინ,

როცა კაცის ან თუნდაც მარტოხელა კაცის სადარდებელი რაა? სხვა კაცებმა, ძმაბიჭებმა აღიარონ და მათთან დაიმკვიდრონ თავი. მეტი არაფერი. არც სექსუალური ძალადობის ეშინიათ, არც იმის გამო სახელის გატეხის, რომ ვიღაცასთან სექსი ექნებათ. ამ დროს კი ქალს, რომელსაც არა აქვს სოციალური სტატუსი, არ ჰყავს „პატრონი" და რომელსაც მარტო ცხოვრება აქვს არჩეული, ერთადერთ საზრუნავად ის რჩება, თავი როგორმე გადაირჩინოს, რამენაირად გარშემო ისეთი ქსელი მოიქსოვოს, რაშიც დაცულად იგრძნობს თავს და თან საზოგადოებისგან არ გაირიყება.

***უკვე იცი, ახალ რომანს რა ერქმევა და დაახლოებით როდისთვის აპირებ გამოცემას?***

წელს გამოიცემა. ახლა ტექსტს ვარედაქტირებ და თან კიდევ ვფიქრობ. არ მინდა რამე „ჩავარდნა" გამეპაროს. აი, მაგალითად, გუშინ გავილვიძე და უცებ თავში დამარტყა, რომ ერთ ეპიზოდში მზის ჩახჩახი მაქვს ნახსენები და მერე უცებ წვიმა და თქეში იწყება. ჰოდა, შევცვალე მზის ჩახჩახი ღრუბლებში ცოტა ხნით გამოჭყეტილი მზით, რადგან იმ ეპიზოდში მზე მჭირდებოდა. მე მომწონს, როცა ავტორი ასეთ დეტალებზე ფიქრობს და მუშაობს. არ მიყვარს, როცა ტექსტში უზუსტობები „იპარება". ამიტომ მგონია, რომ წერის დასრულების შემდეგ ცოტა ხანი ტექსტი ავტორთან უნდა რჩებოდეს. არავინ უნდა გაჩქარებდეს. ჩვენთან ეს დაჩქარება დიდად არ იციან, რაც კარგი მგონია. ყელში ნაჭერა დასავლურმა წიგნის ინდუსტრიამ უფრო იცის, ბევრი მიზეზის გამო.

ახალ რომანს „შაშვი შაშვი მაყვალი" ჰქვია. ერთი შეხედვით, სულელური სათაურია, მაგრამ დასაწყისიდანვე, ორ-სამ გვერდში მიხვდებით, ასე რატომ დავარქვი.

***გახსოვს „გათვლას" და „ალმოსავლეთს" რომ წერდი, როგორი დრო იყო? შენ როგორი იყავი? რა ხდებოდა შენ ირგვლივ, ცხოვრებაში? ზოგადად, როგორია შენი სამუშაო კომფორტული ზონა და დრო?***

კომფორტული ზონა ისაა, რომ სახლში თუ არა, ოთახში მაინც მარტო ვიყო. დრო, ალბათ, უფრო დილა. კი, ორივე ტექსტის წერა მახსოვს. „გათვლის" პერიოდი საუკეთესო ხანა იყო ჩემს ცხოვრებაში. ზაფხულში ვწერდი, მეგობარმა თავისი ნაქირავები ბინის გასაღები მათხოვა, მარტო რომ ვყოფილიყავი. ძალიან ცხელოდა, მეცხრე, ბოლო სართული იყო და სახურავს მზე აჭერდა. ეგ მახსოვს, რომ ყველაზე გრილი ადგილი იატაკი იყო და პირდაპირ იატაკზე



ეკა ქევანიშვილთან ერთად. კინოსტუდიის ეზოში. 1996 წელი

დანოლილი ვწერდი. „ალმოსავლეთის" წერისას, პირიქით, ყველაზე მძიმე პერიოდი მქონდა პირად ცხოვრებაში, მაგრამ მაინც მიხარია, რომ რაღაცნაირად მაინც მოვახერხე წერის ხურხემალი შემრჩენოდა. ირინას გამოცდილება ჩემი გამოცდილება არ ყოფილა, მაგრამ მისი ტანჯვის გამოგონებით და შეთხზვით, თითქოს ჩემი საკუთარი ტანჯვის დავიწყების და მისგან ცოტა ხნით გაქცევის საშუალება მქონდა. შეიძლება, ამიტომაც მოვახერხე წერა. მაშინ სარეზიდენციო პროგრამით ციურიხში ვიყავი და „ალმოსავლეთზე" იქ ვმუშაობდი. მახსოვს, რომ საწერი მაგიდა ფანჯარასთან იდგა და ფანჯარა წინ, კოხტა შვეიცარიულ სახლს უყურებდა. იმ სახლის საკვამურიდან სულ ამოდიოდა კვამლი. მე მგონი, მაშინ ერთადერთი, ის საკვამური იყო, რაც მამშვიდებდა.

***როგორ ემზადები ახალ ტექსტზე მუშაობისთვის, მიდიხარ და მასალებს აგროვებ, იხსენებ დროს და კონტექსტს სწავლობ, თუ ჯერ იწყებ და იმის მიხედვით მოქმედებ, სად და როგორ მიჰყავხარ ტექსტს?***

„ნოუთებს" ვაკეთებ, ძალიან არაორგანიზებულად. ხანდახან ტელეფონშიც. მერე იმ ნოუთების ორგანიზება ცალკე დიდი სამუშაოა, მაგრამ ამ დროს თან ტექსტის სტრუქტურაზე ვფიქრობ. არა, წერა საით წამიღებს, ეგ მდგომარეობა არ ვიცი, უცხოა ჩემთვის. როცა წერას ვიწყებ, უკვე დასაწყისიც ვიცი და დასასრულიც. ვიცი, რა როგორ იქნება. მანამდე იმდენს ვფიქრობ ამაზე, კიდე წერამ სადმე წამიღოს, ეგ აღარ შემიძლია.

***შენი, როგორც მკვლევრის გამოცდილება, „მუშაობს" მხატვრული ტექსტის წერის დროს? წყაროების და დოკუმენტებთან მუშაობის ჩვევა ხელისშემშლელია თუ გეხმარება? აუცილებელია?***

მცირე კვლევის ჩატარება მარტო „ალმოსავლეთის" წერი-

სას დამჭირდა. ძირითადად ცისფერყანწელებზე და სტალინურ ტერორზე. „გათვლაზე" ან ბოლო რომანზე არანაირი კვლევა არ დამჭირვებია, ორივეგან თანამედროვე კონტექსტებია და ამას კვლევა, აბა, რაღად უნდა, რაც ისედაც კარგად იცი და კარგად ნაგრძნობი გაქვს. გერმანიაში მეკითხებოდნენ ხოლმე ხშირად „გათვლაზე", მანამდე კვლევა თუ ჩავატარე, მაგალითად, დევნილებთანო და მახსოვს, რომ თავიდან თვითონ კითხვას ვერ ვიგებდი, საერთოდ არ მესმოდა, რას მეკითხებოდნენ. მხატვრული ლიტერატურის წერას რა კვლევა უნდა, რას იგონებენ-მეთქი. ნუ, „აღმოსავლეთზე" როცა დამჭირდა რაღაცების კითხვა-მოძიება კონტექსტის უკეთ გასაგებად, მივხვდი, რომ ზოგიერთ ტექსტს სჭირდება კვლევა. კვლევა წარმოსახვისთვის ხელშემწყობი მგონია, მაგრამ სირთულე ისაა, რომ არასოდეს იცი, რამდენი უნდა იკვლიო, რომ კარგად დაწერო. მგონი ერთხელაც, როცა ყელში ამოგივა ეს ყველაფერი, დაჯდები და დაწერ. დამიჯერებ, რომ 2014 წლიდან საბჭოთა გულაგებს ვიკვლევ? ამ დროიდან მინდა ამ თემაზე რომანის დაწერა და ჯერ არ დადგა ის პერიოდი, როცა ან კვლევის ბოლოში გავალ ან ვიგრძნობ, რომ მზად ვარ ამ რომანის დასაწერად. არადა, მგონია, რომ ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტი იქნება.

***როცა ლაპარაკობენ „გათვლაზე", ყველა ხაზს უსვამს განსხვავებულ ენას და თხრობას. როგორ იპოვე ცქნაფას და ნინცოს „ენა", ეს „თქვა... ვთქვი..." – განსხვავებული, ბუნებრივი, „უზედმეტო", არა ისეთი, როგორიც ლიტერატურაში ასე თუ ისე ცნობილი პერსონაჟების თხრობაა, დიდების, პატარების, განსხვავებულების, შეშლილების ან, სულაც, მკვდრების. თავიდანვე ასე დაიწყე? ანუ დაბოლოება-დასაწყისებთან ერთად, ენის ამბავიც წინასწარ იცი ხოლმე? ირინა უკვე სხვანაირად ლაპარაკობს, ნორაც, წერილი ლიასთვისაც სხვა ენით არის დაწერილი, თუმცა საერთოც აქვთ – „უზედმეტობა"!***

„გათვლის" წერა ასე დავიწყე, როგორც დავიწყე. არ მახსოვს, რომ ენაზე მეფიქროს. ასე გამოვიდა. ენაზე „აღმოსავლეთზე" უფრო ვიფიქრე. დრო და შრომა დამჭირდა „გათვლისგან" ვდისტანცირებულიყავი ყველანაირად. ენით, პირველ რიგში, და მგონია, რომ გამომივიდა. „აღმოსავლეთში" სხვა ენაა საერთოდ. სხვა ენაა ბოლო რომანშიც, წინა ორისგან განსხვავებით. ასეთი ენა რამდენიმე მოთხრობაში გამოვიყენე ადრე, მაგრამ შედარებით დიდ ტექსტთან ახლა პირველად ვცადე. მე მგონია, რომ რაღაც რიტმი აქვს სამივეს. რიტმი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რედაქტორმა რომ ერთი ასო და ბგერა მოაკლოს სადმე, ჩემთვის რიტმი, ტექსტის ქსოვილი მთლიანად ირღვევა და ამ ერთი ასო-ბგერის გულისთვის შეიძლება დიდი ომი მქონდეს.

***როგორც მწერლისთვის, და არა ქალი ავტორისთვის ან ფემინისტი ავტორისთვის, არსებობს ქალის და კაცის სათქმელი (ამ დაყოფაზეც მითხარი)? თუ მხოლოდ ადამიანის სათქმელი არსებობს? თუ ეს „ზოგადადამიანური სათქმელები" ფუფუნებაა და რომელიღაც უკეთესი მომავლის საქმე? როცა მხატვრულ ტექსტზე მუშაობ, ამაზე ფიქრობ და ამას ითვალისწინებ?***

კი, არის „ადამიანის სათქმელი", მაგრამ ვინაა ადამიანი? საუკუნეების განმავლობაშიც და დიდწილად ახლაც, ადამიანში კაცი მოიაზრება. მაშინ ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ ადამიანური სათქმელი, საბოლოო ჯამში, კაცის სათქმელია? და ასეც არის. ქალის სათქმელს ყოველთვის ქალურ ჩარჩოში კეტავენ, მისი ლიტერატურა „ქალურ ლიტერატურად" აღიქმება და არ უნდა ტრანსგრესიული იყოს. მაგრამ იგივე არასდროს კეთდება კაცის შემთხვევში ზუსტად იმიტომ, რომ ის ზოგადადამიანურის მთქმელად მოიაზრება. და რა არის ამ დროს ზოგადადამიანური? სინამდვილეში ერთი კონკრეტული კაცის ჭმუნვა და საფიქრალი, ერთი კონკრეტული გადმოსახედიდან ნათქვამი. იმის ნათქვამი, ვისაც აქვს დრო და ფუფუნება ღმერთზე და ეშმაკზე, ბნელზე და ნათელზე, კეთილსა და ბოროტზე, სევდასა და ბედნიერებაზე იფიქროს და მერე ამაზე წეროს. მას „საკუთარი ოთახიც" აქვს, განათლებაც, აღიარებაც და არც ქანცგამწყვეტი საოჯახო და ემოციური შრომა ადევს კისერზე. აი, უელბეკი ავიღოთ, მაგალითად. ხომ ძალიან ცნობილი და აღიარებული მწერალია, მაგრამ როგორ წერს უელბეკი? თეთრი, ევროპელი, საშუალო კლასის, დეპრესიული, მიზოგინი კაცის პერსპექტივიდან. საერთოდ არაა მისი სათქმელი უნივერსალური. არაა ყველა კაცი არც ევროპელი, არც თეთრი, არც საშუალო კლასის და ა.შ. თან ყველა წიგნში რომ მეორდება და ახალს არაფერს ამბობს! არადა, ეს მის პოპულარობაზე ან კითხვადობაზე საერთოდ არ აისახება. თან არა მგონია, ვინმეს თავში აზრად მოუვიდეს და თქვას, უი, რა ვიწრო კაცური პერსპექტივიდან წერს უელბეკი, როცა ამას ძალიან მარტივად იტყვიან ქალ ავტორზე, მარტო იმიტომ, რომ ის ქალია.

***ერთხელ თქვი, „ფემინისტი უსამართლობასთან მებრძოლს ნიშნავს". თუ ფემინისტი უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლია და ფემინიზმი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, რატომ არ არის ყველა ფემინისტი? ბუნებრივია, არ ვგულისხმობ იმას, ვინც თავად არის უსამართლო და უსამართლობის მხარდამჭერი. რატომ არ უნდათ კაცებს, იყვნენ ფემინისტები, კაცებს კი არა, ქალებსაც კი რატომ არ უნდათ?***

კაცებს ეშინიათ ფემინიზმის იმიტომ, რომ ეშინიათ პრივილეგიების დაკარგვის. არ ეთმობათ პრივილეგიები. გააზრებაც კი არ უნდათ საკუთარი პრივილეგიის. ანტიფემინისტ ქალებსაც ისე აქვთ შესისხლხორცებული პატრიარქატი, რომ არც იციან, უბრალოდ, როგორ იცხოვრონ სხვანაირად. როგორ იყვნენ სოლიდარული, როგორ სცენ პატივი სხვა ქალის გამოცდილებას, როგორ აღიარონ და ხმა აიმაღლონ ჩაგვრის წინააღმდეგ. იცი რა, მე მგონია, რომ არაფერია ისეთი ფუჭი, უშინაარსო და

ტყუილად ჩავლილი, როგორც ანტიფემინისტი ქალის ცხოვრება. ერთხელ იცხოვრო და ისიც კაცის სურვილზე, ნებაზე, თვალზე და სიამოვნებაზე მორგებულმა, ამაზე მეტი ნყეელა რა გინდა. იმ კაცს კიდევ, ვინც მხარს უჭერს ფემინისტებს, ან თვითონ აქვს რაღაც ტიპის ჩაგვრა გამოცდილი და მერე ეს გააზრებული, ან რაღაც მოხდა მის ბიოგრაფიაში, რამაც თვალი აუხილა. გეი კაცები განიცდიან ჩაგვრას და ძირითადად მათ ესმით უფრო ქალების.

ქალი, რომელიც იაზრებს ჩაგვრას, მის წინააღმდეგ იბრძვის და კაცი არ ჰგონია ქალზე აღმატებული – ფემინისტია, ოღონდ შეიძლება სულ არ უწოდებდეს ასე თავს და ეს ჩემთვის ძალიან ნორმალურია. ვიღაცებს უბრალოდ არ უყვართ იარლიყები. სხვებმა უბრალოდ სხვა დროს იცხოვრეს, სიტყვა „ფემინისტი“ შეიძლება არც ესმოდათ. მაგალითად, ბებიაჩემი მასწავლებელი იყო და არასდროს სცოდნია გოგოს და ბიჭის „ტვინზე“ ლაპარაკი ან „ბიჭის ტვინის“ უპირატესობის ხაზგასმა. პირიქით. მე მაქვს საკუთარი თავის რწმენა და ეს, პირველ რიგში, მისი დამსახურებაა. პატარა გოგოებს საკუთარი თავის რწმენა ასწავლო, ისედაც ფემინიზმია, თუნდაც მისი სახელდების გარეშე.

***რა არის ყველაზე დიდი მიზეზი, ყველაზე გავრცელებელი „გამართლება“, რის გამოც საუკუნეების მანძილზე ქალები „სცენის“ მიღმა რჩებოდნენ? და ეს ჯერაც არ დამთავრებულა და ეს ხდება თითქმის ყველგან.***

ქალებს და სხვა ჩაგრულ ჯგუფებსაც გვჩაგრავენ იმიტომ, რომ იერარქიებში ვცხოვრობთ. ყველგან იერარქიაა და ის, ვინც თავშია, სულ თავში ყოფნას ცდილობს. თუ რამე, კი, ბოლოში მყოფს დაადანაშაულებენ. აბა, რა, დადანაშაულების ენაც, მექანიზმიც და ძალაუფლებაც მათ ხელშია. აბა, თავის თავს ხომ არ დაიდანაშაულებენ? მაგრამ ნელ-ნელა იცვლება რაღაცები. იერარქიის ბოლოში მყოფები ნელ-ნელა ვსწავლობთ ბრძოლას, სოლიდარობას, უკეთესად ვიაზრებთ თვითონ სისტემას. მე იცი, რა მიხარია? აი, ის, რომ ახლა 17-18 წლის გოგომ უკვე იცის რაღაცები, აზრზე მოსულია. ის იცის, რაც მე კისრისტეხით, საკუთარი ტყავით ვისწავლე და მერე ძლივს გავიაზრე, სადღაც 30 წლის ასაკში. ის მიხარია, რომ რაღაც ცოდნები და გამოცდილებები უკვე არის გაზიარებული და ახლანდელი გოგოები ბევრად ძლიერები არიან, ვიდრე მათ ასაკში ჩვენ ვიყავით.

***აქ მუდმივად იძახიან, „ლეკვი ლომისა სწორია“... თამარი... თუ ცოტა მეტი იციან, ხუაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელიც შეიძლება ახსენონ... მერე აქეთ საბჭოთა ქალებიც – ინჟინერი, მწერალი, აკადემიკოსი... ამას იმეორებს კაციც და ქალიც. შენ იკვლევ „უჩინარ ქალებს“, მათზე წერ, ლაპარაკობ. მათი „გაუჩინარება“ სულ კაცების ბრალია? ბრალიც მაინტერესებს და აქედან გამოსავალი რა არის, უფრო მეტად ეს.***

ხო, კაცი ასე იძახის იმიტომ, რომ ასე ესმის ბავშვობიდან სხვა კაცებისგან და მერე ამას იმეორებს. ასე კომფორტულია მისთვის იმიტომ, რომ რაც ზემოთ ვახსენე, მისი კომფორტი მის პრივილეგიაზეა მიბმული. კაცის პრივილეგიაა ისიც, რომ ენა მისი იყოს, მუდმივად მან ილაპარაკოს, სივრცე მან დაიჭიროს, წარსული, აწმყო და მომავალი შექმნას და განკარგოს. ესაა პატრიარქატი და ამიტომაცაა აქ ქალი უჩინარი. ან უჩინარია ან ძალიან მცირე სივრცე აქვს. ჰოდა, ამ სივრცის გაფართოებაა საჭირო. ხმის ამოღებით პირველ რიგში, სხვა ქალების მოძებნით, მათზე მინდობით, ქალების ერთმანეთზე ზრუნვის და მხარდაჭერის ქსოვილების შექმნით. ფემინისტური ლიტერატურაც რაღაცას თავისას აქსოვს ამ ქსოვილში. ძალიან ფუჭია იმ ქალის ცხოვრება, ვინც ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვა ქალების მხარდაჭერით, ზრუნვით, აღიარებით არ ქსოვს ამ ქსოვილს.

მე თუ მკითხავ, პრივილეგირებული ქალები არიან ყველაზე ხისტები ამ ქსოვილის ქსოვაში. ვერ ქსოვენ, არც იციან, როგორ მოქსოვონ, ისე არიან საცოდავად გამობმული საკუთარ გარემოს და საკუთარი კაცების პრივილეგიებს. ამ პრივილეგირებული ქალების გადმოსახედიდან ყველაზე ჩაგრულმა ქალებმა იციან ზუსტად საოცარი მხარდამჭერი და ურთიერთზრუნვითი სივრცეების შექმნა. იცი, რომელმა ქალებმა? აი, ვთქვათ, მინდორში რომ მუშაობენ დღე და ღამე და კარტოფილს თესენ და იღებენ. იმ კარტოფილის იქით ვერ ვხედავთ იმ ქალებს, არ ვიცით მათზე არაფერი და ყველაზე ჩაგრულები და სუსტები გვგონია, როცა ყველაზე სუსტი, უსუსური და მარტომყოფი კაცის ნება-სურვილზე მორგებული ანტიფემინისტი პრივილეგირებული წრის ქალია.

***ფემინიზმისთვის, ქალთა უფლებების ბრძოლისთვის როგორი დროა ახლა, როგორ შეიძლება ხელიდან „გამოგლიჯოს“ ქალმა კაცს, მაგალითად, რელიგია ან პოლიტიკა, ეკონომიკა, რომ ამ ყველაფერს იარაღად არ იყენებდნენ ქალების წინააღმდეგ? შეიძლება ახლა ვინმე შემობრუნდეს და იკითხოს: რა, ქართველ, ჰეტერო, მართლმადიდებელ კაცს თუ უბრალოდ, საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ კაცს, ნაკლები გაჭირვება ადგას, თუნდაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში?***

კი, ქართველ, ჰეტერო და მართლმადიდებელ კაცს ერთმნიშვნელოვნად ნაკლები განსაცდელი და გაჭირვება ადგას. მისი „განსაცდელი“ ძალაუფლებაა, სხვა კაცებში დამკვიდრება და მათგან აღიარება. ძალაუფლებას, დამკვიდრებას და აღიარებას შეიძლება შეეწიროს კიდეც, მაგრამ ეს ის „წესებია“, რასაც დომინანტური ჯგუფის კაცები ერთმანეთს უდგენენ, როგორც თანასწორებს. აი, ქალებს კი ისევ ისინი უდგენენ წესებს, ოღონდ ისე, რომ მათ ადამიანებადაც არ თვლიან. ეს თანასწორისადმი კი არაა წესის დადგენა, ეს ჩაგრულისთვის წესის დადგენაა, აქედან მოდის ზუსტად ფემიციდი. ვინც ადამიანად



მეგობრებთან ერთად. 2019 წელი

კი არა, საკუთრებად მიგაჩნია, ძალიან ადვილად შეგიძლია მოკლა. გამოსავალი წაგლეჯა-გამოგლეჯა არაა. გამოსავალი ისეთი სივრცეების და ცოდნების შექმნაა, რომელიც თანასწორობაზე, ღირსების პატივისცემაზე, მრავალფეროვნების აღიარებაზე იქნება აგებული.

***შენი სურათი მახსოვს „საბას" დაჯილდოებაზე, ორივე ხელი აწეული გაქვს, მუშტებშეკრული, იცინი... გერმანიაში რომ მიიღო პრიზი „გათვლამ", გამოცხადებიდან სცენაზე ასვლამდე არაფერი მახსოვდაო, თქვი. მომიყევი ამ გამარჯვებების შესახებ, რას ნიშნავს ეს მწერლისთვის?***

რა ვიცი, კარგია გამარჯვებები, მაგრამ მათზე ჩემი ცხოვრება არაა აწყობილი. სხვა რაღაცებიც არსებობს, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი. თუმცა ლიტერატურული პრიზები გაძლევს იმის საშუალებას, რომ მეტად ითარგმნები, მეტი გკითხულობს, მეტი გიცნობს. კარგია ის, რომ მერე სადღაც გიწვევენ ლიტერატურულ ფესტივალებზე და ყველაზე მეტად ამაში იცი, რა მომწონდა? ის, რომ მოგზაურობის საშუალება მქონდა. ამ ვიზიტებს მოგზაურობას მივაბამდი ხოლმე, ეგ იყო ჩემი დიდი ბედნიერება. წარსულში იმიტომ ვლაპარაკობ, რომ პანდემიის გამო ახლა რაღაც ძალიან შორეულ წარსულად მეჩვენება ეს ყველაფერი.

***როგორ ფიქრობ, რა აკლია ქართულ ლიტერატურულ პროცესს დღეს? რა არის საჭირო? რა მოიტანდა დიდ ცვლილებებს?***

ქართულ ლიტერატურას მეტი თავისუფალი დრო სჭირდება იმისთვის, რომ წეროს. თითქმის ყველა ავტორს უწევს სხვა რაღაცის კეთება იმისთვის, რომ თავი ირჩინოს და მერე წერისთვის ძალიან ცოტა დრო რჩება. დასავლურ ქვეყნებში ამას ძალიან შველის სამწერლო რეზიდენციები და პატარა-პატარა სტიპენდიები. მიხარია, რომ მსგავსი რეზიდენციები ახლა ჩვენთან, მწერალთა სახლმაც წამოიწყო. ავტორების მხრიდან, იცი, რისი შეცვლა მგონია საჭირო? რომ საკუთარი ნაჭუჭებიდან გამოვიდეთ მკითხველთან მისასვლელად. ჩვენც დავრწმუნდეთ და მკითხველიც დავარწმუნოთ, რომ „ხან მიწისა და ხან ცისა" კი არ ვართ, ძალიან მიწის, ჩვეულებრივი ადამიანები ვართ ცოტა მეტი წერის ნიჭით და მხოლოდ კითხვებს ვსვამთ, პასუხები კი მათია – მკითხველის. და იმდენნაირი პასუხია, რამდენნაირიც მკითხველი.

***ყველაზე შთამბეჭდავ, შენთვის შთამბეჭდავ ტექსტზე ან ტექსტებზეც მითხარი, ისეთებზე, თავიდან რომ აღარ ამოდის, სულ რომ რჩება – რაზეც გიფიქრია, ნეტა მე დამეწერა, ასე როგორ დაწერა?***

მე მგონია, რომ წიგნი ადამიანივითაა. გააჩნია, ადამიანს როდის შეხვდები, ცხოვრების რა ეტაპზე და იმასაც გააჩნია, წიგნსაც როდის წაიკითხავ, ეგეც – ცხოვრების რომელ ეტაპზე. ერთ-ერთი ასეთი წიგნი, რომელიც „თავის დროზე" შემხვდა, ელფრიდე იელინეკის „საყვარლები" იყო. გარდა იმისა, რომ ძალიან შთამბეჭდავი ტექსტია, მაიძულა, ბევრ რამეზე ამეხილა თვალი და თავისი სახელი დამერქმია. მახსოვს, პირველი წაკითხვიდან ორი წლის მერეც წავიკითხე ეს რომანი და მერე აღარ იყო ისეთი შთამბეჭდავი. ორი წლის მერე რაღაცები უკვე მეტად ვიცოდი. მეორე წაკითხვის დროს პირველად რომ წამეკითხა ეს წიგნი, ხომ აღარ იქნებოდა ასე მნიშვნელოვანი? იყო და არის ბევრი სხვა მნიშვნელოვანი წიგნიც. როცა წიგნი ძალიან მომწონს, სრულ აღფრთოვანებაში ადგილი აღარ მრჩება იმისთვის, ვიფიქრო, ნეტა ეს მე დამეწერა ან ამას მეც ხომ დავწერდი, ან მე ამას ასე დავწერდი. ასე ვარ ადამიანზეც. თუ მისით აღფრთოვანებული ვარ, რაღაც პერიოდი ალარაფრისთვის მაქვს ადგილი ამ აღფრთოვანების გარდა და ეს მაქვს იშვიათი, მაგრამ საუკეთესო მდგომარეობა წიგნთანაც და ადამიანთანაც მიმართებაში.

***ქალი ავტორი – კაცი ავტორი, აი, რაღაც რომანის, ლექსის, მოთხრობის, ნებისმიერი ტექსტის კითხვას რომ იწყებ, ფიქრობ ამაზე, ამით აფასებ, თუ ტექსტთან პირისპირ ეს აღარაფერს ნიშნავს?***

ძალიანაც ნიშნავს. ტექსტთან პირისპირ დარჩენა ტექსტის არჩევიდან იწყება და მეც, თინეიჯერობიდან მოყოლებული, ქალი ავტორებისკენ მიმიწევს გული. სულ მათ ძებნაში ვიყავი და ვარ. ძალიან მომწონს, რომ ახლა ქალი ავტორების მეტი არჩევანია, ვიდრე ეს ათი და ოცი წლის წინ იყო. ამ ბოლო დროს დავაკვირდი, რომ ქალ ავტორებშიც შერჩევა დავიწყე. უფრო უცნობი ქვეყნებიდან და კულტურებიდან მირჩევნია ტექსტების კითხვა. აღარ შემიძლია ეს ერთი და იგივე დასავლელი, თეთრი კაცი

და ქალი. მირჩევნია, უფრო რეპრესირებულ ხმებს მივედევნო. ჰაიტელი ან კონგოელი ქალი ავტორის წაკითხვა მირჩევნია. ახლა არის ამის მეტი შესაძლებლობა. მეტი წილი ტექსტებისა ინგლისურ ენაზე თუ არა, გერმანულზე მაინც არის თარგმნილი და მათი მოძიება „პირატულ" საიტებზე ყოველთვის შეიძლება. გამონაკლისი რამდენიმე კაცი ავტორი მყავს. მაგალითად, კუტზეე ახერხებს საკუთარი კაცური „კანიდან" გავიდეს. ჩვენს ლიტერატურაში ასეთი რეზო ინანიშვილია. მგონია, რომ რეზო ინანიშვილზე კეთილი და კარგი კაცი ქართულ ლიტერატურაში არ არსებობს.

***გახსოვს დრო ან გქონდა ისეთი დრო, რომელმაც შეგცვალა, ამოგაგდო, შემოგაბრუნა – რაღაცა დიდი და მნიშვნელოვანი დაიწყო-დაამთავრა? რაღაც საფეხურ-ეტაპები იყო შენს ცხოვრებაში?***

კი, იყო, რა თქმა უნდა, და რამდენჯერმე. მაგრამ რომ მთხოვო, დავასახელო ეს მომენტები, ვერ დავასახელებ იმიტომ, რომ ასე ცნობიერად არ ვიცი. რაღაც მომენტები შეიძლება მოვნიშნო გარდამტეხად, მაგრამ, რა ვიცი, რაში მჭირდება? დიდი-დიდი, ალტერნატიული რეალობა რომ წარმოვიდგინო? ეს რომ არა, მერე რა მოხდებოდა და ვინ ვიქნებოდი? კი, კრიზისულ მომენტებში და ამ ბოლო დროს განსაკუთრებით, მიფიქრია ეგრე, მაგრამ რა? მგონია, რომ ძალიან შეზღუდული ვარ ამ წარმოდგენაში. მაინც არასდროს მეცოდინება, როგორი იქნებოდა ჩემი ალტერნატიული ცხოვრება. ამას სჯობს, ისევ საკუთარი ტექსტების გმირები და მათი რეალობები გამოვიგონო. ეს მეტი სიამოვნებაა და მეტად გაერთობა ადამიანი.

***ყოველთვის აღნიშნავ ქალთა საერთაშორისო დღეს, როგორც სამოქალაქო აქტივისტი და ფემინისტი. რას ცვლის ეს კვირეულები, მსვლელობები, ღონისძიებები? გიყვარს დღესასწაულები?***

კი, მიყვარს რვა მარტი. ფემინისტები გამოვჩნდით თუ არა, მაშინვე მოვნიშნეთ ეს დღე უფლებებისთვის ბრძოლის დღედ და ამან ის შეცვალა, რომ რვა მარტი ახლა ბრძოლის დღესთან უფრო ასოცირდება, ვიდრე მანდილოსნისთვის ყვავილების და შოკოლადის ჩუქების და ფუყე სადღეგრძელოს მიძღვნის დღედ, როგორც მანამდე იყო კარგა ხანს. და კიდევ ერთი, ძალიან ღრმა ბავშვობის რვა მარტი მიყვარს. მაშინ მხოლოდ ქალები იკრიბებოდნენ და რვა მარტს დიდი მხიარულებით აღნიშნავდნენ. არც კაცი დაიშვებოდა იმ მხიარულებაზე და არც ბავშვი, მაგრამ ერთხელ, ბებიამ, დედის დედამ, ეტყობა, სხვასთან ვერავისთან დამტოვა და ასეთ მხიარულებაზე მეც წამიყვანა. ზუსტად მახსოვს, იქ ერთადერთი ბავშვი ვიყავი, და რაც იქ ვნახე, ეს იყო ყველაზე შთამბეჭდავი. ზეიმი თავისი კარნავალურობით და თეატრალურობით, ცეკვით და სიმღერით, რაც კი ოდესმე მინახავს. სრულიად ქალური სივრცე იყო შექმნილი, სადაც ამ ქალებს მხიარულების გარდა, მგონი, არც არაფერი ახსოვდათ. მერე ბებიაჩემს რამდენჯერმე ვთხოვე, გაეხსენებინა ის რვა მარტები, მაგრამ დიდად ენთუზიაზმში არ ამყოლია. მეც მესმის მისი, 92 წლის ყოჩაღი გოგო კია, მაგრამ წარსულზე ლაპარაკი დიდად არ უყვარს.

სხვა დღესასწაულები არ მაქვს გამორჩეული. ახალი წელი, კარგა ხანია, მასევდიანებს. სამაგიეროდ, ძალიან მიყვარს ჩემი დაბადების დღე. დაბადების დღის გადახდა და მხიარულება ბავშვობაში მიყვარდა, მაგრამ ახლა უფრო ის მიყვარს, რომ ამ დღეს მოგზაურობა დავამთხვიო, სადმე „სხვაგან" ვიყო. რაზე მეცინება, იცი? ჩემს დაბადების დღეს ახალი წელივით ვხვდები, ღამის 12 საათზე, დიდად აღტაცებული და ყველა ასეთი შეხვედრა რაც მქონია, მარტო ან საყვარელ ადამიანებთან ერთად, ხან გემბანზე, ხან ქუჩაში, ხან კაფეში, ხან სად და ხან სად, მერე ძალიან ლამაზად მახსენდება.

***გაქვს სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების და სხვადასხვა სამუშაოს გამოცდილება. როგორი იყო ეს წასვლა, გასვლა, საზღვრის გადალახვა, როგორც მომავალი ავტორისთვის და თუნდაც ერთი კავკასიელი, ქართველი ან, სულაც, საბჭოთა კავშირში დაბადებული გოგოსთვის?***

საზღვრების გადალახვა ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში. ძალიან ზრდის ადამიანს სხვა ქვეყანაში მოგზაურობაც, ცხოვრებაც, ყოფნაც. უბრალოდ, ესეც პრივილეგიასთან არის კავშირში. ყველას არ შეუძლია საზღვრებს შორის მოძრავი იყოს, თან დაცულად მოძრავი. ჩემი პირველი მოთხრობები, იცი, რაზე იყო? 13 და 14 წლის რომ ვწერდი. მოგზაურობაზე. გოგოები და ბიჭები სამოგზაუროდ ხევსურეთში ან ფშავში მიდიან. ნუ, რა თქმა უნდა, იქ რომანი და დრამაცაა, მაგრამ მთავარი მაინც მოგზაურობაა. 90-იანი წლების დასაწყისში ხომ წარმოუდგენელი იყო თინეიჯერი გოგოს მოგზაურობა, ჰოდა, მეც იმაზე ვწერდი, რაც წარმოუდგენელი იყო, არასოდეს გამომეცადა, მაგრამ ძალიან მინდოდა მცოდნოდა. თვალით არ მქონდა ნანახი მაშინ არც ფშავი და არც ხევსურეთი, მგონი არც ტელევიზორში, მაგრამ მაინც ვწერდი. ჰოდა, მერე, ოდესღაც ასეთმა გოგომ, ძალიან დავაფასე საზღვრებს გარეთ გასვლა და მოძრაობა. დღემდე მართლა არაფერი მიხარია ისე, როგორც მოგზაურობა.

***ხშირად ახსენებ ბებიას, ვინ იყო, როგორი იყო? და საერთოდ, როგორი იყო გარემო, სადაც ბავშვობაში ცხოვრობდი, ვინ იყო ის ხალხი, ვინც გავლენას ახდენდა და გცვლიდა, ან ვერ... მართლა ბავშვობა ქმნის ადამიანს? თუ მას აქვს შემდეგ შეცვლის და გადასხვაფერების დიდი შესაძლებლობები?***

კი, ბავშვობა ქმნის ადამიანს. სკოლაში შესვლამდე მე ბებიები მზრდიდნენ, ორი ბებია და ერთი დიდი ბებია. ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, საოცრად ელვარე და დაუვიწყარი ქალები. ერთხელ აუცილებლად დავწერ მათზე.

ჩემზე ძალიან დიდი ზეგავლენა ჰქონდა მამის დედას, რომელიც უკვე ვახსენე. ვისი მასწავლებელიც ყოფილა ელენა ქევანიშვილი, ის მას ერასდროს ივიწყებს. მეც ვერ ვივიწყებ მას, როგორც ბებიას და როგორც მასწავლებელს. ბებიები „მორიგეობით" მზრდიდნენ, დედაჩემი ამ დროს თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა და მამაჩემიც, როგორც ბევრი მამა, თითქმის არასოდეს იყო სახლში. იცი, რას დავაკვირდი? აი, ტექსტებშიც ძალიან მარტივად შემიძლია შევქმნა ბებიის ნაირნაირი ვერსია – თინა, ნორა, დომნა ამ ახალ ტექსტში, მაგრამ დედები და მამები ჩემს რომანებში ან არ არიან, ან თუ არიან, ემოციურად არიან მიუწვდომელი. ჩემი მშობლებიც ასე ემოციურად მოუხელთებელი იყვნენ ჩემთვის იქამდე, სანამ მერე ყველა ერთად ცხოვრებას არ დავიწყებდით. რადგან ბებიების სამყაროს უკეთ ვიცნობდი, თითქოს უფრო მიადვილდება ტექსტში ბებიის შექმნა.

დედის პერსპექტივიდან ორი მოთხრობა მაქვს დაწერილი, „ისე დღე" და „წერილი ლიას". მგონია, რომ ორივე საუკეთესოა ჩემს მოთხრობებს შორის, მაგრამ აი, დედაზე, როგორც პერსონაჟზე წერა შვილის პერსპექტივიდან, ძალიან მიჭირს. მგონია, რომ ამ სირთულეს გადავლახავ, რადგან დედა-შვილის ურთიერთობა, განსაკუთრებით დედის და ქალიშვილის, ყველაზე საინტერესო, ტაბუირებული და „ბნელი" მგონია ადამიანებს შორის ურთიერთობებში და მასზე მეტის გაგებაც მინდა. მაგრამ მეორეც ისაა, რომ არა მგონია, მე ბებიებზე ემოციური თუ ფიზიკური მიჯაჭვულობის საკითხში გამონაკლისი ვიყო. ამ რამდენიმე ხნის წინ, ქალთა ისტორიის წერაზე ვუზიარებდი გამოცდილებას ქალების სხვადასხვა ჯგუფს. შეხვედრის ბოლოს ვთხოვდი, რომ აერჩიათ წინაპარი ქალი და მასზე ამბავი დაეწერათ. და იცი რა მოხდა? სადღაც, სამოცდაათი ქალიდან, ორი მოყვა ამბავს დედაზე და დანარჩენი – ბებიაზე. ამასაც თავისი ახსნა აქვს და ბევრი ახსნა შეიძლება ჰქონდეს. ერთ-ერთი ახსნა ისაა, რომ დედაჩემის მსგავსად, ამ ქალების დედებსაც, საბჭოთა სისტემის მიერ თავს მოხვეული „ორმაგი ტვირთი" აწვათ მხრებზე. ისინი გარეთაც შრომობდნენ – სამსახურებში და საოჯახო საქმეც მთლიანად მათ კისერზე იყო. და სახლის საქმეში, მათ შორის ბავშვების აღზრდაში ვინ ეხიდებოდა, ვინ ცდილობდა მათი შრომის შემსუბუქებას? ისევ მათი დედები. ამიტომაც ვიზრდებოდით საბჭოთა ბავშვების უმეტესობა ბებიებთან და მეტი ბმაც გვქონდა მათთან.

***ლექციებს კითხულობ და მკვლევარი ხარ, მხატვრულ ტექსტებს წერ, არასამთავრობო ორგანიზაციაშიც მუშაობდი, და მაინც, რისი კეთება გიყვარს ყველაზე მეტად, რა არის „შენი" საქმე?***

„იდენტობაში" ვიმუშავე ათი წლის წინ და ეგ იყო ჩემი არასამთავროებთან კონტაქტი, ამით დაიწყო და ამით დამთავრდა. 2012 წლიდან მოწვეული ლექტორი ვარ თსუ-ში, დროგამოშვებით ვკითხულობ ლექციებს. უფრო „ფრილანსერი" ვარ, ხან ვთარგმნი, ხან ვიკვლევ, ხან ვწერ. ასე არასტაბილურად ვცხოვრობ კარგა ხანია, მაგრამ ამის გამო შფოთვა არ მაქვს. ასე მგონია, სხვანაირად აღარც გამომივა და ასე რომ არ ვიცხოვრო, ვერც დავწერ. შეიძლება, სასაცილო იყოს, მაგრამ ახლა ყველაზე მეტად სიარული მიყვარს. შემიძლია, ბევრი კილომეტრი გავიარო ფეხით და ძალიან ბედნიერი ვიყო. ამ დროს ყველაზე კარგად ვისვენებ, ყველაზე კრეატიული ვარ და ყველაზე მსუბუქიც. ძალიან მიყვარს ის ქალაქები, სადაც სიარულ[illegible] საშუალებაა. თბილისი არაა მოსიარულეებისთვის, გადატვირთული მოძრაობის გამო. გაივლი და უფრო მძიმდები გამონაბოლქვისგან. არ ვგრძნობ აქ თავს კარგად, ზუსტად იმიტომ, რომ ბევრს ვერ დავდივარ.

ბავშვობაში ასე ცეკვაზე ვიყავი. ცეკვაზე ცალკე დავდიოდი, მაგრამ ყველგან ვცეკვავდი. აი, სახლში, მაგალითად, მეტყოდნენ, მაცივრიდან რაღაც მოიტანე, მივდიოდი ცეკვა-ცეკვით და მივიტანდი ცეკვა-ცეკვით. ოღონდ ხანდახან გზაში მავიწყდებოდა კიდეც რისი მოტანა დამავალეს, ისეთი გართული ვიყავი ჩემი მოძრაობებით. სკოლიდან მოვიდოდი და ორი საათი ვიცვლიდი ტანსაცმელს ცეკვა-ცეკვით, ოღონდ მართლა ორი საათი და მერე, სადღაც სადამოსკენ, ძლივს დავჯდებოდი სამეცადინოდ. ძალიან მადლიერი ვარ იმის, რომ სახლში ამას არავინ მიშლიდა. არ მახსოვს, ეს ცეკვა როდის შევწყვიტე, ალბათ მაშინ, როცა უფრო თინეიჯერობისკენ წავედი. ახლა ცეკვა ხშირად არც მახსოვს, რომ არსებობს. არც თავიდან დავიწყებდი ცხოვრებას, არც სხვა ადამიანად დავიბადებოდი, მგონია, რომ ერთხელ ცხოვრებაც საკმარისი გამოცდილებაა, მაგრამ რომ მითხრან, ერთი წუთი წარსულში დაგაბრუნებ, იცი, რომელ ერთ წუთს ავირჩევ? აი, ათი წლის რომ ვარ, ვცეკვავ და ყველაზე მსუბუქი ადამიანი ვარ დედამიწაზე.



კარანტინი. 2020 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შაშვი შაშვი მაყვალი

## (ნაწყვეტი რომანიდან)

*თამთა მელაშვილი*

რო ჩოჩავა, უფრო მეტი ბძინავს და სახე მაქ სუ დასიებული. მე იმას ვფიქრობ, რო აღარ მექნება, რა თავისუფალი ვიქნები, სუ გათავისუფლებული. ერთი-ორი წელი კიდევ, მერე ალბათ ამერევა და მერე სუ შემიწყდება. ნენომ ასე თქვა, ასე არისო. ახლა ეს ამას ექიმებისაგან ესმის, თორე თვითონ რა იცია, ერთი ქუთანია, ცარიელთავა. ნემსსაც ისე მწარედ აკეთებს, ცრემლს დაგაღვრევინებს. ცისანამაც ეგრე არისო, აგერევა და მერეო, უცებ არ იცის შეწყვეტაო, შეწყვეტა კი არა, პირიქით, შეძლება დენაც გქონდესო. პროფესორები. წყალწყალა ყავას ვსვამდით ამ გაზაფხულზე ცისანასთან, რაღაცა გაზეპილ, მორჩენილ ტორტზე, მის ბიჭს ქონდა წინა დღეს დაბადების დღე. სალაპარაკო აღარაფერი იყო და დედამთილები გაიხსენეს. რო, აი, ჩემი ხო ალქაჯი იყო, კლიმაქსიანიო, ნენომ, ჩემიც ალქაჯი და კლიმაქსიანიო, ცისანამ, ალი რო დაუვლიდა, ფანჯრებს დაალებდა, გამოგვყინავდა სუყველას, მე ფეხმძიმე ვიყავი და შარდის ბუშტის ანთება მაგის ღია ფანჯარამ დამმართა, კინაღამ რო მოვკვდიო. ნენომ კიდე, გველმა, ჰა, გოგო, ცოტაც და აგერ, ჩვენ ერთის დაუვლის კაი ლამაზი, ცხელი ალებიო და აჭიხვინდნენ ორივე. ერთიც ათი წლითაა ჩემზე უმცროსი და მეორეც. ორივე ვითომ უფრო ახალგაზრდები, მარა ერთად რომ ვიდგეთ, ტოლებად ვჩანვართ და მე კიდე ამათზე უმცროსად შეიძლება მიმიღოს ვინმემ. ეთო, შენ რო გამხდარი იყო, მთლად გოგო იქნებოდიო, მოზრენამ, ერთხელ, მაღაზიაში შემოსულმა შენომცინა, ვითომ კითხავდა ვინმე რამეს, მარა ეგ ხო ეგრეა, ყველაფერზე კომენტარი უნდა გააკეთოს, თავისი აზრი გამოთქვას. რაღაცა უფროსი მასწავლებლის სტატუსი პირველმა აიღო რაიონში და დაგვაჭამა იმის მერე ყურები, ინტელიგინცია ვარო, ქალაქის ტვინი ვარ და ხერხემალიო, აი, აქეთ ვაჟა-ფშაველა და იქეთ რუსთაველიო, კიდე რაღაცა სახელები, ცოცხლების, უცხო, ვერ დავიმახსოვრე. აი, როგორი ტანწარწარა ქალი უნდა იყო შენო, როგორები იყვნენ შენი ძმა და მამაშენი, ალვის ხეებივით აშხვართულები, აბა დედაშენი მე არ მახსოვსო. რანაირად ეწახსოვრებოდა დედაჩემი, სამი წლითაა ჩემზე უფროსი. ის კი მინდოდა მეთქვა, მამიდაჩემი რატო დაივიწყე, ეგ ხო გახსოვს თქო, მარა ხმა არ ამომიღია, თავი არ მქონდა. ეგ ტრაკი როგორ გაისიე, ზარბაზანივითო და მანდ კი აეფეთქდი. თუ გავისიე, ლამაზად გავისიე მეთქი, ეგრე ვუთხარი, მოვაკეტინე. თვითონ ტრაკჩავარდნილი ქალია ერთი, არამკითხე მოამბე. ღარიბი კაცის მოსაკითხივით კიდია ის უკანალი. ან, ნეტა, რატო არ ვიქნები ამათზე ლამაზად, შვილი მე არა მჭამს და ქმარი, თავში ჭაღარა მე არ მაქ, პირში ყველა კბილი მიელავს და ძუძუ არა მაქ ჩამოწელილი. კი დამიმძიმდა, მარა არ დამწელვია, არა მკიდია. ამათი ტანები კიდე, სუ მოშლილია გარმონივით შვილოსნობისგან, ჩამორღვეული. მარა მაგას ვერ ეტყვი. ეტყვი და იუკადრისებს. მე დედა ვარო, თუ ტანი აღარ მაქ და გარმონივით მაქ, ჩემ შვილს და მომაგარს შევწირე ჩემი წნელივით ტანიო, ან კიდე ეს რა საჩაენებელია, შვილებს ვუზრდი სამშობლოსაო, მინდვრის თაგვივით არ ვარ დაგდებულიო. მინდვრის თაგვი მე ვარ, რა თქმა უნდა. ამიტომ ისე ვშვები, ხმას არ ვიღებ, მერე ეს რო არ ვათქმევინო, რო, აი მინდვრის თაგვი ხარ, ეთო, მინდვრის თაგვი ვაძახებინო. მინდვრის თაგვი ვიცი რო ვარ და იქნება კიდეც მსიამოვნებს მინდვრის თაგვობა. ჩემ თავს თუ დავუძახებ, მე მინდვრის თაგვო თქო, ეგ არაფერი, მარა ამათ არ მინდა ვაძახებინო. რატო უნდა ვაძახებინო? თავისი ტილიანი შვილებით ისე გაგეფხორებიან, ისე უპირატესად გრძნობენ თავს, გეგონება მართლა სამშობლოს ვაჟკაცს უზრდიდნენ. მაგათმა მზემ! ცისანას ტლუ ბიჭს ნინდა ვერ ჩაუცვამს თავისით, დედამისმა უნდა მიაწოდოს ხელში, რო ჩაიცვას.

კაი, დამივლის და დამივლის ეგ ალი, მერე რა თქო, და მერე ისაო, ძაან არ გაგვიწუწკლიდე მერეო, ცისანამ. მენთან როდის მიწუწკლია ქალო თუო და ნენო დაეთანხმა, წუწკალი კი არა, სამართლიანია ჩვენი ეთერი, და წუწკალიც კიდე იმასთან არი, ვინც იმსახურებსო. ნენომ იცის ხანდახან კაი თქმა, ცისანაა უფრო ენაგამრუდებული. ალი ალად, მერე რა, კი გავუძლებ როგორმე, რამე უფრო უარესი არ მოქონდეს ამ კლიმაქსებს, მარა რა უნდა ქონდეს? რა უნდა იყოს ალზე უარესი? კლიმაქსიანი კაცი იკლავს თავს, ქალი კი არა. მე ასე ვიცი. ქალს ერთი ალი დაუვლის და თვიური გაუშრება. მარა კაი რა არი, იცი? მარტო რო ვარ, ჩემთვის განმარტოვებული. დამივლის ალი და გავაღებ ფანჯარას, გადამივლის და დავკეტავ, დამივლის და გავაღებ, გინდა სახლში, გინდა კარში და გინდა მაღაზიაში, ჩემი ტერიტორიაა სამივე. ვინ რას მეტყვის? კიდე თურმე გასუქება იცის და ბევრი ჭამაო, ცისანამ. ჩემი დედამთილი რო მიგუშვა ერთ ქვაბ ჩანახს შეჭამდაო. ამაზეც ხმა არ გავიღე, ასე მერჩივნა. ქალო, ჭამე ტორტიო, იქვე მითხრა, ჯერ ხო არ გაქ კლიმაქსი, ნუ გეშინია, არ გასივდებიო. დებილი ეგა. კლიმაქსის სუ არ მეშინია, აი, ის გაზინთლული ტორტის ნარჩენი არ გადამდიოდა პირში. გასუქებაც არ იყო

დიდი თავსატეხი, მარა აბას როგორ ვიტყოდი. მაღაზიის მერე, არეულდარეულ ჭამას მივეჩვიე, ერთ დღეს აღარცერთი კაბა რო აღარ ჩამეტია, მერე სარკეში ჩახედვისაც შემეშინდა, ისე ვგავდი ქეთოს, მამიდაჩემს. ჰოდა, ჩემ თავს შევეუძახე, აბა მეთქი, ეთერ, თუ არ გინდა, იმ საძულველ, ბორიტ ქალად იქცე, მაგას უყურო მთელი ცხოვრება სარკეში, ლორივით აღარ უნდა ჭამო მეთქი. ჰოდა, ასე ვქენი, რომ დილით ჭამა დავიწყე, მაღაზიაში გასვლამდე. მანამდე დილით არა ვჭამდი და მერე მივასკდებოდი ღამით, ზომა აღარ ვიცოდი და წონა, ყველაფერსა ვჭამდი, რაც ხელში მომხვდებოდა, ყველაფერს ვიყრიდი პირში. ხანდახან ისე იყო, რო არ მშიოდა და მაინცა ვჭამდი. მერე ცუდადაც მეძინა, არც სიზმარი მქონდა და არც მოსვენება. ერთხელაც, ქეთომ რო შემომხედა სარკიდან, მეთქი, მეტი ასე აღარ შეიძლება და ისე ვქენი, რო დილით ჭამა დავიწყე. ვისაუზმებ და მერე პირველის ნახევრიდან პირველამდე გავდივარ სახლში და მაშინ ვჭამ, მაგ დროს სწავლისას დიდი დასვენებაც მოლეულია და არც ბავშვი და არც დიდი, აღარავინ შემოვა მაღაზიაში. მერე ექვსის ნახევრიდან ექვსამდე გადავიპარები და ორიოეჯერ წინასწარ გამზადებულს ვჭამ. წინასწარ გამზადებულს რა, ერთ ქვაბ სუპს სამი დღე ვჭამ, ხანდახან ოთხიც და დასვენებული ვარ კეთებისგან ის სამი და ოთხი დღე. ჩემი რეჟიმი მაქვს, სარგო კაბასავით ზედ მშვენივრად მორგებული. ერთი ეგ არი, თერჯოლაში რო დავჯდები, იმ ლამაზ კაფეში, ორ დიდ ნაჭერ ნაპოლეონს ჩავნთქავ, თან ისე, თვალს არ დავახამხამებ. მამიდაჩემის შვიდი ლანდი რო დამადგეს თავზე ერთდროულად, მაინცა ვჭამ და რძიან ყავას ზედ დავაყოლებ, ცხელს და ქაფქაფას. ტუჩებზე ნაფშხვენები რო დამეყრება, იმასაცა ვჭამ. მესამე ნაჭერს შევაფუთინებ კიდე ლამაზად და სახლში მომაქვს. რო მოვიტან, სუ აზინთულია, მარა მაგასაც ისე ვჭამ ჩაიზე, რო კიდევაც ვკვნესი სიამისაგან.

*

დღეს შაბათია, ბაზრის დღე, თან ზაფხული და შემიძლია სამ საათამდე არ გავაღო მაღაზია. დღეს ყველა ბაზარშია ისედაც და მაღაზიაში მერე, ოთხი-ხუთი საათიდან იციან შემობორიალება. ბაზარში თუ რამის ყიდვა დაავიწყდათ, ან ის მოვა, ან შუადღეზე გაღვიძებული, მჩატე ახალგაზრდა. მაგათ ხო სამ და ოთხ საათამდე სძინავთ. ზაფხულია მაინც, ცხოვრება კიდე ისედაც მაგათია, ახალგაზრდების. კაი ისაა, რო მეც ძაან კარგად შემიძლია დღეს საწოლში კოტრიალი. თან რა ქუდბედიანად დაემთხვა, თან თვიური, თან შაბათი. მიდი, ეთერ, იკოტრიალე, ზედ საწოლში ჭამე, ერთხელ წაუძინე კიდევაც და მერე იქნები სულ მთლად დასვენებული, ჩიტივით იქნები [illegible]ულის დილაზე. ახლა ეს მტვრის აუნი კი მაწუხებს [illegible] ცხვირში მცემს ჩემი სახლის მტვრის სუნი, ჩემ ოთახში დალექილის, ფენა-ფენად, ღრუბელივით. ამ ჩემ ოთახს თითქმის არ ვალაგებ, ტილოს მარტო მაშინ თუ გავუსვამ, საწოლს რო გადავედგამ ერთი ფანჯრიდან მეორისკენ. ისე კი სუ მტვრიანია აქაურობა, დაულაგებელი. აქ მაინც ვერავინ შემოყოფს ცხვირს და თუ შემოყოფა ხოლმე, ეგეც ან ცისანა იქნება, ან ნენო, აბა, სხვა ჩემთან ვინ მოვა? გარე ადგილები სუ წკრიალა მაქვს. აბა, მეზობელს ხო არ ალაპარაკებ შენ სიბინძურეზე? მეზობელი არაფერზე უნდა ალაპარაკო, ქეთომ ჩამიდო ეს ტვინში. ჩამიდო კი არა, ჩამიტენა. იმის შეგონება იყო ეგ. დღე და ღამე მიმეორებდა ლოცვასავით. ჰოდა, ქეთოს ლოცვა კი გაწვდა წინა ოთახებს, მარა ჩემ ოთახში დედოფალი მე ვარ. მე ვიქნები. ეს მტვრის სუნი მაინც თვიურისას მაწუხებს მარტო, მარტო მაშინ ვგრძნობ ზედმეტად ყველა სუნს. ახლა იმას ვფიქრობ, ტილო ხო არ გამოვუსვა ერთი, ისე, ზერელედ, ქეთოს ავსული ლანდი ცოტათი გავახარო, მარა თან მეზარება, თან ძილი მირჩევნია და დასვენება.

არა, შემოსასვლელი და დიდი ოთახი ხო წკრიალა მაქვს? უცხო თვალი სუფთას ხედავს, მარა ახლა რას ვფიქრობ, იცი? რიონს რო წაეტანე, ხო შემოვიდოდნენ აქაც, ყველა ოთახში შევიდოდნენ, დაიგლიდნენ. ამ ოთახში კიდე პირველ რიგში შემოყოფდნენ ცხვირს. ხო იტყოდნენ, დედა, ქალო, ეთერი თურმე მარტო ჩვენი თვალის ასახვევად ყოფილა სუფთაო? ხო იტყოდნენ? მართალიც იქნებოდნენ, მარა მე ხო მაქ ჩემი საპატიო მიზეზი იმას ვალაგებდე, რასაც მინდა და როცა მინდა.

აგე, ახლა მორჩენილ მურაბას წყალს გავურევ, მაგასაც ჩავიცლი პირში და საწოლშიც შევგორდები, ორპირს დავტოვებ, დღეს ძაან დაცხება და ისაა, რო უნდა შევგორდე, რო ტელეფონი რეკავს და ბოლოში ორი ცხრიანია ემმას ყურებივით გამოკვანძული.

*ეთერო,* ცოტა ხმა აქ დაკარგული. დაკარგული კი არა, განვრილებული აქ, გასაწყლებული. ხოო, გული მიფრთხიალებს. *როგორა ხარ, გოგო?* იმასაც უფრთხიალებს, ზუსტად ვიცი. იცი, როგორ ვარ დარწმუნებული? *კარგად, შენა?* მე ვითომ არაფერი, ვითომ უცხოა, უადგილოდ დამრეკავი, მარა ეს მურაბიანი წყალი გულზე მადგება. *ეთერო, დავილაპარაკოთ მე და შენ. სალაპარაკო არის.* ახლა ვერა, ხმას უდაბლებს, *მარა მერე დავილაპარაკოთ.* დავილაპარაკოთ ჰო, უნდა დავილაპარაკოთ, თავიდანვე გავარკვიოთ გასარკვევი. გავარკვიოთ და დავალაგოთ. შენ შენი თქვი, მე ჩემსას ვიტყვი. მოვიფიქროთ, რა უნდა ვქნათ, როგორ ვიყოთ, რომელ კედელს მივახალოთ თავი. *ეთერო, აქა ხარ, გოგო? ჩუმად რადა ხარ?* ახლა თითქოს უფრო მიყუჩდა. *ჰოუ, აქ ვარ, აბა სად ვიქნები?* მეც უნდა ვუთხრა ბარემ აქვე ჩემი სათქმელი. მთავარი სათქმელი, ახლავე გასარკვევი. *იქით კვირას მინდეს, სამშაბათის, მანდ გამოვლა და ისე ვქნათ, რო დავილაპარაკოთ,* ახლა სიხარული უელავს ხმაში. *კიდე გინდა რამე? ყელე? ფხვნილები?* ახლა მთლად გახარებულია, ჩუმად რო ვარ, რო ვეთანხმები. თითქოს უარს ელოდა და ახლა ისე გავახარე, გეგონება ისე უცაბედად, რო ამის სიხარულს საზღვარი

აღარ აქ. არაფერი, ისე მოდი, ვითომ მაგის საკითხავად მოდი. არა, მართლა უხარია, მართლა არის გახარებული. იმ დიდ მარკეტში დავტოვებ რაღაც-რაღაცეებს და შემოვივლი. მე, ეთერ, უთხარ, ქალო ღრიზე შენი სათქმელი, თორე სადაცაა გაგითიშა ტელეფონი! ისა, მომისმინე აქით, ხმა მეცვლება, მეხრინწება, არსად არაფერი წამოგცდეს, ბიჭო, არსად არაფერი დაიტრაბახო, თორე... ეგრე! მკაცრად უნდა ვუთხრა, აბა! ისე ვუთხრა, ახლავე იცოდეს რა და როგორ. ახლავე იცოდეს, არაფერი შეეშალოს. რას ამბობ, ეთერო, აგე, წამში შეეცვალა, დატუქსული ბავშვივით გაუხდა ხმა, მაგას როგორ ვიზამ? ეგ რა, ეგ ტრაბახი მე მაწყობს, გგონია? ჰოდა, ძააან კაი თუ არ გაწყობს, პირში წყალს ჩაიგუბებ და ეგრე იქნები! კაი, კაი, კარგად იყავი, კაი ქვის გული გაქ მეც, როცა მომინდება. კარგად იყავი, ეთერო, ნაწყენი კია, მარა თითქოს მაინც ენანება ზარი გამითიშოს. ისევ მე ვუთიშავ და თითქოს ვმშვიდდები. ვმშვიდდები კი არა, ახლა სიხარულით გული მიფრთხიალებს. მეც კარგად მაქ ტვინი არეული. ისე მიფრთხიალებს ეს გული, რო უცებ მშივდება, მარა მშიერი არ ვარ. აგე, უკვე, თან ჩავწოლილვარ ლაპარაკისას და თან საბანი დამიხურავს, თან ისე, ვერ გამიგია და ახლა ადგომას, ისევ წოლა სჯობს. ახლა რო ავდგე, ვიცი, გამოვსკდები და კი ბატონო, მოვიდეს სამშაბათს. პარასკევს კი უნდა მოსულიყო, მარა მოვიდეს სამშაბათს და ვნახოთ ერთი, რას მეტყვის, როგორ იქნება. ახლა მისი ტანის ცხელება კი თითქოს მახსენდება და მეც მაცხელებს, კაი არის ტანის ცხელება თავის ცხელება რო არ მოყვებოდეს მარტოხელა ქალისთვის, მარა დამალულად უნდა ვიყო, მე არას ვეტყვი. აი, ისე უნდა ვიყოთ, რო ვერავინ გაიგოს ვერაფერი, ან არას ვეტყვი, ან იმას ვეტყვი, რო გავეშვათ. თავი დამანებოს. თავი დამანებოს? თავი დამანებოს, ეგ ვუთხრა? ეგრე ჯობს? რა მჭირს, რატო მებჯინება ყელში ეს წყალი?

*

აღარ დამეძინა და ცოტა ადრე გამოვედი მაღაზიაში. ჯერ ორპირი გავაკეთე, გავანიავე. მერე ვენტილატორი ჩავრთე, იქვე მივიდგი. კარგად ცხელა დღეს და მე კიდე ცალკე მცხელა, ეს თვიური ცალკე მაცხელებს. უსიამოდ ვარ. არ მინდა, მარა იმ მტერ კაცზე მეფიქრება. რა იქნება და როგორ? კაი, დამალვით ვიქნებით, მარა საწამდე? დამალვით დიდხანს ვინ ყოფილა? რო გაიგებენ, მერე? ეს ჩემი ნაშენები გალავანი ხუხულასავით ჩამომეშლება, თავზე დამემხობა. ქალი თვრამეტისაც გაილანძღება, ოცდარვისაც და ორმოცდარვისაც. ასე არ არი? მე გავილანძღები, თორე ის რა? იმას დიდი-დიდი ცოლმა და რძალმა თავზე ქოქოლა დააყაროს, თავის ძმაბიჭებისგან იქნებ მხარზე ხელიც დაიკრას, ბიჭო, შენ ვინ ყოფილხარო და მე? მე ნუნომ და ცისანამ კიდეც ამომიძულონ, სახლში აღარ შემიშვან, ჩემთანაც აღარ შემოვიდნენ. ეგ კი არა, მაღაზიაშიც რო არავინ შემოვიდეს, არავინ არაფერი აღარ იყიდოს? მერე მე რა ვქნა? მართლა მარტოობაში ამომხდეს სული, სუ ზურგშექცეულს? ღამის სიცივემ მთელ ტანში დამიაროს, არადა ცხელა, ისე ცხელა და ისეთი დახუთულია, სუნთქვაც კი მიჭირს. არა, უნდა ვუთხრა რო თავი დამანებოს. უნდა ვუთხრა, რო, აი, იმ დღეს, შენ მოსვლამდე, ვაჟბატონო, რიონს კინაღამ გავყევი, კინაღამ მოვკვდი და შენ რო მოხვედი, გული საგულეს აღარ მქონდა, აღარ ვიყავი. რას ვაკეთებდი, თვითონ არ ვიცი. რატო გეხვეოდი, რატო გეკონებოდი [illegible] და, სიზმარი იყო, არაფერი იყო [illegible] ანი აღარც არაფერი იქნება და ეგ არაფერიც მორჩეს ჩვენ შორის. მორჩეს, დამთავრდეს!

ეს ხალხი შემოდის და გადის, დასიცხული დაბორიალებს, არჩევს, მეკითხება, ყიდულობს. რაღაცას რო მეკითხება, მეც ვპასუხობ, სულ რაღაცა აქვთ სათქმელი, რაღაცა მოსაყოლი და მეც ვუსმენ, უცნობს თუ ნაცნობს, მეც ვპასუხობ, მარა თითქოს ორი ვარ, ერთი იმათთან და ერთი კიდევ სადღაცა იქვე, დაზაფრული და შეშინებული, გაციებული ელდა-შიშისაგან. ამ დროს ისე ცხელა, ოფლი ღვარად ჩამომდის და ვენტილატორიც არაფერსა შველა, ტყუილად ტრიალებს.

არაა ეს ცუდი კაცი, რო ვეტყვი დამიჯერებს, შეიგნებს, იმისთვისაც ხო ასე ჯობია? იქნება ისიც ვუთხრა, აქ აღარ მოვიდეს, სხვა ვინმე მოვიდეს ამის მაგივრად? იქნება სუ შევცვალოთ დისტრიბუცია? სარეცხის ფხვნილის და საპნის კაცი რა, დაილია? ვინმეს სხვას ვნახავ, სხვას ვიპოვნი. კი გაძნელდება, მაგრამ რაღაც უნდა ვქნა. ნეტა რა ჭირად ჩაანაცვლა ის თავის შვილი? რა ჩემ თავში საცემად წავიდა ის ბიჭი დასაკარგავში? მოდიოდა და მიდიოდა წესიერად. არც ის მიყურებდა ზედ, მეც არ ვუყურებდი. ან ამ ბებერ კაცს რად უნდოდა მაღაზიებში თრევა-ნანნალი? ღმერთო, როგორ მიფერს ყელში, როგორ მერევა ფორიაქი! მარა ახლა რა არი, იცი? ახლა უნდა დავმშვიდდე, სიმშვიდე მოვიკრიბო! ზედმეტი ფორიაქი ყველაფერსა ვნებს. მე, პირველ რიგში! ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე მინდა. გულის წინასწრებით გახეთქვა რაა მომიტანს მართლა გულის ტყუილად გახეთქვის გარდა? არაფერს. რაღაც იქნება, რაღაცას ვიზამ და მოვაგვარებ.

კი, მარა ამ მაღაზიაში დღეები წამებივით გარბის და ახლა რატოა წამი ერთი დღე? მართლა რა უნდა ამ ბებერ კაცს მაღაზიებში? წავიდეს, დაიკარგოს! დისტრიბუტორი ახალგაზრდაა და თუ ეარშიყება, ახალგაზრდა გოგოს ეარშიყება. ოცდაათი წლის ბიჭს აბა, ჩემთან რა უნდა? ახალგაზრდა კაცის თვალისთვის მე აღარცა ვარ, აღარ ვარსებობ. ახალგაზრდა კაცის თვალისთვის ქალი ორმოცის მერე სულ აღარ არი. ქალსაც გააჩნია, მარა არ არი. კაცსაც გააჩნია, ზოგი კაცი მანიაკია! და თუ არი მანიაკი, ახალგაზრდობიდანვე არი, აი, ისეთი, ბებერი ქალები რო უყვარს, რო ამჩნევს ბებერ ქალებს, უყურებს.

მარა მე ეგეთი არავინ შემხვედრია, სოლიკოს გარდა, არცერთი დისტრიბუტორი, მარა

სოლიკო სკოლაშიც ეგეთი იყო. პატარა ბიჭებისთვის კიდევ ვარ, ამ მაღაზიის, გაცვეთილი თვალებით შემომყურებენ. ერთმა-ორმა დეიდაც დამიძახა კიდეც. სოლიკო კიდე ბებერ მასწავლებლებს უყურებდა თეძოებზე. ბებერა რა, ჩემი ხნისაა, მარა სკოლაში ორმოცდაორვა წლის და ორმოცდაათის არა ბებერი? არა. მენი დაეცეს თავზე სოლიკოსაც და ყველა დისტრიბუტორს, მარა დეიდა რო პირველად დამიძახა, ჩემი კლასელის, მადონას გაპურჭყვნილმა შვილმა, წაშინ დამეცა თავზარი და რამდენის ვიყავი? ოცდაათის, ოცდაცამეტის. მაღაზია ახალი გახსნილი მქონდა. სალარო აპარატთან ნიმაცივდა ორვე ხელები. ეთერი დეიდა, დედაჩემმა თმის საღებავზე გამომგზავნაო. ახლაც მახსოვს, რომელი საღებავი უნდოდა იმ მტერ მადონას, იმის მერე ათჯერ შეიცვალა თავზე თმის ფერი. მაშინ ბორდოსფერი ედო, რაღაცა უგვანი ლაპლაპით და კი იყო მადონა ჩემი კლასელი, წინა განაპირა მერხზე იჯდა სულ, მარა კი ყავდა უკვე ათი წლის შვილი და რა, დედაშისი თუ ჩემი კლასელი იყო, აღარ ვიყავი იმ ლლაპის დეიდა? მაშინ ვიფიქრე პირველად, დედა, როგორი გადის ნეთქი დრო ამ დასაწავავ, მიკარგულ ქალაქში, მარა რა არი, იცი? ამ დასაწვავ, მიკარგულ ქალაქებში უფრო გადის დრო, თუ მკითხავ. კი არ გადის, თან თითქოს დგას და თან კიდე გადის. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, ყველა ერთნაირია. დრო დგას და შენ კიდე მიდიხარ სადღაც, ჯანდაბისაკენ, მიერეკები. თან ისე, რო ვერც იგებ, ვერა გრძნობ, არ გესმის. აგე, როგორც მე ვერ გავიგე და მადონას შვილი კი არი ახლა ოცდახუთის და თვითონა ყავს შვილები კალთას გამობმული. დეიდა კი არა, რატო ბებია აღარ ვარ ზოგიერთისთვის.

ჰოდა, დეიდა როცა ხარ, შორჩა, იწყება შენი დალმავლა. რაც მეტს გეძახიან და რაც დიდხანს, მით უარესი. ორმოცის მერე მარტო ბებერი კაცის თვალისთვისაა ხარ ან სოლიკოსთვის. დიდი-დიდი ბებერმა და სოლიკოსნაირმა გამოგაყოლოს ბებრულად დამშეული თვალი. თერჯოლაში როა ის ბებერი კაცი, მაგალითად, ჩემი ყავის ფულს რო იხდის ხანდახან, დაბარებულივით რო ამოიზრდება იმ კაფეში, რო ჩამოჯდება და მიყურებს, ჩემ გემოზე ნაპოლეონის ჭამას რო არ დამაცლის. რა ქვია, ისიც არ ვიცი. კაფეს გოგომ, ქვრივია და ცოლს ეძებსო, ვითომ საიდუმლოდ რო მითხრა. ლამის სიცილით მოკვდეს, რო შემოვა ის ბებერი, თავისათვის ჩუმად იცინის. ჩვენ დაგვცინისა. მე რა, იმას დასცინის. მე კიდე ლამის ვუთხრა: იცინე, იცინე, გოგო, სანამ ოცი წლისა ხარ! სანამ შენ გულს უხარია, სანამ ეგ გული გიფრთხიალებს, შე დებილო! ამას წინათ ისიც მითხრა, იმ ბატონმა თავენზე იკითხა, ეს ფუმფულა ქალბატონი ვინაა, სადაურია, ალბათ გასათხოვარიაო, თან სიცილა ძლივს იკავებდა ეს მტრის მტერი და ისიც ჭკვიანი! მიხვდა ჩემ გასათხოვრობას და ჩემი ხნის რომელ ოჯახიან ქალს აქ საქმე კაფეში ჩამოსაჯდომად! გასათხოვარი კი ვარ, მარა არა ვთხოვდები, ასე უთხარი იმ ვაჟბატონს, ასე მაქ გადაწყვეტილი თქო, გოგოს ვუთხარი, შენ კიდე იმას გეტყვი, ყლეში რო ბედნიერება იყოს, რამდენი ქალი ივლიდა ბედნიერად, გინდაც ამ კაფეში, მარა აგერ შემომხედე, იაან ბედნიერად ვინ დადის მეთქი? ის ფხუკუნი სულ ყელში შეაცივდა. აევგრე! იმ ბებერმა კაცმა კიდე რა დაწიშავა, თავისთვის არი, მარა რო დამიშავებს და შემაწუხებს, მონახავს მერე თავის ადგილს. მარა ჯერ არი თავისთვის. ჯერ მარტო ზის და მიყურებს ბედნიერი. მგონია, ის ყველაზე მეტად მოწონა, დაბერწყვილი თითით თუძუებზე დაყრილ ნაფშხვენებს რო მოვისუფთავებ და მერე პირში ვიყრი. ეგ უფრო მოწონთ ეგეთებს. მოშონს და მოწონდეს. მე კიდე ის მომწონს, რო არ მაწუხებს. კაცმა ისე უნდა გიყუროს, არ შეგაწუხოს. შენც ზედმეტები არ უნდა გინდოდეს, არ უნდა ინვევდე. აბა ვის რად უნდა თავის ტკივილი? არც იმას, არც შენ, არც არავის.

კაცი და იმის ყურება ზედმეტი თავის ტკივილი რო ხდება, ეგაა საშიში. აბა, რა გგონია, ეს მაღაზია რატო გავაკეთე, პარფიუმერიის? ახლა, დუხი და სუნამო სულ არ მაქ შიგნით, მაგრამ საპნის და ფხვნილის მაღაზიას ჩვენთან ასე ქვია. პარფიუმერიის. პარფიუმერიის კი არა, ჰიგიენისაა, მარა ასე ქვია და რა ვქნა. აქ უფრო ქალები შემოდიან და შენც მშვიდად ხარ, ლოთი და მჭოთი არ შეგაწუხებს. არც ნისიაზე გამოიგლიჯავენ ყელს, პურს და კვერცხს რო არა ვყიდი, პაკეტებსა ვყიდი თვიურისას და ჭურჭლის სარეცხ ყელეს. მაღაზია რო ვიფიქრე, ეგ მაშინვე ვიფიქრე, ასე აჯობებს მეთქი. აქ ქალი თუ შემოვა, ცოტა ფული რო აქ, ცოტა სისუფთავე და ცოტა გაპრანჭვაც რო უნდა. ჰოდა, დასვენებული ვარ. ათასში ერთხელ სოლიკოსნაირი შემოვიდეს ან ზაფხულში ცოლს შემოყოლილი დაბნეული კაცი, სიცხისაგან ისიც რო აღარ იცის სადაა, ვინაა, რა უნდა. ეგენიც უცხოები, აქაურები კი არა.

მამაჩემს რო ვუთხარი, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, გარაჟში მაღაზია უნდა გავხსნა მეთქი, სულ თვალები აუწყლიანდა, მარა რა მექნა? აღარც საბავშვო ბაღში მზარეულობა შემეძლო, რახიტიანი ბავშვებისთვის წყალწყალა სუპების კეთება და აღარც მშიერ პირველკლასელებზე მისაღებული, სკოლის ბუფეტში გაყიდული ტყლილი ხაჭაპური, იმისი ცხობა-მოზელვა. ჩემი ძმის გადამკიდე აღარც არაფერი მქონდა სადომბარდე და აღარც არაფერი გასაყიდი, მამაჩემმიც მოფრიალებული იყო მუზეუმიდან, ძათხოვრულ პენსიას შერჩენილი. მარა რა მოხდა იცი? ისევ ჩემი ძმის პიჯაკში ჩარჩენილმა და შემთხვევით ნაპოვნმა ასმა დოლარმა გადამარჩინა. ლამის თხუთმეტი წელი ვინახე ის ასი დოლარი შავი დღისათვის. მაგ ასი დოლარით დავიწყე ჩემი მაღაზია. თან სულ აგერ გავმართე, ყურის ძირში. ეზოს გადავივლი და სახლში ვარ, გადმოვივლი და ჩემ სამსახურში. თან ქალაქის ცენტრში ვარ, მაგაშიც გამიმართლა და კიდევ იმაშიც ვარ ქუდბედიანი, რო ჩემი თავის ბატონიც მე ვარ, პატრონიც და ზედ კიდე მესაიდუმლე!

ახლა ჩემ მაღაზიას სულ არ ეტყობა, რო ოდესღაც გარაჟი

იყო. თავიდან კი იგრძნობდი, რო გარაჟია, მარა მერე ისე ვქენი, ისე მოვაპირკეთე, მოვალამაზე, რო რო შემოხვალ გაიამოვნებს. მაღაზიაში რო შეხვალ, უნდა გესიამოვნოს. ლამაზად უნდა იყოს, კოხტა და წკრიალა. ჰოდა, ეგრე ვარ და კი მეტანებიან ეს ქალები ბუზივით. სუპერმარკეტში მარტო მაშინ შევლენ საპნის და კბილის პასტის საყიდლად, მე თუ ღია არა ვარ, მარა ის იმხელა მაღაზიაა, ყველაფერის, ესენი კიდე მაინც მე მეტანებიან იმიტომ, რომ მე ვიცი, ბევრნაირი უნდა დაუდო, უხარისხოსთან ერთად ხარისხიანიც, ზედ კარგი ფასით და ისევ შენთან შემოვლენ. ფასი შეიძლება იგივე იყოს, რაც სუპერმარკეტის და კიდე სხვისი, მარა ბევრნაირს რო დაუდებ, ასარჩევად, ტუალეტის ქაღალდი იქნება თუ სამართებელი, ისევ შენთან მოვა, შენთან შემოვა. მაინც იმას იყიდის, რასაც ყიდულობს, მარა ასარჩევად რო აქ საქმე, ეგ მაინც ეუკეთესოება. თან მე მოვუსმენ, მოსმენა ვიცი. ლაპარაკი შეიძლება არ ვიცი, ან მე რა მაქვს სალაპარაკო, მარა მოსმენა ვიცი. იმას კიდე აქ სალაპარკო და მიყვება კიდეც. თავისას, სხვისას. და ის კი იცის, არაფერს ვიტყვი, საიდუმლოს რო შევუნახავ. არაფერს ვიტყვი კი არა, რასაც მეტყვის, შეიძლება, თავიდან იქვე ამომიფრინდეს. აბა, იცი რამდენსა ყავს ბინძური რძალი და ბოროტი დედამთილი? ქორიკანა მეზობელი და ტლუ ქმარი? უნიათო შვილი და ავგული ბიძაშვილი? მაგათ ამბავს რა დალევს, თან ყველასი ერთნაირი რომაა, გარჩევაც ვერ იზამ. მაგაა რა დამანახსოვრებს?

თან მიგადამიგ ახლები უნდა დადო, უცხოები. ახალი კბილის პასტა, საპონი, ახალი შამპუნი. მაგიტო ვუყურებ რეკლამებს, უფრო სწორად, რეკლამა როცაა, მაშინ ავუწევ ხოლმე ხმას ამ ჩემ მორავ, მოცუცქნულ ტელევიზორს, აგერ რო მიდგას, ყურისძირში. მაღაზია რო გაქვს, სიახლე უნდა იცოდე, იცოდე შენ მყიდველს რა შესთავაზო, რა მოუყვე. მერე ჩემებთან რო წავალ, თერჯოლაში საბითუმოში, იქაც გამოვკითხავ ხოლმე, რა რომელია, როგორი. რაღაცა მოცუცქნულ წუბიკებს უფასოდ მაძლევენ კიდეც. მერე ხან თმაზე წავისვამ იმას, ხან სახეზე და ზეპირად ვიცი რა რისთვისაა საუკეთესო. რო მომიტანენ რამე ახალს, ინსტრუქციებსაც წავიკითხავ. რუსულად არი? გადასარევი, თვითონ ვკითხულობ. თუ სხვა რამე ჯოჯო ენაა, ნენოს გოგო მეხმარება, ინტერნეტში თარგმნის რაღაცნაირად და მერე პატივს ვცემ, დედამისის ჩუმად მურაბას ვაჭმევ. დედამისის ჩუმად იმიტო, რო უშლის. მსუქანი გოგოა, მოუქნელი. მარა კაი გოგოა, მურაბას რო ვჭამთ, ხანდახან ავლაპარაკდებით. თავისი სკოლის ამბავს მიყვება, თავისი ბოროტი კლასელებისას. ხან ჩუმადა ვჭამთ, ხმას არ ვიღებთ. ჰოდა, მყიდველს უნდა აუხსნა რა რისთვისაა, როგორია, შეღებილ თმას რა შამპუნი უხდება, დამსკდარ ხელებს რა კრემი და რომელი პაკეტი რამდენი წვეთისაა, ეგ ყველაფერი გამყიდველმა უნდა იცოდე. ეგ უყვართ, მზამზარეული ცოდნა, რო მიართმევ. თან მენდობიან, მე არ ვიტყუები. ჰოდა, მყიდველები მყავს, აგერ, ზოგი ხელში თუ მაღაზიაში დამიქალდა, ზოგი დამიბერდა და ზოგი ლამის ჩემ წინ გამრავლდა, ჩემ ცხვირწინ გააჩინა წყვილ-წყვილად შვილები.

არა, მართლა და როგორ გაიარა ასე უცებ თხუთმეტმა წელმა? თითქოს თხუთმეტი თვე ყოფილიყოს. ამ ქალაქში დრო ხო დგას. ხო დგას, მარა თან მიდის. ეგ ხო ვთქვი, მარა რა არი, იცი? მაღაზია მე არ მღლის – ისე მაქ მოწყობილი, აწყობილი. ყელში არასდროს ამომსვლია. ჩემი საათები მაქ, ჩემი განრიგი და ეგ განრიგი ყველამ იცის. შაბათს კიდე ბაზრის დღეა და სულ ვკეტავ ხოლმე. შაბათს მარტო ზაფხულობით თუ გავაღებ, ისიც დღის მეორე ნახევარში. თვეში ერთხელ კიდე სულ არ ვაღებ, თერჯოლაში თუ წავედი, საბითუმოში. ძირითადად, შვიდამდე ვარ, ზაფხულობით ცხრამდეც ვრჩები, მარა ზაფხულში დრო ჩქარა გადის. უცხო სახეების ყურებაში ჩქარა გადის. კვირას კიდე გვიან ვაღებ, ასე, თორმეტზე და ახალ კვირას კვირას ვიწყებ და გული ხანდახან მიჩქროლებს კიდეც კარის გაღებისას, მიჩქროლებს ოღონდ სიმშვიდისაგან. დილის მაღაზიის სუნი, ნესტის და ფხვნილის ლამის მესიამოვნოს, დამამშვიდოს. ეს სუნია თითქოს რო მეუბნება, რო ყველაფერი კარგადაა, ეთო, ისე არი, შენ როგორც გინდა! აგერ, სახლიც გაქ, კარიც, მაღაზიაც, შემოსავალიც, დანაზოგიც გაქ. ნუ გეშინია! ნახე, რა უღრუბლო სიბერე გელოდეს, ლამაზი, მშვიდი, დაწყნარებული. ისეთი, როგორიც გინდა, როგორსაც წარმოიდგენ და როგორზეც გაქ ნაოცნებარი! რა კარგად იქნებოდა ყველაფერი, ეს კაცი რო არ გამოვარდნილიყო უცებ არსაიდან, ეშმაკის დაგებული ხაფანგივით, საცდურებივით. რა ვქნა ახლა? რაო, როდის მოვალო? საშაბათოსო! და რო წარმოვიდგენ, როგორ შემოყოფს ამ კარებში თავის გაქონილ, თეთრ თავს, ამ ჩახუთულ ლიფშიცა ვგრძნობ, როგორ მიმაგრდება ძუძუსთავები.

*

სალარო აპარატი ქვითარს ჭედავს, იმის გამოთრობას ვცდილობ, თავზე რო მადგება. *ეთერი, გოგო, როგორა ხარ,* მიცინის. თითქოს თან ვცნობ, თან ვერა ვცნობ. რაღაცა ნაცნობი აქ, უფრო თითქოს თვალები, მარა სხვათი თითქოს უცხოა. პატარა ბავშვი ყავს ხელში ატატებული, ერთი წლის, ალბათ. სძინავს ამ ბავშვს თუ თავს იმძინარებს სიცხისგან, ვეღარ გავიგებ. *ვერ მიცანიიი,* მიცინის, თან ისე, კბილები რო არ გამოჩნდეს, კბილი აკლია და *ვერა, ვერ გიცანი,* ვუყურებ და თან ხმაში კითხვა მაქ გარეული. *მეც ვერ გიცნობდი, გარეთ რო არ ეთქვათ, აგე იქ, პარფიუმერიაში ეთერის ნახავო,* თან ბავშვს არწევს, გეგონება მუთაქა აქ მხარზე გადებული, გასუქებულხარ, შეცვლილხარ. შეხე შენ დაგაყარე, ვიღაცა ხარ, ქონებს რო მითვლი. თვითონ გაფშეკილი ქალია, გამხდარი, მარა მხრებშია მოხრილი და მუცელი წინა აქ წამოზრდილი. წამოზრდილი კი არა, რაღაცა უშნოდ გაბერილი, თან ნახევრად, ქვედა მუცელი. ზედიზედ ორაულო-

ბისგან ეტყობა, შრომისგან, მძიმის თრევისგან. *ლელა ვარ, გოგო,* ახლა ცოტა დაბნეული, ცოტა უხერხული შემომყურებს და მანდ ვხედები ვინცაა, სახელზე კი არა, საიდანღაც სხვანაირად ვხვდები, თითქოს ხმით და თითქოს თვალებით. არა, უფრო სიცილით! ზურგის ტეინით ვხვდები. არა, ამის სიცილით კი არა, უფრო ამ სიცილში ძველი ხმებით, ძლივს გასარჩევით, ბავშვობისდროინდელით. ბავშვს თეძოზე მოიქცევს ნამებში და გულში მიკრავს. რამდენი წელი არ მყავს ნანახი? ოცდაათი? რამდენი ხანია წასულია, ოცი? ბოლოს როდის ვნახე, ჩემი ძმის პანაშვიდზე? ლამის მთელი სიცოცხლე გავიდა მის მერე, ღმერთო! მეც ვეხვევი, მარა თან გული თითქოს მუცელში ჩამწყდეს, ჩამვარდეს. რასაა დამსგავსებული! არადა, ყველაზე ლამაზი გოგო იყო სკოლაში. ყველაზე ლამაზი კი არა, ულამაზესი! ყველა ამას შენატროდა, ყველას ეს უყვარდა. ბიჭები თავპირს ამტვრევდნენ ერთმანეთს ამის სიყვარულისთვის და გოგოები შეგობრობისთვის. სხვანაირად ატარებდა ყველა ხელისგულზე, მთლად გალოკილი ყავდათ, სახლში თუ გარეთ. ვინ არ გალოკავდა სკოლის დირექტორის შვილს! თან ლამაზს, თან კარგ მოსწავლეს, თან ნესიერს, და თან მომღერალს. მერედა, როგორ მღეროდა! პირს რო გააღებდა, ისე აანკრიალებდა ხმას და მინაბავდა იმ შავ თვალებს, ამაზე კაი საყურებელი და მოსასმენი არავინ იყო დედამიწაზე! სუ ეს იდგა სცენაზე, სუ ზედ მშვენიერობდა, ქვემოდან კიდე მთელი ქალაქი შენატროდა და შეპხაროდა. მეც რო შევყურებდი, მეც შევხაროდი და თან ვნატრობდი, ნეტა, ღმერთო, ამის სილამაზის ნახევარი მომცა-მეთქი. ყვავილის ღეროსავით ქონდა ტანი, მოზარდობაში არც სახე არევია ჩემსავით და არც მუწუკები დაპფენია შუბლზე ფენებად. სიფრიფანა გოგო იყო, თვალმინაბული. ახლა? ახლა კიდე წელშია მოხრილი, თითქოს გაწყვეტილი, ეს მუცელიც რაღაცა ბებრულადა აქ გამობერილი, პირში კბილი აკლია და დაბრეცილად მიტომ იცინის, უკბილო პირსა მალავს. *ჩემი შვილიშვილია,* გვერდით ტრიალდება, მიძინებული ბავშვი რო დამანახოს. *სად მოასწარი ქალო,* მეც ვუცინი ჩემი სალი კბილებით, მარა შესაშურად კი არა, არა! უფრო თითქოს გასახმნევებლად. აბა, რაღას გავს?! არადა, რა თვალები ჰქონდა, შავი, გრძელწამწამა, სულ უპრიალებდა ის დიდი თვალები! ახლა კიდე თითქოს მზერა აქ ჩამქრალი, სახეზეც რუხი ფერი გადაკრავს. *დავბრუნდით, ახლა თბილისში ვართ,* თან ბავშვს არწევს, *ახლა კიდე აქ, ჩემებთან მოვედი. ვაიმე, როგორ შეცვლილია ყველაფერი, ვერავისა ვცნობ, ვეღარაფერს,* არწევს და თან მალაზიას ათვალიერებს, *კარგად მოგიწყვია აქაურობა,* ვუყურებ და თან გული მიკვდება, *ქალო მე ვერ ვცნობ ვეღარაეის, აქ ჩავბერდი,* აბა, რა ვუთხრა, რაღაცა ხო უნდა ვუთხრა… ამის ქმარი მახსენდება, ავგული, ბოლმა, ბოროტი. იმას კი იყო გარეგნულად ცუდი ბიჭი, მარა ვირი იყო ბავშვობაშივე. სკოლა არ დაამთავრებინა, ისე მოიტაცა. ამას კიდე არ უნდოდა, არ უნდოდა კი არა, სიკვდილი უნდოდა, თავსაც იკლავდაო, ასე თქვეს, მარა აღარ წამოიყვანა დავრდომილმა მამამისმა უკან, ვითომ თავი აღარ მოიჭრა, დარჩი სადაც ხარ, ბედს შეეგუეო, ასე უთხრა. თვითონ ვეღარ შეეგუა მერე იმას, მზესავით ერთადერთი, ლამის ოქროს არტახებში გამოზრდილი შვილი ჯიბგირმა და ნარკომანმა ყოფილმა მოსწავლემ და სისხლის გამშრობმა რო მოსტაცა. გული გაუსკდა მასწავლებელთა კრებაზე ნახევარ წელიწადში. ამან მერე კი გაუჩინა თავის ქმარს შვილები, ორი შვილი, აბა რაღა ექნა. მერე საბერძნეთში წავიდნენ და ახლა აგერ დაბრუნებულან თურმე სამუდამოდ. ამბობდნენ, ის ვირი კაცი იქაც სვამსო და ხანდახან ცემსო. ეს წელში იყო შრომით გამწყდარი, ხო ზედ ეტყობოდა, რაღაცა ფორთოხლის თუ ზეთისხილის პლანტაციაში. იმ თახსირს კიდე სმისგან ცეროზი დაემართაო, მაგასაც ამბობდნენ, ზეზე ლპება, მარა არ კვდებაო და არც აპირებდა, როგორც ჩანს, სიკვდილს. აივანზე, *ტახტზეა წამოგორებული ჩემი ქმარი პახმელიაზე და ელოდება, გაზიან წყალს როდის მივუტან,* კიდე მიცინის, ძალით, ტუჩების ბრეცვით. აჰა, არც მიკითხავს და გამაგებინა თვითონ ამბავი! ლამის გული ამერიოს იმ უსაქმურზე, იმ მავნებელზე. თან ის მახსენდება, ჩემი ძმის პანაშვიდებზე გველივით რო მოსრიალდა თავის ორ ძმაბიჭთან, იმათგან ერთი ახლა მეუფეა სხვათაშორის, მთელი რაიონი კალთას უკოცნის, მეორე კიდე რამაზა იყო, მტერი და ისიც მავნებელი და ჩვენი დაიკო ხარ, შენი ძმა კიდე ჩვენი ძმა იყო და აგე, მოსანევი გვაქვს, გვერდზე გავიდეთ, ცოტა დარდი შეგიმსუბუქდესო. ვაი, როგორ მომინდა მაშინ თავი გამეჭეჭყა სამივესათვის. ხო იქვე მივხვდი, რას მეუბნებოდნენ, რა უნდოდათ სინამდვილეში. ჩემი ძმა, გაციებული იყო კიდეც იმ თავდაჭედილ კუბოში, მარა მინაში ხო არ ჩაგვედო ჯერ, და ეს გულბოროტი უკვე მცდიდა, აბა, რას ვიზამდი, როგორ მოვიქცეოდი, თუ ავმჩატდებოდი ძმამკვდარი გოგო, ამათ თვალში პატრონდაკარგული. გონებას თუ დავიბინდავდი აბა, იმათი დანერწყვილი პლანის წევით საკუთარი ძმის პანაშვიდზე, მერე ადვილი ხელნასავლები რო ვყოფილიყავი. რაღაც მივუსისინე მაშინ და ნამში დამეკარგნენ თვალიდან. იმის მერე სულ შემიძულდნენ ეგ და თავისი მომყოლები, მეუფე ხო ახლაც დასანახად მძულს, ერთი მე არ ვიცოდე ეგ რა იყო და რეები აქვს ნაკეთები, გინდა ჩემ ძმასთან და გინდა მის გარეშე, ახლა ღმერთად რომ ყავთ გამოცხადებული, თავზე ლამის დაფნის გვირგვინი დაადგან და ანაფორა დაუკოცნონ. რა მაფიაც არი, გვერდის ამქცევი, ღალატიანი და ღვთის პირიდან გადავარდნილი, არავის ახსოვს მგონი, ჩემ გარდა. მაგის ცხვარი მრევლი კიდე ყველაზე მეტად მეჯავრება! ის მეორე კიდე, რამაზა, წალმა სულელი, ვითომ მერე ჩემი ხელის მთხოვნელი, სინამდვილეში აჩემებული რო ქონდა, ეთერი უნდა მოვტყნაო, თავგასახეთქი ქვეწარმავალი! ხო დავიფრინე ისე, სახელიც კი გავუტეხე, წლები დასცინოდა იმის მერე მთელი ქალაქი. ამისი ქმარი კიდე ხო ისედაც საძულველი იყო. ეს საწყალი გოგო რო მოიტაცა, ასე



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობდნენ, მანქანაშივე გააუპატიურა ძმაბიჭების თვალწინო და აბა იმას, ვიღა მშობელი და დირექტორი დაიბრუნებდა უკან. ეგ რო გავიგე, მაშინ ვიტირე კიდეც, მახსოვს, სიმწარისაგან. ანაზეც გული მქონდა უკვე აცრუებული, მარა მაინც ვიტირე. ისე ძაანაც აღარ შევხაროდი არც ამის სილამაზეს, არც ამის სიმღერას.

ერთხელ იყო, მანამდე, კაი ხნით ადრე, ბავშვები ვიყავით კიდევ, ეს ჩემზე ერთი წლით იყო დიდი, წინა კლასში სწავლობდა, რო პიონერი რო გავხდი და ლენინის თირგამოფშვნილ ძეგლთან რაღაცა ფიცი დაგვადებინეს თავისი ბუკ-ნაღარით და წითელი დროშის ფრიალით, ამან მომახვია ყელზე ყელსახვევი. ჩემზე ბედნიერი აღარავინ იყო დედამიწაზე! არავინ იყო იმიტო, რო ყველას ჩემ კლასში ეს უნდოდა ყელსახვევის მომხვევად, ფიცის მომცემად. წესი იყო მაშინ ასეთი, პიონერის ფიცს იტყოდი და მერე შენზე ერთი წლით უფროსს ყელსახვევი უნდა მოეხვია შენთვის საზეიმოდ. მთელ ჩემ კლასს კიდე, გოგოიან-ბიჭიანად ამის მოხვეული უნდოდა. რატო არ ენდომებოდა რა, ყველაზე ლამაზი გოგო იყო, ყველას საოცნებო და მეც მაგისი მოხვეული მინდოდა, რატო არ მენდომებოდა? ვაი, როგორ მინდოდა! გაკვეთილების მერე, ერთხელ წამოვეწიე და შევევედრე, ლელა, მომახვიე ყელსახვევი-მეთქი და ასე შეჩერდა, ის შავი ლამაზი თვალები მომინკურა, ცოტა ხანი ხმა არ გაიღო და მერე მითხრა, იცი, მაგას რამდენი მეხვეწებაო? ტუჩებიც მომიმანჭა. კეთილ გოგოსა თამაშობდა, კარგს, მარა ამდენ ხელში ნატარებს, თავში ჰქონდა ავარდნილი. ხანდახან, თვალსა და ხელს შუა მოგემანჭებოდა, ფერიად ყოფნა რო დაავიწყდებოდა, ნაშინ. ეჰ, მეთქი ახლა უარს მეტყვის, მე ცალკე იქეთ მომეწურა გული, მარა უცებ, შენ მოგახვევო, უცებ შემომცინა. სხვას ყველას უარი ვუთხარი, მარა შენ მოგახვევო. იქვე ხტუნვა დავიწყე სიხარულისგან, გულში მინდოდა ჩამეკრა, მაგრამ ვერ გავუბედე. რო მოეეშორებინე? ამანაც კიდევ გამიცინა და მეც სუ ფრთაშესხმული წამოვედი სახლში. სუ მხრები მითამაშებდა სიხარულისგან, სუ ცეკვა-ცეკვით ვრეცხე თეთრეული, ეგეც კი მახსოვს. აი, მეთქი მე გამომარჩია, მე ვუყვარვარ, ჩემთან მეგობრობა უნდა! ბედნიერი ვიყავი, უბედნიერესი! და ერთ დღესაც, მალევე, მისი გაკეთებული ყელსახვევით კისერგაკოჭილს, სკოლის მერე, ახლა თვითონ წამომეწია და ჩუმად, განვრილებული ხმით მკითხა, შენ ძმას როგორი გოგოები მოწონს და შეყვარებული თუ ყავსო. აი, მანდ მომეკვეცა ფრთები! ხო მივხვდი, ამას თურმე ჩემი ძმის ცხელება ჰქონდა, თურმე ჩემ ძმაზე ჰქონდა გული შევარდნილი და იმიტომ დამდო პატივი, მიტომ მომახვია წითელი ყელსახვევი! მაკამ და ნათიამ, ჩემმა ქორიკანა კლასელებმა, მანამდეც ჩამაწვეთეს, მომახარეს, შენი ძმა უყვარს თურმეო, მარა არ მოვუსმინე, არც ვიფიქრე ამაზე. რო მეფიქრა, ხო მივხვდებოდი, რატომ ამარჩია, მაინცდამაინც მე რატომ მომახვია ის ყელსახვევი! მახსოვს როგორ გავმწარდი, მეთქი ახლა ამას დავეტაკები, ამ ხიდიდან გადავისვრი თავის ჩანთიანად, მარა რას მოვისვრიდი?! რანაირად მოვისვრიდი, სკოლის დირექტორის შვილი იყო! ამიტომ ზედ მივაგესლე: ჩემ ძმას ქერა გოგოები მოწონს და კი, შეყვარებულიც ყავს-მეთქი. თვალები ჩაუქრა, ხმა არ ამოუღია, მიბრუნდა და გაიქცა. სულ ზურგზე ირტყამდა გამხდარ ფეხებს და ალბათ, ტიროდა კიდეც, მე რა ვიცი. ჩემი ძმა კიდე მაშინ სკოლიდანაც იყო გაგდებული და ქუთაისში, იმ რუსის შვილიან ქალთან ეგდო ნახევრად, ნესივრად ვერცა [illegible]. ყველამ იცოდა ეგ ამბავი და [illegible], რაღა იყო დასამალი? იმის მერე აღარც გამარჯობას მეუბნებოდა, აღარაც არაფერი. ვითომ აღარც ვარსებობდი. არც მე ვეუბნებოდი, მარა რო მოიტაცა იმ ნაბიჭვარმა კაცმა, მაშინ კი ჩამეწვა გული, ისე ჩამეწვა, სიმწრით სულ ვიტირე.

ჰოდა, აგერ დგას ახლა დაბერებული, თვალდანაცრული ერთ დროს სკოლის ყველაზე ლამაზი გოგო და თითქოს სხვათაშორის მეკითხება, *არ გათხოვდი გოგო?* ხო ასჯერ უკითხავთ, მაგრამ ამისგან ახლა, მაინც არ ველოდი და არა, *ქალო, რაის გავთხოვდი?* ჩემ ხმას ვერა ვცნობ, ისეთი ზიზღი მაქ შიგნით გარეული. ის კი მინდა ვუთხრა, კი არა ვუყვირო, რა გავთხოვდი, ქალო?! რა გავთხოვდი?! აბა, შენ თავს შეხედე, რა მოგიტანა მაგ გათხოვებამ?! შეხედე აბა, ჩემი გასიებული ტრაკი და მაღაზიაში გატარებული ცხოვრება თუ არ ჯობდეს შენ გასახიჩრებულ თავს და გამრუდებულ სიცოცხლეს! გამწარებულს! ახლა ბედნიერების ხნივი არც მე მადგას ჯილად თავზე, მარა ეზოში რო ყვავილი ამომივა და ბოსტანში პამიდორი დამიმწიფდება, მე ხო ვგრძნობ, რო მიხარია?! სულ სიხარული დამივლის ტანში, სიხარული რო ჯერ კიდევ შემიძლია, ეგ მიხარია და შენ სიხარული შეგიძლია?! ჰა, შეგიძლია?! ეს კიდე, ვითომ არაფერი, თავისას მიერეკება, *უიმეე, რატო არ გათხოვდი ქალო? იცი, რა უაზრობაა ამათ გარეშე ცხოვრება? ესენი მაინც*, კიდე მხარზე გადაწვენილ ბავშვს ატრიალებს ჩემკენ, *ესენი მაინც, შვილიშვილები, მაინც სხვანაირად ტკბილები არიან.* მინდა შუაზე გავწიწკნო, მარა რანაირად გავწიწკნი?! ახლა ვისი ცხოვრება უფრო აზრიანია, აბა კარგად დააკვირდი, ამის თუ ჩემი?! ამან ცხოვრება დაამთავრა, მე კიდე ახლა დავიწყე! საყვარელი მყავს, ღმერთო, მადლობა! საყვარელი! ახლა თეთრ რაშზე ამხედრებული რაინდი არაა, მარა დისტრიბუტორი ხოა თეთრ მარშუტკაზე, კაცი ხო არი? ჩემი დანახვა ხო უხარია? ჩემი ტანი ხო უნდა? ახლა დავიწყე თითქოს ცხოვრება, ლელა, შენ რო დაამთავრე, მე საწყალო! ამისი თქმა მინდა, მარა როგორ ვეტყვი? ხოოო, უაზროა, უნდა დაეთანხმო და მეც ვეთანხმები, სხვანაირად არ გამოვა, თორე მერე წყლისმომწოდებელსაც შემახსენებს და ამის მოსმენა მართლა აღარ შემიძლია, ამას ჯობს დავდუმდე და თავი ვუქნიო, კი, კიი, უაზრობაა ჩემი ცხოვრება, აბა რა არი? შვილი მე არ მყავს და ძირი, უაზრობაა, ეგ არი! თან, ყურებში ზარი მიდგას, საყვარელი მყავს,

საყვარელი, ლელა, საყვარელი! აგე, ორმოცდარვა წლისა ვარ და საყვარელი მყავს, ქალო, პირველად ცხოვრებაში! ქალი ვარო, მე უნდა ვთქვა, ქალიშვილობა დავკარგე აგე, ლამის საქორწილოს ზღურბლზე, პადაცაა სიცილი აწივარდეს, ეს კიდე, როგორც იქნა, შემწვიდობება. *ისე სწრაფად გადის ეს ცხოვრება, ჩემო ეთო,* კარებისკენ მიდის, თან ბავშვა მიარწევს. ის-ისაა გაიქცეს, რო შემობრუნდება და ზღურბლზე მდგარი გამომბედავს, *მარა, გოგო, რალაცნაირად კი გიელავს ეგ თვალები.*

*

ისეთი დაღლილი ვარ, ისეთი დაღლილი, ერთ ალზე ვარ, საწოლზე როდის მივეგდები. დაბანის თავიც არა მაქვს, ხვალ დავიბან. მშია, მარა საჭმელად ახლა გვიანია და სავსე კუჭზე მერე სუ არ დამეძინება. არადა, ძილი მინდა. ყველაზე მეტად ძილი მინდა. ჩემი ძილი მინდა, სუ რო გავითიშო ისეთი, მთელი ღამე ფეხი არ გავატოკო და დილით რო ავდგები, ღონე მქონდეს, აღარ ვიყო დამძიმებული. რაო, თვალები გიელავსო, ლელამ, არა? მიელავს მართლა ვითომ ეს თვალები? რატო მიელავს, საყვარელი რო გავიჩინე, ნაგიტო? რატო დავარქვი საყვარელი ამ კაცს, ერთხელ ვქენით, მეტჯერ ხო არა? მარა რა, მეტს ვითომ აღარ ვიზამთ? რა გაგვაჩერებს? აგე, უნდა დამელაპარაკოს, საიდუმლოდ მოვიდეს სამშაბათს. საყვარელია, აბა რა არი? ლელა, შენ გყოლია საყვარელი? რა საყვარელი, შე უბედურო, რანაირ ნამდარ და დავრდომილ ქმარს შეალიე შენი ცხოვრება. ჰოდა, შენთან შედარებით მიელავს კი არა, ალბათ ათასი მზის სხივი ერთად მითამაშებს ორივე თვალში. რანაირად იყო ქალო, ა? გული მომიკვდა. რა არი მაინც ეს ცხოვრება. რა კარგია, წინასწარ რო არ იცი, სად წაგიყვანს, როგორ გადაგივლის. რა გოგო იყო და რაღა დარჩა აბა ნაგისგან.

ახლა ამ ქილის ძირში ჩარჩენილ, ჩამაქრებულ მურაბას ჩავიტენი პირში, მიიდიაას და მერე მივეგდები. ძაან მინდა ამ დროს ტკბილი და თავსაც აღარ ვიკავებ. თვიურის დროს ტკბილები უნდა ჭამო. ტანი რო გთხოვს, ტანს უნდა დაუჯერო. მარა, რა არი, იცი? მე მაინც ისეთს დავიმახსოვრებ ლელას, როგორც ადრე იყო, სკოლაში, ისეთი იქნება ჩემ მოგონებაში. რაო, გასულებულხარ და შეცვლილი ხარო? ვაიმე, მუმია ხო არ ვარ, გენაცვალე?! ოცდაათი წლის მერეც ის ვიყო, რაც ოცი წლის ვიყავი? ამ სიბერის კიდე სუ არ მეშინია. მეშინია კი არა, შევნატრი. როდის იქნება, მართლა ჩემ გემოზე ვიყო, ის ვაკეთო, რაც მომინდება, ფეხი ფეხზე მქონდეს გადადებული. ისეთი სიბერე მოვიწყო, სხვას არც დაესიზმროს. აბა! აბა, რისთვის ვიდგამ წელზე ფეხს, ამ მაღაზიაში რო ვარ ლამის მთელი ცხოვრება დაყუდებული, რისთვის ვაწებებ კაპიკს კაპიკზე. რისთვის და ჩემი სიბერისთვის! ჩემი გაფუფუნებული ბებრული ცხოვრებისთვის! თორე სიკვდილის მერე რაღა იქნება? აღარაფერი. არ გათხოვდი? შენი ჭირიმე! ვითომ, არ იცის! გადამიმონმა! რა, არ იცის, რო არ გავთხოვდი? ნეტა რამდენი წლის უნდა მოვიყარო, ეგ აღარ მკითხონ? მერე დანანებით აღარ აქნიონ თავია ყმუტე თავები? შორენამ უსაქმურობისას, ერთხელ ისიც მითხრა, ქალო, ამ თეძოებს როგორ აცდენ, ყველაზე ცოტა ხუთი შვილი უნდა გყავდესო. მართლა შენი ჭირიმე, რა! მარა კაი ხანია ეგ აღარ უკითხავთ, ორმოცის მერე ნაგას აღარ გეკითხებიან. არადა მანამდე თავი მქონდა გადაჭმული, გული შელონებული. საპონს იყიდიდნენ, ტუალეტის ქაღალდს თუ იატაკის ტილოს, იქვე გაითხავდნენ, *არ თხოვდები, გოგოო?* მე კიდე ვეტყოდი, არააა, ისინი მეტყოდნენ, *რატო ქალოოო?* მე ვეტყოდი, *არ მინდაააა ქალოოო და იმიტოოოომ.* აი, მანდ კი დაიბნეოდნენ ცოტათი მაინც, ყველაფერს ელოდნენ არ მინდის გარდა, იმიტომ, რომ ქალმა არ იცის არ მინდას თქმა. მინდა-არ მინდა კაცის სიტყვაა, კაცის ენაზე მიკერებული. თუ ინტიმარს არ გაიტეხდნენ, მერე იტყოდნენ, *შვილი, შვილი არ გინდა, გოგოოო? წყლის მომწოდებელი? სიბერეში მომხედავი?* და თან, თავის გამოჭყანულ შვილებს და ახლა კიდე შვილიშვილებს ჩაიკრავდნენ გულში. მანდ კი ავიკრავდი ხოლმე პირს, აბა რაღა უნდა მეთქვა? ვის აქვს დალხენილი სიბერე ამ ქვეყანაში, რო ვუთხრა, მე მექნება თქო? ახლა მე როგორ მაქვს დაგეგმილი ჩემი სიბერე, ხო არ ვეტყვი? ისე მაქვს დალაგებული, რო დალხენილად მქონდეს, სუ ჩემ გემოზე. მარა მაგაზე პირში წყალი მაქ ჩაგუბებული, არაფერს ვამბობ. რატო ვთქვა, ნეტა? საიდუმლოა, ჩემი არი. არავინ იცის.

*

მეღვიძება, ოღონდ ვერა ვფხიზლდები. ორივე მკვდარი ერთად მესიზმრა, კაცები. აგერ, შემოსასვლელში ისხდნენ მაგიდასთან, ხორცსა ჭამდნენ მაამოულებლივ. ვითომ გარშემო ვუვლიდი და ვფიქრობდი, ნახე, თურმე როგორ გვანან ნეთქი ერთმანეთს. კეფაც ერთნაირი აქვთ, მხრებიც, ლუკმაც ერთნაირად მიაქვთ პირთან. თან ვითომ რაღაცას ვეკითხებოდი ერთსაც, მეორესაც და ზედ არ მიყურებდა, ხმას არ მცემდა არცერთი. თან ვითომ სიზმარშივე ვიცოდი, რო მკვდრები არიან, თან ვითომ არ ვიცოდი. უსიამო სიზმარი იყო, ახლაც უსიამოდ ვწევარ საწოლზე თვალდაჭყეტილი. იშვიათად მესიზმრება ორივე, მარა თუ დამესიზმრა, ცალ-ცალკე ვხედავ. თავს ვერა ვწევ, თავი მაქ დამძიმებული. ჯერ მაინც ადრეა, რვა საათია, მეტი კი არა.

მაინც რას ნიშნავს ახლა ეს სიზმარი, უცნაური და უსიამო? ცალკე ჩემი ძმა თუ დამესიზმრა, უფრო უხასიათოდ ვიღვიძებ. მამაჩემი კიდე მალე მავიწყდება, იქვე, ძილშივე. არა, არცერთი სიცოცხლეში არ მელაპარაკებოდა ნორმალურად და წუხანდელ სიზმარში რანაირად გამალამაზებდნენ სიტყვებით? ჩემი ძმა მაინც. თუ სახლში იყო, შეკეტილი იყო თავის ოთახში, მარა ამ სახლში როდია იყო? სუ გარეთ ედგა, დღე და ღამე,

ზამთარ-ზაფხული. არ ვუყვარდი, ერთი ნატამალი სიყვარული არ ქონდა ჩემი, მარა ნეტა ვინმე უყვარდა? ნეტა უყვარდა ის ქუთაისელი რუსის ქალი? აბა, ცემდაო? მეც ხო მცემა ერთხელ გაბოროტებულმა, რეცხვისას მაგის ჯინსის ჯიბეებს ის თეთრი ფხვნილი რო გავატანე. ეგ ოცი წლის იყო მაშინ, თურმე ახალი ნარკომანი და მე თოთხმეტის, კიდე სკოლის მოსწავლე. აბა, მე რა ვიცოდი რა ედო ჯიბეს? რაღაცა პარკის ნაგლეჯი შემრჩა სველ ხელში. ეგ იყო და ეგ. როგორა მცემა მაშინ, ღმერთო. როგორა მცემა. როგორ ჩაუსისხლიანდა თვალები. ისე მცემა, სკოლაში სირცხვილით ველარ ვიარე კაი ხანი, თვალი ისე მქონდა ჩალურჯებული. მეთქი, რა იყო ასეთი იმ ჯიბეში, ვერცა ვკითხე, მარა რაც არ უნდა ყოფილიყო, ასე უნდა აენია ხელი, ასე გამეტებით დაერტყა ჩემთვის? მერე მივხვდი, რო გავიგე რო ნარკომანი არი. მერე. და მაშინ ბოლომდე შევიძულე, ნამ-ლის გულისთვის ასე რო გამიმეტა, გულში ვწყევლე და სიკვდი-ლი ვუნატრე. მერე რო მოკვდა, რო მოკვდა კი არა, რო მოკლეს, კი შემეშინდა, მარა თან რაღაცნაირი შვება მქონდა, თითქოს ყელში ნაჭერილი ხელი მომშორდა. თან მრცხვენოდა, რო შვება მქონდა, ძმა იყო მაინც, მარა მე და და მისიანი არა ვყოფილვარ მისთვის არასდროს. ჯერ თავიდან, დომნას სახლიდან აქ რო მომიყვანეს, ეგ თორმეტის იყო და მე ექვსის, სკოლაში შევდი-ოდი. და და გოგო: და და ადამიანი კი არა: კატის ცინდალი ვიყავი მაგისთვის, ფეხს რო წამოარტყავ, გასვლა-გამოსვლი-სას, როცა მოგინდება. მე კიდე როგორ შევხაროდი, როგორ ვნატრობდი ძმის გაცნობას, გული მელეოდა. ვნახე და ელდა მეცა, ზედ არ შემომხედა. არც გამიღიმა, არც ხმა ამოიღო, არც არფერი. ადგა და გავიდა, გაიკეტა თავის ოთახის კარი. მერე ცოტა რო გავიზარდე, მთლად ცინდალი აღარ ვიყავი, მამა-შვი-ლის დამლაგებლად ვიქეცი, მზარეულად, მრეცხავად, ნაგვის გამტანად. როგორ მიხაროდა, ქუთაისში რო გადაიხვეწებოდა იმ ქალთან, მერე მარტო ერთი კაცი მყავდა მოსავლელი. მამაჩემი კიდე რას ჭამდა? არაფერს. კენკავდა. მე და მამაჩემი სამი დღე ვჭამდით ერთ ქვაბ ლობიოს. ამან კიდე, მერე რა რო გამხდარი ბიჭი იყო, ღორივით იცოდა ჭამა, თუ მოწეული ან გაკეთებუ-ლი ჰქონდა, მითუმეტეს. ჭამდა და ვერ ივსებოდა. ფუ, როგორ მძულდა და თან, როგორ მეშინოდა! შვება რო მქონდა მისი სიკ-ვდილისაგან, თავსაც ვერ ვუტყდებოდი კაი ხანი. მრცხვენოდა. ძმა მოგიკლეს, პატრონი და უნდა იტირო, დაიტირო, მე კიდე ხმას ვერ ვიღებდი, ყელი მქონდა გაქვავებული. ისევ მამიდაჩემი ყრიდა ხოშკაკალა ცრემლს, ხმამაღლა თუ დაიტირებდა, ლამის დუჟი გადმოუვიდოდა პირიდან. თან, იქვე რო მეჩხუბა ერთხელ კუბოსთან, სხვების თვალწინ, იტირე, ძმა დაიტირე, ძმა მოგიკ-ვდა, ძაღლი ხო არაო. ხო მიყიმწყვდიე მერე მამაჩემის ოთახში მიწოლილი, მოთქმა-ტირილისგან რომ ისვენებდა, ქალბატონი. სულ იმ გაფუებულ, დონდლო მკლავებში ჩავარჭე ათივე ფრჩხ-ილი და შევუსისინე, შენი სკამიანად არ გაგდგა მეთქი გარეთ პანაშვიდიდან, შენ ისევ ის ექვსი წლის ეთერი ხო არ გგონივარ, ოცი წლისა ვარ და ამიერიდან მამაჩემის პატრონიც მე ვარ, ჩემი თავის პატრონიც მე ვარ და ამ სახლის პატრონიც მეთქი! ხელი ამიკრა მაშინ, მარა ხო მივხვდი, შევაშინე. იმასაც მივხვდი, ანი ველარაფერს გამიბედავდა, ბოლოში ველარც მედიდგულე-ბოდა ისედაც, მარა ეტყობა ძაან მქონდა სახე გადაშლილი. ზედ სახეზე დაეწერა თან ჩემი შიში, თან სიძულვილი. შიში ახალი იყო, თორე სიძულვილი ზედ ჰქონდა მიკერებუ-ლი. იმის მერე აღარც მოსულა, ათასში ერთხ-ელ თუ დაურეკავდა მამაჩემს, [illegible] რაღაცას ეგ გველგესლი. [illegible] მარა მეცა მძულდა. ისეთი დიდი სიძულვილით, რო პატარა რო ვიყავი, წარმოვიდგენდი, ეს სი-ძულვილი რო გამოუშვა, ალბათ, აგერ, თავზე დაყუდებულ მთებს სულ ააფეთქებს მეთქი. შვი-დი წლისა ვიყავი და რვის, ხელები მქონდა ცივ წყალში რეცხვისაგან უკვე გადალეტილი, ეს კიდე დამადგებოდა თავზე, ეს კასრივით ქალი, კარგი ნაჭამი, კარგი ნასვამი, კარგი მოვლი-ლი, კანი ჰქონდა სახეზე სუ გადატკეცილი, სა-წოლზე გადასაფარებელს აწევდა და შეიხედა-ვდა, აბა როგორ სუფთა თეთრეულში ეძინათ მის ძმასა და ძმისშვილს, ლილაში ხო ვავლებ-დი ჩიხოლს, ხო ვხარშავდი? გომბიოსავით ხო არ ვუვლიდი ძმასა და მამას? შემომიღრენდა. მერე ჭაღს შეაწვდებოდა, ხელს გადაუსვამდა, აბა რამდენად მტვრიანი იყო, როგორ მქონდა გადაწმენდილი? მე კიდე სკამს ვიდგამდი და მაინც ძლივსა ვწვდებოდი, რო გამეწმინდა, ისე პატარა ვიყავი. აბა, ყველა ჭიქას გახედავდა, ხო კარგად იყო გარეცხილი? აბა, ნაკეცი რო-გორ ჰქონდა მამაჩემის შარვალს გაუთოებული? აბა, როგორი სუფთა საყელო ჰქონდა ჩემი ძმის პერანგს, ხო მქონდა გახამებული? აბა, როგორ ეწყო უჯრებში ძმა-ძმიშვილის ნიფხავ-პერანგი, ეს ნასკები ფერის მიხედვით რატომ არა მქონ-და დაწყობილი? აბა, რასა გავდა ჩემი თმა და ხელები, ტილი და მღერი ხო არა მყავდა სკო-ლიდან მოყვანილი? აბა, ჩემი ფორმა და წინ-საფარი? ჩემი ცხვირსახოცი? რა ლაქიანი იყო ჩემი კაბა: კაბის ბოლოთი რა, ცხვირს ვიწმენდ-დი? ოო, როგორ მძულდა ეს დიდი, პრიალა ქალი, გამაძღარი. მე კიდე სუ მშიოდა, სახლში კაცების მორჩენილ საჭმელსა ვჭამდი. ტკბილი ისე მინდოდა, გული მიმდიოდა, მარა ჩემი კან-ფეტის მყიდველი, აბა, ვინ იყო? მეც როგორ მინდოდა ლამაზად მცმოდა, ჭრელი, ფრიალა, დაპლისული კაბით მენავარდა, ჩანთა მომეგ-დო ზურგზე, ახალი გეტრი ჩამეცვა, მარა, აბა, საიდან? სასტიკი იყო ქეთო: ძალიან სასტიკი. ჩემ ძმაზეც სასტიკი. რო მოკვდა, ყვავილებიც არ ვუყიდე, ერთხელ შემოვუარე მარტო კუბოს დასაფლავების წინა დღეს, მის შვილებს სიტყ-ვაც არ მივუგდე სამძიმარის. თვითონ რა, ეგენი როდის მელაპარაკებოდნენ? თავს როდის მი-ყადრებდნენ? სკამზეც არ ჩამოვჯექი საპანაშ-ვიდედ, მარა შემოვლისას სუ ზედ ჩატეტკილ, დალაქავებულ სახეზე ვუყურე. ლამის მეყვირა, აჰაჰაა, ქეთო, მოკვდი: ქალო? მოკვდი? ჩა-ძაღლდი? ძაღლი და ღორი მოგაკვდეს სულში,

მე წყეული! მე საძულველი! ჯოჯოხეთის კუპრში ამოიხარშოს ეგ შენი დონდლო, მკვდარი სხეული! ლამის ზედ შემოვწყევლავა იმ მეხის კუბოსთვის. მისმა შვილებმა გველის თვალით მიყურეს, ნეც არ დავაკელი. სულ არ მივიდოდი, მარა მინდოდა ქეთო მკვდარი მენახა, უსულო, უძრავი, დაგვამებული. ბოლომდე დამეჯერებინა, რომ აწი ველარ მავნებდა. ველარასოდეს!

მამაჩემი იყო ამათგან ყველაზე მშვიდობიანი, მარა ეგეც რაღაცნაირი გარიდებული, ამ სამყაროსი თან ვითომ იყო და თან არ იყო. შვილის სიკვდილის მერე სუ სხვაგან წავიდა. ელაპარაკებოდი, გიყურებდა და ვერ იგებდი, გისმენდა? არა? მერე მივხვდებოდი, რო ხან იგებდა ჩემ ნათქვამს და ხან კიდე ვერა, ავიწყდებოდა. ბოლოსკენ სუ აღარ ელაპარაკებოდით. მუზეუმიდან რო მოიფრიალეს, თავის ოთახში შეიკეტა, სუ აღარ დგამდა ნაბიჯს იქედან. საჭმელს შევუტანდი და მაშინ ვეტყოდი ორიოდ სიტყვას. ხან მპასუხობდა, ხან კიდე არა. ან წიგნში ჰქონდა თავი ჩარგული, ან რადიოს უსმენდა გაშიშდული თვალებით. ზოსტანში რომ გავიდა და იქ დაიწყო მიწის ჩიჩქნა, როგორ გამეხარდა, მობრუნდა-მეთქი, მარა მობრუნდა კი არა მიბრუნდა თურმე საბოლოოდ. ეჰ! არც სიხარული ვიცოდი მამაჩემისგან, არც დაყვავება, არც მოფერება, არც შექება, არც ტკბილი სიტყვა, სუ არაფერი. თითქოს იყო და თითქოს არც იყო, მარა მაინც მიყვარდა ჩემთვის, ჩუმად, დუნედ, რაღაცა დონდლო სიყვარულით. იმაზეც მადლობელი ვიყავი, რო არა მცემდა, არც მიყვიროდა, არც მსაყვედურობდა. მარა იმას ვერ ვპატიობდი კაი ხანი, ჩემმა ძმამ რო მცემა მაშინ ჯიხვის გარეცხვას გაჯოლებულ ნამალზე, თვალი რო ჩამილურჯა და სისხლი მადინა ცხვირიდან, რო არ ჩაერია. არაფერი თქვა. არაფერი გვითხრა არც მე, არც იმას. არადა, სახლში იყო, თავის ოთახში შეკეტილი. რა, ვითომ იმის ღრიალი და ჩემი წკმუტუნი არ ესმოდა? ვითომ ვერ ხედავდა ჩემ დალურჯებულ, ლამის ამოგდებულ თვალს მთელი ერთი თვე?

ერთადერთი მისგან ზამთრის ერთი დილა მახსოვს, თან ისე თბილად, რო ახლაც, ამხელა ქალი ვარ, ლამის ნახევარი საუკუნის, არ მავიწყდება. თოვლი რო მოვა, ეგეც თუ მოვიდა, ისეთი წუნწკლიანი და წვიმიანი გახდა ზამთარი, გული სუ ყელში მომებჯინება ხოლმე, ეგ მახსენდება, ეგ დღე, კაი ორმოცი წლის წინანდელი. ერთ დიდთოვლიან ზამთარს, მე და მამაჩემმა ჩვენი აივნის მოაჯირზე ჩიტებს დავუყარეთ ერთად საკენკი. საკენკი რა, პურის ნაფშხვენები, გამხმარი. ერთადერთხელ იყო ეს, ერთად რაღაც რო გავაკეთეთ. ამას მერე მივხვდი, მარა მაშინ ბავშვი ვიყავი და მარტო ის ვიგრძენი, რაღაცა უცხო სიხარულმა როგორ დამრია ხელი! საზღვარი აღარ ჰქონდა ბედნიერებას! მამაჩემთან ერთად ჩიტებს საკენკს ვუყრიდი, ღმერთო! თითქოს უცხო კაცი კი აღარ იყო, თითქოს სხვა ბავშვების მამებსა გავდა, მართლა მამა იყო, ნამდვილი მამა! თითქოს თავზეც გადამისვა ხელი, მარა ეს აღარ მახსოვდა ზუსტად, მართლა გადამისვა თუ მე მოვიგონე და მერე ჩემი მოგონილი დამამახსოვრდა. თითქოს ორივე ბედნიერი ვიყავით და კმაყოფილი, ჩიტები რო დავაპურეთ, მარა იმ ბეღურებს კისტის თოფით დაუწიენენ მერე უბნის ბიჭები და რაღა აზრი ქონდა საკენკის დაყრას? სიკვდილისთვის მოგვეტყუებინა საწყალი ჩიტი? იმის მერე აღარც დაგვიყრია. ან იმათთვის, იმ მკვლელებისთვის რა აზრი ჰქონდა გეთქვა, ჩიტს არ ესროლო, არ მოკლაო? მკვლელობად იყვნენ დაბადებული. იმათგან ერთი, იმ ზამთარს, სკოლაში ღუმელი რო აუფეთქდა და სახე გამოეწვა, ლამის ტაში შემოვკარი, კაი ხანს მეგონა, მკვდარმა ჩიტებმა გადაუხადეს სამაგიერო.

ახლა კიდე აღარც თოვლი მოდის და აღარც ჩიტები მოგაკითხავენ საკენკისათვის. მამაჩემიც მოკვდა და გეგონება საუკუნე გავიდა, მარა დღემდე ისე მიყვარს თოვლი და თოვლის სუნი, რო ორი ფიფქიც რო გადმოაგდოს ზამთარში, ეზოში ლამის ბავშვივით გავკუნტრუშდები. მარა ამ სიხარულთან ერთად, თან რაღაცნაირი შავნაღველი წამიჭერს ყელში, იმ დიდი თოვლის, მაშინდელის, უხსოვარის, ჩემი ბავშვობის. ხანდახან მერე ისე გაუსაძლისია ეს შავნაღველი, ისევ ის მირჩევნია, რო აღარ თოვდეს. ან გამომშრალი ზამთარი იყოს, ან წუნწკლიანი, ყველაფერს ერთად რო აბავსებს, რო ვერ გაიგებ, შემოდგომაა თუ გაზაფხული, თუ ორივე ერთად და ამ დროს ზამთარი როა, მარა უთოვლო და უნიათო, არაფრის მაქნისი. არადა, დომნასთან რო ვიყავი, მთლად ბავშვობაში, მაშინ რამხელა თოვლი იცოდა, ღმერთო! ვიღაცა კაცი რო მოვიდოდა, წყალსაცავიდან, მხარბეჭიანი, გზას გაკვალავდა ჭიშკრამდე და სახურავსაც რო გადმოთოვლიდა. ძირს ჩამოყრიდა მძიმე, თეთრ თოვლს, მთლად აღარ ჩანდა დომნას ციცქნა სახლი გადმოთოვლილში. სხვა არაფერი მახსოვს იმ კაცის, არც სახე, არც სახელი, ის მახსოვს, რო კვალავდა, ორთქლი ასდიოდა, მე კიდე თეთრი თოვლი მიჭრელებდა თვალებს, უკან მივყვებოდი გაკვალულ გზაზე ბოჩოლასავით და მის დანატოვარ, ნავივით ფართო ნაკვალევში ვდგამდი მოცუცქნულ ფეხებს. თან მიყვებოდა რაღაცა ზღაპრებს, სისულელეებს მეც სუ ქვემოდან ვულურტულებდი და ჰა, ბიჭო, იმასაც თავზე თეთრი თმა ჰქონდა, მგონია, იმასაც გაქოჩრილი. უქუდოდ მოვიდოდა ხოლმე. გაკვალავდა თოვლს და პირს გააღებდა, წვრილწვრილ, მარა ნამდვილ ფიფქებს შეუშვერდა ენას ბავშვივით და სიცილ-კისკისით მეც მივბაძავდი, დიდი პრანჭვით და გრეხვით, დიდი ბედნიერებით. ნეტა, ვინ იყო, რა ერქვა? აღარც იქნება უკვე ცოცხალი. ღმერთო, რა სიზმარივით იყო ახლა დომნას ზამთარი, ის კაციცა და ის თოვლიც ამ ადუღებულ აგვისტოში, ამ სანოლში, გამოხარშულში. მარა რა არი, იცი? ახლაც, ამდენი წლის მერე, ორი ფიფქიც რო გადმოვარდეს, ახლაც კი ვიცი პირის გაღება, ენის შეშვერა წყალწყალა თოვლზე. ოღონდ, მარტო ჩემთან, ეზოში. ისე, რო არავინ დამინახოს, არავინ მხედავდეს.

მარიო ვარგას ლიოსა



MARIO VARGAS LLOSA

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწერლებში ყოველთვის არის სამყაროს გარდაქმნის იდუმალი სურვილი

*(ინტერვიუ ლანა კალანდიასთან, 30 ივლისი, 2020 წელი)*

*მარიო ვარგას ლიოსასთვის გასულ წელს თბილისში უნდა გვემასპინძლა. მისი დიდი სურვილისა და ჩვენი მონდომების მიუხედავად, ვიზიტი ჩაიშალა. წელს პანდემია წამოგვეწია და კვლავ გადაიდო დიდი ხნის ნანატრი შეხვედრა ქართველ მკითხველთან. საბედნიეროდ, უარი არ უთქვამს ინტერვიუსთვის, რომელიც თიბისის ორგანიზებითა და "ინტელექტის", "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა" და მწერალთა სახლის მხარდაჭერით დაიგეგმა. შესაკითხი ბევრი გვქონდა, დრო – მხოლოდ ნახევარი საათი. ლიოსას აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გამომდინარე, მხოლოდ ლიტერატურით ვერ შემოვიფარგლებოდით. გვსურდა პოლიტიკაზეც გვესაუბრა, მის იდეოლოგიურ ტრანსფორმაციაზეც, კულტურის კრიზისზეც და მწერლის შორეულ მოგონებებზეც; რაც მთავარია, გვსურდა, კიდევ ერთხელ გვეთქვა, რომ შეხვედრა დათქმულია...*

***– საღამო მშვიდობისა, დონ მარიო. დიდი მადლობა ინტერვიუსთვის.***

– საღამო მშვიდობისა, ლანა. შენთან საუბარი ძალიან სასიამოვნოა. ჩვენ უკვე ძველი ნაცნობები ვართ. ვიცი, რომ ჩემი რამდენიმე წიგნი გაქვს თარგმნილი.

***– დიდი მადლობა. ეს მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნება, დიდი პატივი და პრივილეგია იყო ჩემთვის. უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, გადმოგცეთ ქართველი მკითხველის პატივის-***

***ცემა და ის დიდი მოლოდინი, რომელსაც საქართველოში თქვენს ვიზიტზე ვამყარებთ. ჩემთვის დიდი პატივია გავუძღვე ინტერვიუს, რომელსაც „აქ, ახლა“ პროექტის ფარგლებში ვახორციელებთ.***

– ძალიან ვწუხვარ, რომ ჯერ ვერ ვიმოგზაურე საქართველოში. ჩამოსვლის დიდი სურვილი მქონდა, რადგან არასდროს ვყოფილვარ თქვენს ქვეყანაში. თუმცაღა, ამ დაგვიანების მიზეზი კორონავირუსი გახლდათ.

***– დონ მარიო, მინდა თქვენი ერთ-ერთი ყველაზე ემბლემატური გამოსვლა გავიხსენო. იმ სიტყვას ვგულისხმობ, რომელიც თქვენ სალამანკას უნივერსიტეტში, საპატიო დოქტორის წოდების მონიჭებასთან დაკავშირებით წარმოთქვით. ამ გამოსვლაში თქვენ ლიტერატურის მნიშვნელობაზე ისაუბრეთ და სამი არსებითი კითხვა ჩამოაყალიბეთ: რატომ იწერება ლიტერატურა? როგორ იწერება რომანი? რისთვის არის საჭირო ლიტერატურა? ვფიქრობ, ეს სამი კითხვა იდეალური საფუძველია ჩვენი ინტერვიუს წარსამართად. მაშ, დავიწყოთ: რატომ იწერება ლიტერატურა?***

– მე ვფიქრობ, საიდუმლო მოწოდებაში იმალება. არავინ იცის, რატომ აქვს ზოგიერთ ადამიანს მწერლობის მოწოდება. თუმცა ეს უთუოდ იმ სიამოვნებას უკავშირდება, რაც კითხვის სწავლისას განიცადეს. ჩემს შემთხვევაში ნამდვილად ასე იყო. მახსოვს, კითხვა ხუთი წლის ასაკში ვისწავლე და ჩემში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. იმ დროს, ბავშვები, ყოველ შემთხვევაში, ბოლივიაში, სადაც მე ვცხოვრობდი, კომიქსებს არ ვკითხულობდით. ტექსტებს ვკითხულობდით, რომლებიც გამოსახულებებად უნდა გვეთარგმნა. ჩემთვის ეს არაჩვეულებრივი გამოცდილება იყო. ამან ჩემი ცხოვრება ძალიან გაამდიდრა. იმ წიგნების მეშვეობით, რომელთაც ვკითხულობდი, შემეძლო მემოგზაურა დროში – წარსულსა და მომავალში. შემეძლო გამეცნო სხვა ხალხის კულტურა. მაშასადამე, შეიძლება, სწორედ ეს გახდა ჩემი მწერლობის მიზეზი. ჩემი აზრით, მწერლებში ყოველთვის არის სამყაროს გარდაქმნის იდუმალი სურვილი. განცდა იმისა, რომ სამყარო არასრულყოფილია და ლიტერატურის მეშვეობით შეგიძლია განსხვავებული გამოცდილებით იცხოვრო. რეალობა ლიტერატურის მეშვეობით განუზომლად მდიდრდება. მე არ ვგულისხმობ ერთი რეალობის შეცვლას მეორეთი, იგი იმდენგვარად იცვლება, რამდენი მწერალიცაა, რამდენი ლიტერატურაცაა, მაგრამ მთავარი მიზეზი გარკვეული დაუკმაყოფილებლობაა სამყაროთი, იმ ფორმით, როგორიც ის არის. ვფიქრობ, ლიტერატურა ყოველთვის მოიცავდა თავისებურ ამბოხს, სურვილს იმისა, რომ სამყარო შეეცვალა, გარდაექმნა რაღაც იმისგან განსხვავებულად, რაც არის.

***– თქვენი პირველი რომანი, „ქალაქი და ძაღლები“ 1963 წელს დაწერეთ, მისი გამოქვეყნებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ წიგნს ტრანსცენდენტული მნიშვნელობა ჰქონდა ლათინოამერიკული ლიტერატურისთვის. მინდა გკითხოთ, თუ რას ნიშნავდა ეს წიგნი თქვენი ლიტერატურული კარიერისთვის და პირადად თქვენთვის.***

– ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო წარმატება, რომელიც ამ წიგნმა თავიდანვე მოიპოვა. წიგნი ესპანეთში გამოიცა. ცენზურასთან პრობლემები ჰქონდა, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, რომანს იმაზე მეტი წარმატება ერგო, ვიდრე ველოდი. წიგნმა დიდი აღშფოთება გამოიწვია პერუში. სამხედროებმა ის ძალიან გააკრიტიკეს. დამადანაშაულეს, რომ ეს რომანი სამხედროების წინააღმდეგ დავწერე, ეკვადორელთა მიერ გადახდილი ფულით. ეს ყველაფერი წიგნისთვის დიდი რეკლამა აღმოჩნდა. უამრავი ეგზემპლარი გაიყიდა. მე განცვიფრებული ვიყავი, რადგან რომანის ასეთ წარმატებას ვერასდროს წარმოვიდგენდი. ერთ დღესაც ჩემმა ესპანელმა გამომცემელმა, კარლოს ბარალმა დეპეშა გამომიგზავნა, სადაც მწერდა, შენი წიგნის ათ ენაზე თარგმნას დაეთანხმდიო. მართლა გავოგნდი, როცა გავიგე, რომ ჩემი წიგნი ათ ენაზე უნდა თარგმნილიყო. კარლო ბარალმა მისი პოპულარიზაციისთვის ძალიან დიდი შრომა გასწია. მან წარადგინა წიგნი ფორმენტორის პრემიაზე, რომელსაც რამდენიმე ევროპული გამომცემლობა გასცემდა. ამ წიგნმა ჩემი ცხოვრება შეცვალა, რადგან, მოგეხსენებათ, პერუელ ავტორებს გამომცემლობებთან დიდი სირთულეები ჰქონდათ. ხშირად ისინი წიგნებს საკუთარი ხარჯით გამოსცემდნენ, რასაც მხოლოდ მეგობრები და ოჯახის წევრები კითხულობდნენ და ამ წრეს არ სცდებოდა. ეს რომანი კი პირიქით, გარკვეული მიზეზების გამო, ძალიან გავრცელდა. ამდენად, ჩემდა გასაკვირად, ჩემი პირველი რომანის შემდეგ ვიგრძენი თავი ნამდვილ მწერლად.

***– „ქალაქი და ძაღლები“ თქვენი ახალგაზრდობის ორ მნიშვნელოვან ეპიზოდს ასახავს: მამასთან შეხვედრასა და ლეონსიო პრადოს სამხედრო სასწავლებლის გამოცდილებას. რა მოგონებები შემოგრჩათ ამდენი წლის შემდეგ? დრომ ხომ არ გაახუნა ისინი? ამაზე რას მეტყვით?***

– მე კარგად მახსოვს, რომ მამაჩემი, რომელიც მხოლოდ 10-11 წლისამ გავიცანი, ლიტერატურის მიმართ ძალიან მტრულად იყო განწყობილი. ის უფრო პრაქტიკული ადამიანი იყო. იმის წარმოდგენა, რომ მის შვილს შეიძლებოდა ეწერა, აღიზიანებდა, თავზარს სცემდა. მისთვის ლიტერატურა ბოჰემურ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. ფიქრობდა, რომ მწერლები ლოთები იყვნენ, არასერიოზული ხალხი. ეს მისი იდეა იყო, რომ სამხედრო სასწავლებელში შევსულიყავი. სინამდვილეში, ეს იყო სკოლა, სადაც მეორე საფეხურის განათლებას ვიღებდით და, ამავე დროს, სამხედრო წვრთნას გავდიოდით. სამხედრო სასწავლებლიდან რეზერვის

ოფიცრები გამოვდიოდით. ლეონსიო პრადოს გამოცდილება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სასწავლებელში ბედნიერი არ ვიყავი, პირიქით, საკმაოდ უბედურად ვგრძნობდი თავს. მთელი ეს იზოლაცია, გამომწყვდევა, სასჯელი... ეს იყო სკოლა-ინტერნატი. ამავე დროს, ლეონსიო პრადოს სასწავლებელი პერუს იმ მცირერიცხოვან ინსტიტუციებს შორის იყო, რომელიც პერუულ საზოგადოებას ასახავდა. იქ იყვნენ ძალიან კარგი ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდებიც, საშუალო კლასის წარმომადგენლებიც და ძალიან მოკრძალებული წარმომავლობის ყმაწვილებიც, რომლებიც სასწავლებელში საკმაოდ მრავალრიცხოვანი სტიპენდიების წყალობით ხვდებოდნენ. ამდენად, ეს პატარა პერუ იყო, სადაც თითოეულ მოსწავლეს თავისი წარმოდგენა და გულისნადები მოჰქონდა. უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მკაცრი სისტემის ფარგლებში ეს ყველაფერი დიდ ძალადობას წარმოშობდა. მაგრამ ეს იყო სინამდვილე. მანამდე მე მარგინალურ სამყაროში ვცხოვრობდი, ძალიან დაცულ სამყაროში. პირველად ამ სასწავლებლის წყალობით აღმოვაჩინე ნამდვილი პერუ, რასობრივი მრავალფეროვნება, დიდი სოციალური და ეკონომიკური განსხვავებები... მთელი ამ გამოცდილებითაა შექმნილი ჩემი პირველი რომანი. ლეონსიო პრადოში აღმოვაჩინე ნამდვილი ქვეყანა, რომელშიც ვცხოვრობდი.

***– როდესაც ამ რომანს, „ქალაქი და ძაღლები“, ვთარგმნიდი, აღმოვაჩინე, რომ საბჭოთა დროს გამოცემული თარგმანები არასრული იყო. ტექსტს ფრაგმენტები აკლდა. სავარაუდოდ, საბჭოთა ცენზურამ გადაწყვიტა, ამოეჭრა ძალადობის ეპიზოდები, რადგან საბჭოთა ხელისუფლებამ მათში საკუთარი ანარეკლი დაინახა.***

– ყველაზე უცნაური ისაა, რომ განსაკუთრებით რომანის ეროტიკული ეპიზოდები ამოიღეს. მე ძალიან გავაპროტესტე. წიგნი გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ“ გამოსცა. მე იქ გასაპროტესტებლად მივედი. გამომცემლობის დირექტორი ახალგაზრდა ქალი იყო. მან დიდი ყურადღებით მომისმინა. ვუთხარი: იცით, როდესაც წიგნი ესპანეთში გამოიცა, მხოლოდ შვიდი ფრაზა შეცვალეს. თქვენ კი 40 გვერდი ამოჭერით. ეს როგორ შეიძლება? მე საბჭოთა კავშირს თანავუგრძნობ, ფრანკოს მომხრე არა ვარ. მაგრამ ფაშისტებმა მხოლოდ შვიდი ფრაზა არ გამომიქვეყნეს და თქვენ 40 გვერდი ამოჭერით. დირექტორმა მიპასუხა: იცით, თქვენ არ გესმით, ამოვჭერით, რადგან რუსი წყვილები ერთმანეთს თვალებში ვეღარ უყურებდნენ თქვენი წიგნის ზოგიერთი ეპიზოდის ნაკითხვის შემდეგო. ვკითხე: ვინ განაახლებრავა, რუსებს ჩემი რომანების ნაკითხვა შეუძლიათ თუ არა-მეთქი? ჩვენი გამომცემლობის ყველა ლიტერატურული ხელმძღვანელი ლიტერატურის დირექტორიაო, მიპასუხა. მაშინ მივხვდი, რომ დიალოგი რეალურად შეუძლებელი იყო.

***– ჩემთვის ეს აღმოჩენა იყო. წიგნს ბევრი ეპიზოდი აკლდა, ძალადობის ამსახველი და ეროტიკულიც, მაგრამ მე ერთი რამ მინდა გკითხოთ... ესპანეთში თქვენი გამომცემელი, კარლოს ბარალი ფრანკოს ცენზურას დაუსხლტა. პერუში თქვენი წიგნები დაწვეს და სამშობლოს ღალატში დაგდეს ბრალი. რატომ ეშინიათ ტოტალიტარულ რეჟიმებს ლიტერატურის?***

– ყველა ავტორიტარული რეჟიმი, მემარცხენეც და მემარჯვენეც, ლიტერატურის მიმართ დიდი უნდობლობითაა განმსჭვალული, რადგან თავისუფლების მტრები არიან. ლიტერატურას კი თავისუფლება სჭირდება. ლიტერატურა ნამდვილი, მუდმივი სოციალური კრიტიკაა. თუ ლიტერატურა ასახავს იმ უკმაყოფილებას, იმ ანტიპათიას, რაც მწერლებს არსებული სამყაროს მიმართ აქვთ – რადგან ისინი განსხვავებული სამყაროთი არიან შთაგონებულნი – სავსებით ნორმალური და ლოგიკურია, რომ რეჟიმები, რომელთაც რეალობაზე სრული კონტროლის დამყარება სურთ, ლიტერატურის ბუნებრივი მტრები არიან. ეს ძალიან საინტერესო რამაა: როცა არსებობს თავისუფლება, დემოკრატიულ საზოგადოებებში არ ფიქრობენ ლიტერატურის სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. მხოლოდ აკრძალვებისა და ცენზურის პირობებში აღმოაჩენენ ხოლმე, რომ ლიტერატურა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის რეალობის კრიტიკულ აღწერას გვთავაზობს, რომ მას ყოველთვის კრიტიკული ასპექტი აქვს. სწორედ მაშინ იქცევა ლიტერატურა ავტორიტარული ქვეყნებისთვის ძალიან მნიშვნელოვან მოვლენად. და ამიტომაც მიმართავენ ასეთი ქვეყნები ძალიან მკაცრ ცენზურას.

***– რომანში „საუბარი კათედრალში“ თქვენ უკიდურესად კორუფციული დიქტატურა აღწერეთ. ვერ ვხედავთ დიქტატორს, მაგრამ ვხედავთ კორუფციას სხვადასხვა ინსტიტუციაში. საზოგადოებრივი ქსოვილის რღვევას, ღირებულებათა აღრევას. თქვენ ოდრიას დიქტატურაში იცხოვრეთ.***

– დიახ, ასე იყო.

***– მაინტერესებს, როგორ გაგონდებათ ის დრო და კიდევ ერთი: თქვენი აზრით, რომელია დიქტატურის ყველაზე ბნელი სახე – კორუფცია, ძალადობა, შიში?***

– ყველაფერი ერთად. ყოველივე ზემოჩამოთვლილი ახასიათებს დიქტატურას. იცით, ოდრიას დიქტატურა რვა წელი გაგრძელდა და საშინელება იყო ჩემი თაობისათვის. როდესაც ოდრიამ სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო, 1948 წელი იყო, ჩვენ 10, 12,14 წლისები ვიყავით. მხოლოდ რვა წლის შემდეგ დაბრუნდა პერუში დემოკრატია. მთელი ჩვენი ახალგაზრდობა დიქტატურაში გავატარეთ, სადაც ძალიან მკაცრი ცენზურა იყო. იმ დროს პერუში ტელევიზია არ არსებობდა, მაგრამ გაზეთებსა და რადიოში ძალიან მკაცრი ცენზურა იყო. ჩვენ სრულ უმეცრებაში ვცხოვრობდით. არ ვიცოდით, რეალურად რა ხდებოდა პერუში. ერთადერთი, რაც ვიცოდით, იყო ის,

რომ გაზეთებსა და რადიოში ცრუობდნენ და ჩვენ სიცრუეში ვცხოვრობდით. ათასნაირი ჭორი ვრცელდებოდა და არავინ იცოდა ტყუილ-მართალი. ეს საზოგადოებაში ძალიან დიდ დაუცველობის განცდას აჩენდა. ხალხმა არ იცოდა, თუ რა ხდებოდა რეალურად მათ ქვეყანაში. მე სან მარკოს უნივერსიტეტში ჩავაბარე. ის პოპულარული უნივერსიტეტი იყო, ძალიან მუამბოხე. ყოველთვის სისტემურ ოპოზიციას უწევდა ოდრიას დიქტატურას. ჩვენი ბევრი მეგობარი დაპატიმრებული იყო, ზოგი -გადასახლებული. ბევრი მასწავლებელიც გადასახლებაში იმყოფებოდა. პოლიტიკა არ არსებობდა. პოლიტიკა მთელ ქვეყანაში აკრძალული იყო. მხოლოდ ორი იატაკქვეშა პარტია არსებობდა, ერთი მათგანი იყო აპრა – ცენტრისტულ-მემარცხენე პარტია, ხოლო მეორე კომუნისტური პარტია გახლდათ. ძალიან პატარა პარტია იყო. უნივერსიტეტის პირველ კურსზე, ერთი წლის განმავლობაში, ამ პარტიის წევრი ვიყავი.

***– ამ წიგნს თხრობის ძალიან რთული სტრუქტურა აქვს. ერთმანეთშია გადახლართული სხვადასხვა თვალთახედვა, დროის განსხვავებული ხედები, ჯვარედინი დიალოგები...***

– მე ყოველთვის ვამბობ, რომ მთელი ქალარა ამ წიგნმა გამიჩინა. სამი წელი ვიმუშავე, ძალიან ბევრი... მხოლოდ მკითხველებისთვის კი არა, ჩემთვისაც ძალიან ძნელი იყო ამ წიგნის დაწერა.

***– და მთარგმნელებისთვისაც... დიდი თავის ტკივილი იყო.***

– თქვენ რამდენი ხანი მუშაობდით?

***– წელიწად-ნახევარი, მაგრამ ძალიან ინტენსიური სამუშაო იყო, დღე და ღამე... მაგრამ კმაყოფილი ვარ. ეს ისეთი წიგნია, რომელშიც უნდა შეხვიდე და შემდეგ თავად წაგიღებს.***

– ეს წიგნი დიქტატურაზეა. იმ წლებზე... მოვლენების აღწერას ცდილობს ყველა სოციალური კუთხიდან: წარმატებული, მდიდარი პერუელი საზოგადოება, საშუალო ფენა და ასევე ძალიან მოკრძალებული ადამიანები ქალაქებიდან და სოფლებიდან... ეს წიგნი აღწერს, თუ როგორი იყო ოდრიას დიქტატურა პერუს თითოეული სოციალური ფენისათვის.

***– მაგრამ როგორ იწერება რომანი? თქვენ როგორ წერთ? ჯერ იდეაა? ცალკეულ ეპიზოდებს წერთ თუ თავიდანვე იცით, როგორ ააწყობთ ტექსტს?***

– ამ რომანზე რამდენიმე წელი ვმუშაობდი, დიახ, საერთო ჯამში, სამი წელი. პირველ წელს არ ვიცოდი, რა მოხდებოდა რომანში. დავწერე ეპიზოდები სხვადასხვა პერსონაჟების, სოციალური წრეებისა და პერუს სხვადასხვა ქალაქების შესახებ. მაგრამ ჩემი დიდი პრობლემა ის იყო, რომ არ ვიცოდი, როგორ გამეერთიანებინა ეს ეპიზოდები ერთი სტრუქტურის ქვეშ ისე, რომ თითოეული მთელის ნაწილი გამხდარიყო. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამიჩნდა აზრი, რომ რომანის ჩონჩხი, მთავარი იდეა, ორი გმირის საუბარი უნდა ყოფილიყო. დიალოგი ორ პერსონაჟს, ახალგაზრდა ჟურნალისტსა და მამამისის მძღოლს შორის. მამა წარმატებული ბიზნესმენი იყო, რომელმაც ძალიან ისარგებლა ოდრიას დიქტატურით. მოგვიანებით სხვა ამბებიც ირკვევა. მას თავისი ბნელი მხარე ჰქონდა, ფარული ჰომოსექსუალური ურთიერთობა აკავშირებდა თავის მძღოლთან. ამ აზრის დაბადებამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა. მივხვდი, რომ ეს საუბარი სხვადასხვა ეპიზოდების გამაერთიანებელი წერტილი უნდა გამხდარიყო. ეს ეპიზოდები უნდა გაერთიანებულიყო, რადგან ან საერთო პერსონაჟები ჰყავდათ, ან გარკვეული მოვლენები ერთმანეთთან აკავშირებდათ. იქიდან მოყოლებული, ამბავი გაცილებით უფრო მთლიანი გახდა. მაგრამ იდეის აღმოსაჩენად ერთი წელი დამჭირდა. კათედრალი კი ნამდვილი კათედრალი არაა, კაფეა, რომელსაც კათედრალი ჰქვია...

***– არის ერთი წიგნი, რომელიც საქართველოში განსაკუთრებული ინტერესით წაიკითხეს. შესაძლოა, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია კომუნისტური რეჟიმის ხსოვნა. სტალინის მიერ ჩადენილი სასტიკი დანაშაულებანი. ის ზიანი, რომელიც საბჭოთა რეჟიმმა მიაყენა ქვეყანას, რომელმაც ძალიან ბევრი იბრძოლა თავისუფლებისათვის. „ვაცის ნადიმზე" გესაუბრებით. რატომ აირჩიეთ ტრუხილიო?***

– 1974-75 წლებში დომინიკის რესპუბლიკაში დოკუმენტური ფილმის გადასაღებად ვიმოგზაურე. ფილმი საფრანგეთის რადიო-ტელევიზიის მხარდაჭერით მზადდებოდა. იქ რამდენიმე კვირა გავატარე. გამაოცა იმ ფაქტმა, რომ ტრუხილიოს გარდაცვალებიდან 13 წლის შემდეგ, ხალხს აღარ ეშინოდა და გულახდილად ლაპარაკობდა. საუბრობდნენ როგორც ტრუხილიოს მოწინააღმდეგეები, კრიტიკოსები, რომლებიც დაზარალდნენ ან ციხეში მოხვდნენ დიქტატურის დროს, ასევე მისი მომხრეები. ჯერ კიდევ იყო მისი მომხრეების პატარა ჯგუფი. მე მართლა შემზარა მოსმენილმა. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება იმან მიიპყრო, ხალხი რა ჩვეულებრივად ჰყვებოდა, რომ ტრუხილიოს, რომელიც წელიწადში ერთხელ რეგიონებში მოგზაურობდა, გლეხები საკუთარ ქალიშვილებს ჩუქნიდნენ. იცოდნენ, რომ ტრუხილიოს ქალები ძალიან უყვარდა და ქალიშვილებს ჩუქნიდნენ. ძირითადად, მოზარდები, პატარა გოგონები იყვნენ. ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ ეს ტიპური ლათინოამერიკული გაზვიადება იყო და სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ბედმა გამიღიმა და დომინიკის რესპუბლიკაში ტრუხილიოს სამხედრო თანაშემწე გავიცანი. კალილ აშე ერქვა. სიმპათიური ტიპი იყო. ანეკდოტებს ჰყვებოდა. ძალიან მხიარული კაცი იყო. მას ვკითხე: მართალია, რასაც გლეხები ჰყვებიან, რომ ისინი ტრუხილიოს ქალიშვილებს ჩუქნიდნენ? რასაკვირველია მართალია – მიპასუხა. ქალიშვილებს ჩუქნიდნენ და ეს მისთვის ნამდვილი პრობლემა იყო, რადგან არ იცოდა, რა ექნა ამ გოგოებისთვის. არ უნდოდა გლეხების წყენინება. ზოგჯერ მათ სამხედრო-

ბზე აქორწინებდა. ზოგჯერ კი ვერ ხვდებოდა, მათთვის რა მოეხერხებინა. ვფიქრობ, ამ რომანის იდეაზე მაშინ დავიწყე ფიქრი. როგორ მივიდა დიქტატურა ასეთ უკიდურეს კორუფციამდე, როგორ გარყვნა ქვეყანა ასე, რომ გლეხები დიქტატორს საკუთარ ქალიშვილებს ჩუქნიდნენ. როგორი სიმდაბლეა. რა შემზარავი ამბავია. მე ამ რომანზეც ძალიან ბევრი ვიმუშავე და აღმოვაჩინე, რომ ტრუხილიოს დიქტატურა ერთ-ერთი ყველაზე ბრუტალური და დაუნდობელი დიქტატურა იყო ლათინურ ამერიკაში იმ საშინელ წლებში, როდესაც ბევრი სხვა დიქტატურაც არსებობდა. განსაკუთრებით იმიტომ, რომ სისასტიკისა და კორუმპირებულობის გარდა, ტრუხილიო ნამდვილი მასხარა იყო. სპექტაკლები მოსწონდა. დიდ თეატრალურ წარმოდგენებს მართავდა. სარგებლობდა იმ ძალაუფლებით, რომელიც დომინიკელ ხალხზე ჰქონდა. წარმოიდგინეთ რაღაც ისეთი გროტესკული, მაგალითად, როგორიც იყო თავისი შვილის, რამფისისთვის, თერთმეტი წლის ასაკში, გენერლის წოდების მინიჭება საჯარო ღონისძიებაზე, სამხედრო აღლუმზე, კოსტიუმებში გამოწყობილი ელჩების თანდასწრებით. ნამდვილი მასხარა იყო. მოსწონდა ცირკი, ტაკიმასხარაობა, თეატრი. ტრუხილიოს დიქტატურას, სისასტიკის გარდა, სწორედ ეს ტაკიმასხარაობა, ცირკი, გროტესკი და სასაცილო საჯარო წარმოდგენები ახასიათებდა. ვფიქრობ, დომინიკელი ხალხი ძალიან დაიტანჯა ამ 31-წლიანი დიქტატურის განმავლობაში. სრულიად შეუბრალებელი რეჟიმი იყო. ვფიქრობ, არცერთ ქვეყანაში არ ყოფილა ამდენი ხნით ასეთი ულმობელი დიქტატურა, განსაკუთრებით, ასეთი სამასხარაო, საცირკო.

***– 2012 წელს, კარლოს ფუენტესის პრემიით დაჯილდოებისას თქვენ ბრძანეთ, რომ ლათინოამერიკული ბუმის უკანასკნელი მოქმედი მწერალი ხართ.***

– დიახ, ასე იყო.

***– ვიცი, რომ არ მოგწონთ ტერმინი „ლათინოამერიკული ბუმი".***

– დიახ, იმიტომ, რომ „ბუმად" ძალიან განსხვავებული თაობის მწერლებს მიიჩნევდნენ: მათ შორის იყო, მაგალითად, კორტასარი, რომელიც ჩვენზე გაცილებით უფროსი იყო. კარლოს ფუენტესი, გარსია მარკესიც, ისიც უფროსი იყო. მე უმცროსი ვიყავი, მაგრამ მათ შორის მასახელებდნენ და აი, ნახეთ, რა სევდიანი ამბავია, ყველა გარდაიცვალა, მხოლოდ მე დავრჩი ცოცხალი და დიდი ხანია, ახალგაზრდა აღარ ვარ.

***– თქვენ ყოველთვის მჭიდროდ იყავით დაკავშირებული პოლიტიკასთან. აქტიურობა ახალგაზრდობიდან, სან მარკოს უნივერსიტეტიდან დაიწყეთ, კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანდით...***

– მხოლოდ ერთი წლით...

***– დიახ, ერთი წლით... შემდეგ ლიბერალიზმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამცველი გახდით. თქვენს წიგნში „ტომის ძახილი" ამის შესახებ გვიამბობთ. როგორ აღწერდით ამ ტრანსფორმაციას?***

– ეს ცოტა ავტობიოგრაფიული წიგნია, თუმცა ის უფრო იდეებზეა, ვიდრე ამბებზე. ჩემი პოლიტიკური ავტობიოგრაფიაა. როგორ მივედი მემარცხენე პოზიციებიდან დემოკრატიულ მოთხოვნებამდე, როგორ აღმოვაჩინე პოლიტიკური მრავალფეროვნების მნიშვნელობა საზოგადოებაში და შემდეგ ლიბერალიზმი – დემოკრატიის დიდი ძრავა. ლიბერალიზმმა შეავსო დემოკრატია ყველა დიდი რეფორმით, განსაკუთრებით, თავისუფლების ასპექტში, რათა ისეთი საზოგადოება შექმნილიყო, სადაც შესაძლებელია მოწინააღმდეგეთა თანაარსებობა. ჩემი აზრით, დემოკრატიის დიდი უპირატესობა ისაა, რომ ამცირებს ძალადობას, ადამიანები ერთმანეთს აღარ კლავენ განსხვავებული პოლიტიკური ან რელიგიური იდეებისთვის. ვფიქრობ, ესაა ლიბერალიზმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევა და მონაპოვარი. აი, ესაა, რასაც ახლა ვცდილობ – ლიბერალი ვიყო.

***– თქვენი ცხოვრების ამ გზაზე ორი მნიშვნელოვანი ეპიზოდია: კუბის რევოლუციით იმედგაცრუება და 1968 წელს მოსკოვში მოგზაურობა. მინდა გკითხოთ, როგორი იყო თქვენი და, ზოგადად, ევროპელი და ლათინოამერიკელი ინტელექტუალების წარმოდგენა საბჭოთა კავშირზე და როგორი აღმოჩნდა საკუთარი თვალით ნანახი.***

– მე ჩემი წარმოდგენა მქონდა საბჭოთა კავშირზე, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს უკვე ძალიან კრიტიკულად ვიყავი განწყობილი კომუნისტების მიმართ ჩემს ქვეყანაში. იყო ფრანგი პოეტის, პოლ ელუარის ლექსი, რომელიც ჩვენ პერუში ზეპირად ვიცოდით: „გინახავს ქვეყანა, სადაც არ არიან მეძავები, ქურდები და მღვდლები?" ჰოდა, მე ველოდი იმ ქვეყნის ნახვას, სადაც არ იყვნენ არც მეძავები, არც ქურდები და არც მღვდლები. ძალიან ნაღვლიანი ქვეყანა დამხვდა. მოსკოვის ქუჩებში ლოთებს ეძინათ. არავინ იყო აღფრთოვანებული იმით, რაც ხდებოდა. ბევრი მწერალი გავიცანი. ისინი პოლიტიკაზე არ საუბრობდნენ. მხოლოდ თავის გადარჩენას ცდილობდნენ. მახსოვს, მოგზაურობის ბოლოს ვიფიქრე, ესაა ის ქვეყანა, რომელსაც ვიცავდი?! მე რომ რუსი ვყოფილიყავი, ალბათ გულაგში ან ციხეში მოვხვდებოდი, ან ვიქნებოდი ვიღაც არსება, პიროვნულობისა და საკუთარი ცხოვრების გარეშე. როგორც მახსოვს, მწერლებს ავადმყოფებს ეძახდნენ. მათ არც მწერლის სტატუსი ჰქონდათ, არც სამსახური და არც დახმარება. გაჭირვებაში ცხოვრობდნენ, მხოლოდ თავის გადარჩენას ცდილობდნენ. ვფიქრობ, ეს მოგზაურობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო დემოკრატიისა და ლიბერალიზმისაკენ ეტაპობრივი სვლის გზაზე. მაშინ აღმოვაჩინე, რომ ყველა ქვეყანას შორის, საბჭოთა კავშირი ყველაზე შორს წავიდა ინდივიდზე სრული

სისტემური კონტროლის დასამყარებლად. მან შექმნა ისეთი საზოგადოება, სადაც ცხოვრება ჩემთვის შეუძლებელი იქნებოდა. ეს ფუნდამენტური გამოცდილება იყო.

*– თქვენ ყოველთვის აკრიტიკებდით პოპულიზმს, რელიგიურ ფანატიზმს, რასაც მიუძღვენით კიდეც თქვენი დიდი რომანი „ბოლო ჟამის ომი". ამ ბოლო დროს ძალიან მკაცრად გააკრიტიკეთ ნაციონალიზმი კატალონიაში, ბასკეთში, ასევე ბრექსიტი. შესაძლოა, ამ სიას დავუმატოთ აია სოფიას მეჩეთად ქცევა იმ ქალაქში, რომელიც ცივილიზაციების ჭიპი იყო. მე მინდა გკითხოთ, როგორ უყურებთ ნაციონალიზმის აღმავლობას და რა საფრთხეებს შეიცავს ის, თქვენი აზრით?*

– ძალიან დიდი შეშფოთებით. ნაციონალიზმი ყველაზე საშინელი კატასტროფების წყარო იყო, რაც კი კაცობრიობას გაუვლია. ყოველ შემთხვევაში, ორივე დიდი მსოფლიო ომის მიზეზი სწორედ ნაციონალიზმი იყო. ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელმაც 30-40 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, განვიკურნეთ ნაციონალიზმისგან, მაგრამ არა. დიდი მწუხარებით შევყურებთ, რომ ნაციონალიზმი ცოცხალია, კვლავ აღდგა ევროპაში და არა მხოლოდ ევროპაში, ლათინურ ამერიკაში და აფრიკაშიც. ეს არაა მხოლოდ იდეოლოგია. უფრო მეტია, ვიდრე იდეოლოგია, ეა ლაიცისტური რელიგიაა. ფანატიკოსებისა და შეუწყნარებლების რელიგია, რომლებიც იმას კი არ ცდილობენ, მოწინააღმდეგეები დაარწმუნონ, არამედ გაანადგურონ, მოკლან. აქ, ესპანეთში, ნაციონალიზმმა გამანადგურებელი ზიანი მიაყენა ქვეყანას, მაგალითად, ETA ბასკეთში... იცით, მე ბარსელონაში ხუთი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი. ბარსელონა ესპანეთის კულტურული დედაქალაქი იყო. იქ მწერლები იმიტომ ჩადიოდნენ, რომ თავი ევროპელებად ეგრძნოთ. და, ნახეთ, რას დაამსგავსეს ნაციონალისტებმა ბარსელონა. ძალიან დიდ სევდას მგვრის იმის დანახვა, რომ ესპანეთის კულტურული დედაქალაქი პროვინციულ ქალაქად იქცა, სადაც მხოლოდ საკუთარ ჭიპს დაჰყურებენ, სადაც კატალანელებს, რომლებიც ესპანურ ენაზე წერენ, ავიწროებენ და ამცირებენ. მტრობენ იმათ, ვინც კატალანურად არ საუბრობს, არადა, ჩემი აზრით, ეს მოსახლეობის უმრავლესობაა. ვფიქრობ, ეს დიდი საფრთხეა ევროპის აღმშენებლობისათვის და სისტემატიური ბრძოლაა საჭირო. ნაციონალიზმი შეუთავსებელია დემოკრატიასთან. ნაციონალიზმი არატოლერანტულია. ნაციონალიზმი რელიგიაა, რომელიც შუა საუკუნეების რელიგიასავით ცდილობს, თავს ძალით მოგვახვიოს თავისი შეხედულებები. ესპანეთის შემთხვევაში ეს ძალიან თვალსაჩინოა. მისი არაორდინარული განვითარება, დემოკრატიზაცია, კეთილდღეობა შეწყდა ნაციონალიზმის აღმავლობით. ეს ტალღა ძალიან ძლიერია არა მხოლოდ კატალონიასა და ბასკეთში, არამედ სხვა რეგიონებშიც.

*– დღეს ავტორიტარული რეჟიმები გარკვეული ფორმალობების დაცვას ცდილობენ. ეძებენ ლეგიტიმაციას, ხალხის აღიარებას. თქვენ ბრძანეთ, რომ პოლიტკორექტულობა თავისუფლების მტერია. ამ კონტექსტში მინდა დაგისვათ კითხვა, რომელიც შესაძლოა, პოლიტიკურად არაკორექტული იყოს. განა არაკორექტულია იმ საზოგადოების პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი, რომელიც ირჩევს (ხანდახან დემოკრატიულად) და ძალაუფლების სადავეებს გადასცემს დიქტატორებს, ოლიგარქებს და პოპულისტებს? რა პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოებას ისტორიის წინაშე? არსებობს კი ეს პასუხისმგებლობა?*

– ცხადია, არსებობს. დემოკრატია ნიშნავს, რომ ამ საზოგადოებაში არსებობს თავისუფალი არჩევნები, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ხალხი ყოველთვის სწორ არჩევანს გააკეთებს. ხალხმა შეიძლება ძალიან ცუდი არჩევანი გააკეთოს. ჰიტლერი არჩევნებით მოვიდა ხელისუფლებაში. მართალია, გერმანელების მხოლოდ 30%-მა მისცა ხმა, მაგრამ ამ 30% მა მოიყვანა ჰიტლერი ხელისუფლებაში. მუსოლინიც, კიდევ ერთი საშინელი დიქტატორი, ასევე თავისუფალი არჩევნების გზით მოვიდა ხელისუფლებაში. დიახ, დიქტატორები ხშირად სწორედ არჩევნების გზით მოდიან და როგორც კი ძალაუფლებას ჩაიგდებენ ხელში, თავისუფლება ქრება. ისიც მართალია, რომ ხალხი ხშირად ცდება. მე, როგორც ლათინოამერიკელმა, კარგად ვიცი, რომ ხალხი ზოგჯერ ძალიან ცდება. მაგრამ მაინც უცნაურად მეჩვენება, რომ ევროპაში, სადაც ამდენი ტრაგედია დატრიალდა ნაციონალიზის გამო, ჯერ კიდევ არიან ნაციონალისტები. თუმცა, ჯერ უმცირესობის მოძრაობაა და არსად გადაქცეულა მასობრივ, დიდი უმრავლესობის მოძრაობად. მათ შორის, არც უნგრეთსა და პოლონეთში, სადაც დიქტატურად გადაქცევის უფრო დიდი საფრთხეა. ვფიქრობ, არ არსებობს უმრავლესობა, რომელიც დიქტატურის მომხრეა. მაგრამ არსებობს საშიშროება და ამის აღსაკვეთად აქტიური ბრძოლაა საჭირო.

*– ჩვენი დრო იწურება, მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ თქვენი წიგნის, „წარმოდგენის ცივილიზაცია", შესახებ. ამ წიგნში თქვენ წუხილს გამოხატავთ კულტურის გაღარიბებისა და ფრივოლურობის შესახებ. მინდოდა მეკითხა, რამ გამოიწვია ეს ბანალურობა?*

– ვფიქრობ, ეს არსებითად, ვიზუალური ტექნიკის არაორდინალურმა განვითარებამ განაპირობა. კინოსა და ტელევიზიის განვითარებამ... ტელევიზია ყოველ ჯერზე უფრო სრულყოფილია და... კულტურა ამ ტრანსფორმაციის მსხვერპლი გახდა. ჩემი აზრით, დღეს გამოსახულება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იდეები. დიდწილად ეს ეკრანის არაორდინალური განვითარების დამსახურებაა იმ სამყაროში, სადაც კითხვა სულ უფრო და უფრო კარგავს თავის მნიშვნელობას – განსაკუთრებით, ახალგაზრდებს შორის. ვისთვისაც მობილური ტელეფონი და ეკრანი გაცილებით

უფრო მიმზიდველია, ვიდრე წიგნი. ვფიქრობ, ეს თავისუფლებისთვის ძალიან დიდ საფრთხეს შეიცავს, რადგან წიგნები მხოლოდ კითხვას არ ნიშნავს. თუ ლიტერატურა ისაა, რისიც მე მჯერა – საზოგადოების კრიტიკული აზრის მანიფესტაცია – ეს კრიტიკული ელემენტი ეკრანზე ქრება. ეკრანი მხოლოდ სახალისო და გასართობ საშუალებად იქცევა. ხანდახან ძალიან სახალისოც არის. აი, სერიალები, მაგალითად. ძალიან თავშესაქცევია და მეც ვუყურებ ხოლმე. მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მაგრამ, ჩემი აზრით, კრიტიკული ელემენტი მათში სრულიად გამქრალია და ყველაფერი წარმოდგენად, გართობად იქცევა. ჩემი აზრით, იმ საზოგადოებით მანიპულაცია, რომელიც მხოლოდ ამ ტიპის წარმოდგენებით საზრდოობს, უფრო ადვილია ამა ქვეყნის ძლიერთა – მთავრობების, კომპანიებისა თუ პოლიტიკური პარტიების – მიერ, ვიდრე მკითხველთა საზოგადოებისა, რომელიც კრიტიკული სულისკვეთებითაა განმსჭვალული. ჩემი აზრით, გამოსახულებას არ უნდა ვებრძოლოთ და არც შევზღუდოთ. მაგრამ კითხვის ჩვევა უნდა განვამტკიცოთ მოქალაქეებში, რათა კრიტიკული სული არ გაქრეს. კრიტიკული სული თუ გაქრა, დემოკრატიაც გაქრება, თუნდაც კვლავ არსებობდეს ფორმალურად და მოჩვენებითად. თუ ის კრიტიკა გაქრა, რაც მთავრობების განახლებასა და ცვლილებას განაპირობებს, დემოკრატიაც გაქრება და რაღაც ფორმით, ირიბად, დიქტატურები მოიპოვებენ უპირატესობას.

***– და ბოლოს: შევხვდებით საქართველოში?***

– ეს კორონავირუსზე იქნება დამოკიდებული. ყველანი კორონაზე ვართ დამოკიდებულნი. ვიმედოვნებ, კორონავირუსი შემცირდება და შევძლებ საქართველოში მოგზაურობას, სადაც, თქვენით თუ განვსჯით, ნამდვილად უნდა მყავდეს რამდენიმე მკითხველი.

***– ძალიან ბევრი მკითხველი გყავთ და ძალიან დიდ პატივს გცემენ. მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო ეს პატივისცემა, ინტერესი და სურვილი...***

– მეც ძალიან მაინტერესებს და ვნახოთ, წელს კორონავირუსი თუ მომცემს მოგზაურობის საშუალებას. თუ არადა, იმედი მაქვს, მომდევნო წლებში მაინც შევძლებთ ამ ვიზიტის ორგანიზებას. ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი.

***– ულრმესი მადლობა.***

– დიდი მადლობა.

***– ჩემთვისაც ძალიან დიდი სიამოვნება და პატივი იყო, დიდი მადლობა.***



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 2 პოეზია

## ერეკლე დეისაძე

***

ვისი ტანკები დაიკავებს ამ ფართე გამზირს?
ვისი ხელები მოიქნევენ ბოლოჯერ დროშას?

შიში, რომელსაც სკამს ვაცლიდით,
ჯერ ისევ აქ ზის,

სულის შებერვით რომ გვათბობს და
სიცივით გვთოშავს.

როცა კორდონთან შიში ამბობს – „ხელი გამიშვი",
როცა წასული გეგონა და უკან დაბრუნდა,
ნახელკეტარი
        ყველა
            ნეკნი
                არის – კლავიში,
რომელზეც
        რეჟიმს
            სხვა
                მუსიკის
                    დაწერა უნდა.

მაგრამ ნოტები შენს ხელთაა, ამიტომ სხვა ხმით
იმღერე ისე, რომ გაიგოს მთელმა უბანმა,
გაიგონ იმათ,
ვინც დარაჯობს – მარცხნივ ან მარჯვნივ,
გაიგოს ყველა სახიერმა,
თუნდაც უგვანმა,

რომ თუ ახალ ხმას მონდომებით არ უგდე ყური,
რომელსაც ჩემი გაბზარული ხორხი ინახავს,
არ ეღირსება ქვეყანაზე
        არცერთ
            ბავშვს
                პური,

და ცას მეშახტე ვერასოდეს ვერ დაინახავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დედაშვილობა

წერა ყრმობიდან მიყვარდა.
მახსოვს, ეზოში ჩასულს
დედა აივნიდან როგორ მეძახდა:
„ერეკლე, შვილო, გეყოფა თამაში, ამოდი, დაწერე შედევრი და ჩადი ისევ".
რაზეც ჯიუტად ვპასუხობდი:
„კარგი რა, დედა, რა საჭიროა დღეში ამდენი შედევრის დაწერა"
და თამაშს ვაგრძელებდი.

## ძველი სარდაფი

თან ეს ღრუბლებიც ისე ჰგვანან ხანდახან წინდებს,
დაახლოებით ასეთს ქსოვდა ჩემი ბებია,
რომელიც ხშირად უჩიოდა, მახსოვს, ამინდებს,
მის არსებობას რომ მახსენებს, მურაბებია

და მათი სუნი (როგორ მიჭირს წერა ამ სუნზე),
რომელიც თითქოს იწყებოდა ბებოს ჩრდილიდან,
თუკი შევძლებ და ნავიკითხავ რამეს წარსულზე,
გახსნილი ქილის ობმოდებულ ზედაპირიდან,

გამიცოცხლდება გონებაში ძველი დღეები,
ქალი, რომელიც ბავშვობაში სიმინდს მარგლიდა,
და სახლთან მდგარი მოშრიალე ძველი ხეები
სარდაფებიდან გამოტანილ სიზმარს თარგმნიდა.

* * *

ყველა კორპუსი შორიდან ჰგავს დაფჩენილ ხახას,
სადარბაზო რომ
ახლადმოცვლილ
კბილივით
უჩანს.
იქვე ბავშვები თამაშობენ, იმათი ხმები –
ქარის სინქრონში
ერეოდა
ნანვიმარ
ქუჩას.

კაცის სველ შარვლებს თოკზე ფენდა დიასახლისი,
თვალმა
როდესაც
სიუჟეტი
მოისაკლისა.
გაავლო ცაზე თეთრი ზოლი – როგორც სახნისი –
თვითმფრინავმა და
შეიერთა
ჩრდილი
სახლისა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## უშ(ე)ნო

მას შემდეგ, რაც შენ ჩემგან წადი, ორი თვე გადის.
და შუაღამით ეს ჰაერიც ისე მძიმდება,
იხსნება სივრცე და სიღრმიდან ვარსკვლავებს ბარდნის –
ყვავილები
რომ
შეიხორცონ
მწვანე
მინდვრებმა.

ხოლო ჰაერი, რომლის გამოც ცას ვუერთდები,
წვიმად იქცევა და ყვავილებს წვეთებს აპკურებს,
თვალებს ვხუჭავ და ფიქრს რომ ვიწყებ – ისე შევკრთები,
თითქოს
კარებზე
უცაბედად
დააკაკუნეს.

მახსოვს საღამო, როცა შენი ქურთუკი მეცვა,
და ყველა ფიქრის გაგრძელება სურდათ ამ ხელებს,
გათენებამდე შენ შესახებ მანიშნებს ზეცა,
მანქანის
ხმებს რომ
ქუჩა
სიმწრით
ამოახველებს.

მიინევს იქით ჩემი მზერა, როგორც ფრინველი.
შენ შესახებ კი ფიქრმა თითქოს წვერი მოუშვა,
ორი მიზეზის გამო ვხუჭავ თვალებს – პირველი:
იქ, სადაც შენ ხარ,
არ
მინდა,
რომ
სხვა
შემოვუშვა.

არსებობს კიდევ სხვა მიზეზი, შესახებ რომლის,
როცა კვდებიან, მხოლოდ ამის შემდეგ იგებენ,
თვალს თუ მოუნდა, შეუძლია დანახვა ყოვლის,
მათ შორის, რასაც
უმეტყველოდ
აარქივებენ.

გვერდით არ ხარ და ამიტომაც სულ შიგნით გეძებ,
მართლა არ ვიცი, ამ ყველაფერს რითი ვუშველო,
დახმარებაც რომ მოინდომო, ვერაფერს შეძლებ,
სხვა ერეკლე ვარ,
(სხვა ვარ-მეთქი!)
უკვე უშენო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**მხედველობის არე**
(ნაწყვეტები მომავალი პოემიდან)

1.
ხანდახან ისე ახლოს გადაგიფრენს
მერცხალი,

წამოგცდება და იტყვი:

რა საჭიროა,
ასე მიუახლოვდე მას,
ვისაც სიარულიც მობეზრდა
და იძულებულია,
სხვების დასანახად ცოცავდეს.

2.
ადამიანები არ დადიან,
ისინი ცოცავენ,

ცოცვას ვერ თმობენ
ცადაჭრილები
და იგონებენ მიწის ნილბებს,
რომელთაც სახით ასკდებოდნენ
წაბორძიკების და
წაქცევის დიდოსტატები.

სახედაკრულები,
მიწაზე მიწებებულები,
თვალებით მაღლა მომზირალნი ამბობენ
სიტყვებს:

„ხელოვნება"
„ღმერთი"
„გამოტოვება"

3.
ბავშვობაში, სანამ სიარულს ვისწავლიდი,
ტანით იატაკს რომ ვეკროდი და
თვალი ჭერში გამირბოდა,

კედლის კუთხეში
ჩამოხეული შპალერის გვერდით
აიბლანდა ჩემი მზერა
ობობის ქსელში.

ბებიამ ღმერთი რომ ახსენა,
საწოლზე იწვა ნახევრადმცოცავი
და გამოლეული.

მე ვუყურებდი დიდ და შავ წერტილს,
მარცხნივ და ზემოთ.

4.
ადრეც მითქვამს, მაგრამ პირველად ვწერ,

როცა დასასრულზე ვფიქრობ,
მახსენდება გამოტოვებული ადგილები
საფლავებს შორის
ძველი ეკლესიის ეზოში.

სადაც მცოცავები
ხეების ჩრდილში
მერცხლების ენით ავსიტყვაობენ:

ჩვენ შეგვეძლო, უარესადაც გვეცხოვრა,
მაგრამ არ შეგვეძლო,
უკეთესად მოვმკვდარიყავით.

5.
რამდენი რამე შეიძლება გამოტოვოს
თვალმა

როცა ახამხამებ და იქით გრჩება ნახევარი ცხოვრება.
ალბათ იქ სხვანაირად მოიქცეოდი,
სხვანაირად ისწავლიდი სიარულს,

სიყვარულსაც სხვანაირს ახსნიდი
და როცა გასავლელს ამაყად გაივლიდი,
დაიღლებოდი და უკან დაბრუნდებოდი,

არავინ დაგხვდებოდა სახლის კართან
ისეთი მტკიცე და ცოცხალი,
როგორც საყვედურები წინა ცხოვრებიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თიბათვე

მოსაყოლის მეტი რა არის,
შენ ის თქვი,
საქმეს რამდენად გაართმევ თავს.
აბა, მე ქალი ვარ?!
კიბეს როგორ უნდა მივათრევდე
ბლის ხესთან,
როცა წლების წინ კატასავით წუთში კენწეროზე მოვექცეოდი.
ჰეი, ირა!
არც ისე ცოტა გამოდგა შენი ოცდათხუთმეტი წელი,
ოცდათხუთმეტი ნაბიჯიც
კი არ გადაგიდგამს ტირილის გარეშე.
რა გატირებდა?
ყველაფერი რომ გაქვს და
მაინც გამოფშენილ ტაროსავით ხარ,
აი, ვინმესთვის ძველი მესერივით შესაღები რომ ხარ,
ან გაფცქვნილი კვერცხივით სრიალა.
ვერ გამოვდექი ექთნად, ვერ ვუმკურნალე თავს.
არ იყო ჩემი საქმე წამლებით სირბილი.

თიბათვეა, გავხედავ ეზოს,
ფოთოლიც არ გდია,
არც მზე მწვავს, როგორც უწინ.
ზედა სართულიდან ჩამოცვენილა ფერადი სარჭები.
არცერთს პატრონი არ ჰყავს.
ლუკმის მომლოდინე,
ქეცისაგან გაქუცული თხელი ძაღლი მიმზერს,
ოღონდ გადარჩეს და პურსაც არ შეგიჭამს.
მარტო მე ვამჩნევ დედამიწის უსუსურობას?!
დილით თუ პირი გიღიმის,
საღამოს ჩიავდები, ეს დღეც გამოგონილია.
მცირე წარსულზეც ატირდები.
განა ჭიდან წყლიან სათლს გარახუნების გარეშე ამოიტან?

შეხედე, ჩემო სისხლო,
ასე გამაღლებით რომ ადიხარ და ჩადიხარ
თავსა და ტერფებს შორის!
შენში ჩახარშული ყველა ნერვი უვარგისია,
ჩავალ ხიდან ასე მოცახცახე,
ჩემი დასაღუპი პალოც მოჭრილია.
ღმერთს მხოლოდ ერთ რამეში ვადანაშაულებ:
რად არ გამაჩინა კაცად?
იქნებ მეტად გამძლე ვყოფილიყავი.
ხე ნუ გამიხმება და ამასაც გავუძლებ,
აჰა, მიირთვით ბალი,
დასვრილი ხელებით, მაგრამ სუფთა გულით ნაბოძები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გახედე, ირა, ღმერთი მოსულა!

გახედე, ირა,
ღმერთი მოსულა!
ჰკითხე ერთი,
რა ვირუსზე ლაყბობს ეს ქვეყანა,
განა ქალზე მეტი ვირუსი რა შეუქმნია?!
ადე, დაარხიე ტანი,
ნუთუ არ მოგბეზრდა ფანჯრიდან თვალებით ხეტიალი?!
წუხელ შენი კოფთა, ქართან ერთად გაქცეული, სარზე წამოცმულა,
ზედ ჩიტსაც დაუსკინტლავს,
წვიმასაც გაულუმპავს, ას თვალსაც გაუხვრიტავს,
შენ კი შინ წევხარ,
თითქოს დღის სინათლეს დაუთარსო,
რას მოგიტანს ღამის ფერი,
ფოიერვერკი ხომ არ ხარ,
უცებ აფეთქდე და ჩაიწვა?!

გახედე, ღმერთი მოსულა,
უამბე შენს ვარდივით ჩაშლილ წარსულზე,
ჩანდარინივით გაფცქვნილ დღეებზე,
რომ არ იყო შენი საქმე
მტევანივით მოსაჭ(ყლე)ტი კაცები.
შენ უკეთ იცი, ვინ უნდა ძახილა.
წ(ყლის) წყურვილს ქალი როდის მოუკლავს?!
და მაინც, შენი სახე, სავსე მწველი ენებით,
ქმნივით რომ გითავდება,
რომ სკდება ხმები კედლის გაღმა,
თითქოს ითხოვდე განწირულ შველას...
რა დარდი აღევს შენს აწმყოს ზილიკს,
ვინ გაგაკვირვებს თავისუფლებით,
რა უნდა შენთან თოკსა და პალოს?!

რა მარტივია, გასძახებ ლექსებს,
ჯერ არდაწერილს,
მოდიან და, დაუკითხავად,
ხელებივით გეფათურებიან კაბაზე, მუხლისთავებზე, შემდეგ...
რა მარტივია, თავიც მოიკლა,
თუკი ნამდვილი ხარ,
არც თავს უნდა მოაკლო რაიმე,
უქენი, რაც გინდა, სხვის მხრებს როდი ამძიმებს.

გახედე, ირა,
როგორ მოადგა ხეებს სიშიშვლის სირცხვილი,
შემოდგომისა ხარ, ნოემბრისა ხარ,
ღვინო ხარ მთხლეზე ბევრად გარყვნილიც...
ოცდათექვსმეტი შეგისრულდება,
ოცდათექვსმეტის იყო ის ბიჭიც,
შენზე ფაქიზი და ასე წმინდა:

„შემოდგომა ახლოვდება, ირა,
შემოდგომა სიზმარივით მოდის."

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მე რომ ვენახი ვიყავი

მე რომ ვენახი ვიყავი,
იმის თქმაც შემეძლო,
ვინ მომისრევდა გამეტებით სველ ბურთულებს...
ყველა გოდორს ჩავძახე:
– თქვე ჩემანალებო, პირღიებო, გაბღენძილებო,
ზურგით ნათრევებო, სად მიმარბენინებთ,
ვის ჩასაწიხლად მიმეტებთ, ვისი პირია სათრობად?!

დანაყრებამდე მშივრებზე ფიქრი უფრო მძიმეა,
ვიდრე – სავსე კუჭისას.
სადილს ისე როგორ ამოათავებ,
ლუკმა არ ჩაუტოვო თეფშის სიღრმეს,
ჭიქა არ ნაუქციო შენს მკვდრებს,
ყოველ მოქმედებაში ჭირისუფალი ხარ.

სულ იმას ვქადაგებდი,
ცხვარი რა ღმერთის საკადრისია-მეთქი,
მგელს თუ გადაურჩა,
აილე და მიეცი ჩაქაფულს,
მის გამომშრალ მატყლზეც იგორავე,
თითქოს ფქვილში ამოსვრილი ლორჯო იყო,
ბოლო ამოსუნთქვას რომ ტაფას მიაკრავს...

ზოგჯერ ხმელი ტოტიც გენანება ცულის დასარტყმელად,
მერე რა, რომ აღარ იფოთლება, ნაყოფით პირს არ გიავსებს,
ყოველ მოქმედებაში ჭირისუფალი ხარ.

ვინ მიშლიდა, ავყოლოდი სიმღერას, კიბეს, მთის აღმართს,
ცუდ ხმასაც ავყოლოდი?!
კაცის აყოლამ რა მომიტანა?! –
გულში ჩაყოლა, სხეულზე ჩაყოლა,
შემდეგ – შვილის ყოლა,
და მაინც, დიდი არაფერი ყოფილა თურმე ქალი
ამ აყოლა-ჩაყოლაში.
ვინც ბაზარს ყელი მისცა, ყველა ცხონდა,
მე კი კაცის დასაბმელადაც არ გამომადგა.

## სალამო

ცალკე პოეზიაა,
სალამოს, შინ დაბრუნებული მამაჩემი
რომ შემოჰყოფს თავს ჩემს საძინებელში
და პირველს მე მეკითხება:
„– რამე გინდა?! ყავა და სიგარეტი გაქვს?!"
თუ ხედავს, რომ ვწერ და არ ვპასუხობ,
და იცის, რომ ამ დროს არც ვუპასუხებ,
უხმაუროდ მტოვებს და ეძებს დედაჩემს,
რომ ჰკითხოს, რა გვინდა მე და ჩემს შვილებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედაჩემი აუცილებლად მოიმარჯვებს
კალამს და ფურცელს და იმას ჩამოწერს,
რაც თავად უფრო აწირდება.
გადის გარეთ მაღაზიში.
და ვწერ წერილს 18:30 წუთზე:
„– სიგარეტი აღარ მქონია!"
მერიდება, პირდაპირ ვუთხრა,
წერილში უფრო თამამი ვარ.
მისი პასუხი სულ აგვიანებს
და ვკითხულობ 19:05 წუთზე:
არ ჰქონდა ახლო მაღაზიას და ქალაქის ბოლოში გიყიდეო!
მეც, კმაყოფილს, მეღიმება ამ ჩემს მუქთახორობაზე
და ვეუბნები თავს, რომ ეს კაცი ჩემზე ადრე არ უნდა გარდაიცვალოს.
ბოლო ერთი თვეა, ღამის საათებში,
ფეხით ვსეირნობ ცარიელ ქალაქში,
ადამიანს ვერ იპოვი, რომ მიესალმო.
ხანდახან თუ გადავაწყდები ოთარ მუმლაძეს,
რომელსაც ვარინკა წერეთლის სახელობის სკვერში,
გრძელ სკამზე, მუდამ გაშლილი აქვს
მოკრძალებული სუფრა და სიმარტოვეში ელილინება
ერთჯერად ჭიქაში მოკანკალე არაყს.
მეც არ ვთაკილობ, ჩამოვუჯდები ხოლმე და ათას კითხვას ვუსვამ.
ხან პურის შევმატებ მის ღარიბულ სუფრას,
ხან შოკოლადს, ბანაც ხურდას და
იმდენი უბრალოება იღვრება ირგვლივ:
ცრემლებს ვერ ვიკავებ.
სულ ერთსა და იმავე კითხვას მისვამს:
რატომ მიშვებს ქმარი ასე გვიან მარტოს.
არადა, ბევრჯერ ვუპასუხე, რომ ქმარი არა მყავს.
მერე ჩუმდება და დანანებით
თავს და მარჯვენა დახეულ ბათინკს ერთდროულად აქიცინებს.
მეც უხმაუროდ ვტოვებ და, რკინიგზის მხარეს,
ქვის ჯებირებს მივუყვები,
ზედ ამოსულ ამბროზიებს ვწიწკნი,
შემდეგ ჩემზე შეყვარებულ კაცს ვურეკავ
და ვუსხნი: უნდა თუ არ უნდა,
მაინც უნდა ვუყვარდე ასეთი არეული.
ვაგრძელებ გზას და ერთი,
რაზეც მეფიქრება:
აბესაძის მემორიალთან
ის ორი ცინდალი არ დამხვდეს,
რომლებმაც კარგად დამიმახსოვრეს
და ხელებში მაშტერდებიან, რას ვუწილადებ.
საძილამდეც მაცილებენ კნავილით და,
მერე სად ვიკარგებით, ვეღარ ვარკვევ.
შინ შესულს მხოლოდ ერთი ხმა მესმის:
„– მოხვედი, დედა?!"
იმ ხმასაც უპასუხოდ ვტოვებ და
კოლოფში შემორჩენილ სიგარეტის ბოლო ღერს ვუკიდებ
იმ იმედით, რომ დავლაგდები.

*ბექა ახალაია*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**მეგრული მორიელი**

*(Euscorpius mingrelicus)*

აჰა, ნელთბილი შემოდგომა და, აჰა, ნელთბილი
დღეები, მე რომ მიყვარს. ყოველთვის მინგამოკეტილს
სახლიდან ხშირად გასვლას მანდომებს და გამოვედი,
ბევრი ვიარე ფეხით, იმ ქუჩებს და იმ ადგილებს
ჩამოვუარე, საყოველთაო კარანტინმა და
ცხელმა ზაფხულმა რომ მომანატრა, ისევ გაჩენილ
სმოგში, ნომავლის, სიცოცხლისა და ღმერთის იმედით,
იდგა ქალაქი, დილის ქალაქი. აჰა, საჩემო
დღეები, ჟინჟლი. „– ერთი კაციც და, აბა, გავედით!" –
სიკვდილ-სიცოცხლის სადგურზე ყვირის COVID-19.

ლურჯ ავტობუსში ვზივარ ჩემთვის და ვათვალიერებ
სახელურებზე ჩამოკიდებულ მოქალაქეებს,
ეხ, როდის გაქრა, ანდა სად გაქრა ჩვენი ნაქები
სამოქალაქო თვითშეგნება?! ბევრ... (გვარყევს ძლიერად –
აქ გზას აგებენ. მტვერი.) ბევრ მათგანს მხოლოდ პირი აქვს
აკრული, თუმცა, უმეტესობას სხვადასხვა ფერის
პირბადის ზემოთ მხოლოდ თვალები უჩანს. ხშირია
რესპირატორიც. ამდენ ნიღაბში კარგს და აფერისტს,
ბოზს და ანგელოზს ველარ გაარჩევ. ძნელზე ძნელია,
მე კი არ მიჭირს, რადგან მეგრული მორიელი ვარ.

სალარო-ყუთთან დაყუდებული კონტროლიორი
ადრე ბილეთის ქონა-არქონას აკონტროლებდა,
მისი წყალობით სხვადასხვა ზომის ფული (მონეტა)
ჭრილში ცვიოდა ჩხრიალ-ჩხრიალით, განა იოლი
გახლდათ, მის თვალებს გამოპარვოდით, მაგრამ, ამჯერად,
მთავარია, რომ მრავლისგანმცდელი შენი პირბადე
სწორად გეკეთოს, ხოლო ბილეთს კი მოვუტყ. გამჩენი,
სულ ნუ ბილებ, ისე მგზავრობას თუკი იკადრებ,
ვინ გეტყვის რამეს?!" – ერთი კაციც და, აბა, გავედით!" –
სიკვდილ-სიცოცხლის სადგურზე ყვირის COVID-19.

მაგრამ ავტობუსს, ამ ჩვენს ავტობუსს, ზემოთ აღნიშნულ
სადგურზე, აბა, რა ესაქმება, ჩვენი მარშრუტის
ბოლო პუნქტია სამგორის მეტრო. „– FM 105
და 9. გვისმინეთ!" – დინამიკიდან ისმის. ვაკეში
(ჭავჭავაძეზე), განახლების თუ გარალაცების
შემდეგ, პირველად გამოვიარე. გრძელი საცობი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბატონო მერო! კაცებიცა და არაკაცებიც
შენთვის ტკბილ სიტყვებს არ იშურებენ, ყველა გაძაგებს
(რბილად რომ ვთქვა). უმადურები. საკვირველია!
თუმცა, მე გლოცავ, მე ხომ მეგრული მორიელი ვარ.

ფორიცა, ბატონო მერო, ახალი მწვერვალებისკენ!
ყურს ნუ დაუგდებ პირბადეებით დახშულ გინებებს,
ესენი როცა სახლში წავლენ და დაიძინებენ,
შენ დგები ღამის ეკონომიკის (ვაშა! ველირსეთ!)
სადარაჯოზე. ძვირადღირებულ ნაგვის ურნასთან
დგას უსახლკარო და ფსამს გემოზე, საყოველთაო
მხიარულებას იწვევს მგზავრებში. ნაზ და უნაზეს
ქალბატონებსაც კი ეღიმებათ, ერთი შემთვრალი
კაცი ყველაზე მეტად იცინის. „– აბა, გავედით!" –
სიკვდილ-სიცოცხლის სადგურზე ყვირის COVID-19.

მხოლოდ თვალებით იცინიან და იღიმებიან,
ტუჩებით – არ ჩანს, სამაგიეროდ – იგულისხმება,
მე კი ვჩუმდები, ხმასაც ვერ ვიღებ, უცებ ისეთმა
სევდამ შემიპყრო, რომ მეჩვენება, თითქოს წლებია,
ნრფელი ღიმილი, წრფელი სიცილი აღარ მინახავს,
და მზად ვარ ახლა, ჩემი სიცოცხლის ერთი ცხრა წელი
დავთმო, ოღონდ ამ პირბადეებს თუ აირწინაღებს
დაწვავდეს ვინმე! ძალიან მიკვირს, როგორ გავძელი
უამღიმილოამსიცილებოდ. გამოშელია
მოთმინება და ვდგები (მეგრული მორიელი ვარ),

და ჩემ გვერდით მდგარ კაცს ნიკაპამდე ვუწევ პირბადეს,
მერე – სხვებს, ყველას, ვისაც კი მივწვდი. ჭაჭის არაყი
თავისას შვრება. „– მინდა ღიმილი, და დამანახეთ!
მინდა სიცილი, გთხოვთ, დამანახეთ!" – ვყვირი, იქამდე,
სანამ გაუვლით გაოგნება და ყაყანს იწყებენ,
რომ მე „ნაცი" და „ინტრიგანი" ვარ, და დავალებებს
ვასრულებ, თურმე (მოკლედ, ვინ არ ვარ მათი სიტყვებით),
და, სანამ, შემდეგ გაჩერებაზე ჩამაბრძანებენ,
ბოლოჯერ ვითხოვ ღიმილს და სიცილს. „– აბა, გავედით!" –
სიკვდილ-სიცოცხლის სადგურზე ყვირის COVID-19.

ვდგავარ ქუჩაში და შემოხეულ პერანგს დავყურებ,
„საუნჯის" ბოლო ჰონორარით რომ ვიყიდე წინა
კვირას. მომწონდა, თან მიხდებოდა, ხოდა, მენყინა,
მაგრამ რას ვიზამ... მერე ვდგამ ნაბიჯს, უცებ ახალი
ქინით ვიესები, მარჯვნივ კაფეა, მერე – სახაშე,
მერე – სალონი, კარი ღიაა, სხედან ქალები,
მაკრატელს ვართმევ, ვჭრი პირბადეს და ვაყრი სახეში,
ამ ხნის მანძილზე ვირუსის შიშით ქვეშ ჩასველებულ
კაცობრიობას. არსად არ მინდა, სახლშიც ვერ მივალ,
შევძვრები ქვის ქვეშ, ბოლოს და ბოლოს, მორიელი ვარ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ᲛᲧᲕᲘᲠᲐᲚᲘ ᲚᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝ

ჩრდილოეთით კლდე ესაზღვრება, სამხრეთით – ღელე,
აღმოსავლეთით – საყანე ფართობები, ხოლო დასავლეთით
ბუმბერაზ ლოდებს ამოუყვიათ თავები მიწიდან
და თითქოს დარაჯობენ, უფრო სწორად, ჭირისუფლობენ
დიდი ხნის წინ უპატრონოდ მიტოვებულ მკვდრებს.

პროფილში ლოდები პირლია მხეცების თავებს ჰგვანან,
არავინ იცის, ბუნებრივია თუ ვინმეს ხელით ქნა,
აქ დგანან უხსოვარი დროიდან და უხმოდ ყვირიან.
ეს ახლა უხმოდ, თორემ როგორც ძველები ამბობენ
(იმასაც ამბობენ, რომ სმენიათ თავიანთი ძველებისგან)
მკვდარს როცა დამარხავდნენ, მზის ჩასვლის შემდეგ, სასაფლაოდან
მრავალხმიანი ყვირილი აღწევდა წინდაწინ დაზაფრულ სოფლამდე.

ბოლო მკვდარი კი ასი ან, სულაც, მეტი წლის წინათ დამარხეს,
მერე, უბრალოდ, ადგილი აღარ იყო, ამიტომ დაიკეტა.
მიმობნეულ საფლავის ქვებზე არც სახელები წერია
და არც თარიღები, მხოლოდ და მხოლოდ გვარები:
ა. ახალაია
ბ. ახალაია
გ. ახალაია
დ. ახალაია
და ასე შემდეგ. შიგადაშიგ სხვა გვარებიც ურევია.

რაც უფრო ძველია სასაფლაო, მით უფრო ნაკლებ შიშს იწვევს,
მისტიკურობას კარგავს, ჩონჩხები ჩვეულებრივ ნივთებად იქცევიან,
ამიტომ, ბავშვობაში არასდროს გვეშინოდა, სულ იქ ვთამაშობდით,
დავხტოდით ქვიდან ქვაზე, გვეჩვენებოდა უბრალო რიყის ქვებად,
სანამ უფროსები არ დაგვინახავდნენ, არ დაგვიცაცხანებდნენ.

ჩვენი შვილებიც ჩვენსავით არიან, სულ იქ თამაშობენ,
იმ საფლავებზე მეტად პირლია ლოდების ეშინიათ,
ეჯიბრებიან, თუ ვინ იქნება ყველაზე უშიშარი
და ლოდს ხახაში ჩაჩრის ბალახს, ფოთლებს ან ყვავილებს...
როცა ბადმინტონის ვოლანი ლოდზე დავარდება,
ბამბუკის გრძელი ჭოკით იღებენ, ახლოს ვერ მიდიან.

გაზაფხულზე, ლოდების ბზარებიდან თავს იები ამოყოფენ,
და დიდ ცხოველებზე შემომსხდარი ჩიტები გეგონება,
ჩიტები, რომლებიც ცხოველს დასეულ მწერებს ჭამენ,
და ცხოველიც სიამოვნებით დაატარებს პატარა მეგობრებს,
ეს არის ორმხრივი სიმბიოზი, ხოლო ჩვენს შემთხვევაში
საქმე გვაქვს ცალმხრივ სიმბიოზთან, რადგან მხოლოდ იები
რჩებიან მოგებულნი: მოსაწყვეტად ვერავინ ეკარება...

მკვდრებო! ჩემო სისხლისანო თუ ჩემო ძვლისანო,
ვიცი, რომ გიჭირთ, რადგან აქედან ამბავი არ მოაქვს არავის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენთვის ყველა უცხოა: მოთამაშე ბავშვებიც,
ჩვენც (კანტიკუნტად რომ შემოგივლით სააღდგომოდ
და ჭიშკართან თქვენს მოსაგონარს დავლევთ,
რადგან არ ვიცით, ღვინო რომელ ერთს ნაგიქცოთ),
და ეს დაბმული ხარებიც, თქვენს ქორფა ბალახს რომ წიწკნიან.

ღელის გადაღმა, გზაზე, მკვდარს როცა მიასვენებენ ზემოთა
სასაფლაოსკენ, გააყოლებთ თვალის ბუდეებში,
კაკლების ნაცვლად, ჩაბუდებულ სევდიან სიბნელეს,
რადგან ზემოთა სასაფლაო იმდენად შორსაა,
რომ ახალმოსაფლავე ვერაფერს ვერ გაგაგონებთ.
თქვენს სიმყუდროვეს არღვევს მხოლოდ ქვების მყარ კედლებზე
მიხეთქებული სათლების ხმები, სოფლიდან მოღწეული.

სიტყვას ვიძლევი, რომ სიკვდილის წინ დავიბარებ,
თქვენთან დამმარხონ, თუნდაც სადმე გვერდულად ჩამაკვეხონ,
დაწვრილებით მოგიყვებით ყველაფერს, რაც მინახავს,
და იმასაც, რაც არ მინახავს, მაგრამ მამენია.
ლოდებმა კი, შებინდებისას, ამდენწლიანი დუმილის შემდეგ,
ამოაგდონ ტოტები, კენჭები, საკისრის ბურთულები,
და სააღდგომო კვერცხების ნატეხები, და ამოიყვირონ,
გაბრაზებულებმა იმაზე, რომ
ოდესღაც, მთვრალმა, ხუთივეს ტყვია დავახალე.

**მთიანი ყარაბაღი**

მთაწმინდაზე, ბროსეს ქუჩის ხუთ ნომერში,
ეზოში მდგარი, გვერდზე გადახრილი, ბებერი ცაცხვის ქვეშ,
დილიდან სხდებიან ნარდის სათამაშოდ ჩემი მეზობლები:
აზერი მამედა ნავრუზოვი და სომეხი ვოვა აკაკიანი.

არც გასართობად თამაშობენ და არც — გამორჩენისთვის,
დიად მიზნებს ემსახურება ეს ყველაფერი —
მთელი მონდომებით თამაშობენ ხოლმე მთიან ყარაბაღზე,
თითქოს რაღაც ნივთი იყოს, რომელსაც ჯიბით დაატარებ.
ორივე თავის პატრიოტულ ვალს იხდის სამშობლოს წინაშე,
იმ სამშობლოსი, რომელიც არცერთს თვალით არ უნახავს.

უბრალოდ იციან, რომ ერთის სამშობლო კასპიის ზღვასთანაა,
და იქვე, სამხრეთ-დასავლეთით კი, მის მეზობლად,
მეორეს სამშობლოა, მაგრამ მას ზღვაზე არა აქვს გასასვლელი,
ერთგან ნავთობი აქვთ, მეორეგან კონიაკით ამაყობენ.
და მათ შორის არის სადავო ტერიტორია,
რომლის გამო წლებია, რაც ომი აქვთ ერთმანეთში. ესენი კი

კონფლიქტს აქედან აგვარებენ გასროლის გარეშე,
ჩხუბის, მუშტების, ყვირილის და გინების გარეშე,
არ აინტერესებთ ისტორიული ფაქტები და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საერთაშორისო სამართლის ნორმებიც ფეხებზე ჰკიდიათ,
მათ თავიანთი სამართალი აქვთ, რომლის მიხედვითაც
სადავო მიწა ხან სომხეთისაა, ხან – აზერბაიჯანის.

ხელიდან ხელში გადადის ხოლმე დღის განმავლობაში,
ხანდახან ხდება, რომ ზედიზედ ერთი იგებს,
ეს კი მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც,
მიწას რაც უფრო დიდხანს ფლობ, დიდხანს ინარჩუნებ,
მით უფრო მეტად პატრიოტი ხარ, მათ ასე ჰგონიათ.

ჩვენი ებრაელი მეზობლის საათი რვას როცა ჩამოჰკრავს,
თამაში წყდება და, ვინც არ უნდა იყოს იმ წუთს მოგებული,
უბათილდება. ნარდს უბრუნებენ პატრონს – იეზიდ მეზობელს,
და დააყოლებენ: „– დილამდე შენია ყარაბაღი!"
და, ნარდთან ერთად, ინახავს ისიც სათუთად მიბარებულ
ძვირფას განძს, მისთვის იოტისოდენა ფასიც რომ არა აქვს.

ჩემთვისაც ყარაბაღი მიწის ერთი უსარგებლო ნაგლეჯია,
ხრიოკი და უნაყოფო, სადაც თითქმის არაფერი ხარობს.
მათ რომ ჩავუვლი, სალმის მერე, სულ მეკითხებიან:
„– მწერალო, აბა, შენ გვითხარი, ვისია ყარაბაღი?!"
„– ჩვენია, ჩვენი, ქართველების!" – ვპასუხობ ხოლმე ღიმილით.
იცინიან და აგორებენ სპილოს ძვლის კამათლებს,
მე გზას ვაგძელებ, ჩვენიც მყოფნის სადავო მიწები.

პერიოდულად, როცა კონფლიქტი შეტაკებებში გადადის,
აქ ესენი, სალამოობით, არ წყვეტენ თამაშს,
გაუჩერებლად, მეტი ჟინით, გადააბამენ ხოლმე,
და მთელი ღამე ისმის ეზოში კამათლის რაკუნი და
დაფაზე ქვის გამეტებით დახეთქების ხმა.
ასე გრძელდება, სანამ იქ, ცხელ ზონაში, სროლას არ შეწყვეტენ,
და ყველაფერი დროებით იქვე არ ჩაწყნარდება.

აუცილებლად უნდა ვახსენო რუსი მეზობელი,
ლექსისთვის აჯობებდა, რომ, ვთქვათ, ნარდი მისი ყოფილიყო,
სიმბოლური, მაგრამ ცოტა სქემატური იქნებოდა.
თუმცა, რუს მეზობელს ფეხზე ჰკიდია გეოპოლიტიკა
და მისი დიდი, ისტორიული სამშობლოს ზრახვებიც,
მას მხოლოდ თავისი, მუდმივად კუჭაშლილი ლაბრადორის
კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება აინტერესებს...

მე კი, მათ შემყურეს, ყოველთვის იმაზე მეფიქრება,
ერთ-ერთი მათგანი, ვინც მოგებულია, თამაშის დროს
უცებ რომ მოკვდეს და თან წაიყოლოს ყარაბაღი,
რაღა ქნას მეორემ?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნიდან „მძიმე თოვლი"

## ციკლი: ზამთრის წინათგრძნობა

### სინანული

ვცადე გაქცევა... ვცადე ბევრჯერ, თუმცაღა დღემდე
ვერ მოვახერხე დატოვება ცოდვილი ტანის...
მეც მქონდა ჩემი ნეოლითი... ეპოქა ტანის...
და ასე შემდეგ... ასე შემდეგ... და ასე შემდეგ!

ახლა ყველაფერს ერთნაირად ვხედავ შეკვეცილს –
ოცნებებს, ფიქრებს, ციფრებს, სიტყვებს, ზმნებს და ზმანებებს...
და ოდინდელი სინანული თავს არ მანებებს,
რომ საკუთარ თავს ვერა, ვერა, ვერ გავექეცი!

*2 სექტემბერი, 2019*

### სექტემბრის ღამე

სექტემბრის ღამე დედამიწის ტრიალს მიჰყვება,
ჩემი ჭრიჭინა უკანასკნელ სიმღერას მღერის
და უკვე თითქმის სულთმობრძავი ბალახის ღერი
ბედნიერ დღეთა დასასრულის ამბავს მიყვება.

გავყურებ ზეცას მთიების და მთვარის მაყრიანს,
ვიხუტებ გულში უძილობით დაჭმუჭნულ საბანს.
ვერ დაარქმევდა სახელს, ალბათ, ამ სურათს საბაც:
წარსულის ფსკერზე მწოლს მომავლის ბელტება მაყრიან.

*5 სექტემბერი, 2019*

### ნუ დამპატიჟებთ...

ნუ დამპატიჟებთ, სამწუხაროდ, ველარ გეახლებით,
ზამთრის ზვავებმა ყველა გზა და კარი ჩაკეტა.
დევს ცხრაკლიტულში რაც ვიშრომე, რაც გავაკეთე
და ჩავლილ დღეთა მოწმეებად დგანან სახლები.

აზის ბელურა წყალდაწრეტილ, დაღლილ შადრევანს
და წყურვილს იკლავს შერჩენილი ციცქნა წვეთებით.
თითქოს სალამომ მომიჭირა ბინდის ღვედები,
მაგრამ ჯერ კიდევ ეძნელება ჩემი ნათრევა.

*9 სექტემბერი, 2019*

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კიდევ ერთი დღე...**

თითქოს დაკეტეს მუზეუმის მძიმე კარები,
კიდევ ერთი დღე საუკუნოდ წარსულს ბარდება.
ვუმზერ ცხოვრებას ვიტრინაში, როგორც არტეფაქტს,
ვათვალიერებ, მაგრამ ახლოს ვერ ვეკარები.

თითქმის სამყაროს ნახევარი დაცარიელდა,
დარაბებს მიღმა შუქს აქრობენ, შლიან საწოლებს
და ღამე, როგორც ახალგაზრდა დევის საცოლე,
დაწნულ თმებს იშლის დედამიწის დასალიერთან..

*10 სექტემბერი, 2019*

**ზამთრის წინათგრძნობა**

თვალსაწიერი ჭილყვავებმა შავად დაფარეს,
დღის მხურვალება შეუმჩნევლად განიბნა ქარში.
მალე ცისკიდე დედამიწის გულმკერდზე გაშლის
ფიფქებით ნაქსოვ უზარმაზარ თოვლის ტრაფარეტს.

თბილი ამინდის მოლოდინი უკვე აღარ ღირს,
ჰაერი თითქოს ილესება ყინვის ეშვებად.
გამოცოცდება ღელის პირზე ციცქნა ბაყაყი
და შუა წყალში თავგანწირვით გადაეშვება.

*11 სეკტემბერი, 2019*

**მომინანქრება**

ქარები ქრიან და მე ვამბობ: ამინ ან ქარებს
ან დღეებს, ქარებს რომ შობენ და უშვებენ კარში.
ქარების ქროლვა ზამთრის ჰაერს ამინანქარებს
და პირველ თოვლზე ჩემს ნაკვალევს ნამქრებით არ შლის.

დავემშვიდობე შემოდგომის სანუკვარ დარებს,
რომლებიც ავდრით ჩაანაცვლა დროის დინებამ.
მე ველოდები, როცა თხემზე ამოვა მთვარე
და სიყრმის მამალს ქანდარაზე ჩაეძინება.

*17 ოქტომბერი, 2019*

**მზე ჩადის...**

სიყვითლის მეფე – დრო დადგა და – დაბრძანდა ტახტზე,
საუფლო მისი ხმელეთიდან ზეცამდე აღწევს.
ქვეშევრდომები ფოთოლცვენით სტოვებენ სცენას,
ჩიტების სტვენას ენაცვლება ქარების სტვენა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

პატრონზე დარდობს დაწოლილი საფლავზე ძაღლი,
მდინარეს ძილი ენატრება, დინებით დაღლილს.
საღამოს ბინდი ეპარება ფერმკრთალ ნაპირებს,
მზე ჩადის, თითქოს ხვალ ამოსვლას აღარ აპირებს.

*18 ოქტომბერი, 2019*

## თოვლის მოსვლამდე

არსად არა ვარ წასასვლელი, ვრჩები სახლში და
სარკმლის მინებზე მიხატული ყინვის ნაყშიდან
გავყურებ ეზოს, სადაც ბოლო ფოთლები ცვივა
და სმენას სწვდება ბეღურების ჟივჟივი: „გვცივა!"

მე წელს ზამთრისთვის მარტოდმარტო ვიჭერ თადარიგს,
ბუხრის სიღრმეში ულიმლამოდ ღვივის ლადარი
და როგორც ფიფქი ნაადრევად ჩამოვარდნილი,
თოვლის მოსვლამდე მოლოდინის ვარ ბინადარი.

*25 ოქტომბერი, 2019*

## ვისთვის მეკითხა?

ვისთვის მეკითხა? – ყველა თავის ბუნაგში იწვა.
საყდრის სამრეკლოს შეყინვოდა ბებერი ზარი.
უკუნ ღამეში მივდიოდი დაღლილი მგზავრი
და მხოლოდ ღამის ქარბუქებმა იცოდნენ, ვინც ვარ.

გათოშილ ტრამალს ვერ ავუღე ვერაფრით ალღო,
მე არ ვიცოდი, რამდენია სავალი კიდევ.
ვისგან გამეგო: გამოჩნდება სამყაროს კიდე?
ვისთვის მეკითხა: გათენდება ოდესმე, ხალხო?

*5 ნოემბერი, 2019*

## ანაბეჭდები

ვფიქრობ, ჩემ შემდეგ ეს წიგნები სად დაიდება,
რომელ ხანძარში ჩანავლდება ეს ხელნაწერი,
როგორც ბოლომდე აუხსნელი სიტყვა „დიდება",
როგორც მთებს იქით ჩამავალი მზე ალმაცერი.

ვიზნეკეთილე, ვიმარტვილე, ვიგიჟე, ვცოდე,
რომ ცოცხალი ვარ, ხან მჯერა და ხანაც ვეჭვდები...
მე არსებობის ნივთმტკიცებად დამრჩება ოდენ
თითების მკრთალი, ძლივსსაცნობი ანაბეჭდები.

*21 ივლისი, 2020*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გიორგი ჩუთლაშვილი

## დაე, იყოს ნათელი...

დაე, იყოს ნათელი...

დაე, ნათლად ავუხსნათ
ერთმანეთს, თუ როგორ
უნდა შევუნვეთ სიმარტივეს
და სირთულეს
გაყინულ ლოგიკში,
თუნდაც სიმარტოვეს...

დაე, მოვითმინოთ დრო
და თეთრი ღრუბლები
გამოვითხოვოთ
სამოთხის კართან...

დაე, იყოს ნათელი...

დაე, იყოს დაო დე ძინი...
და იყოს ძილი...
და ძილის სამელნეში
თავს ვყოფდეთ
და არამც და არამც
სხვის საქმეებში...

დაე, იყოს ნათელი!

დიახ, დიახ...
ყველაფერი
ნათელი იყოს მე და თქვენ შორის...
შორიდან მოვდიოდეთ.
უკვდავებიდან მოვდიოდეთ.
გზიდან მოვდიოდეთ.
ცხოვრებიდან მოვდიოდეთ
და ყველაფერი ნათელი იყოს,
როგორც ეს ლექსი
არის ნათელი...

დაე, იყოს ნათელი...

დაე, ბრალს არ გვდებდეს
შემოდგომის მოსამართლე,
რომ ვერ გავყვითლდით
და რომ ვერ გავნათლდით
ფხვიერი მიწით, დილის ნისლით
და ფოთლების შრიალით...

დაე, იყოს ადამიანი.
დაე, იყოს შენდობის სიჩუმე.
დაე, იყოს უბადრუკი ხმაური.
დაე, იყოს გაზაფხული.
მერცხლის ნელზე
შენი ხელი
ირნეოდეს ჰამაკივით
და ჰამაკში მწოლიარე
წიგნს კი არა
ჩიტებს კითხულობდე...
თევზებს კითხულობდე...
ადამიანებს კითხულობდე...
ყველა მდინარეს
შენ უერთდებოდე
და ყველა ლექსში
შენ იყო ვრცელი
და ცისპირით
მონამლულ
თვლებს და წლებს
იკრებდე,
როგორც ძალას...

დაე, იყოს ნათელი...

## გუგულის ბუდეს ვერავინ გადაუფრინა...

თვალი მითამაშებს.

თვალიდან ცხოვრების ნარჩენი ამოვიღე,
როგორც გუგულის ბუდიდან მეტაფორა,
როგორც მინიდან ღრუბლის ნაჭერი...
ღრუბლის ჭრილიდან
ერთი ნყვილი ანგელოზის
ჩექმა ამოვიღე და გავჩუმდი...

მერე?
მერე მომწყურდა შენ სიტყვა
და გულში დავნერწყვე საკუთარი თავი...

რაში დავრწმუნდი? – იმაში, რომ
გუგულის ბუდეს ვერავინ გადაუფრინა...

ბენვის ხიდი ვერავინ აქცია სახლად...
თვალის ხამხამში გასული დღე
ვერ დაიწმინდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერც სიცრუისგან და ვერც სიმართლისგან,
რომ თითქოს
წმინდა სიტყვის სამარხში
ვდგავართ...

* * *

როცა საკუთარ თავს შენივე ნიჩბით აილებ
და უსახურ სხვენში დამალავ
სკამის მომტვრეულ ფეხებთან და საზურგეებთან ერთად,
და ჩიტის ზურგით ნათრევ ღამეში
ჩაიძირები...

როცა დღეებს გაშლი და ხელებს – ველარ,
რომ მას დაეუფლო,
მიხვდები, რომ ცხოვრებამ გადაგდგა
ერთი ნაბიჯით უკან და ორი ნაბიჯით წინ
თავისივე ბიოგრაფიის ასტომეულიან
კარადასთან ახლოს და
ჯერ არ სცალია,
რომ ხმაური შეგისწოროს
საბანივით და
შენს მძიმე ლოდს ნვენი ადიმოს,
როგორც სიჩუმეს...

როცა სიკვდილისგან ქრთამს აიღებ,
სიბრალულისგან მეტაფორას,
მთვარეებისგან მტვერს
და ღრუბლებს გაფანტავ
სიამაყის გულში,
შენი სიტყვები აიყრება
ასფალტივით
და ენის ქვეშ დამდნარი
სიყვარული წამოგცდება
ისე ხმამაღლა და ისე ურცხვად,
რომ
გაიყიდები...

* * *

*„აჰა ესერა ვდგა კარსა ზედა და ვჰრეკ, უკუეთუ ვინ ისმინოს ჴმისა ჩემისაჲ და განაღოს კარი, და შევიდე მის თანა და ვჭამო მის თანა სერი, და მან – ჩემ თანა"*
*იოანეს გამოცხადება*
*(თავი მესამე)*

აჰა, კართან ვდგავარ და ვაკაკუნებ – მე პოეზია ვარ...
თუ ვინმე გაიგებს ჩემს ხმას,
მე მასთან ერთად ვისაუზმებ...
მასთან ერთად ვისეირნებ და
მოვუყვები ამბავს ადამიანზე,
რომლის ფანჯრის მინაც ჩამტვრეულია
და ფურცლით ანახლებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აჰა, კართან ვდგავარ და ვაკაკუნებ.
ცრემლიც მომაქვს და სიხარულიც...
ფინჯან ყავაზე არ დამპატიჟებთ?

„აჰა, მოვალ მალე. მტკიცედ გეპყრას, რაც გაგაჩნია, რათა არავინ წარგტაცოს
შენი გვირგვინი"
იოანეს გამოცხადება
(თავი მესამე)

აჰა, მე მოვალ მალე
და შენს სიტყვებს
მზერით წავიღებ...
სულსაც წაგართმევ...
გაგამიშვლებ...
დღეებს დაგითვლი...
რამდენი მზის სხივი
მოგხვედრია
მარცხენა მხარზე,
იმასაც გეტყვი...

***

პრიალაყდიან წიგნებს გაჩუქებ.
პრიალაყდიან ბლოკნოტებს გაჩუქებ.
პრიალაყდიან სინამდვილეს გაჩუქებ.
იქნებ ნარსული აგიცურდეს...

***

ქარი სიზმრიდან
პირველ გაზეთს შენთვის
მოიტანს სიჩუმის ბაღში...

***

ბეწვის ხიდზე გავიარე
და ძაღლის ბეწვივით მხრებზე
ცხოვრება მიმეკრო...

***

ყოველდღე ჩემი ლექსის სტრიქონებს
მოგხვევ სულის სამ წრეზე, როგორც ადრე,
როგორც იმ კაშნეს, SECOND HAND-ში რომ გიყიდე
და შენ შეგიყვარდა დილის ჯაზივით...

***

პირველი დაბადება
ბუნდოვანი და გაუაზრებელი იყო...
ყველა ნაკლის მქონე...
უნაკლო მხოლოდ სიტყვა
იყო „დაბადება".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ზურაბ პაპიაშვილი

## ორი მხარე

ყველაფერი ნათქვამია უკვე:
რა აზრი აქვს წუხილსა და განსჯას,
ვიღაცა რომ განცდებშია თურმე:
აქ მეორეს ეცინება მაგრად.

ერთს რომ უცხო ბოლო კაპიკს აცლევს,
ეცოდება, თან თვითონაც უჭირს,
ამ დროს ღორი ბოლო გროშებს ართმევს,
სხვა უდღეურს, საწყალსა და დუხჭირს,

ყველაფერს აქვს თურმე ორი მხარე:
როცა უნდა შეიცვლება პოზა,
ცოტა თუ აქვს ბევრს განახებს მარჯვედ:
ბევრს კი უცბად გამოაჩენს ცოტად.

ასეთია მედლის ორი მხარე,
ორთავ მხარე ლაპლაპებს და თვალს გჭრის,
ერთ დღეს ვინმე თუ აგიწევს წარბებს,
მეორე დღეს, უსირცხვილოდ თავს ხრის.

ყველაფერი ნათქვამია უკვე,
რა აზრი აქვს წუხილსა და განსჯას,
ყველაფერი მარტივია თურმე,
სირთულესაც სიმარტივე მართავს.

## ***

ჩემი თვალები მჭრელი
შესწებებია მინას,
სადაც სხეული შენი
იხდის და ბნელში ბრწყინავს.

სხვისი თვალების ფერი
აინტერესებს ამ თვალს,
რადგან სიზმარს ცვლის ქერი,
რადგან არ გძინავს ნამგზავრს.

გაჩერებული ღამე,
სასუნთქი გზების ფშვინვა,
ჩემი თვალები ჭამენ
ქალის ოთახის მინას.

## ვიღაც დროებითი

დროებით შენ გერქვა ვიღაცის სახელი,
დროებით ვიღაცის იყავი საცოლე:
ვითომდა დროებით დაკეტე კარები
და ჩუმად აივნის კარებთან მაკოცე.

დამარქვი ვიღაცის სახელი დროებით,
რომ ვარ ნათესავი შორიდან, ობოლი,
მართობდი უაზრო გაცვეთილ პოზებით,
მე ვუმკლავდებოდი „იმ საქმროს" მოლოდინს.

და შემდეგ დარეკა ზარმა და დასრულდა...
ვიღაც დროებითი ვდგები და მივდივარ,
კართან სხვა უცხოა, მიხვედრაც არ უნდა,
მართლა რიგითი ვარ და ამის ღირსიც ვარ.

დროებით ქუჩაში მარტო ვარ ნაწყენი,
მგონია ეს გზებიც დროებით გაჩერდნენ,
მივდივარ, მიმყვება ვნებების ნაფლეთი,
ის ორნი ამ დროს კი ახალ დროს აჩენენ.

## მეხსიერება

მე ვარ დუმილი, შენ კი ქარი, ჩემში გამჯდარი,
უბერავ სიოს, ნაღველიდან ამოსულ სევდას,
ის, რაც აქამდე არ ყოფილა ჩემში გამქრალი,
გაფანტე ისე, რომ ღრუბელიც ვერ ასწრებს შეკვრას.

გამწესდა ჩუმად მიუსაფარ ტკივილთა ჯარი,
და ჩემში ისევ მყინვარებას მოითხოვს სული,
არ არის შველა და წამალი არ არის ფარი,
მტკივან საათებს გააღვიძებს ნაფლეთი ქუსლი.

მე ვარ დუმილი და შენ კიდევ გრიგალი ჩემში,
მეხსიერებავ იქნებ ისევ დამტოვო სადმე,
არ ვარ მებრძოლი და აღარ მაქვს ძალები ფეხში,
დამტოვე, თორემ ეს ქარებიც ბოლო წლებს მართმევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძებნილის სიმღერა

ვიღაცის სახლში ვარ, ვიღაცის მეზობლად,
განგებაც რატომღაც ერთბაშად მიწყრება,
მარტო ვარ, არავინ მოვიდა მეგობრად,
„ძნელია" ასეთ დროს მეგობრის „მიგნება".

არა ვსვამ სასმელს და არა ვეწევ სიგარეტს
და შესაბამისად, ფული არ მჭირდება,
ვიღაცის დაგდებულ ძველ პურის სიმძაღეს
ვეჩვევი ნელ-ნელა, „გემო არ მიქრება".

ვიღაცის ძველ ამბებს ანაზდად ვიხსენებ,
ან რაში მადგება, რა ჩემი საქმეა,
მხოლოდ სხვისი ამბით ან დღეებს ვიგრძელებ,
სანამ მომაკითხავს სამართლის მანტია.

და ასე ერთ ოთახს ვდარაჯობ სიჩუმით,
კედლებს მოუყვება გიჟების არშია,
კანონს ვემალები ნესტიან მიწურით,
ცხოვრებამ საჩუქრის ეს ფორმა არჩია.

* * *

ახალი წელია, ახალი წელია,
საცივი გრილია, ტოლმა კი ცხელია,
ახალ წელს გვილოცავს ქალაქის მერია,
მშიერი თვალები სიახლეს ელიან,
ინთება ნაძვისხე, ქალაქი ნათდება,
თან ყველამ იცის, რომ ოცნება არ ხდება,
ახალი წელია, ახალი წელია,
ვისთვის იოლია, ვისთვის კი ძნელია, –
მოსმენა მილოცვის, მაღლარის პირიდან
სამადლოდ დაგდებულს თუ იღებ ძირიდან
და მაინც წესია, ახალ წლის მოსვლამდე,
მღვდელიც და მინისტრიც ღიმილით გლოცავენ.
დავთვრებით, ვმღერივართ, – ახალი წელია,
ო დელა დელია, ო დელა დელია.

* * *

ჰეი მამაჩემო, მითხარი, სადა ხარ,
ამბობენ, ქვეყანა მიბრუნებს ანაბარს,
და ამ დროს საბუთიც, აღმოჩნდა, არა მაქვს,
ნაფლეთი ქაღალდი, რომელიც დანამატს
შემმატებს და ჩამისნის დუხჭირთა ქარავანს,
ცოტახნით მეც ვნახავ ამ ქვეყნად რაღაცას.
ჰეი, მამაჩემო, მანიშნე, სადა გაქვს
საბუთი, რომელიც უდრიდა განავალს,
და ახლა დაედო ფასი და ასავალს
მთავაზობს ქვეყანა, ვინც მიგვცა დასავალს.

* * *

ეზოდან ეზოში, ქუჩიდან ქუჩაზე დაგდევდი,
არ იყო საშველი, არ იყო სათქმელი, მაბნევდი,
ამბიდან ამბავი, ართქმიდან ნათქვამი მოჰყონდათ,
დახრიდან დახრამდე, ეს თავი გათქმამდე მორცხვობდა,
დარდი კი დარდამდე უშენოდ ყოფნას რომ დარდობდა,
გატკეპნილ ასფალტზე დრო შენთან შეხვედრის – გარბოდა,
სახლიდან სახლამდე, სივრციდან სივრცემდე გალობდა
ეს ჩიტი, რომელიც დამდევდა, ამბებით მართობდა,
მალვიდან მალვამდე დღეები სულ უფრო ქრებოდა,
ხელიდან ხელში კი ოფლი და სიცივე რჩებოდა,
სიმოკლემ სიმოკლით მამცნო, რომ ჯერ კიდევ შორია,
დრო უნდა ყველაფერს, მახსოვდა სხვებისგან – სწორია,
და ბოლოს და ბოლოს და ბოლოს და ბოლოს და ბოლოს,
ვფიქრობდი, მაკოცოს, სულ ერთხელ მაკოცოს, მაკოცოს,
ცხოვრებას ვუქნევდი, ვუქნევდი, ვუქნევდი ამ თავს და
თვალსა და ხელს შუა ეს ჩემი სურვილიც დამთავრდა.

# ნატალი დარასელია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***

გწერ ერთგულების ქვეყნიდან,
უფერთო ჩიტების და ულაყურო თევზების ქვეყნიდან,
იქიდან, სადაც ფორთოხლის ყვავილებით ივსებიან ორმოები.
სადაც სიტყვები მარმარილოს ქანდაკებაზე ამოტვიფრულ ღიმილებს ჰგვანან.
გწერ წითელცხვირა ჯამბაზებისა და
ჩაფლავებული ილუზიონისტების ქვეყნიდან.
მიწისკენ დაგრეხილ, ღრუბლებშორის გაჭიმულ თოკზე მივქანაობ
და მივექაქანებ.
გწერ, ქაღალდს ვწერწყვავ, სულს ვუბერავ და შენკენ ვუშვებ,
მოლიპული აეროდრომისკენ.
არავინაა, ვისაც ესმის.
ჩემი ღრუბლისფერი კომპასი მცდარია.
ტურბულენტური უარყოფის ზონაში შესულ,
სიტყვადამგზავრებულ თვითმფრინავს უჩნდება ცეცხლი.
შენ ვერც კი ხვდები, მერამდენე სიტყვა შევწირე
ამ შუა ციდან ჩამოვარდნილ გულწრფელ საუბარს.
თვითმომტყუებელთა ქვეყნიდან გწერ,
სადაც ხუჭავენ ორივე თვალს, ღრმად ჩაისუნთქავენ და
თვალებს მიღმა სარკის ნატეხებივით მზეზე დალაგებული,
ბრჭყვიალა ტყუილებით იჭრებიან,
ხარბად ყლაპავენ ამ სიცრუე ბედნიერებას.
გეძახი.
შენ კი არცერთხელ არ ისვრი მზერას ნემსკავისაკენ,
რომელზეც ჩემი გული ფართხალებს.
წითელი ორგანიზმიდან ამოყვანილი, დასაღუპად განწირული გული,
რომელიც საცაა, შეწყვეტს ფართხალს, ჩამოშავდება,
ჩამომყრალდება და მშიერი ფრინველი შეჭამს.

***

მოსაწართ კაცებს, კაცებს – ყულაბებს
უნდა უფრთხილდე, რომ არ გაღარიბდე.
ცრემლებით არ ჭრა მონეტები, მასში რომ ყარო და დაიყოლოს,
და გაგიღიმოს,
მოგეალერსოს.
საკუთარი მე ამოგწოვოს.
ან მექანიკურ კაცებს, დედის სათამაშოებს,
ბრბოს მქადაგებლებს,
მატერიის მოთაყვანეებს,
შემდგარ მსახურებს,
სახელმწიფო მოხელეებს და სესხის ოფიცრებს,
მათემატიკური აზროვნების გენიოსებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუდმივად მოუცლელებს, მუდმიეად დაუკმაყოფილებლებს,
პირზე ნერწყვმომდგარებს, მესამე ფეხზე ამდგარებს,
მოჩქარეებს და მაგინებლებს,
ფულის ტომრებს სავსე ლიპებით, ცარიელი თვალებით,
უემოციო ნაკვთებითა და მკვდრის იდუმალი ღიმილით,
ერთი სული რომ აქვთ, კუთხეში მიგაყენონ,
ამ კაცებს, მოსამართ თოჯინებს,
უფრთხილდი, არ მისცე.
სული.

* * *

ერთ დღესაც ჩაწვები ახალ თეთრეულში,
საგულდაგულოდ შენახულში,
ხარისხიან და ძვირიან თეთრეულში,
სულ რომ ინახავდი და სახმარად ვერ იმეტებდი.
ჩაწვები იდეალურად დაბანილი,
გაპრიალებული კანით, რომელსაც საპარსის კვალიც არ დაეტყობა,
არც რამდენიმე ღერი თმა დაგრჩება სადმე.
ერთ დღესაც ჩაწვები და გეცოდინება,
რომ ხვალ ველარ გადმოყოფ ფეხებს საწოლიდან,
ვერ შეაწყობ გაცვეთილ ფლოსტებში,
ვერ წამოდგები მოსაფსმელად,
კბილების გამოსახეხად,
ჩაის დასალევად,
ვერ დაყოვნდები შხაპის ქვეშ ულოგიკო დროით.
შემოგეკრობა გარდიგარდმო ყვითელი ფერი და იმ დღიდან მოყოლებული,
ვინ იცის, რამდენი დღე მოგიწევს ასე წოლა.
შეჭამს თეთრეულს შენი ჭუჭყი ბასრი კბილებით,
გადავა შენი სხეულის მონახაზი მასზე,
ფსლის სუნი და მიმხმარი ფეკალიები.
მთელი ის წლები, რაც იცხოვრე,
განსხეულდება გამჭვირვალე ბავშვის ფორმაში
და ასე, ათასობით გამჭვირვალე ფერი შემოგისხდება გარშემო,
დაცინვით, ირონიით, დამცირებით.
შენ შეაწუხებ ყველა სულიერს, იგრძნობ მათ თვალებში, რომ ყელში ამოუხვედი
ყველას და იმასაც კი იფიქრებ,
სადაცაა, უნდა გითხრან:
– მოკვდი, ფსლისსუნიანო ბებრუხანავ!
– ჩაძაღლდი, შე საბრალო!
მაგრამ ისინი სურვილშეკავებულნი დაელოდებიან, როდის მოგელება ბოლო.
მერე კი შვებით ამოისუნთქავენ და გულისტკივილით მოგიგონებენ.
ისიც – იშვიათად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძილისპირული

*მიშა ბახსოლიანი*

საფეთქელში ფეხი მოხვდა. თვალი ოდნავ გაახილა და სცადა, თავი უკან გაეწია. შემდგი დარტყმა გახელილ თვალში მიიღო, ინსტინქტურად ხელი აიფარა და იქვე ცხვირშიც მოხვდა. ადგომა დააპირა, მაგრამ ფეხზე ვიღაცა შემოხვეოდა. ფეხი ფრთხილად გაითავისუფლა და საწოლიდან ჩამოდგა, თუმცა ჩუსტის ნაცვლად, ჩუსტში ჩაზუდებულ კატის კუდზე დადგა. კატამ გამწარებულმა დაიკნავლა, მოსალოდნელზე მაღლა ახტა და კვერცხებზე ბრჭყალებით ჩამოეკიდა.

– რას აკეთებ, საყვარელო? – იკითხა ქალმა, რომელსაც აშკარად ეძინა და ავტომოპასუხის ხმა ჰქონდა.

– არაფერი, არაფერი. – ჩაილაპარაკა კაცმა. კატასთან ერთად ლოგინს ფრთხილად მოშორდა და ოთახიდან გავიდა. თუმცა ბინა იმდენად პატარა იყო, რომ საძინებლის კარიდან გასული ეგრევე ბინიდან გამავალ კართან მოხვდა. კატა სიყვარულით ჩამოიხსნა და იქვე საკიდზე დაკიდებული ქურთუკის კაპიშონში ჩასვა. ლოგინს გახედა, 2 კვადრატულ მეტრზე ითი ადამიანს ეძინა და მისი ადგილი აშკარად აღარ რჩებოდა. არადა ძალიან ეძინებოდა. სააბაზანოში შეიხედა, თუმცა მოცუცქნულ დუშ-კაბინაში დაძინება შეუძლებელი იყო, ამიტომ ქურთუკი შემოიცვა და გარეთ გავიდა. სადარბაზოში კაპიშონის გადაფარება სცადა და კატის ბრჭყალები შემელოტებულ კეფაზე დაეჩნა, ისევ ფრთხილად აძოიყვანა, სახლში დააბრუნა და კიბეებს მოწყენილი ჩაუყვა. სადარბაზოდან გასულმა აქეთ-იქით დაძაბულმა გაიხედა, ჯიბიდან სიგარეტი ქურდულად ამოიღო და მოუკიდა. ნაპასიც არ ჰქონდა ამორტყმული, ვიღაც 16-17-18 წლის ბიჭი გაეჩითა და საქმიანად ჰკითხა:

– სიგარეტი ხომ არ გაქვს?

თავი თანხმობით დაუქნია, მოკიდებული ღერი მიაწოდა და ჩქარი ნაბიჯით მოშორდა. ბევრი იარა თუ ცოტა, პატარა პარკში მოხვდა. ორივე მხრიდან კორპუსებით იყო გარშემორტყმული და შუაშიც რაღაც უშნო კომერციული ფართი ჩაედგათ. ეს სხვა დროს და სხვა საზოგადოებაში შემაშფოთებელი იქნებოდა, მაგრამ მარტის ქარიან ღამესთან გასამკლავებლად უპაერო სივრცე იდეალური იყო და მამაკაციც, რომელსაც ბავშვობიდან ავთოს ეძახდნენ, პარკის ერთ-ერთ სკამზე გულაღმა დაწვა. სცადა, ცისთვის შეეხედა, მაგრამ ველარ მოახერხა, რადგანაც იმწამსვე ჩაეძინა და ზუსტად სამწუთნახევარში გააღვიძეს. საკმაოდ მოხუცი კაცი ფეხსაცმელს მზრუნველად ხდიდა.

– უკაცრავად, ბატონო, რას აკეთებთ?

მოხუცი აშკარად დაფრთხა, მაგრამ მერე გონს მოეგო და შეტევაზე გადავიდა.

– კიდევ მე რას ვაკეთებ?.. ანუ მე ვარ დამნაშავე, ხომ? მე კი არა, თქვენ როგორ იქცევით, ახალგაზრდავ, თავი სად გგონიათ, საზოგადოებრივ პარკში ხართ თუ სადღაც გომურში, სახლშიც ტუფლებით წვებით ლოგინში? ზრდილობა რა უყავით, ხალხო, სად დატოვეთ, ნუთუ არაფერი წმინდა აღარ დაგრჩათ, ნუთუ ადამიანობა აღარაფერს ნიშნავს და კეთილი ხალხი მხოლოდ ძველი წიგნების

ფურცლებზე შემორჩა, ნუთუ სიყვარული და ერთმანეთის გატანა აღარ შეგვიძლია?

– მაპატიე, ბაბუ, მეგონა ფეხსაცმლის მოპარვა გინდოდა.

– მინდოდა რა, ახლაც მინდა, ამ ღამით ვერა, მაგრამ ხვალ დილით მეორადებში ჩავაბარებდი, როგორც ჩანს, ვიბრამის ძირებზეა, თან, თითქმის ახლები, 15 ლარს მაინც მომცემდნენ, მერე კი თვითონ 40-ად მაინც გაყიდიდნენ. სახლში მშიერი შვილიშვილები მელოდებიან, დედამათი თურქეთში წავიდა 98-ში, აი, საფრანგეთი რომ ჩემპიონი გახდა, მაგ დღეს და მერე აღარც დაბრუნებულა, შეიძლება მკვდარიცაა, ან უარესი. ხოდა ამ შვილიშვილებს ჭამა უნდათ, უფროსი გაციებულიცაა და სანამ უმცროსისთვის გადაუდია, იქნებ, წამალიც კი ვუყიდო. თან თქვენისთანა გაუზრდელი ადამიანისთვის ჭკუის სასწავლებელიც იქნებოდა, სხვა დროს, სანამ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ფეხსაცმელებით ძილს დააპირებდით, კარგად დაფიქრდებოდით.

- ბოდიში, ვწუხვარ რომ გავიღვიძე და იმედი გაგიცრუეთ, ახლა კი უნდა დაგტოვოთ, სადმე მყუდრო ადგილი ვნახო და გამოვიძინო, სახლში ბავშვები არ მაძინებენ, ხვალ კი სამსახურში ვარ წასასვლელი, საპასუხისმგებლო საქმე მაქვს, შემდუღებელი ვარ, ძირითადად, მაღალ კონსტრუქციებზე მიწევს მუშაობა, ახლაც ხიდის პროექტზე ვმუშაობთ, იცით, გამოუძინებელი რომ მივიდე, შეიძლება, უბედურება მოხდეს, მუშაობის დროს თუ ჩამეძინება, კონსტრუქციიდან ჩამოვვარდები და მოვკვდები, ჩემი შვილები მშივრები დარჩებიან, თან ბანკის ვალიც მაქვს, ბინა ვიყიდე იპოთეკით, სულ 18 კვადრატია, მაგრამ ძალიან მიყვარს, ხოდა მე თუ მოვკვდები, ბანკის ვალებს ვერავინ გადაიხდის და ჩემი ოჯახი ღია ცისქვეშ დარჩება. მეორე ვარიანტიც არსებობს, შეიძლება, მუშაობის დროს არ ჩამეძინოს, იცით, ძალიან ძნელია ძილი, როდესაც „სვარკის" ნაპერწკლებს უყურებ, მაგრამ, დიდი ალბათობით, ყურადღება გამეფანტება და საკუთარ საქმეს უგულისყუროდ შევასრულებ, შემდეგ კი ბრახ და ეს ხიდი ჩამოინგრევა, რა თქმა უნდა, ეს არ მოხდება ორი და სამი წლის შემდეგ, შეიძლება 20 წელში მოხდეს, ან სულაც 112-ში, მაგრამ როცა მოხდება, ძალიან ბევრი ხალხი დაიხოცება. უამრავი, მეორე დღეს ყველა შეშფოთდება და გამოძიებას დაიწყებენ, ალბათ ქალაქის მერიც გადადგება, გლოვასაც გამოაცხადებენ და, რაც მთავარია, უამრავი ადამიანი ხიდის ამშენებელს შეაგინებს. ყველაფერში დამნაშავე კი მე ვიქნები, კაცი, რომელმაც გამოძინება ვერ მოეახერხე და ამით ყველას ვულალატე. კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს და თან მადლობა, რომ თვალები ამიხილეთ და მიმითითეთ, თუ რაოდენ არასწორი იყო ჩემი საქციელი, მაგრამ რომ იცოდეთ, თქვენც საკმაოდ ჩათლახი ადამიანი ჩანხართ. ახლა წავალ, ვეცდები, სხვა ადგილას დავიძინო, მეშინია, აქ რომ დავწვე, ფეხსაცმელებს აუცილებლად მომპარავთ.

– იქნებ მაინც დამიტოვოთ, ჩემს შვილიშვილებზე იფიქრეთ, და საერთოდ, რას იზამდა თქვენს ადგილზე იესო, მან ხომ გვითხრა, გაიხადეთ ყველაფერი და ღარიბებს მიეცითო.

– ყველაფერი არც იესოს გაუხდია, კვართი ხომ ბოლომდე ეცვა, სანამ რომაელებმა არ გახადეს.

– შენი მკრეხელი დედა მოვტყან! – დაიყვირა მოხუცმა და გაიქცა.

– შენიც! – უპასუხა ავთომ და გზა არცთუ ისე მშვიდად განაგრძო.

უაზრო დრო იყო, რამდენადაც საერთოდ დროს შეუძლია უაზრო იყოს, ვერც იმას იტყოდა, შუაღამეაო და არც გათენებას აპირებდა. ისევ ისე ეძინებოდა, ოდნავ უფრო მეტადაც და თან გამწარებული ფიქრობდა, სად დაეძინა. სახურავზე საშიში იყო, შეიძლება, გადმოვარდნილიყო, რკინიგზის სადგურში კარგი სკამები ჰქონდათ, მაგრამ სულ ხმაური იყო, ფარეხებს უკან ქარი არ უბერავდა, მაგრამ უბნის ლოთები თუ გაივლიდნენ, აუცილებლად მიაფსამდნენ, რადგან ბნელოდა და არაფერი ჩანდა, მიწისქვეშა გადასასვლელშიც იგივე ელოდა, შეეძლო, ღამის ავტობუსში ასულიყო, მაგრამ ეგ ავტობუსი არასდროს მოდიოდა, გაჩერებაზე ძილიც არ ღირდა, რომელიმე ახვარი ტაქსისტი მანქანაში გადაანვენდა, სადმე მიიყვანდა და მერე ფულს მოსთხოვდა, თან ფული არც ჰქონდა, თორემ სასტუმროში დაიძინებდა, შუა გზაზე დაწოლაც არ ივარგებდა, ან მანქანა გადაუვლიდა, ან პატრული დააადგებოდა და განყოფილებაში გადაიყვანდა. ისე, განყოფილება კარგი იდეააო, გაუხარდა ავთოს, გზაზე გადავიდა და უსაფრთხოების კუნძულზე დაწვა. დაწვა და სანამ მიხვდებოდა, რომ ასფალტი ჰაერზე ცივი იყო ჩაეძინა. ამჯერად 4 წუთში გააღვიძეს, სამნი იყვნენ, სამწუხაროდ, ფორმებიც არ ეცვათ და თვითონაც არ იცოდნენ, რა უნდოდათ.

– აეეე, ბიძაჩემო! – უთხრა პირველმა ახალგაზრდამ და გაჩუმდა.

– მაგარი კაცი ჩანს ხო, ბომჟი კი არა, იმენა ჩვენიანია, – ეუბნებოდა მეორე მესამეს – წამო რა, ჩვენთან წავიყვანოთ.

– ბაზარი არაა, ძმა – მოჭრა მესამემ – დაჯექი რა, ჯიგარო, მაგარი პატივი უნდა გცეთ, აი, ძაან მაგარი რა. აქვე უნდა მივიდეთ, ხუთ წუთში გრიალში ვიქნებით.

– უნდა დამაძინოთ? – გულუბრყვილოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუხარდა ახალგალვიძებულ კაცს, თუმცა მაშინვე გამოფხიზლდა და მიხვდა, რომ ან უნდა ეჩხუბა, ან სან მთვრალ ტიპთან ერთად დასალევად წასულიყო. ჩხუბი მაგრად ეზარებოდა, ამიტომ იქვე გაჩერებულ მანქანაში ჩაჯდა და მოწყვეტით დაიძინა.

სამწუხაროდ, მართლა ხუთ წუთში მიუიდნენ და ისე დაილრიალეს, მიჭედითო, რომ შეჯანჯღარებამდე გაიღვიძა. მერე გადავიდა, ხრუშჩოვკის ჩაჯმულ კიბეებს აუყვა და დაბალჭერიან ბინაში შევიდა. იქ რაღაც ქორწილივით იყო, ერთი ჯიგარი კარადის სახურავზე იდგა და უზარმაზარი ვაზიდან ღვინოს პირდაპირ ხახაში ისხამდა. ეს ჩამომსვლელიც არააო, გაიფიქრა და თან იქვე მდგომ და ალტაცებისგან პირდაღებულ მანდილოსანს ჰკითხა:

– ამ ჯიგრის თეფში რომელია?

და რომელზეც უთხრეს, ეგააო, პირდაპირ შიგ ჩადო თავი და ეგრევე დაიძინა. თუმცა არც ამჯერად გაუმართლა, მალევე თავში სხვა თეფში მოხვდა და როგორც კი თვალები გაახილა, მიხვდა, რომ ირგვლივ ყველა ჩხუბობდა. თვითონაც ჩხუბში ჩაება, ვიღაცას ხელი დაარტყა, ვიღაცას ფეხი, ბოლოს ისე გამწარდა, რომ გინებითა და მუშტების ქნევით კარებისკენ დაიძრა, ბურთივით მრგვალი მამაკაცი ერთი დარტყმით დააგდო და კიბეებზე დაეშვა. იქ პატრულის რამდენიმე თანამშრომელი იდგა. ერთ-ერთს მივარდა და გაუცინა:

– სალამო მშვიდობის, ოფიცერო! – მერე კი გაკვირვებულ სახეში მუშტი ჩააზილა და იქვე წიხლიც მიაყოლა.

იმან კი ჩაიჩოქა და დაიბღავლა:

– დაიჭირეთ ეს ახვარი!

და ამანაც ისევ დაიყვირა:

– დამიჭირეთ, თქვე ახვრებო და დამასვენეთ!

იმათაც დაიჭირეს. სხვა რა გზა ჰქონდათ. განყოფილებაში გადაიყვანეს და პირველადი დაკავების საკანში ჩასვეს. იქ ბევრი ხალხი იყო. ძალიან ბევრი, მაგრამ ავთოს ეკიდა. ყველაზე ახლოს მდგომს მხარზე თავი ჩამოადო და დაიძინა. ეს კაცი კი, არც მეტი, არც ნაკლები, ოპოზიციის ლიდერი აღმოჩნდა. ლიდერი ჯერ დაიბნა, მერე კი მაგრად გაუსწორდა და თავის ცხოვრებაში ყველაზე გულწრფელი რეჩი მოარტყა:

– მეგობრებო, ეს არაა შემთხვევითი. თითქოს ამ კაცის სახით მთელმა ქვეყანამ ნდობა გამომიცხადა. ამდენ ადამიანში მე ამირჩია. ეს ნიშანია, თითქოს მთელი ერმა თავისი მშვიდი ძილი მე მომანდო, თითქოს ყველამ ერთად მომთხოვა თავისი პრობლემების მოგვარება. თითქოს ერი მისი ფშვინვით მეუბნება, შალვა, აბობოქრდი და გადმოდი ნაპირებიდან, შეიერთე მილიონობით პატარა ნაკადული, იქეცი დამანგრეველ სტიქიად და მოსპე ეს მოძალადე მთავრობა, დაამხე მათი ცრუ კერპები და კორუმპირებული კეთილები, იქეც იმად, ვისაც ერი დიდი ხანია, ელის, იქეც მესიად! ახლა, ამ წამიდან, ჩვენ დაუმორჩილებლობის მოქრაობას ვიწყებთ. აქ და ახლა ახალი საქართველო იბადება. საქართველო, სადაც ყველაფერი იმდენად გაიაფდება, რომ დღეში ოთხ ლარად მართლა დავნაყრდებით, სადაც ნაცი და ქოცი ბალახს ერთად მოხნევს, სადაც საზღვრების გადმომწევებს დედის გინებით მაინც ვუპასუხებთ, სადაც ყველაფერი, რასაც სადღეგრძელოებში ერთმანეთს ვუსურვებთ, რეალობად იქცევა და...

მოულოდნელად საკნის კართან მდგომმა ბადრაგმა კარი გააღო და აკანკალებული, ცრემლნარევი ხმით ჩუმად თქვა:

– ჩვენ შენთან ვართ, ბატონო შალვა, გაგვიძეხი.

– აღსდექ, საქართველოვ! – დაიღრიალა შალვამ და ავთოს ისევ გაეღვიძა. კარებისკენ მიმავალმა ხალხმა ის და შალვა ხელში აყვანილი გაიყვანა შენობიდან და სულ ცოტა ხანში იქ მოგროვილ მომხრეებთან ერთად პარლამენტის წინ იდგა.

გადადექი! – ყვიროდა სხვებთან ერთად და თან სამსახურზე ფიქრობდა. დილით ადრე იყო ასადგომი, მას კი დანოლაც ვერ მოეხერხებინა.

ბოლოს თვალები დახუჭა და ისე ყვიროდა. მერე დაეძინა, მაგრამ ყვირილს არ წყვეტდა. თითქოს მომენტალურად სიზმარი ჩაურთეს, იმ სიზმარშიც პარლამენტის წინ იდგა და იქაც იგივეს ყვიროდა.

– შეგიძლიათ სიტყვით გამოხვიდეთ? – ჰკითხეს ცხადში.

– რა უნდა ეთქვა? – იკითხა მთქნარებით და თან თავის თავზე ეცინებოდა.

– რაც გნებავთ, ამ საღამოს ერთ-ერთი მთავარი გმირი თქვენ ხართ, ყველას უნდა თქვენი მოსმენა.

– კი, ბატონო – დაეთანხმა ავთო და ტრიბუნისკენ წავიდა. გზაში რამდენჯერმე წასთვლიმა და მერე მიკროფონთანაც, მაგრამ გამყოლებმა ხელი შეაშველეს და ყველა ჯერზე დაუნდობლად გამოაფხიზლეს. თენდებოდა, ხალხი ყველა მხრიდან მოდიოდა. ცოტა ხანი ფიქრობდა, აზრზე არ იყო, რა ეთქვა. ცოტათი შერცხვა კიდეც, ამდენი ადამიანის წინაშე არასოდეს ელაპარაკა:

– მოგესალმებით, – თქვა ძალიან ჩუმად და იქვე გაბრაზდა, – ყველა ადამიანს აქვს ძილის უფლება, არც მთავრობას, არც პატრულს, არც პერფერატორიან მუშას, არც რესტორნიდან გამცვებულ ფოიერვერკებს, არც მთვარის შუქზე აყმუვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ ძაღლებს, არც მთვრალ მეზობლებს „ვლადიმერსკი ცენტრალით", არც ჩვენს ლოგინზე მოკალათებულ ბავშვებს არ აქვთ უფლება წაგვართვან ჩვენი უკანასკნელი თავშესაფარი. ხელები შორს ჩვენი ბალიშებიდან და საბნებიდან. ჯანდაბამდე გზა ჰქონია ყველას, უბრალოდ დაგვაძინეთ. მე, მე დამაძინეთ!

– დაგვაძინეთ, დაგვაძინეთ! – აყვირდა ხალხიც, ავთო კი ტრიბუნიდან ჩამოვიდა და დემონსტრაციულად ასფალტზე დაწვა. ცოტა ხანში მომიტინგეებს სპეცრაზმმა შეუტია, ყველაფერი გამოიყენეს, მაგრამ ავთოს ყველაზე მეტად ცრემლსადენმა გაზმა აწყენინა. თვალები ისე აეწვა, სულ ცრემლებად დაიღვარა, თუმცა ერთი საინტერესო ამბავიც მოხდა, ერთმა ცნობილმა ფოტოგრაფმა ეპიკური ფოტო გადაიღო. ფოტოზე აღბეჭდილია, როგორ ურტყამენ ჩაძინებულ ავთოს სპეცრაზმელები ხელჯოხებს, ავთოს სახეზე კი ისეთი სიმშვიდეა აღბეჭდილი, მაჰათმასაც რომ შეშურდებოდა. დილის საინფორმაციო გამოშვებაში კი ვიდეოც გაუშვეს, რომელზეც ნათლად ჩანდა, რომ ავთომ მხოლოდ მეშვიდე დარტყმის შემდეგ გაიღვიძა, შემდეგ კი რაღაცნაირად ხალხისკენ გაიქცა და ცრემლსადენ ნისლში შევარდა. უძინარი თვალები საშინლად აეწვა, რაღაცას ფეხი წამოკრა და წაიქცა. აზრზე რომ მოვიდა, დაკავების საკანში იყო. რკინის ჯაჭვით ხელები ჰქონდა შეკრული და ჭერზე იყო დაკიდებული. უბნის სტადიონზე „დევიატკაში" დაკიდებული ცხვარი გაახსენდა. სამიოდე წლის წინ ახლობლის დედის წლისთავისთვის რომ ჩამოატყავა. მაშინ დააჯარიმეს. თავს იმართლებდა, ხე ვერსად ვნახე და ყლეზე ხომ არ დავიკიდებდიო, მაგრამ 500 ლარის გადახდამ მაინც მოუწია. ნეტავ ახლა რამდენში გამოვძვრებიო, ფიქრობდა და ცდილობდა, თვალი სინათლის წყაროსთვის, პირდაპირ თვალებში დამიზნებული სცენის „პროჟექტორისთვის" მოერიდებინა, თვალები საშინლად ეწვოდა. სცადა დაეხურა, მაგრამ ქუთუთო და წამწამები წებოვანი ლენტით შუბლზე მიემაგრებინათ და ვერ ხურავდა. დაყვირებაც არ შეეძლო, ისეთივე წებო ტუჩებზეც ჰქონდა გადაკრული და რატომღაც წელსზემოთ შიშველი იყო. ნახევარი საათი არავინ ჩანდა, მერე ორი კაცი შემოვიდა. ერთ-ერთი ეცნო კიდეც, მაგრამ სად ენახა, არ ახსოვდა და სწორედ მაგ ჯიგარმა მოულოდნელად კუჭის თავში მუჭი ჩაარტყა.

– ესაა ხო, ახალი „გრუშა"? – იკითხა სიცილით, – ცოტა გეჭმიათ, ჩაჩუტულია რაღაც.

– არ ჭამა იასონოვიჩ, დიეტაზე ვარო, იძახის და იქნებ რამდენიმე კალორია დააწვევინოთ – სრულიად სერიოზულად უპასუხა მეორემ.

– რა კალორია, ბიჭო, ბორმენტალი კი არა ვარ. ცოტა ქვემოთ დამინიე, რაღაც მოუხერხებლად ვარ.

– მიდი, მიდი, უბრახუნე და ერთ საათში შეგეცვლები, ძაან-აც ნუ მოიკლავ თავს, მთავარია არ დაიძინოს.

– გავიგე, რამდენჯერ უნდა მითხრა.

მეორე გავიდა, ნაცნობსახიანი დარჩა. ერთი-ორჯერ უგულოდ ჩააზილა, მერე იქვე ჩამოჯდა და მთქნარება დაიწყო.

– მისმინე, ჯიგარ. პროსტა არ დაიძინო-რა და არ დაგარტყამ. მაგრად მეზარება, ჩემთვის ბავშვებთან ვთამაშობდი, დამირეკეს, საქმეაო და ხომ იცი, უარს თუ ვიტყვი, მერე მე დამკიდებენ შენს ადგილზე. ის მეორეც ჯიგარია, ისიც ეგრე გეტყვის. ნუ ზმუიხარ, მაგას ვერ მოგხსნი. თუ გინდა, გაგაქანავებ ცოტა.

ავთო აზმუვლდა და თავის აქეთ-იქით ქნევა დაიწყო.

– კაი, კაი, გასაგებია, რაც არ გინდა, ღმერთმა ნუ მოგცეს. მე, აგერ, ჩამოვჯდები, კროსვორდს შევავსებ, იაპონურები მევასება, დალშე სულ ერთი და იგივე ნაგავია.

დიდხანს ხატა, რაღაც კურდღლისმაგვარი გამოდიოდა, მაგრამ მეორე შემოვიდა, ყურში ჩასჩურჩულა და გარეთ გაიყვანა, მერე ორივენი დაბრუნდნენ, ავთო ფაქიზად ჩამოხსნეს, დაბუჟებული ხელები დაუზილეს, შხაპში წაიყვანეს, საჭმელი აჭამეს, ახალი ტანსაცმელი ჩააცვეს, რომელიც ცოტა პატარა ჰქონდა, მაგრამ უხდებოდა, თმა გვერდზე გადაუვარცხნეს, მაკიაჟი გაუკეთეს და გარეთ გაიყვანეს.

გარეთ თენდებოდა. ქუჩაში სუსხი იდგა, შვიდასამდე კაცმა და რამდენიმე ქალმა მის დანახვაზე ყიჟინა ატეხა. ერთი მიუახლოვდა და ჩაეხუტა, მეორემ ხელზეც აკოცა. მანქანაში ჩასვეს და ისევ პარლამენტთან მიიყვანეს. საიელდახელოდ გახსნილ დარბაზში შეიყვანეს. იქ პარლამენტართა სრული შემადგენლობა და ოპოზიციის ლიდერები ერთად უცდიდნენ. მის დანახვაზე ყველას დაძაბულობა მოეხსნა. პატარ-პატარა ბირჟებად დაიშალნენ და ახმაურდნენ. სპიკერმა, რომელსაც მიკროფონის გამორთვა დავიწყებოდა, გვერდით მდგომს მიმართა:

– ხომ ვამბობდი, რომ ცოცხალია, აჰა, ბატონო, რა ეტყობა ამას ნაწამების?!

ყველამ ავთოს შეხედა, ავთოს კი როგორღაც მოეხერხებინა, პირველივე სკამამდე მიეღწია და მასავით დაღლილი პარლამენტარის გვერდით ეძინა. რამეთუ მხოლოდ პარლამენტარს აქვს უფლება, იძინოს ყველგან, მაშინაც კი, თუ წითელს და მწვანეს ერთმანეთისგან ვერ არჩევს, მისი ძილი აღარავის დაურღვევია.

და ეძინათ დიდხანს და ბედნიერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გველები

*ცოტნე ავსაჯანიშვილი*

ვერ იტყვი, ახატანში ბევრი ხალხი ცხოვრობსო, მაგრამ წყაროსთან ყველა ერთად რომ შეექუჩდა, მაინც მიიქცია გამვლელი თბილისელი მონადირეების ყურადღება, ემანდ რამეს ხო არ ითხოვს სოფელიო.

ოფლისგან იცლებოდნენ შეჯგუფებული ადგილობრივები და მალ-მალე ავსებდნენ წყლის ბოთლებს. ზოგიერთი მოყუდებით სვამდა, ზოგიც პირდაპირ თავზე გადაისხამდა ხოლმე, გაგგრილდეო. წყალი არ იყო ცივი, რადგან ილისის პაპანაქებაში მზეზე რკინის მილებიც გაახურა.

თავიდან ერთ ალაგას დიდი ენთუზიაზმით შეყრილ ახატნელებს უკვე ძალიანაც ეზარებოდათ იქ დგომა და სახემოღრეცილები პერიოდულად ფურთხთან ერთად მწარე გინებასაც გამოისროდნენ ხოლმე. სახლში მაინც არავინ მიდიოდა. დიდი აზარტი ჰქონდათ თბილისელი მეგველეების ნახვისა.

ჰოდა შეებით ამოისუნთქეს დასიცხულმა სოფლელებმა, წყაროსთან პიკაპმა რომ მოაჩერა. ერთმა ისიც წამოიყვირა, კიდე კაი, მოაღწიეს, თორე მერე ჟურნალისტები დაგვცინებდნენ, ახატნელებმა გველების შიშით თავი მზეს შეუშვირეს და რადიაციით გაიჟუჟქნენო.

პიკაპიდან სამი კაცი გადმოვიდა. ერთი ადგილობრივი პოლიციელი, ერთი ვიღაცა გაპრანჭული ქალაქელი ბიბოლა და ერთიც სამხედრო კომბინიზონში ჩავარდნილი გამხდარი ჯეელი.

„გამარჯობათ, ხალხნო..." – დოინჯი შემოირტყა პოლიციელმა.

„გაგიმარჯოს!" – საყვედურით ჩაილაპარაკა ერთმა ბებერმა ახატნელმა.

„ბიძაჩემო, სანამ ამბავს მოყვებით, აეს ჩიტები გააჩუმეთ. მაგარ პახმელიაზე ვარ და ტვინში მირტყავს მაგათი ჭიკჭიკი." – გახუმრება სცადა კომბინიზონიანმა ჯეელმა.

„ჩიტები გავაჩუმო რა, მაუგლი ვარ?!" – იწყინა მოხუცმა ახატნელმა.

„აგე, რეები ცოდნია პაპას." – ნიშნისმოგებით გადახედა კომბინიზონიანს გაპრანჭულმა ქალაქელმა.

„ვერ გავაჩუმებთ მაგ ჩიტებს. იმიტო, რო ეგენიც ახატნელები არიან და ეგენიც შეწუხდნენ." – გამოეყო მასას ახალგაზრდა ახატნელი ჭაბუკი.

„კაი, არ გეწყინოთ, ხალხნო. ჩვენ სულ კი არ ვჩუმრობთ. აბა, მოყევით, რა ხდება." – დასერიოზულდა გაპრანჭული ქალაქელი.

„რაღა რა ხდება, კაცო?! გავიხედავ და ყოველ დილით ეს ჩემი კატა ნინილას მოათრევს. ვიცი, ჰო, სოფელია და ხან გველის ნინილა იქნება და ხან მიანგისა, მაგრამ ერთი კვირა, ყოველ დილით, კაცო?! ეგეც რო არ იყოს, აგე, იმ დღეს კაიმაგურ დათიკას გადაეყარა ზუსტად მაგ ფერისა, რა ფერისაც ჩემ კატას მოჰყავდა ხოლმე. ოღონდ დიდი. დაუკბინა ძროხები. მერე კი გაუჩეჩქვა დათიკამ თავი, მაგრამ სამი ძროხა გაიყოლა იმ ოხერმა. რაღამდენი მოგიყვე. ეგენიც ისე დადიან გზებზე, როგორც ჩვენა. ჩვენზე მეტნიც არიან. ამოვიდა ყელში. როგორ გინდა, გველებთან ერთად იცხოვრო... ხალხი ჰო ვართ ჩვენცა?! – ამოალაგა სათქმელი მოხუცმა ახატნელმა.

„თქვენი სახელი, ბიძაჩემო?" – შეეკითხა გაპრანჭული ქალაქელი.

„როლანდი მქვია. შენ რა გქვია?" – კითხვა შეუბრუნა მოხუცმა.

„მე ნიკა. მისმინე როლანდ, ჩვენგან რას ელით, რა უნდა გავაკეთოთ?" – საქმიანი კაცის იერი მიიღო ქალაქელმა.

„შენ ჰო ხარ სახელმწიფო?" – თვალი თვალში გაუყარა როლანდმა.

„მერე?"

„რაღა მერე, ადექი და მოგვაშორე ეგ გველები. რო დაგჭირდეს, ომს დაიწყებ, სახელმწიფო რო ხარ და ეს გველები ვერ უნდა გააქრო?!" – ყვირილზე გადავიდა როლანდი.

„საქმე იმაშია, ბიძაჩემო, რო... ჩვენ ის არ გვევალება, დავდგეთ და ძებნა დავუწყოთ. ხო ხედავ, ორნი ვართ. ერთიც თქვენებური პოლიციელი. ჩვენ მაშინ უნდა დაგვირეკო: დაჭერილი რო გყავს და ჩვენ რო უნდა წავიყვანოთ. ან როცა იცი, სადაც არი და მეტყვი. მე შევალ და ავიყვან. გაიგე?" – ხელები დაიბანა ნიკამ.

„დაჭერილი თუ გვეყოლება, მოვკლავთ კიდეც, შენ რაღად გვინდიხარ..." – გაისმა ხალხიდან ქალის ქირქილი.

„აბა, სხვა რა გითხრათ..." – ნიკა მანქანისკენ წავიდა.

„წამო, უნდა განახო, სადაც არი და დაიჭირე!“ – ნამოხტა როლანდა.

„წამო, მანახე.“ – შემოტრიალდა ნიკა.

„ბუდეს განახებ მაგათაას და ერთი არ დაგიჭერია...“ – ჩქარი ნაბიჯით დაიძრა ალმართისაკენ როლანდა.

„დაიცა, როლანდ. რამდენნი იქნებიან იმ ბუდეში?“ – ყოყმანი დაიწყო ნიკამ.

„მე რა ჩემი ფეხები ვიცი. ათი. ასი. ათასი...“ – ხელები გაშალა როლანდმა.

„არა. არ გეწყინოს, ბიძაჩემო, მარა მაგდენს ვერ დავიჭერთ სამი კაცი. დიდი რისკია. მოკლედ, ეხლა ჩვენ წავალთ და თქვენ თუ კიდე დადგებით კონკრეტული ფაქტების წინაშე, დარეკეთ და დიდ ბრიგადას მოვიყვან.“ – გაპრანჭული ნიკა მანქანისკენ წავიდა.

პიკაპი წამში მოსწყდა ახატნის ხრიოკებს. დაბნეული და მოტყუებული ახატნელები ერთთავად დადუმებულიყვნენ. აწითლებული როლანდი ჩამოჯდა და პრიმას წაუკიდა.

„წავიდნენ ქალაქელები? ეეე, ნინაას სუფრა გავამლღევინე. პური მაინც ეჭამათ, კაცო...“ – დანანებით წამოიყვირა ახლადმოსულმა შუახნის ახატნელმა.

* * *

„მინაც არი და ორსართულიანი სახლიც.“ – თავს იწონებდა ყურმილში ვალერი გიგაური.

„ვახ, შენ რა მაგარი ხარ.“ – იცინოდა კლიენტი დიტო.

„დიდი ხანია არ მინახავს, მაგრამ მაქსიმუმ, ფანჯრები ჩამტვრეულიყო. მოკლედ, რემონტის გაკეთება უეჭველად მოგიწევს და მაგიტო ძვირს არ გიფასებ. აგიყვან იმ კვირაში ბარემ და განახებ, რა.“ – ბავშვივით ცქმუტავდა ვალერი გიგაური.

„ბოლო ფასი რა მითხარიი?!“ – ვითომ არ ახსოვდა დიტოს.

„ოცდაათი ათასი.“ – მოჭრით თქვა გიგაურმა.

„ოცდაათიი...“ – ხმამაღლა დაფიქრდა კლიენტი.

„კაი, ბატონო დიმიტრი, რა. ეხლა არ მითხრა ძვირიაო. აგარაკია, მანქანა ხო არა. წარმოიდგინე, რამხელა შენაძენია. მეც მაგრად რო არ მიჭირდეს, აი, პროსტა... მაგაა რა გამაყიდინებდა კაცო?! მამაჩემი, იმის მამა, იმის მამის მამა და ყველანი მანდ ისვენებდნენ. წარმოიდგინე, ჩემი ოჯახის ისტორიას გაძლევ ოცდაათი ათას დოლარად და გთხოვ, გაჭირვებაში ნუ დამიწყებ, რა.“ – გაიკრიფა ვალერი გიგაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კაი, დაწყნარდი, იმათჯან. არ გევაჭრება არაფერზე. მოიყვანე და მანახე იმ კვირაში. დავაი, ეხლა უნდა გავეთიშო.“

ვალერი გიგაური ნიჭიერი მხატვარი იყო. ეგ კი არა, ნიჭიერს რომ ეძახდნენ, ეგეც ეხამუშებოდა. ნიჭიერი კი არა, უნიკალური ვარო. ვერ იტყვი, ზღვაზე ნაპოვნი გამჭვირვალე ქვებით მარტო ვალერი გიგაურს შეეძლო ქალაქის ქუჩების ხატვაო, მაგრამ მაინც ეთქმოდა უნიკალური. გიგაურის გარდა, სხვას არავის გასჩენია მსგავსად ხატვის სურვილი და იმიტომ.

ქალაქში ყოველთვის პატივს სცემდნენ, მიუხედავად იმისა, რომ არასდროს ჰქონია ფული. ერთხელ მისი ერთი ნახატი ერმიტაჟშიც გამოფინეს და მთვრალი გიგაური ახლა ყველას მაგას უყვებოდა ხოლმე, ლეონარდოს გვერდით ვეკიდე და მაგიტომ ყველას მაგრად ვეკიდეო.

უცნაური კაცი იყო ვალერი გიგაური. სიმდიდრე უტყდებოდა. ეშინოდა იმ ადამიანების, რომლებიც მანქანის, მაცივრის, საჭმლის და საერთოდ, რამის ყიდვაზე ფიქრობდნენ. რუტინის შავი მუშები არიანო – ამბობდა.

ფული ძალიან როცა სჭირდებოდა, წინა ცხოვრებიდან შემორჩენილ პაჭაპუჭა რამეებს დაუნანებლად ყიდდა, ან გლდანის ლომბარდებში ტოვებდა. ახლა კი, როცა ბევრი ფული დასჭირდა, საგვარეულო აგარაკსაც მიადგა. თავიდან იფიქრა, ოცი წელია, ფეხი არ ამიდგამს და ეხლა გულიც არ დამწყდებაო, მაგრამ კლიენტ დიტოსთან ყოველი სატელეფონო საუბრის დასრულების შემდგომ სულ უფრო და უფრო სტკიოდა გული, მის აგარაკს ვილაცა მეშჩანი ვირიშვილი რომ უნდა დაპატრონებოდა.

„რა ქენი, ნაა?“ – კალთაში ჩაუხტა გიგაურს მეოთხეკურსელი ქალიშვილი ანანო.

„მგონი, მოვაყომარე, მამი. არ ინერვიულო.“ – შუბლზე აკოცა გოგონას გიგაურმა.

„აეეეეე...“ – წამოიყვირა ანანომ და ოთახში დაიწყო სირბილი.

„კიხარია, ჰო?“ – ამაყობდა მამა საკუთარი თავით.

„აბა, რააა?! სორბონაში მივდივააარ. სორბონაში მივდივაააააარრ. შენ არ ინერვიულო, მა. იქ რომ წავალ და მერე რომ დავბრუნდები, იმდენი ფული მექნება, ოც აგარაკს გიყიდი!“ – ხტუნაობდა და ყვიროდა ანანო.

* * *

წყაროსთან, ახატნის ბირჟაზე, ახლა მხოლოდ ორი კაცი იჯდა. ორი ბებერი. მენახირე, დათიკა და დროებით უმუშევარი როლანდა, ახალგაზრდები ზურგს უკან რომ დასცინოდნენ და ხევისბერს ეძახდნენ.

მენახირის ძროხები ჩრდილში იდგნენ და კუდებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუზებს იგერიებდნენ. დათიკას ფეხებზე ეკიდა ძროხები. გაცხარებული ურტყამდა ხელებს რკინის მაგიდაზე, რადგან დომინოში მარცხდებოდა ბრძენ და შეუპოვარ თანასოფლელთან.

„ცხელააა. ცხელააა და იმიტო მიგებ, როლააანდდ." – ილირინებოდა მენახირე.

„სიცხე რა შუაშია." – როლანდამ პრიმას ნამწვი გადააგდო.

„თავი გადამიხურდა. გულს ვერ ვუდებ და შენ კიდე მიგებ." – აგრძელებდა თავის გამართლებას დათიკა.

„მე რა, განა სკვაზნიაკი მაქ თავში." – მშვიდად აბათილებდა მოწინააღმდეგის არგუმენტებს როლანდა.

„რაო, იმ ქალაქელებმა, აღარ მოვალთო?" – თემა შეცვალა დათიკამ.

„დაიკარგონ, მაგათი დედაც ვატირე."

„ის უთხარი, ძროხები რო დამეხოცა?"

„ვუთხარი."

„მერე?"

„ფეხებზედაც არა ჰკიდიათ?"

„იქნება, რამე შეღავათი მაინც მამცენ..."

„რა შეღავათი?"

„აი, რამე ფულადი... ეხუმრები სამ ძროხას?"

„ელოდე." – გაიცინა როლანდამ.

„ის ვინ მორბის?" – შარას გახედა მენახირემ.

„შალიკოს გოგოა."

„როლანდაა პაპააა, როლანდა პაპააა...." – კიოდა ბავშვი.

„რა იყო, გოგო, რა გაწივლებს?" – დაუხვდა როლანდა.

„ვემაგურების ბავშვები დაუგესლიათ გველებს ტყესთან." – ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა გოგონა.

„ცოცხლები არიან?" – წამოხტა დათიკა.

„არ ვიცი. მანქანით გააქციეს, შრატი უნა გაუკეთონო." – მხრები აიჩეჩა შალიკოს გოგომ.

„აეხლა მაგათ ვუტირებ ყოფას!" – წამოიყვირა როლანდამ და გაიქცა.

„სად გარბიხარ, კაცოო..." – გასძახა დათიკამ.

„ბენზინი უნდა მივასხა და დავწვა ის სახლი, მაგის დედაც ვატირე! იქ არიან დაბუდებულები. იქიდან მოსრიალებენ ეგ ნაბიჭვრები." – ყვიროდა გაქცეული როლანდა.

* * *

„უკანა გზაზე მაგრად ვჭამოთ მცხეთაში." – საჭეზე ხელებს აკაკუნებდა კლიენტი დიტო.

„არ მშია. სიგარეტი გაქ?" – ვალერი გიგაურს მაგრად ეძინებოდა.

„ბარდაჩოკშია და აიღე. ეხლა არც მე მშია. რო მოვტრიალდებით, ხო მოგვშივდება და ლობიო და ხინკალი გავუკეთოთ." – თვალი ჩაუკრა გიგაურს დიტომ.

ვალერი გიგაური ფიქრობდა, რას ნიძმაკაცდება ეს უგემოვნო, მაყუთიანი ლოხით. იმ აგარაკის ფული გამოვართვა და მერე მცხეთაში ჭამა კი არა, ფეხსბურთიდანაც წავშლით. საშინლად გრძნობდა თავს კლიენტი დიტოს ჯიპის მარჯვენა სავარძელში. ვერც იძინებდა, არც დიტოსთან ლაპარაკი უნდოდა და უაზროდ ეწუოდა ღერს ღერზე.

„ვახ, ეს არაგვია, ჰო?" – იკითხა დიტომ.

„ჰო."

„რომელი, ე?"

„რა რომელი?" – ვერ მიხვდა გიგაური.

„შავი თუ თეთრი?"

„არ ვიცი. სადაც იყოფა, იქ გაირჩევა მარტო. აქ შეიძლება შერეულია."

დიტომ მუსიკა ჩართო. გიგაურს გაუხარდა, ეხლა აღარ დაწელაპარაკებაო. რაღაცა კლუბურ იდიოტობას უსმენდა კლიენტი დიტო. აგე, ნო ვამბობდი, უგემოვნოაო. – გაიფიქრა გიგაურმა.

„აქ, ზევით აუხვიე." – მიუთითა ვალერიმ.

„აქა?"

„ჰოო, მანდა. ტყეა და მაგ ტყიდან პირდაპირ იქ გავდივართ."

„დავააააი..."

„ვაჰ... ტყემალი გაიჩითა."

„შევანელებ და მომიწყვიტე რამდენიმე ძმურად. მაგრად მევასება."

„პაბალშომუ შენ ჭამა გევასება მაგრად, ჰო?!" – გაიცინა გიგაურმა.

„ჭამა ვის არ ევასება..." – დაიმორცხვა დიტომ.

„რაგი. მე მკიდია, მაგალითად. აჰა, გამომართვი." – ვალერიმ დიტოს ხუთი ცალი წითელი ტყემალი მისცა.

„უუუ... მაგლა ასნოლებს. ამისგან ლა ტყემალი გამოვააა." – ალუღლუღდა პირგამოტენილი დიტო.

„აი იქ, ზევით გააჩერე."

დიტომ მანქანა გააჩერა. პირველი ვალერი ჩავიდა. რამდენიმე მეტრი გაირბინა ეზოსკენ. ბავშვობა გაახსენდა. დიტო უკან მიჰყვა.

ვალერი მოიკეცა. რომ არ წაქცეულიყო, მუხლებზე დადგა.

„ეს რა არი, ტოო?!" – წამოიყვირა დიტომ.

„დამწვარია..." – მექანიკურად უპასუხა შოკირებულმა გიგაურმა.

„ამაში უნა მოგცე ოცდაათი?!" – ისევ ყვიროდა დიტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუბრები ლილისთან

## (ფრაგმენტები რომანიდან)

*მანანა მენაბდე*

### პირველი საუბარი

– ჩუ... გესმის? უცნაურად ფხაჭუნობს რაღაც...

– სადღაც აქვეა.

– მეზობელია ალბათ.

– არა მგონია.

– რა არის ნეტა?

– რა უნდა იყოს, ალბათ პეპელაა.

– შეხედე, სარკმლის მარცხენა კუთხეშია. როგორი ლამაზიააა...

– ჩვენებურად ამას Der kleiner Fuchs-ს ეძახიან.

– პატარა მელიას?! რატომ ნეტა?

– ფერის გამო.

– მოდი გავუშვათ. – სკამზე ვდგები და სარკმელს ვაღებ. ლილი სკამის გარეშეც წვდება. ფრთხილად სვამს პეპელას ფურცელზე და ცდილობს გარეთ გაუშვას... Der kleiner Fuchs-ი კი გამჭვირვალე ფრთებს აერთებს. რამდენიმე წუთი გატრუნული ზის. შემდეგ თავის ფარატინა ფრთებს მარაოსავით შლის და თვალის დახამხამებაში მოპირდაპირე მხარეს, აკაციის მაღალი ხეების თავზეა.

– ნამდვილად პიტერი იყო!

– ვინ?!..

– პეპელა!

– პიტერი ვინღაა?

– ჩემი დის ქმარი.

– პიტერი რა შუაშია? საიდან მოიტანე?!

– რა და... სულ ამას იძახდა, სიკვდილის მერე პეპელად გადავიქცევიო. ჰოდა, რაც აქ გადმოვედი, ხშირად მსტუმრობს ხოლმე. სულ პირველად, ფანჯრებს რომ ვღებავდი, მაშინ მოფრინდა. მთელი დღე რაფაზე იჯდა და მაკვირდებოდა. ხედავ, ახლაც მესტუმრა.

– ამ ყველაფრის გჯერა?

– პიტერს ხომ სჯეროდა! – რბილად იღიმის ლილი. – ადამიანს უნდა დაუჯერო.

– მეც რა გავიკვირვე, ნაკამურას ცოლიც ხომ პეპელად გადაიქცა...

– მართლა?

– ჰო, მართლა!

– მოკვდა და მერე?

– არააა... უბრალოდ, ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, გავფრინდებიო, ჰოდა, ადგა და პეპელად გადაიქცა... დილით ნაკამურამ რომ გაიღვიძა, ცოლი აღარ იწვა მის გვერდით, პეპელა ეჯდა მკერდზე. იმ წუთში მიხვდა, რომ ეს მისი ცოლი იყო. სხვათა შორის, თეთრ ტბასთან გავიცანი...

– რატომ არაფერი გითქვამს?

– მაპატიე, სულ გადამავიწყდა. ოთხმაბათობით დავფრინავ ხოლმე...

– რა მაგარია, როცა ფრენა შეგიძლია!

– ძალიან ადვილია, თუ გსურს, შენც გაფრინდები.

– მართლა?

– უჰუ... თუ ადამიანს გულით რაღაც უნდა, ყველაფერს შეძლებს.

– მაშინ მოდი, იცი, რაა.. აი დღესვე... – სათქმელს ლილის ტელეფონის ზარი აწყვეტინებს...

........................

აბრეშუმის გამჭვირვალე ფარდებში შემოდგომის სიყვითლე ატანს. ფანჯრის მეორე მხრიდან კი პეპელა ოთახში შემოსვლას ლამობს...

### მეორე საუბარი

– რა გემრიელი სუპიააა!

სხვათა შორის, მე „სუპისტების ორდენი" მაქვს.

ვაოოო... შენს ორდენში მინდა!

მაშინ ფიცის სწავლა მოგიწევს!

ფიცის?!..

ორდენში ხომ უნდა გაწევრიანდე...

„გა-წე-ვრიანდე" რას ნიშნავს?

ანუ ამ ორდენის წევრი გახდე.

აააა... რა თქმა უნდა, მინდა! ოღონდ ნავიკითხავ, თუ შეიძლება?

შენთვის გამონაკლისს დავუშვებ... ბლატით მიგიღებ!

„პლატი" რაღაა?

„პლატი" კი არა და „ბლატი", ე.ი. ნაცნობობით.

აააა... თანახმა ვარ! ძალიან სასარგებლო ყოფილა „სუპისტად" ყოფნა – ამბობს ლილი და მისი კისკისი ბურთებივით სამზარეულოს კუთხეებში იფანტება. უხმოდ ვაგრძელებთ ჭამას... სიჩუმეს მხოლოდ თეფშებზე კოვზების შეხება, ტუჩების ცმაცუნი, ფოთლების შრიალი, მანქანების სისინი და მეზობელი სახლიდან თეფშების მსხვრევის ხმა არღვევს.

ბავშვობაში ოცნება მიყვარდა, – შეპარვით იწყებს ლილი, – სულ რაღაც თოთხმეტიოდე წლის ვიყავი... ის კი ოცდაათის. დიდი ცისფერი თვალები ჰქონდა! ტბის ნაპირას საათობით იჯდა. მე ყოველდღე დავდიოდი ტბაზე საცურაოდ, რომ მენახა. ვცურავდი და რა ილეთებს აღარ ვაკეთებდი, ოღონდ ჩემთვის ყურადღება მოექცია. ხან ჩავყვინთავდი, ხან ამოვყვინთავდი და ასე, გაუთავებლად... მოკლედ, ყურებამდე ვიყავი შეყვარებული. არ ვიცი, ხვდებოდა თუ არა, მაგრამ ჩემთვის სულერთი იყო. ალბათ მხოლოდ ძაღლებს და ბავშვებს შეუძლიათ უპასუხო სიყვარული. სოფელში უცნაური ჭორები დადიოდა მასზე... მე ყველაფერი ფეხებზე მეკიდა. ჩემთვის განსაკუთრებული იყო და მორჩა! არც კი ვიცი, რატომ მომწონდა... უტყვი და მშვიდი რომ იყო, შეიძლება, იმიტომ.

სახლში ჩემს პატარა დას ვაბოლებდი: იცი? – ვუთხარი ერთხელ, როდესაც მორიგი „პაემანიდან" დავბრუნდი, – ტბასთან ერთი კეთილი ჯადოქარი ზის. წარმოგიდგენია, ბაყაყი მეფის ასულად შეუძლია აქციოს, ყველაზე საშინელი მხეცი მოარჯულოს, ზამთარი გაზაფხულად და ზაფხული შემოდგომად შეცვალოს. თავზე, მარცხნივ, ხუთი მწვანე ნაწნავი აქვს, მარჯვნივ კი სამი ყვითელი. კიდევ, კეფა აქვს მელოტი და უპრიალებს-მეთქი. პანკია?!.. – გაიოცა ჩემმა დამ. საიდან მოიტანე, ჯადოქრები პანკები არ არიან-მეთქი. რატომო?!.. – არ მეშვებოდა. იმიტომ, რომ თვალები ტბისხელა აქვს და მხოლოდ მე მომცა თვალებში ჩახედვის უფლება... ჰოდააა... ამიტომაც ჩემი მოტყუება შეუძლებელია-მეთქი. მახსოვს, ამ ნათქვამმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ჩემს დას პანკები მაშინვე გადაავიწყდა... ლილი ჩუმდება.

.......................

რა, საერთოდ არ გამოგლაპარაკებია?

არა.

ალბათ შენმა აპოლონმა ცოლი მოიყვანა.

ამას წინათ გავიგე, იმ ტბაში დამხრჩვალა...

.......................

სიჩუმე სამზარეულოს სივრცეს ჩვენ შორის ორად ყოფს.

შეორთქლილ მინებს იქით ჩანს: ეზო, ქუჩა, სახლები, გამვლელები...

სუპი დიდი ხანია გაცივდა.

– დღეს ღამით თოვლი მოვა. – ამბობს ლილი და მაგიდის ალაგებას იწყებს.

## მესამე საუბარი

– ძველებურ ხალიჩაზე წამოწოლილი, ასე მგონია, მფრინავ ხალიჩაზე ვწევარ... თვალდახუჭული და სიცხისგან გათანგული, ლილის ბინას ვაფარებ თავს.

– შეხედე, ისევ აქაა... – მესმის ყურთან.

– ვინ? – ზანტად ვკითხულობ... „ფრენას" ვწყვეტ და თვალებს ვახელ.

– Der kleiner Fuchs-ი. – ჩუმად ამბობს ლილი და ბროლის ჭიქით ხელში თავზე მადგას. ჭიქაში პეპელა გაუნძრევლად ზის.

– ჩვენთან მწერებს, ცხოველებს და ადამიანებს სქესის ნიშანი არ აქვთ, გერმანულში კი პეპელას მამრობითის აღმნიშვნელი არტიკლი უდგას წინ.

– პეპელა ისეთი ნაზი არსებაა, რომ უფრო ქალის არტიკლი შეესაბამება, არა?

– პიტერი ქალად ხომ არ გადაიქცეოდა?!..

– „ქალად" და „კაცად" რა შუაშია, ლილი... ეგ ხომ პიტერის სულია...

– ჰოოოო... ვერ გაგითვალისწინე... მართალი ხარ... როგორც არ უნდა იყოს, შეხედე, გთხოვ... – ნაღვლიანად მეუბნება ლილი და ბროლის ჭიქას მაწვდის.

– ხო, ვხედავ, რა წერე?!..

– რატომღაც არ ირხევა...

– მკვდარია, ლილი, და როგორ გაირხევა?!.. – ლილი ნაწყენი ნაბიჯით გადის მეორე ოთახში. თითქოს მე მიმიძღოდეს რაიმე ბრალი პეპელას წინაშე – კარგი რააა, ლილი... როგორ იცი ხოლმე... სულ ტყუილუბრალოდ განიცდი... ფრენდა თავისთვის, ფრენდა და ბედნიერად დაასრულა სიცოცხლე! თვალებს ვხუჭავ და „ფრენას" ვაგრძელებ...

.......................

– საიდან იცი, რომ ბედნიერად დალია სული? – ყურთან კვლავ ლილის ხმა ჩამესმის. „მფრინავი ხალიჩიდან" ძირს ვვარდები.

– ვიზე ამბობ?!

– ვიზე ვიტყვი, რა თქმა უნდა, kleiner Fuchs-ზე.

– შენც ნახე რა, სანერვიული...

– საიდან იცი, რომ ბედნიერად ეთხოვებიან სიცოცხლეს? მინდა, ვიცოდე, გრძნობენ თუ არა რამეს?

– დამშვიდდი რა... გთხოვ... ყველას ხომ თავისი კარმა აქვს.

– ახლა კიდევ ვიღაც „კარმა" გამოეჩხირა.. ისე თქვი, რომ გერმანელმა ადამიანმა გაიგოს რააა...

– ლილი, კარმა ყველა ენაზე კარმაა და „ვინმე" კი არ არის, ბედს ნიშნავს! შეგიძლია, გული დაიმშვიდო, ჩვენგან განსხვავებით, პეპლები არაფერს „განიცდიან"!

– საიდან იცი?!..

– რომ ნაგეკითხა, გეცოდინებოდა.

– რამდენიც გინდა, იკითხე, თუ უსულგულო ხარ. ის არ ვიცით, ადამიანებს რა უტრიალებთ სულში და თავში და პეპელასი ხომ –

მითუმეტეს, არაფერი გაგვეცვება. ეგ შენი მეცნიერები აფრენენ...

— როგორი ჯიუტი ხარ, ლილი...

— მაშინ ამიხსენი! თუკი ეგ, როგორც შენ ამბობ, „კარმაა", მერე რა ხდება? ჩვენც ხომ გვაქვს ეს კარმა, ასე არ არის?

— „ემმაკმა დალახვროს, რატომ განიცდის ამ პეპლებს ასე?.." მინდა გითხრა, როოოოომ.... მმმ... აი, ნაკაშურას ცოლი გაიხსენე...

— მაგით რისი თქმა გსურს?

— „რას გადამეკიდა, ღმერთო ჩემო... რა მინდა ნეტა, რომ ვთქვა?.." მინდა გითხრა, როოოომმმ...

— ხედავ, ვერაფერსაც მეუბნები... ხომ შეიძლება, პიტერი იყოს?

— მერე და მაგას რა ჯობს!

— თუკი მოკვდა, რაა მაგაში კარგი?!

— პიტერი დიდი ხანია, მკვდარია. უკვე ხომ გითხარი, ეს პიტერის სულია-მეთქი, დაგავიწყდა? ჰოდაააა... როდესაც პეპელა კვდება...მმმმ... „ვინ მექაჩებოდა ენაზე ნეტა?" ეს იმის ნიშანია, რომ მისი სული სხვა პეპელაში გადასახლდა...

— მაშინვე როგორ ვერ მივხვდი! — სიხარულით მაწყვეტინებს ლილი და მოპირდაპირე კედლთან ერთ ნახტომში ჩნდება. თეთრი კედლიდან ფიფქივით პეპელა ხელისგულზე ფრთხილად გადმოჰყავს. პეპელაც, თითქოს მოილაპარაკესო, ლილის დიდ და კეთილ ხელისგულზე გადადის. „ღმერთო ჩემო, ნეტა როგორ პოულობს ამ პეპლებს?! იქნებ მართლა პიტერია, ვინ იცის?!.."

........................

ლილი აივანზე გადის. პეპელა ისე გატრუნულა მის ხელისგულზე, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანისთვის ემზადებაო. ნელი სიო ეხება მის ფარატინა ფრთებს. უცბად, როგორც ასაფრენ ზოლს, ისე ანყდება ლილის ხელისგულს თეთრი პეპელა და ისეთი სისწრაფით იღებს სიმაღლეს, რომ წამში უკვე სახურავების თავზეა...

— ლილი, ერთი შეხედე, ჩიტივით აიჭრა ცაში!

— ეს თეთრი ანგელოზია!

— ლილი, ჩამოყალიბდი, პიტერია თუ თეთრი ანგელოზი?!

— არა, არა, თეთრი ანგელოზია! მოდი, გავყვეთ? — სხვა რა გზა მაქვს... მოდი-მეთქი... ვთანხმდები...

— დღეს რომ შაბათია? — ტრაგიკულად მაწყვეტინებს.

— რა მნიშვნელობა აქვს, რა დღეა?!

— შენ არ თქვი, ოთხშაბათობით დავფრინავო?

— ოთხშაბათამდე ხომ არ მოვიცდით? ჩვევა ცუ[illegible]!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

........................

მივფრინავთ...

— ყურადღებით იყავი! — ქარის ხმაურს მინდა გადავაყვირო, ხმა რომ მივაწვდინო ლილის. — თვალსაწიერიდან არ დაკარგოოოო!

— ეკლესიის გუმბათთანაა! ხედავ? — მიყვირის ლილი და პატარა ბავშვივით გულიანად იცინის...

თეთრი ანგელოზი ჩვენ გარშემო ტრიალებს... შემდეგ ლილის აჯდება მხარზე.

სამივე ნელ-ნელა ვშორდებით მტვრიან და ხმაურიან ქალაქს...

........................

ცხოვრება მოულოდნელობებითაა აღსავსე, წინასწარ ვერასდროს განსაზღვრავ, სად და როდის გადააყრები თეთრ ანგელოზს...

## მეოთხე საუბარი

— ალო, ალო... სადა ხარ, რატომ ყურმილს არ იღებ? — ყურმილში ლილის აღელვებული ხმა ისმის. — რა გჭირს? არ გიხარია ჩემი ხმის გაგონება? ალო, ალო...

— რას ამბობ, ლილი... რაღაცებს ნუ იგონებ. უბრალოდ, ახლა გავიღვიძე და...

— შენს თავს რაღაც ხდება... ხუთ წუთში მანდ ვარ. სამამდე დაითვალე და, როგორც ჯინი, გავჩნდები შენთან.

— შენ რა, ჩამოხვედი?!.. — მაგრამ ტელეფონის ყურმილი არავითარ სასიცოცხლო ნიშნებს აღარ იძლევა. „რა გადარეულია, ღმერთო ჩემო..." — ვერც კი ვასწრებ ამის გაფიქრებას, რომ კარზე ზარია. დგას ლილი, ლამაზი, გარუჯული და ჯანსაღი, მთების, ტყიაა და ზღვის სურნელს აფრქვევს.

— ერთი დამიხედეთ, რა სიჩქარე განავითარა?!..

— შენ რა, გიკვირს? — ერთმანეთს ვეხვევით. ლილი მძიმე ზურგჩანთას იატაკზე აგდებს. — აბა, ჩამოყაჭე, რატომ ხარ ცუდ ხასიათზე! შემომხედე, ნამტირალევი გაქვს თვალები, თუ რა...

— ყველაფერი ძველებურადაა, გეფიცები... — ვარიდებ თვალებს — უბრალოდ, დავიღალე... ამ ბოლო დროს ბევრი სამუშაო მაქვს. ცუდადაც მძინავს. ცუდ სიზმრებს ვხედავ... კიდევ, სავსე მთვარეა და მოკლედ, ცოტა გადავიღალე...

— შენი ნებაა, ნუ მეტყვი. — მაწყვეტინებს.

— რა გითხრა, ძვირფასო? ყველაფერი ძველებურად მაქვს. მოგზაური შენ ხარ და შენ მოყევი, სად იყავ, რა ნახე, ვინ გაიცანი და ვინ შეგიყვარდა...

— ყველაფერს მოგიყვები, სად წავალ... მაგრამ ჯერ ცხელი, მწვანე ჩაი მინდა დავლიო! შენ დალევ? — თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ. — ძალიან კარგი, წავალ და მოვადუღებ. შენი სამზარეულო მომენატრა. — ლილი ოთახიდან გადის. მე მისალებში შევრბივარ და მთელ ოთახში მიმობნეულ წერილებს, სურათებსა და ხელნაწერებს ჩქარ-ჩქარა იატაკიდან ვხვეტ... ჩემს წარსულს ყველგან, სადაც ხელი მიმიწვდება, იქ ვტენი... „ოღონდ მოვასწრო..." — ვფიქრობ, მაგრამ ლილი უკვე თავზე მადგას ჩაიდნითა

და ფიალებით ხელში. მშვიდად დამცურებს. მე, როგორც პატარა ბავშვი, რომელსაც თითქოს რაღაც ისეთზე წიუსწრიათ, ლილის თვალს ვარიდებ. ის კი, ვითომც აქ არაფერი, ლანგარს ჩაიდნითა და ფიალებით იატაკზე დებს, ლოტოსის პოზაში ჯდება და ჩაის ფიალებში უსიტყვოდ ასხამს.

მეც ვცდილობ, როგორმე ლოტოსის პოზაში ლილის გვერდით ჩავჯდე. ძლივს ვახერხებ. ჩუმად ვსვამთ ჩაის... ცოტა ხანში, საწერი მაგიდის უჯრიდან, ლილი პატარა მწვანე, რეზინის სპილოს იღებს, ხელში ატრიალებს...

– ეს ხომ თეონას სპილოა?

– ჰო... ჩემმა დამ მომცა. სულ ამ სპილოს დაატარებდა ყველგან. ძალიან უყვარდა. რაღაც... ისეთი არაფერი.. თითქოს ჩვეულებრივი, რეზინის სპილოა... სახელიც კი არ აქვს..

– თეონას სპილო. რა, ცუდი სახელია? უკეთესს ვერც კი მოიფიქრებდა კაცი!

– გოგლეგ, ძალიან უყვარდა.. სპილოსაც უყვარდა.. ახლა კი მოწყენილია.. სიჩუმეში მხოლოდ ჩვენი ტუჩების შეხება იმის ფიალებთან... ვსვამთ და ჩუმად ვართ... ჩუმად ვართ და ვსვამთ... ლილი იხრავს...

– ალბათ დაიღალე, არა?

– სულ სამსახურის ბრალია.

– სამსახურის?! „ნამით არ მოგაწყენა..." – მეგონა დასვენებულად წახვედი..

– სულ დამავიწყდა შენთვის მეთქვა... ახალი სამსახური მაქვს...

– ახალი სამსახური?! მეგონა, დასასვენებლად იყავი...

– ჰოოო... დასასვენებლად ვიყავი, მაგრამ... მე „მწუხარების კრიმინალისტი" ვარ.

– მწუხარების კრიმინალისტი?!.. პირველად მესმის...

– გასაგებია, რომ პირველად გესმის, იშვიათი პროფესიაა. ყველა კი არ კიდებს ხელს. შენ გგონია, მაგის გამოძიება ასე ადვილია?

– რისი გამოძიება?..

– რისი და მწუხარების!

– ააააა... მწუხარების... გასაგებია... წარმოდგენილი მაქვს, როგორი სახლაფორთოა. – ლილის თამაშს მხარს ვუბამ...

– რაც მართალია, მართალია, სახლაფორთოა. მთავარია დროულად გამოიძიო.

– როგორც ვატყობ, გისხლტებიან?

– ხან როგორ და ხან როგორ...

– სირთულე რაშია?

– ყველაზე რთული საკუთარი მწუხარების გამოძიებაა.

– საკუთარის?!..?!..?!..

– აბა, რა გეგონა?

– ვერც კი ვიფიქრებდი, საკუთარი მწუხარების გამოძიება ასეთი ძნელი თუ იყო... კი მაგრამ, საკუთარის დაჭერა რაღა საჭიროა?!

– თუ სხვისი მწუხარების დაჭერა გსურს, ჯერ შენსას უნდა მიხედო! შენი თქვი, თორემ სხვისი მწუხარების დატყვევებას არაფერი უნდა. სხვისი წუხილი უკეთ ჩანს და მოსათვინიერებელადაც ადვილია. ერთ-ორ ტკბილ სიტყვას თუ ჩააწვეთებ, წოლეფერები, გაამხნევებ, მხარს დაუჭერ და მომავლის იმედს ჩაუსახავ, ჩათვალე, რომ გამოცდილი გყავს! აი, საკუთარი მწუხარება ვიღაცისთვის კატასტროფაა. სულ გაგიჟდება, შეიძლება, რომ არ იგრძნება, რომ თავი შეინიღბოს, ოღონდაც ხელში არ ჩაგივარდეს.

– ნეტა რატომ?

– თავისი თავი თვითონვე ეცოდება და მაგიტომ. ცაცა, ცაცაო, ჩემო საყვარელო და სულზე უტკბესოო – თავის თავს ასე ეფერება და ეუბნება... ადამიანს ეს მდგომარეობა ძალიან მოსწონს. თავისი ვნებების ტყვე ხდება. მოკლედ, მთელი რიგი ამბების ჯაჭვია... არცთუ ისე იოლია ეს ყველაფერი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება კაცს მოეჩვენოს... სამუშაო მართლაც ძალიან ბევრია...

– ერთი ეს მითხარი, როგორ გამოიყურება ეგ შენი მწუხარება, როგორც ჩიტი თუ როგორც მწერი?

– უხილავია. ამიტომაც უნდა გრძნობდე. თავად ინტუიცია საოცრად განვითარებული აქვს და კიდევ ყნოსვა. მსხვერპლს უტყუარად გრძნობს!

– ვერც კი წარმომედგინა, ასე რთულად თუ იყო საქმე.. ეგ კარგი, მაგრამ, აი როდესაც უკვე დაიჭერ, მერე რას უშვრები?

– რა უნდა ვქნა, უბრალოდ, სიხარულზე ვცვლი და ეგ არის!

– სიხარულზე?!..

– აბა, რაზე შეიძლება მწუხარება კიდევ გადაცვალო?!.. – ლილი თვალებს ხუჭავს და ცხელი ჩაით სავსე ფიალა ტუჩებთან მიაქვს. რამდენიმე ყლუპს აკეთებს და თეონას სპილოს მანვდის. სპილო უკვე სიხარულით და იმედით შემომცქერის.

......................

მზერა ფანჯრებისკენ გადამაქვს... ბერლინის მომავო-მილურჯო ცა თითქოს ქურდულით ფანჯრებიდან ოთახში მოიპარება... გრძელი სიჩუმე უკან მაბრუნებს. მზერა მაგიდიდან თაროებისკენ, თაროებიდან ქოთნის ყვავილებისკენ, შემდეგ თეონას სპილოზე გადადის... და ასე, საგნიდან საგანზე ნელ-ნელა მიცურავს და ტახტთან ჩერდება...

ვხედავ, „მწუხარების კრიმინალისტი" ტახტის გასწვრივ, იატაკზე გაწოლილა და უშფოთველ ძილს მისცემია. მე თბილ პლედს ვაფარებ და ოთახიდან უხმოდ გავდივარ. ეძინოს, როგორც ეტყობა, მწუხარების თვალთვალმა ძალზედ მოქანცა.

# ყვავილობის კვირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მირიან რჩეულიშვილი*

საკანში ყამი მზის კაშკაშა სხივმა ორლესულივით გაჭრა. ზამთარი გასრულდა. სანაპიროზე მხოლოდ უსასრულო წვიმები და შავი ღრუბლები იცოდა ზამთარმა. გვიან და სუსხიანად გაზაფხულდებოდა ხოლმე მაისია მინწურულს. ცის კამარაზე კაშკაშით ამოანათებდა ხოლმე ბრჭყვიალა მზე, თავდაუზოგავად ებრძოდა მოქუფრულ ღრუბლებს და იმარჯვებდა კიდეც ყოველთვის. არემარეს სხივები გადაახალისებდა და შემდეგ, რამდენიმე დღეში უკვე აუტანელი გვალვა თავის ალმურში მოთოკავდა ქალაქს, და მცხუნვარებით უფრო მეტად დააბეჩავებდა ძველისძველ სახურავებს. ჯერჯერობით კი სანაპიროზე იდგა ყველაზე ტკბილი დრო, რომელსაც ყვავილობის კვირას ეძახდნენ.

საკნის კუთხეში მიმწყვდეულ კოლტონს ჯერ მზის სხივმა მოსჭრა თვალი, მოგვიანებით კი დერეფნის ბოლოდან კარის ღრჭიალიც შემოესმა და ძილი დაუფრთხო.

გამიშვით! მომეცალეთ! გაიწიეთ! – მოქოშინებდა და ჩხუბობდა მსუქანი რიკარდო. ისე დამრგვალებულიყო, რომ დერეფანში კი არ შემოვიდა, ლამის შემოგორდა. ცხიმიან თითებში გასაღებების ასხმა უჩხარუნებდა:

– საითაა? – მცველები კუდში მიჰყვებოდნენ, მაგრამ პასუხს არავინ სცემდა. რიკარდო ჯერ ერთ საკანს ეცა, მერე – მეორეს. ყველა ცარიელი დახვდა. როგორც იქნა, ბოლომდე გაიარა დერეფანი და კოლტონამდე მიაღწია. კუთხეში მიყუჟული პატიმარი ისე გამავებულიყო, ლამის ვერც შეამჩნია.

მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! – რიკარდომ ბრაზითა და იხვრით დაიწყო ხელში გასაღებების თვლა – აბა დამაცადეთ! ახლა განახებთ მე... – როგორც იქნა, საჭირო გასაღები იპოვა და დიდი ჯაჯგურითა და ჩხარუნით საკეტი გადაატრიალა. ჟანგნაჭამი რკინის კარი ბოლომდე არც გაიღო, რიკარდომ ხვნეშა-ხვნეშითა და გაჭირვებით ძლივა შესრისა თავისი აზვირთებული ღიპი საკანში. წვეტიანი ცხვირი ჰქონდა, უშნო, ჩამავებული თვალები, უფრო შავი და მსხვილი წარბები, ლამის ერთმანეთზე გადაბმული. ნითელ ოფლიან სახეზე ლოყები ჭუჭყიანი ცომის გუნდებივით ჩამოსწელვოდა. საკბილოს მაძებარ ვირთაგვასავით ცივ მწვანე თვალებს შეშინებული აცეცებდა აქეთ-იქით.

კოლტონს თავზე წამოადგა. ცოტა ხანს ათვალიერა. ხმა არ ამოუღია. არ იცოდა, რა ეთქვა. პატიმარს ორივე მკლავზე სქელი ბორკილი ედო და კედელზე იყო მიჯაჭვული. ჯაჭვები კი ერთმანეთში ალუფხულიყო. რიკარდომ საკეტებს დაუწყო ძებნა და ჟანგიანი გასაღებების მორგება.

რას აკეთებ? – ჰკითხა გაკვირვებულმა კოლტონმა.

გათავისუფლებ! – ახარა რიკარდომ.

როდის აქეთ ათავისუფლებს პატიმრებს ქალაქის მერი თავისი ხელით?

როგორ გეკადრება, კოლტონ! – სიცილმა სრუტუნით გაიზრიალა მის კბილებში, – მე აღარა ვარ ქალაქის მერი! ახალი მერი გყავთ! მე აღარავინ აღარა ვარ! ამიერიდან სანაპიროს ერთი ჩვეულებრივი ვიგინდარა გახლავართ! – ცოტა ხანს შეფიქრიანდა – რაც, მე მგონი, ყოველთვის ვიყავი კიდეც! – ისევ გააგრძელა ბორკილების დახსნა. – მაგრამ ვისაც ჩემზე მეტი ჰგონია თავი, ახლა ისინიც ნახავენ, ვინაა ვიგინდარა. მალე ყველაფერი გაირკვევა. შენ ხომ კარგადა ხარ?

ჩემი გათავისუფლებით გაირკვევა რამე?! – მეხსნილი ბორკილები იატაკზე დაყარა კოლტონმა.

ნახავ, კოლტონ, შენ თვითონ ნახავ! – მზის სხივზე წამომართულ გოლიათს რიკარდო ისე შეჰყურებდა, როგორც მხსნელსა და მესიას. მართალია, დაბალი კაცი იყო რიკარდო და მის გვერდით ისედაც ყველა გოლიათს ჰგავდა. მაგრამ ასეთი სიხარულით არასოდეს აუპყრია თვალები ზემოთ ვინმესაკენ.

მე ისეთი აღარ ვარ, რიკარდო, – ამოიხვნეშა კოლტონმა, მაგრამ როგორც კი მკლავები მოითავისუფლა, მიხვდა, უკან აღარაფერზე დაიხევდა. – რამდენი წელია აქ ვზივარ! ხშირად დამლაპარაკებელიც არ მყავდა. დავბეჩავდი, დავბერდი...

შენ ნაგაზე არ იმერვიული, კოლტონ, – რიკარდომ ისევ ციხის კარებს დაუწყო ჯაჯგური, და რომ ვერ გაალო, ღიპი წელანდელივით სრუტუნით შეიკეცა და გისოსებს შორის გასაძრომად მოემზადა.

და რაში გჭირდები? – კოლტონმა მკლავები ჩასჭიდა რკინის კარს და მეჯაჯგურებით დაახევინა უკან. რიკარდო დერეფანში ისევ წელანდელივით გადაგორდა. მარვალი მეცელზე ამოიწია, გასწორდა, მერე კოლტონისკენ შებრუნდა და ამაყად განუცხადა:

არაფერში, კოლტონ, არაფერში! – სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყო – გადი, ჩადი ქალაქში და იცხოვრე თავისუფლად! – რიკარდომ დერეფანში მოგროვილ მცველებს გასაღები გადაუგდო და ერთხელ კიდევ შეუბღვირა:

გაატარეთ კაცი! თავისუფალია! გაუშვით აქედან!

ერთი ბეწო მხრებით გასწია ყველა, გზა

გაათავისუფლა და კოლტონი პატარა ბავშვივით გამოიყვანა საპყრობილის ეზოში.

აბა, შენ იცი, კოლტონ! – ლამის ცრემლი მორეოდა რიკარდოს თვალზე – არ დამალოდატო! ბევრი მეც აღარაფერი მაქვს, მაგრამ ცოტა ხანს მაინც გაგწვდება, ჭერს იქოვი სადმე და ლუკმა-პურს – მრგვალად დახვეული ქაღალდის ფული ჩაუდო მუჭაში.

მაინც ვერ ვხვდები, რატომ გამიმიშვი... – უხერხულად მოიშორა ჩასახუტებლად წამოსული ბურთივით კაცი კოლტონმა.

რა მიხვედრა უნდა?! სიყვარულისა და პატივისცემის გამო! მე და შენ სიყვარულის და კეთილი განარჯობის მეტი არაფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის... კარგი, უნდა წავიდე. აგერ, მელოდებიან! დიდი მადლობა შენ და აბა, შენ იცი! – რიკარდო იქვე მდგარ შინდისფერ კარეტაში აძვრა, ღიპი უფრო მოქნილად შეტია შიგნით, თხელი კარი ლონივრად მოიჯახუნა და ელვის სისწრაფით დაეშვა ფერდობზე.

კოლტონმა მიმოიხედა. არემარე ათასფერ ყვავილებს გადაეჭრელებინა. ღრმად შეისუნთქა ნაადრევი გაზაფხულის გრილი ჰაერი. ნესტმა სასიამოვნოდ დაუარა მკლავებში. რამდენი წელია ქარის შრიალი არ უგრძვნია. ბევრი ისეთი რამ მოენატრა, რაც ადრე არასდროს ჰყვარებია. ყვავილობის კვირა იდგა, იცოდა, მალე გაყრუვდებოდა ეს სიცოცხლით ჭრელი მინდვრები. მალე გადახმებოდა და დასკდებოდა მწვანე ბუჩქნარით დაფესვილი ბელტები. ოკეანის ხაზს გააყოლა თვალი. დაინახა ქალაქი: საკმაოდ შეცვლილი, გაზრდილი, გალამაზებულიც კი, რაღაც ნხრივ. არ ეგონა, ამ ქალაქს ოდესმე რამე თუ გაალამაზებდა. რიკარდოს კარეტამ ფერდობიდან მარცხნივ გადაუხვია, ქალაქის საპირისპიროდ და აღარასოდეს დაბრუნებულა უკან.

კოლტონი ნელ-ნელა ჩაუყვა ბილიკს. არ იცოდა, სად უნდა წასულიყო, ან რა ეკეთებინა, მაგრამ თავი დიდად არც შეუწუხებია ამაზე ფიქრით. მისნაირი კაცი უსაქმოდ არ დარჩებოდა. ნახევარზე მეტი ცხოვრება კი ისედაც ხელმოცარულმა გაატარა. ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ქალაქში ჩასულიყო და თავისი სამშობლო ენახა. იცოდა, დღეს იქ სულ სხვა ხალხი დახვდებოდა. ათი წელი თითქმის არავის ხმა არ მისწვდენია ციხეში. არავინ დალაპარაკებია. კოლტონი ხარბად სუნთქავდა გაზაფხულს და ისე უსწორმასწოროდ ადგამდა დალმართზე ნაბიჯებს, თითქოს ხელახლა იდგამდა ფეხს.

როგორც იქნა ქალაქამდე მიაღწია. ქუჩებს გულდასმით აკვირდებოდა: ზოგს ცნობდა, ზოგს – ვერა. გზები ქვაფენილში ჩაესვათ. ტალახითა და მიწით აღარ იყო კედლები მოსვრილი. შენობები გაესუფთავებინათ, მაგრამ ეს მხოლოდ ფასადის მხარეს, უკან, ეზოებში, ისევ იმალებოდა და ბნელიდან იცქირებოდა ის ქალაქი, რომელიც კოლტონს ათი წლის წინ დაეტოვებინეს. წმინდა ჯოვანის მოედანს მიადგა. თავისი უფროსი ძმის ქანდაკებას ამრეზით ახედა. მისი სახე აღარც ახსოვდა, მაგრამ ჩათვალა, რომ ქანდაკება საერთოდაც არ ჰგავდა ნამდვილს. ჯოვანის ოდნავ ვიწრო მხრები და გრძელი ხელები ჰქონდა, ეს კაცი კი საოცრად განიერი მხარ-ბეჭითა და მსხვილი კიდურებით გამოექანდაკებინათ. ჯოვანის თავი დაეხარა და ორივე ხელი გულზე ედო. ქანდაკებას პიედესტალში ჩასმული ლამაზი წარწერა ამშვენებდა: „ჩვენ საყვარული გვაშენებს."

კოლტონმა გამვლელებს გადაავლო თვალი. ქუჩები ნაცნობად დაცარიელებული ეჩვენა. თითქოს ყველა სადღაც კუთხეში შეყუჟულიყო, ან ფარდას ამოფარებული ცალი თვალით იჭყიტებოდა გარეთ. ქუჩებს თითქოს ლამაზად მოქარგული ზეწარი ჰქონდა გადმოფარებული, მაგრამ ზეწრის ქვეშ უბილავი მატლები ღრღნიდნენ ერთმანეთს. მოედანზე წმინდა ჯოვანის ძეგლი და ლამაზი ბილიკები მხოლოდ ტურისტებს უხვევდა თვალს. ძველი სანაპირო კი ჩუმად იცდიდა კუთხეში. კოლტონმა იცოდა, როგორც კი ღამე ჩამოწვებოდა, შველა არ იქნებოდა არსაით, არც გასაქცევი. ადამიანი სრულიად უმწეოდ იდგა აქ და წუთისოფელი აუცილებლად გათელავდა მას. მხოლოდ იმაზე უნდა ელოცნება, ნეტავ დატორილმა მაინც შეუძლო ორ ფეხზე დგომაო. ქურდები და ბანდიტები ციხეში ბოროტმოქმედებმა ჩაყარეს, ახე რომ, გულის გულში, სანაპიროს ისევ ისეთი შავი სისხლი უჩქეფდა, როგორც ყოველთვის.

სკამზე ჩამომჯდარმა ვერც კი შეამჩნია, როგორ მიუახლოვდა ნაცრისფერში გამოწყობილი მამაკაცი. მხოლოდ მისმა ხმამ გამოაფხიზლა:

კოლტონ უაიტ? – თავაზიანად მიმართა უცხომ.

ჰო... – ხმა ჩაუწყდა და ძლივს ამოთქვა ხრინწით.

ქალაქის ახალმა მერმა გამომგზავნა, როგორც კი თქვენი გათავისუფლება შეიტყო, – თვალებდახრილი საუბრობდა კაცი, – ბატონ ერიკ გრინვალდს თქვენთან შეხვედრა და გასაუბრება სურს.

კარგი, – ფეხზე წამოდგა კოლტონი, – წავიდეთ!

არა, – უხერხულად შეიშმუშნა უცხო, – ჯერ გვარიანი მოწესრიგება არ გაწყენდათ – და აღმაცერად დახედა კოლტონის დაფლეთილ ტანსაცმელს, გაბაწკვლულ წვერსა და თვალებზე ჩამოფხატულ ჭუჭყიან თმას.

რა გაეწყობა, – ხელები გაშალა კოლტონმა – გამიძეხით!

ჯოვანის მოედანი ეგონა ცენტრი, მაგრამ კოლტონმა მხლებელთან ერთად უფრო და უფრო ლამაზი ქუჩები გაიარა და მოედანი უკან მორჩათ. უფრო და უფრო აჭრელებული შენობები, უფრო და უფრო ჩამოყამებული ვიწრო გასასვლელები; თითქოს ქალაქის მიგანი აჩრდილივით არ შორდებოდა არსად. ლამაზ საილებსა და ფერად სკვერებში მხოლოდ სევდა, სიბინძურე და ჯანღი გამჯდარიყო. ქალაქის კვასკვასა ცისარტყელაში იისფერი მწუხრი ჟარბობდა.

როგორც იქნა აბანოში მივიდნენ. ცხვირაბზეკილი მოსამსახურეები ისეთივე გარინდული მზერით მიდი-მოდიოდნენ, როგორც კოლტონის მეგზური. თითქოს კოლტონი არც კი იყო იქ. ცხელი აბანო სხეულზე თაფლივით მოედო. ჩამოიბანა ციხის სიცხე, ჭუჭყი და ნესტი. დარდი და დაღლილობაც, ცოტა ხნით, სადღაც გვერდით გადადო. ცოტა მიუყრუა სამყაროს, თვალი მოუხუჭა ოდნავ, ალბათ, პირველად თავის სიცოცხლეში. მთელი ახალგაზრდობა გამალებული ეძებდა რაღაცას, ნერე მას ეძებდა ყველა. ახლა კი დევნა შენყდა, მაძებარიცა და დევნილიც დაიღალნენ ერთმანეთით, თავიანთი ყოფით. კოლტონმა თავი გადასწია. ჩაეძინა. ბოლო დროს არაჩვეულებრივ სიზმრებს ხედავდა, მაგრამ ახლა ფრიდრიკი დაესიზმრა. ჯერ დიდხანს მიუყვებოდა გრძელ დერეფანს, სადაც ყველა კარი ღიად დაეტოვებინათ და ყველა კარიდან ვიღაც ეძახდა, მაგრამ არცერთს ყური არ ათხოვა. დერეფნის ბოლომდე იარა და მაღალი, ნაბლისფერი კარი შეაღო. ცარიელ ოთახში ფრიდრიკი იჯდა სკამზე. კოლტონი სიხარულით ეცა და ჩაეხუტა.

მე მეგონა, შენ მოგკლეს! – ცრემლები მოადგა თვალზე, – როგორ მინდოდა შენი ნახვა!

არა, ჩემო ძმაო... – ჩურჩულებდა სიზმარში ფრიდრიკი – სიკვდილი ვერ მომერია...

კოლტონმა უფრო მაგრად მოუჭირა ხელები და იგრძნო, მის მკლავებში ნელ-ნელა როგორ აორთქლდა და გაქრა ფრიდრიკი. აბანოს კარის ხმამ გამოაღვიძა და მაშინვე ცრემლები მოიწმინდა. ფეხაკრეფით შემოსული გოგონა მასთან შიშველი ჩავიდა წყალში.

გამარჯობა. – ღიმილით მიეგება კოლტონს.

შენ რამდენი წლის ხარ? – ბრაზით მიმართა დაუკითხავად შემოსულ სტუმარს.

იმდენის! – გაიცინა გოგონამ, – სიყვარული უკვე ვიცი!

გადი! – ხელით კარისკენ მიუთითა, – გადი და უთხარი, ვინმე უფროსი შემოუშვან! დროზე!

გოგონა მიხვდა, რომ არაფერი გაუვიდოდა და სწრაფადვე ისკუპა წყლიდან. სანამ კარში გავიდოდა, ერთი კი ამოიოხრა, რა ყველა ავადმყოფია ამ ქალაქშიო.

ცოტა ხანში გოგონას მაგივრად ქალი შემოვიდა და უსიტყვოდ ეახლა კოლტონს. ქალს რბილ მკლავებში ჩაჭიდა ხელი, ახლოს მიიზიდა, ყელში კოცნიდა და გაზაფხულის სურნელებით იყო ატანილი. მკლავები შემოაჭდო და შესავლის გარეშე გააშლევინა ფეხები. ეს არ იყო სიამოვნება, კოლტონმა ცოტა ხანში მხოლოდ ერთგვარი შვება იგრძნო, თითქოს მის მხრებზე ჩამომდგარი სანაპირო ცოტა ხნით შეხსნეს და ამოასუნთქეს. ქალი ისევე უჩუმრად გავიდა, როგორც შემოვიდა. შემდეგ კი ერთ-ერთმა შეგირდმა შემოიხედა და კოლტონი დალაქთან დაიბარა.

წვერი გაგკრიჭოთ? – შეეკითხა დალაქი და მზრუნველი წარბები შუბლზე აუთამაშდა.

არა, მთლიანად გამპარსეთ. – კოლტონმა პირველად დაინახა, რომ ჭაღარა ჰქონდა შეპარული თმაში.

თანხმობის ნიშნად მეგზურმაც თავი დაუკრა, რომელიც არაფრის დიდებით არ ეუბნებოდა, რა საქმეზე იყო დაბარებული ქალაქის მერთან. ცოტა ხანში ლამაზ ტანსაცმელშიც გამოაწყვეს; ყავისფერი ტყავის ჩექმები, მოხდენილი შარვალი და კოლტონის შესაფერისი მუქი პიჯაკი. მეგზურმა ჰალსტუხი და ბანტიც შესთავაზა, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო. კოლტონმა თეთრ პერანგს სულ ზედა ღილი ააგლიჯა, ცოტა ჩაიხსნა, შავი ჟილეტიც მაგრად მოქაჩა, გააგანივრა. ახალ ტყავში გაიბრძოლ-გამოიბრძოლა და თავი მოიშინაურა. სამოსის შესწორებას რომ მორჩა, მერე ომახიანად იკითხა:

როდის მიმიღებს ბატონი გრინვალდი?

მოქურუხებული მეგზური თვალს არ აშორებდა, ცალი წარბი ჩამოსწია, კოლტონის უხეშ გემოვნებას შეეგუა და ხმადაბლა მიუგო.

წამომყევით.

დიდი ნაბიჯებით გაუყვნენ ლამაზ ბილიკებს. ერთ-ერთ მოსახვევში ქალაქის მცველი შეეგებათ. ლამაზ აბჯარში იყო გამოწყობილი. შიგნით წითელი პერანგი ეცვა. კოლტონმა მცველი და მისი აბჯარიც ქალაქს მიამსგავსა. მხოლოდ გარედან იყო ლამაზი, მაგრამ გამოცდილმა თვალმა მიახვედრა, რომ ამ აბჯარს პატარა ხელცულის ღონიერი მოქნევაც კი ნაფოტებად აქცევდა.

მწვანედ აბიბინებული ეზო გაიარეს და თეთრი, განიერი შენობის კარში შევიდნენ. ამ შენობამ კოლტონს გრინვალდის სახლი გაახსენა, რომელიც ძალიან დიდი ხნის წინ ჰქონდა ნანახი; განიერი, მსხვილი, მართკუთხა და კარგად ნაშენი. თითქოს სახლის პატრონი ყველას შორიდანვე ეუბნებოდა: აქედან ფეხის მომცვლელი არ ვარო.

რა გვინდა ჩვენ ყველას? – ღიმილით შეუძღვა გრინვალდი სტუმრებს თავის კაბინეტში, სადაც უამრავი ადამიანი ფუსფუსებდა. – რა გვინდა სხვა, თუ არა მშვიდობა და აყვავება? – მარცხენაში ძველი ყავარჯენი ეჭირა ისევ, მარჯვენა კი ოქროსფერ გულსაბნევზე ჰქონდა დადებული. კოლტონს გაახსენდა ძველი მეგობრის მერკანტილური ამბიციები.

უკვე ხმამაღლა ამბობ შენს სურვილებს? – დამცინავად ჩაილაპარაკა კოლტონმა. უცხო ხალხში ჯერაც უხერხულად გრძნობდა თავს. ადამიანის უნახავს, უნდოდა ყველას დაკვირვებოდა, ყველა შეესწავლა, მაგრამ ამისთვის არ ეცალა. მასპინძელი დილიდან რაღაცას უმზადებდა და სურდა გაეგო – რას.

ქალაქი როგორ მოგეწონა? რა ხანია არ გინახავს. – გრინვალდს უნდოდა რაიმეზე მაინც დაეთანხმებინა სტუმარი, სანამ თავის სათქმელზე გადავიდოდა, – ჯოვანის მოედანი ნახე?

ვნახე. – მოკლედ მოუჭრა კოლტონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე? რას იტყვი?

ადამიანი ისევ ისე ებრძვის ამაოებას.

რას გულისხმობ? – დაინტერესდა გრინვალდი და გაუხარდა კიდეც, რომ საუბარში აიყოლია.

რას და, უკვდავების რომ გვნამს, ვეძებთ, მაგრამ ვერასდროს ვპოვით.

გრინვალდმა პირში სიმწრალე იგრძნო, საფეთქელთან ნერვი დაეჭიმა, მარცხენა ხელი, რომლითაც ყავარჯენს აწვებოდა, რატომღაც ასტკივდა და ოქროს გულსაბნევი მკერდში ჩაერჭო.

გასაგებია, – მკაცრად მოუჭრა კოლტონმა და მოფუსფუსე ხალხს შეუძახა: – მორჩა, დაგვტოვეთ. გადით ყველანი!

ყველა მორჩილად გავიდა ოთახიდან, ნაცრისფერში გამოწყობილმა მძლებელმა კარი მიხურა, იქვე დადგა და გაყუჩდა.

კოლტონ, ჩვენი ქალაქი გიყვარს? – მაგიდასთან სავარძელში ჩაეშვა გრინვალდი, სტუმარსაც დაჯდომა შესთავაზა და ჯერაც არ კარგავდა იმედს, რომ მათი საუბარი მეგობრულად წარიმართებოდა.

შენს კეთილგანწყობაზე მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, – დაჯდომაზე უარის ნიშნად ხელი გაიქნია კოლტონმა – ცხოვრებაში შემდგარი ადამიანის საუბარს ღვარძლი და შური არ ეკარება. მაგრამ ჩვენ ხომ ასეთები არა ვართ.

დიდი დრო გავიდა, კოლტონ – შეფიქრიანდა გრინვალდი – არ ვიცი, ადრე რას მიწუნებდი, მაგრამ მე დიდად შევიცვალე. ქალაქი ახლა მე მაბარია, და მის კეთილდღეობაში დახმარებას გთხოვ. ...ნუთუ ჩვენი ქალაქი არ გიყვარს? – თვალებდაჭყეტილი შეაცქეროდა გრინვალდი.

ამ შეკითხვის პასუხი არც ჰოა და არც არა.

გასაგებია, – თავი ჩახარა გრინვალდმა, წამოდგა და ოთახის კუთხეში, კარადიდან რკინის ყუთი გამოიღო, – ქალაქი ხომ ნახე? ხომ შეავლე თვალი?

კი, – კოლტონი მიხვდა, ყუთში რაც იდო, მაგრამ ბოლომდე ვერ ამოეხსნა თავსატეხი.

ხომ ნახე რა სილამაზე, წესრიგი და სისუფთავეა, ასეთი ხომ არასოდეს გინახავს? – კმაყოფილი ღიმილი აუციალდა ერიკს სახეზე.

– ეგეც ვნახე, და სხვა რამეც, – კოლტონმა ქუჩებს მიღმა ჩარჩენილი, დაღვრემილი ქოხები იგულისხმა.

– ზუსტად! მეც მაგას გეუბნები! – გაუხარდა გრინვალდს – ყველაფერი, რაც ლამაზი და კარგი დაინახე – მე ვარ, ხოლო ყველა აჩრდილი, რაც იმალება და მოსვენებას არ გვაძლევს – ისაა!

– ის?.. – გაიკვირვა კოლტონმა.

დიახ, ის... – ქალაქის მერს ზიზღი ჩაუდგა მომწვანო თვალებში, – შენი ციხის უფროსი და ქალაქის მთავარი ინსპექტორი.

ლუთერი?!

დიახ, ლუთერი, – ყუთს თავი ახსნა, კოლტონმა ვერცხლისფრად მბზინვარე რევოლვერი დაინახა. სიგრძეში ოცდახუთი სანტიმეტრი იქნებოდა, ლულას კორპუსი სამკუთხა ფორმით ჰქონდა გაყოლებული. მთლიანად ვერცხლისფერ იარაღს მხოლოდ ტარი ჰქონდა კუპრივით შავი.

– მე და შენ ერთი და იგივე კაცი გვაწუხებს – თქვა გრინვალდმა და ტყვიების ჩალაგებას შეუდგა.

ლუთერი მე არ მაწუხებს.

არა?! – იარაღი ხელში აათამაშა და კოლტონს გაუწოდა – შენ გგონია თავს დაგანებებს?! ლუთერი მანამდე არ მოისვენებს, სანამ შენ ისევ ციხეში არ ჩაგაყუდებს. ასე რომ, ეს გამომართვი! ჩემგან საჩუქრად ჩათვალე, თავისუფლებას გილოცავ. დიდი იმედი მაქვს, ჩვენ ორნი ისეთ ქალაქში ვიცხოვრებთ, როგორსაც ჭეშმარიტად ვიმსახურებთ!

კოლტონმა იარაღი გამოართვა. ყუთიდან ქამარი ამოიღო, წელზე შემოირტყა და რევოლვერი ბუდეში მოათავსა.

შინაომები გარეშე მტერთან ბრძოლაში ხელს არ მოგვცემმა – ყავისფერი ქუდი ჩამოხსნა საკიდიდან, დახედა, ხელი გადაუსვა და დაიხურა, – სანაპიროს არასდროს ჰქონია შინაომების ფუფუნება! – კარი გაიხურა და ქალაქის მერი თავის კაბინეტში გაზაფხულის აუხსნ შეატოვა.

* * *

ვიწრო დაღმართებით კოლტონი თავქვე დაეშვა. ცოტა ხანში იმ მაღლობს მიადგა, სადაც ქალაქის საუკეთესოები სახლობდნენ. უბანს ვერ დაარქმევდი, ერთგვარი დასახლება იყო. დიდი და ლამაზ-ლამაზი სახლები უშნოდ გადაგრეხოდნენ ერთმანეთს. სიმწვანე და სილამაზე ღობეებითა და გალავნით იყო მოშხრჩვალი, ზღუდის გადმოღმა კი მინა ქვების, ბელტების, თვეების წინ გამხმარი ტალახისა და ლაფის უდაბნოდ ჰქონდათ ქცეული.

სახლების უმეტესობა დაესრულებინათ, ზოგი კი შუა გზაზე იყო მიტოვებული. გამხმარი ტალახით დანაოჭებულ აღმართზე რამდენიმე მუშა ჩამოდიოდა, კოლტონმა გზა ჰკითხა და სვლა გააგრძელა. ჰაერში აქაც საოცარი სურნელი იდგა. როგორც კი ქალაქს გამოშორდებოდი, ყველგან იგრძნობოდა ყვავილობის კვირა. მზის სხივები თითქოს ყაყაჩოების სიწითლით უთბობდნენ ლოყებს. კოლტონი ვერაფერზე ვერ ფიქრობდა. მიგნიდან იჭერდა რაღაც უხილავი კავი. უზარმაზარი ნაბიჯებით ებრძოდა დაკოჟრილ მიწას, ზედ ახტებოდა პატარა ბიჭივით, მაგრამ სული გამოუთქმელი ჯაჭვებით ისევ კედლებზე ჰქონდა მიბმული. მის გასათავისუფლებლად მსუქანი რიკარდო და ჟანგიანი გასაღებები ვერაა გახდებოდნენ. ეს მხოლოდ თავის მეციხოვნესთან, ლუთერთან უნდა გაერკვია.

ლუთერის სახლს, სხვებისგან განსხვავებით, დაბალი გალავანი ეკრა, სიმაღლეს მხოლოდ წვრილი გისოსები იცავდა. სახლი სხვებისგან ოდნავ მოშორებით, ვაკეზე იდგა და რკინის

ჭიშკართან შედარებით ლამაზად მობილიკებული გზა ჩაუდიოდა. კოლტონმა ჯერ კიდევ შორიდან დაინახა, როგორ ნამოდგა ეზოს კუთხეში მოფუსფუსე ქალი და როგორ მოიჩრდილა ხელით მზე. როცა მიუახლოვდა, მუქი ლურჯი კაბა მოზერილმა ქარმა ქალს სქელ თეძოებზე მიატმასანა. ცალი ხელით კაბას ასწორებდა, ცალით კი – მინდისფერ თმას.

კოლტონი უხმოდ მიესალმა გალავნის იქითა მხრიდან. ქალმაც თავი დაუკარა. ორივე ერთმანეთს ელოდა, პირველი რომელი დაძრავდა სიტყვას. კოლტონმა ხელი უხერხულად დაიქნია და როგორღაც ამოთქვა:

ლუთერთან მოვედი.

თქვენ... კოლტონ უაითი ბრძანდებით? – ახლაღა შენიშნა ქალის ხელში პატარა საბკუთხა ნიჩაბი და თხრილები მის ფეხებთან.

დიახ – თავი დაუკრა კოლტონმა და შეამჩნია, რომ ქალმა ნერვიულად ჩაუჭირა ხელი ნიჩაბს, – თქვენ როგორ მოგმართოთ?

მე... ალისა, – ნიჩბის დადება გადაწყვიტა, მაგრამ მხოლოდ უცნაურად შეტორტმანდა, თვალები დახარა, მერე ისევ მოიკრიბა გამბედაობა და მზერა გაუსწორა სტუმარს, – მე ლუთერის მეუღლე გახლავართ.

გასაგებია... – კოლტონმა ჭიშკრისკენ გაიხედა, მალევე მოაცილა მზერა და უკან დაიხია – დაველოდები.

კარგი. – თავი ხელში აიყვანა ქალმა და ხელით ჭიშკრისკენ ანიშნა – შემობრძანდით, შინ დაელოდეთ!

თქვენ ხომ მე არ მიცნობთ? – გაუკვირდა კოლტონს.

გიცნობთ... იმდენი რამ მსმენია თქვენზე... – ალისა დინჯად გაუყვა გალავანს.

მერედა, მაინც მენდობით? – ჩაეკითხა კოლტონი.

მთავარ ინსპექტორს რომ ვენდე, მაგით რა მოვიგე? – მეგობრული ღიმილი შეაგება სტუმარს.

იქ რას აკეთებდით? – თხრილზე მიუთითა ქალს.

ოჰ, რა ვიცი... – ამოიოხრა ნაზად — წლებია, ვცდილობ ყვავილების დარგვას, მაგრამ... – ჭიშკარს მიადგნენ, ნაზი ხელებით მასპინძელმა ურდული გახსნა და სტუმარს კარი გაუღო – ჩვენთან არაფერი არ ხარობა.

კოლტონს აღარ გისოსები აღარ უშლიდა მხედველობას, ქალის სახე კარგად შეათვალიერა. ალისას ფართო სახე ჰქონდა, მკვეთრი, მაგრამ ნაზი ნაკვთები. შეწითლებული ყვრიმალები გეგონებოდა სახელდახელოდ იყო გამოქანდაკებული. გონიერი თვალებით მისჩერებოდა სტუმარს. ბაგე გახსნა და ბავშვურ ღიმილში კოლტონმა მის კოხტად ჩამწკრივებულ თეთრ კბილებს შეავლო თვალი. ეზოში შეაბიჯა და მასპინძლის დინჯი ნაბიჯით სახლისკენ გაემართა.

ჩემს მეუღლეს კარგად იცნობთ? – ჰკითხა გზაში ქალმა.

არ ვიცი... არა მგონია.

ეგ როგორ?

მისი კეთილი საქმე არ მინახავს. მისი მხოლოდ ბოროტება მახსოვს. ციხის გარეთ რისი მაქნისაა, ვერ გეტყვით. შეიძლება ითქვას, არც კი ვიცნობ.

მხოლოდ ჩადენილი სიკეთე გკარნახობთ ადამიანის ავკარგიანობას? – შეიშმუშნა ალისა და მაღალი რის კარი შეაღო.

მინდა მჯეროდეს, რომ ნებისმიერი ადამიანის ამოსაცნობად მთავარი მის მიერ გაკეთებული სიკეთეა. ვცდილობ, ამით ვიხელმძღვანელო ბოლომდე.

მისაღები ოთახი დარბაზს უფრო ჰგავდა, მაღალი თეთრი ჭერი ლურჯად მოხატულ ბოძებს ეჭირათ, შემოსასვლელიდან მუქი ხის კიბე მეორე სართულზე ადიოდა. დარბაზის ცალ მხარეს მაღალი მუშაბანდი ჭერამდე იყო ანვდილი. ხედი ვერანდაზე გადიოდა და იქიდან სანაპირო ხელისგულივით მოჩანდა.

ახლავე მოვალ! – თქვა ალისამ და მოსამსახურეა გასძახა.

კოლტონი ვერანდაზე გავიდა, მოაჯირს დაეყრდნო, ქალაქს დააკვირდა. თითქოს აქედანაც ისეთივე ჩანდა ყველაფერი, როგორიც ციხის მაღლობიდან, ოღონდ ლუთერის სახლი ქალაქის ჩრდილოეთით იდგა, ციხე კი სამხრეთით. ცოტა ხანში ციხეც შენიშნა, უმნიშვნელო წერტილად რომ ჩაძირულიყო პეიზაჟში.

ალისა გამოვიდა, ხელში ჭიქები ეჭირა, ერთი კოლტონს გაუწოდა და გვერდით ამოუდგა.

მალე ძალიან დაცხება, უკვე ინყებს, არა? – დიდი ყლუპები მოსვა.

ჰო – კოლტონი ჭიქაში ჩაძირულ ყინულსა და ლიმნის ფურთებს ჩააკვირდა, შეანჯღრია და უგემურად მოიყუდა – მაგრამ ჯერ ისევ ყვავილობის კვირაა!

თქვენ... იცით ყვავილობის კვირა? – სიხარულით შესძახა ალისამ.

რა თქმა უნდა, სანაპიროზე ვინ არ იცის?

აღარ იციან! – ხელი გადაისვა გაოფლილ შუბლზე, – ყველას ვუხსნიდი, ვასწავლიდი, მაგრამ მაინც დაივიწყეს, ლამის მეც დამავიწყეს!

ჩემს ძმას უნდოდა, რომ ყვავილობის კვირა სანაპიროზე დიდი დღესასწაული ყოფილიყო. – კოლტონმა ჭიქა მოაჯირზე დადგა.

ჰო – შეფიქრიანდა ალისა – ...ძალიან ვწუხვარ თქვენი ძმის გარდაცვალების გამო.

მადლობა, მაგრამ ფრიდრიკა არ ვგულისხმობდი.

კიდევ გყავდათ ძმა? – გაუკვირდა ქალს.

ჯოვანი. მოედანი ხომ იცით? – გაეღიმა კოლტონს.

წმინდა ჯოვანი თქვენი ძმა იყო?!

ჰო, ესეც ყველამ დაივიწყა? რამდენი რამ შეცვლილა ამ ათ წლიწადში – კოლტონმა იქვე სავარძელი დაინახა და ოხვრით ჩაესვენა შიგ, – ჯოვანი მეც არ მახსოვს კარგად, მაშინ ძალიან პატარა ვიყავი.

მარტო თქვენ დარჩით? – ალისაც გვერდით მიუჯდა, შეტყუპებული იდაყვებით მუხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს დაყრდნო და ჭიქა აათამაშა ხელში.

დიახ, მაგრამ მაინც არა მგონია, რომ მარტო ვარ – სიტყვა მარტო რაღაცნაირად ეტკინა კოლტონს, ისედაც იცოდა, მაგრამ ახლა დარწმუნდა, რომ ადამიანი ციხიდან ერთ დღეში ვერ გამოვიდოდა.

მეგობრები გყავთ? ახლობლები?

არ ვიცი, უნდა მოვძებნო. დიდი დრო გავიდა... – ნიკაპზე მოისვა ხელი ჩაფიქრებულმა კოლტონმა.

...და ჯერ ლუთერთან მოხვედით? – ცნობისმოყვარეობა არ სცილდებოდა ალისას გონიერ თვალებს.

ჰო, ჯერ ლუთერთან.

ჩემი მეუღლის მოკვლა განიზრახეთ? – ალისას მზერა კოლტონის რევოლვერს მისწვდა, რომელიც დაჯდომისას უშნოდ ამოჩროდა ბუდიდან.

არა! – სწრაფად გაასწორა ბუდე – რა თქმა უნდა, არა.

აბა? – გაიკვირვა ალისამ.

არ ვიცი, ისე, სალაპარაკოდ.

– იოცნებეთ! – ჩაიცინა თავისთვის – წლებია, ჩემს მეუღლეს მე ვერ ველაპარაკები.

თქვენ მაინც გინახავთ მისი კეთილი საქმე? – როგორც იქნა კოლტონმაც შეძლო შეკითხვის დასმა.

თქვენ, მე მგონი, ადამიანის კეთილი საქმით მისი სიავისის დანახვას უფრო ცდილობთ. – გულახდილობის ნიშნად მოუხუჭა ცალი თვალი ქალმა – ვისაც ეხმარება და რასაც აშენებს, ისაა მისთვის ყველაზე მტკივნეული წერტილიც.

ადამიანის პიროვნება დიდწილად მისი სისუსტის მალვას ემსახურება – კოლტონმა ბოლომდე ჩაცალა წყლის ჭიქა და ლიმნის ნაჭრებიც მიაყოლა.

ალბათ... – შეფიქრიანდა ალისა – მაგრამ, არ ვიცი, არ მახსოვს ლუთერის კარგი საქმე, რთული სათქმელია. ლუთერის კარგი საქმე ბოროტებას ემსახურება. მაგალითად მე, ხომ ხედავთ, რამხელა სახლში ვცხოვრობ, მდიდრულ უბანში, მაგრამ ეს ჩემი ხანატრი სახლი დილეგად მიქცია. ჩემს სარკედ. თითქოს დამსაჯა, რომ მე მხოლოდ ეს მაინტერესებდა და ახლა ჩემსავე ოცნებაში ვყავარ გამომწყვდეული.

ჰო, ლუთერს ეს სჩვევია, – შეფიქრიანდა კოლტონი, – მეც მაჩუქა ერთხელ ციხეში მეგობარი, და როცა მართლა დავუმეგობრდი, სწორედ მაშინ წამგვარა ეს ერთადერთი მეგობარიც.

– სამწუხარო ისაა, რომ ადრე სჯეროდა მაინც, სიკეთეს ვემსახურებით. ახლა კი თვითონაც აღარ იცის.

ძალიან იოლია ადამიანი ხატად აქციო, ერთდროულად შერაცხო, თითქოს რაღაც გიბიძგებს კიდეც ასე მარტივად ცხოვრებას – კოლტონი თვალებში ჩაჰყურებდა ალისას და ისე ლაპარაკობდა, თითქოს ყურში ეჩურჩულებოდა რამეს – მაგრამ მე მივხვდი, რომ არც მაცხოვარი ვყოფილვარ ოდესმე, და არც ის რომაელი ჯარისკაცი, შუბი რომ აძგერა ჯვარცმულს. მე ერთი უბრალო მაყურებელი გახლდით გოლგოთაზე.

ლამაზი ნათქვამია! – თვალები აუწყლიანდა ალისას, ოღონდ ვერ გაიგო, ეს კოლტონის გამჭოლი მზერის გამო იყო თუ მისი სიტყვების – იცით, მე მგონი, თქვენ მიმართ სიბრალული ვიგრძენი. წარმოიდგენია, როგორ გიჭირდათ...

ჩემი აზრით, დიდი ხანია ორივენი ჩვენ-ჩვენს დილეგში ვცხოვრობთ, უბრალოდ, თქვენი ოდნავ უფრო ლამაზი ყოფილა, – ირონიულად ჩაიღიმა კოლტონმა.

დარწმუნებული ვარ, თქვენ იქ ბევრად უარეს დღეში იყავით – ალისამაც სცადა გაეღიმა.

იცით, ჩემი ცხოვრების დიდი უბედურება ისაა, რომ ხშირად იმითაც კმაყოფილი ვარ, რაც მაქვს. – კოლტონმა აჩეჩილი მხრები შეაგება მის ღიმილს.

ალისა კოლტონთან შეხვედრიდანვე ყრუანტელს ჰყავდა აცანილი და მასთან საუბრისას ყოველ სიტყვაში, ყოველ წინადადებაში და ყოველ ამოსუნთქვაში დახვეწილი სიკეკლუცე, და აქამდე უჩვეულო ცხოვრების ხალისი იგრძნობოდა. თვალებიც კი მდიდრული ჭაღივით აუბრწყინდა, ვარსკვლავებივით უციმციმებდა და ჩაწიკწიკებული კბილები ვერსად გაურბოდნენ უბრალოებით გაჩენილ ღიმილს. კოლტონმა ვერც კი იგრძნო, როგორ მოენატრა ასეთი განცდები და ქალით მონუსხული იოლად იძირებოდა გაზაფხულის მათრობელა ეპიზოდში.

ასე დაივიწყეს ყვავილობის კვირა? – ზედმეტი სითამამით მიმართა ალისას – როგორ შეიძლება?! ხელი მომეცი – მარჯვენა ჩაავლო ალისას და მოაჯირთან მიიყვანა – თვალები დახუჭე, და წარმოიდგინე, რამდენი ყვავილი გაიფურჩქნა ახლა სანაპიროზე. რამდენ ვარდს, ტიტასა და ყაყაჩოს არხევს ქარი. როგორ სურნელებას აფრქვევენ ისინი ერთად და ცალ-ცალკე, – კოლტონის ხმა მძიმედ ჩაესმოდა ალისას – მიაყურადე ნიავს, გრძნობ, როგორ მოუყვება ფერდობს, როგორ იწევს მაღლა, როგორ ამოდის? ამ ნიავს მოაქვს ყვავილობის კვირა! მალე მოგვწვდება, ქალაქის ნისლსაც გაჭრის, გადაუსწრებს და მთლიანად ჩვენთან დაისადგურებს – ყველაზე სუფთა, ყველაზე წმინდა და ნაღდი გაზაფხულის ქარი, როგორსაც მთელი წლის მანძილზე სანაპირო ველარ ნახავს.

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ნიავი ნელ-ნელა შეეპარა ორივეს ტანსაცმელში, ფრთხიალა მერცხალივით დაუარა მთელს სხეულზე და ალისას მგზნებარედ წაუწისკარტა მუცელში. ნიავს შრიალა ქარი მოჰყვა, კოლტონს ქუდი აავალა, ალისას თმები აუწეწა, მერე ტანსაცმელიც აუშრიალა ორივეს. ალისა იცინოდა, კისკისებდა, ხითხითებდა და ყვავილობის კვირა თითქოს მის თეთრ კბილებში კეკლუცობდა. კოლტონსაც კი გაჰკრა გულუბრყვილო ღიმილმა და მივიწყებულმა ემოციებმა აზვირთებული ტალღებივით დაუწყეს ცემა. ალისას უფრო

მაგრამ ჩასჭიდა ხელი ამ ვნებათაღელვის მოსაგერიებლად.

ალისა მიეხუტა, პატარა ბავშვივით ადევნებდა თვალს ჰაერში აფრიალებულ ყვავილებს, სიცილს ვერ იოკებდა, ტკბილად მომდგარი ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ფიფქისფერ ლოყებზე და ცრემლების რომ შერცხვა, თავი კოლტონის მკერდში ჩარგო.

იცით — თავაუწევლად ბურტყუნებდა მის პიჯაკში — ასე მგონია, დღეს, სულ ცოტა ხნით, მეც თქვენთან ერთად დავტოვე ციხე.

მე კი მგონია, რომ ამისათვის ჩვენ ერთმანეთი გვჭირდებოდა — უპასუხა კოლტონმა, თავი აანევინა და სველი თვალებიდან ხელის ზურგებით ჩამოწმინდა შეგუბებული ცრემლები. ორივე ხელი სახეზე მიადო და ჰაერში აფრიალებული ფოთოლივით მსუბუქად მიიზიდა თავისკენ. დიდხანს კოცნიდნენ ერთმანეთს ჩუმად. თითქოს გაზაფხულის თავისუფლება ერთმანეთში იპოვეს და გრძელი, ღრმა ძილის სიზმარი ორივეს ახლა აუხდა ცხადად. კოლტონმა ისე აიტაცა ხელში და ისე აღმოჩნდნენ საძინებელში, რომ არცერთს არ გაუგია და ვეღარც გაიხსენებდნენ მერე. ალისას სქელი თეძოები, მოხდენილი ტანი და მსხვილი მკერდი ნამდვილი სიამოვნება იყო, და უფრო მეტიც. ეს შეხება იყო ყველაზე მძლავრი, ცოცხალი, მწველი და ნაღდი. ალისას მხოლოდ მასთან უნდოდა, მაშინაც, ადრეც და დიდი ხნის მერეც. მაგრამ ცხოვრებამ მათთვის სულ რამდენიმე უსასრულო საათი გაიმეტა და არცერთ წამს არ ზოგავდნენ. ციხე, რომელშიც ორივე იჯდა, მყიფე შუშაბანდივით ხმაურიანად დაიბზარა, გატყდა და ნამსხვრევებად იქცა. კოლტონის სული, რომელიც წეღან ჯერ კიდევ კედლებზე იყო აჭედილი, ახლა მთელ სანაპიროს დასტრიალებდა თავს და სწამდა, რომ მთელი ქალაქი ხელისგულში ეჭირა.

კოლტონს ღამით გამოეღვიძა, ალისას საბანი სულ თავისკენ გაექაჩა და მარტოობას ნაჩვევი, ლოგინის შუაში გაშხლართულიყო. კოლტონს ტაომ დააყარა სხეულზე და პიჯაკის მოსაცმელად წამოჯდა. ალისასაც გამოეღვიძა.

არა, არ ადგე! — ლამაზი თითები ჩასჭიდა მხარში და საბანი გადაუგდო — იყავი აქ!

შენი და შენი ქმრის ლოგინში წოლა არ მინდა — უპასუხა კოლტონმა.

ჩემი ქმარი ამ ლოგინში არ წევს, — ხელით თავისკენ მოქაჩა ალისამ — ხშირად საერთოდ სახლშიც არ მოდის, როგორც ახლა, ხედავ? შუაღამეა და სახლში მარტო ჩვენ ვართ.

კარგი — კოლტონი მოეშვა და ისევ დაწვა, ალისა კი ზემოდან დაჰყურებდა და აფორიაქებული თვალებით ეძებდა რაღაცას.

ჩემი ქმარი უნდა მოკლა? — პირდაპირ არჩია შეკითხვის დასმა.

არა. — თავი გააქნია კოლტონმა — ხომ გითხარი, არამეთქი.

მეგონა, მომატყუე.

არა, — მძიმედ ამოიხვნეშა კოლტონმა,- ლუთერის მოსაკლავად არ მოვსულვარ.

აბა რატომ მოხვედი?

არ ვიცი!

არავის არ უყვარს ლუთერი, არც მე, არც შენ და არც არავის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ეგაა მაგის უბედურებაც, ოდესმე მიხვდება.

ჩვენთვის მაგით არაფერი შეიცვლება — ამოიოხრა ალისამ და იმედგაცრუებული წამოჯდა ლოგინზე.

ჩამოვარდნილი სიჩუმე მალევე გაარღვია ჭიშკრის ხმამ და ფლოქვების თქარუნმა. ალისა მაშინვე ლოგინიდან წამოხტა და ჩაცმა დაიწყო. მთვარის ნათელში საამურად ბზინავდა მისი ფიფქისფერი კანი. კოლტონს თვალი გაუშტერდა. ქალი რაღაც საოცრად ცხოველურსა და ჟინიანს ჰგავდა ატანილი. თითქოს სხეულში უცხო, ველური მხეცი ჰყავდა ჩასახლებული. ლამაზ ყალიბში გამოყვანილი ტანი ამ მხეცის ჭურჭლად იყო ქცეული. მხეცი არ იყო კეთილი, მაგრამ იყო მომნუსხველი და აზარტული. კოლტონი შიშმაც კი აიტანა, ეს ერთი დღე სულ უფრო სწრაფი და მძიმე ნაბიჯებით მიდიოდა წინ.

— ლუთერი მოვიდა!.. — აფორიაქებულმა მიაძახა კოლტონს — ჯერ მე დაველაპარაკები. არ გამოხვიდე.

კოლტონი ნელა წამოდგა. აუჩქარებლად დაიწყო ტანსაცმლის ჩაცმა. დიდხანს ზოზინობდა და მერე ნელ-ნელა ჩაუყვა კიბეებს. ამასობაში ლუთერი გაგულისებული მიმოდიოდა სახლში. შეშფოთებული უყვებოდა ცოლს რაღაცას. თითქოს ბოდავსო: ხან ყვიროდა, ხან ღრიალებდა. ალისა ცდილობდა, მეუღლე როგორმე დაემშვიდებინა, და მაგიდასთან დაესვა. ლუთერმა არ იცოდა, რომ უარესი ჯერ კიდევ წინ იყო. ბოლოს, როგორც იქნა, დაარწმუნა და მაგიდასთან დასვა. კოლტონი კართან მიდგა და სმენად იქცა

ტყუილად იღლები მის ძებნაში და ტყუილად ნერვიულობ! — მშვიდად არწმუნებდა ალისა.

კოლტონს არ უნდოდა დალოდება, არასდროს ჰყვარებია მალვა და ახლა ძალიან შესძულდა თავი. ამიტომ კარი პირდაპირ შეაღო და ოთახში შევიდა. ათამდე ლამაზი ლამფა იყო კედელზე გაწყობილი, მაგრამ ახლა მხოლოდ რამდენიმე ენთო და ყვითლად ანათებდა ლუთერის ყავისფერ კანს. გაფითრებული უფროსი ინსპექტორი თვალებს არ უჯერებდა. ლამის პატარა ბავშვივით პირი დაეღო. კოლტონი პირისპირ დაუჯდა, თვალი გაუსწორა, შეეცადა მისალმებოდა, მაგრამ სრულიად უადგილოდ ჩათვალა. ლუთერს ოფლმა დაასხა, შავ შუბლზე სიცივე იგრძნო, გული თვალებში მოან-

ვა, ხელები დაუჭირა და ბრაზი ყვრიმალებში აუტრიალდა.

რა გინდა? რისთვის მოხვედი? – ჰკითხა გაბოროტებულმა.

სალაპარაკოდ.

დიდხანს ვერ დარჩები გარეთ! – თითი მოუღერა კოლტონს – ამიტომ, სანამ დრო გაქვს, გირჩევნია სანაპიროდან მოუსვა! თანაც რაც შეიძლება შორს და სწრაფად!

ხომ იცი, მე ვერსად ვერ წავალ – აუღელვებლად მოუჭრა კოლტონმა.

რა, დაიმაახურე სანაპიროზე თავისუფლად ყოფნა?

მე ერთი რამისთვის მოვედი, – კოლტონმა ხელი ქმრისაკენ წაიღო, ლუთერი იარაღის დანახვაზე შეკრთა, – მე შენთან გასაყოფი არაფერი მაქვს – იარაღი ამოიღო და მაგიდაზე დადო, – არც გზაზე გადაგიდგები. ჩემს სახელს ვერც კი გაიგებ. ჩემი სასჯელიცა და ვალიც უკვე მრავალგზის მოვიხადე თქვენ წინაშე. ახლა კი დრო გამიშვა. დავიღალე მეც. მართალი ხარ, მინდოდა სანაპიროზე ყველასგან გამორჩეულად მეცხოვრა, ზოგჯერ ყველას ზემოდან დაგყურებდით კიდეც, ზოგჯერ, საერთოდაც, არად გაგდებდით იმათ, ვისაც რაღაცის შენება გეწადათ. მაგრამ ახლა მხოლოდ ის მინდა, რისაც ყველაზე მეტად მეშინოდა. მინდა ნორმალურად ვიცხოვრო, როგორც ერთმა ჩვეულებრივმა ადამიანმა.

არ გეკუთვნის! – ლუთერი ყურადღებით უსმენდა, და როგორც კი კოლტონმა სიტყვა დაამთავრა, მაშინვე რევოლვერს სწვდა, – შენ თუ ციხიდან გამოვედი, რაშიც სანაპიროზე აქამდე ოფლი გვიღვრია, ყველაფერს წაბილწავ და ძირს დაგვიუთხრი!

ბევრი არაფერი გიშენებიათ, ვწახე ქალაქი. გაპრიალებულ ქვას ვერცხლად ვერ გაასაღებ, ხომ იცი! – თავისას არ იშლიდა კოლტონი.

შენ ხარ კაცი, რომელმაც შელახა ვეტერანების სიყვარული და პატივისცემა. შენ ხარ კაცი, რომელმაც შეაფურთხა დადგენილ წესრიგს, შენ ხარ კაცი, რომელიც ყოველთვის თავისაზე იდგა, მხოლოდ თავისი ინტერესებით და სხვისი ფასადაც რომ დასჯდომოდა, მაინც თავისას გაიტანდა. ამყოლიც ბევრი გყავდა. მართლმსაჯულების გარეშე სანაპირო ვერასდროს შედგება!

ლუთერ, შენ მართლმსაჯულება და საკუთარი თავი დიდი ხნის წინ აგერია ერთმანეთში.

შენნაირ კაცს რა გაეგება მართლმსაჯულების?! – წირვიულად აუტოკდა ხელი ლუთერს, მაგიდიდან წამოდგა და კუთხეში აწურულ

თავის ცოლს ესროლა მზერა, -იცი, კოლტონ უაითი დღის ციხიდან გამოაპარეს, – დაიწყო მოყოლა – შემდეგ გაურკვეველი გზებით, იარაღი იშოვა და გაიგო, სად ცხოვრობდა მისთვის ასეთი საძულველი მთავარი ინსპექტორი. როცა [illegible]ბლად მის სახლში მივიდა, შინ მხოლოდ მისი მეუღლე დახვდა. როგორც ცივსისხლიან მკვლელს შეეფერებოდა, დაუცველი ქალი ჯერ გააუპატიურა, შემდეგ კი სიცოცხლეს გამოასალმა და თავის მთავარ საკბილოს დაელოდა. თუმცა ძილი მოერია და სავარძელზე ჩათვლიმა, ფლოქვების ხმაზე გამოღვიძებულმა ველარ შეძლო დროულად რეაგირება და დამნაშავეს ინსპექტორი საკუთარ სახლში, მისივე იარაღით გაუსწორდა!.

ლუთერმა იარაღი ცოლს მიუშვირა. ალისას ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა, ხელები პირზე ჰქონდა აფარებული. ეგონა გული გაუჩერდა. ოთახში მძიმე, წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა, დრო შედედდა და გაიყინა. კოლტონს მილიონმა აზრმა გაუელვა თავში, ეს ერთი დღე მთლიანად გადაიმეორა, მაგრამ ვერ გაარკვია, სად დაუშვა შეცდომა და რა ჰქონდა სანანებელი. ბოლოს მხოლოდ ეს ამოღერღა:

ეს როგორ ხდება, რომ იარაღის რომელ მხარესაც უნდა ვიდგე, მაინც მე გამოვდივარ ცუდი კაცი?

ლუთერმა ჩახმახს გამოჰკრა, მბზინვარე ლულიდან გამოსულ ლურჯ ალს ზრიალი მოჰყვა უკან და ქვემეხივით იქუხა მთელ სახლში. ალისა ცივ ოფლში ცურავდა, გასროლის ხმაზე კი ძალა მთლიანად გამოეცალა და კედელთან ჩაიკეცა. ხელები მუცელზე დაიდო, ვერაფერს გრძნობდა, მხოლოდ კვამლის სუნი და შუშაბანდების ზრიალი ედგა ყურებში. გაფითრებულმა აკანკალებული ხელები კიდევ მოისვა ტანზე, თან შეშინებული თვალს არ აცილებდა ქმარს. თუმცა ჭრილობას ვერ გრძნობდა. როგორც იქნა გაბედა და სხეულზე დაიხედა. სისხლი არსად ჩანდა. ლუთერი მიხვდა, რომ იარაღში ცარიელი ტყვიები ეწყო და მაშინვე ხელიდან გააგდო. წელანდელი ჩამოვარდნილი მძიმე სიჩუმე ახლა ლუთერს შეუგუბდა საფეთქლებში. გული ისე აუჩქარდა, ეგონა, სისხლი ყურებიდან გადმოხეთქავდა. სახე ხელებში ჩარგო, თითებით მოისრისა და სავარძელში ჩაესვენა. თავის ბოროტებასთან პირისპირ დარჩა, აკანკალებულს და გაუსაძლისს მარტოობა ცხვირ-პირიდან წყალივით ჩამოსდიოდა.

კოლტონი ძალიან წანობდა, რომ ასე მიუნდო ბედს. ძალიან ნანობდა, ისევ გოლგოთაზე რომ იდგა და სეირის მაყურებლის როლს მაინც ვერ ასცდა ვერაფრით. რატომ ჩათვალა, რომ ბედთან დაწორჩილება იქნებოდა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. რომ არა ერიკ გრინვალდის მზაკვრობა და ბოროტება, ახლა ყველაფერი ერთ წამში დამთავრდებოდა. იარაღს დასწვდა, ისევ ბუდეში დააბრუნა, პიჯაკი გაისწორა და სანამ გავიდოდა, ლუთერს უთხრა:

გახსოვდეს, მიუხედავად იმ ყველაფრისა, რაც მე სანაპიროზე ჩამიდენია, თქვენ მაინც ყველას გჯობივართ... მხოლოდ იმით, რომ სიყვარული იარაღად არასოდეს გადამიქცევია.

მაღალი ხის კარი ნელა გააღო, უკანმოუხედავად გაიხურა და ცოლ-ქმარი ერთმანეთის სიმწარეს შეატოვა. უკვე გათენდი იდგა, წითლად ამოწყვეტილი მზის წვრილი სხივები ლოყებზე ნემსებივით ჩაესო. სიცხე იწყებოდა, იწურებოდა ყვავილობის კვირა, თუმცა ლუთერი ამას ვერასდროს იგრძნობდა.

# 4 თარგმანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისი რიჩარდ პირველის, ლომგულად წოდებულის მმართველობისას

## (წიგნიდან „ინგლისის საყმაწვილო ისტორია“)

*ჩარლზ დიკენსი*



მაცხოვრის დაბადებიდან ათას ას ოთხმოცდაცხრა წელს რიჩარდ ლომგულმა შეცვალა ტახტზე მეფე ჰენრი მეორე, ვისი მამობრივი გულიც არაერთხელ დაამსხვრია. როგორც ვნახეთ, იგი იყო მეამბოხე ბავშვობიდანვე; მაგრამ როცა მეფე შეიქნა, ვისაც სხვები უნდა ამბოხებოდნენ, აღმოაჩინა, რომ აჯანყება დიდი დანაშაული ყოფილა. ამ ღვთისნიერი აღმოჩენის გამოისობით ცხელ გულზე დასაჯა ყველა, ვინც კი ეამხანაგებოდა მამის წინააღმდეგ ბრძოლაში. ვერაფერს იზამდა ამაზე უკეთესს, მისი ბუნებიდან გამომდინარე, და არც უმჯობესი გაფრთხილება იქნებოდა მლიქვნელთა და პარაზიტთათვის, რომ არ უნდა ნდობოდნენ ლომგულა პრინცებს.

მან მამის ხაზინადარსაც დაადო ბორკილები და დილეგში გამოკეტა, საიდანაც მხოლოდ მაშინ გაათავისუფლა, როცა არათუ სამეფო განძი დააბრუნებინა, არამედ თავიაივე ფულიც. ამრიგად, რიჩარდმა ნამდვილად დაიდო ლომის წილი საბედისწერო განძეულში ლომის გულითა თუ ულომისგულოდ.

დიდი ზარზეიმით აკურთხეს ინგლისის მეფედ ვესტმინსტერში: ტაძრისაკენ მიემართებოდა აბრეშუმის ბალდახინქვეშ, რომელიც ოთხი საბრძოლო შუბის წვერზე გაეჭიმულიყო და თითოეული დიდებულ ლორდს მიჰქონდა. კურთხევის დღეს საშინელი ჟლეტა მოხდა ებრაელთა, რამაც ალბათ დიდი სიამოვნება მიანიჭა იმ მხეცური ბუნების მქონეთ, თავს ქრისტიანებს რომ უწოდებენ. მეფემ გამოუშვა ბრძანება, რაც ებრაელებს (ვინც საზოგადოდ ეჯავრებოდათ, თუმცა კი ძალზე მნიშვნელოვანი ვაჭრები იყვნენ ინგლისში) უკრძალავდათ ცერემონიაზე დასწრებას; მაგრამ მაინც მოგროვდნენ ლონდონში ყველა მხრიდან და საჩუქრებიც მოიტანეს ახალი მბრძანებლის პატივსაცემად. ზოგიერთმა ვესტმინსტერის დარბაზშიც კი გაბედა შესვლა საჩუქრით ხელში, რაც ხალისით მიიღეს. სავარაუდოდ, რომელიღაც მყვირალა ჯეელმა, ვისაც მორწმუნე ქრისტიანად მოჰქონდა თავი, ერთ ებრაელს, ვინც ტაძრის კარში შეძრომას ცდილობდა საჩუქრით ხელში, აუტეხა აყალმაყალი და შემოჰკრა კიდეც. ატყდა ჩხუბი. დარბაზში შესული ებრაელები გამორეკეს და ვილაცამ დაიყვირა ბრბოში: ახალნაკურთხმა მეფემ ურწმუნოების გაჟლეტა ბრძანაო, – და ხალხი მოედო ქალაქის ვიწრო ქუჩებს და ხოცავდნენ გზად შეხვედრილ ებრაელებს; და როცა ქუჩაში ველარავინ ნახეს (სახლებში შეასწრეს და ჩაიკეტნენ), ებრაელთა კარები შეამტვრიეს, შეცვივდნენ და ხანჯლებით აკუწეს და შუბებით დაჩეხეს, მოხუცებსა და ბავშვებს ფანჯრებიდან ჰყრიდნენ იქვე დანთებულ კოცონებში. ამ დიდმა სისასტიკემ ოცდაოთხ საათს გასტანა, და სამად სამი კაცი დაისაჯა, იმათაც სიკვდილი არა ებრაელთა ძარცვისა და ხოცვისათვის მიუსაჯეს, არამედ ზოგიერთი ქრისტიანის სახლის დაწვისათვის.

მეფე რიჩარდი მძლავრი და მოუსვენარი კაცი გახლდათ და თავში ყოველთვის უტრიალებდა მშფოთვარე იდეა სხვისი თავების გატეხვისა, და ძალზე სურდა დიდი არმიით წასვლა წმი-

და მიწაზე, ჯვაროსნული ლაშქრობით. რაკილა დიდი არმიები, თუნდ წმიდა მიწაზე გასალაშქრადაც, უზიერფულოდ ვერ შეგროვდება, გაჰყიდა სამეფო საწყლობელოები და თვით სამეფო ვალდებულებანიც კი უგუნურად გადააბარა დიდებულებს ინგლისელ ქვეშევრდომთა სამართავად, არა იმიტომ, რომ მართვა შეეძლოთ, არამედ – დიდძალი თანხები რომ გადაიხადეს ამ პრივილეგიებისათვის. გაჰყიდა შეწყალების უფლებაც, საქმაოდ ძვირად, და ამას გარდა, ჩაგვრითა და ანგარებით, დიდძალი განძი მოაგროვა. მერე ორი ეპისკოპოსი დანიშნა მის არყოფნისას ქვეყნისათვის მისახედად და დიდი ძალაუფლება და სამფლობელოები მიანიჭა თავის ძმა ჯონს, მისი მეგობრობის შესანარჩუნებლად. სჯობდა, ჯონი დაეტოვებინა რეგენტად ინგლისში, მაგრამ იგი მზაკვარი კაცი იყო და იმიტომაც აქეზებდა ლაშქრობას, ეჭვგარეშეა, გულში უსათუოდ ამბობდა: „რაც მეტს იბრძოლებს ჩემი ძმა, მით მეტი შანსია, დაიღუპოს; და რომ მოკლავენ, მე გავხდები ინგლისის მეფე!"

ვიდრე ახალშეკრებილი არმია ინგლისიდან გაემგზავრებოდა, ახალწვეულებმა და სხვებმაც თავი გამოიჩინეს განსაცვიფრებელი სისასტიკით ბედკრულ ებრაელთა მიმართ: მრავალ დიდ ქალაქში იაინი გასაოცარი ულმობელობით გაჟლიტეს.

იორკში ებრაელთა დევნილმა ჯგუფმა ციხე-სიმაგრეს შეაფარა თავი ციხისთავის არყოფნისას, მას შემდეგ, რაც ცოლები და შვილები თვალწინ დაუხოცეს. მოვიდა ციხისთავი და მოითხოვა შეშვება. „როგორ შემოგიშვათ, ციხისთავო", გადმოსძახეს კედლებიდან ებრაელებმა, „კარი რომ გავაღოთ ფეხის სიგანეზეც კი, ბრბო შემოანგრევს ღრიალით და ამოგვხოცავს!"

ამის გამო უსამართლო ციხისთავმა უთხრა ხალხს, რომ დაყაბულდებოდა ებრაელთა დახოცვას, და ერთი უაინდისო, ფანატიკოსი ბერი, სულმთლად თეთრებში გამოწყობილი, სათავეში ჩაუდგა მოალყეებს და სამ დღეს უტევდნენ სიმაგრეს.

მაშინ ებრაელთა თავკაცმა ჯოსენმა (რაბი იყო თუ ქურუმი) უთხრა დანარჩენებს: „ძმებო, იმედი აღარაა, რომ ეს ქრისტიანები, რომლებიც ჭიშკარსა და კედლებს ანგრევენ, დაგვინდობენ, როგორც კი შემოცვივდებიან. რაკილა ჩვენც და ჩვენი ცოლ-შვილიც უნდა დავიხოცოთ ან ქრისტიანთა ხელით, ან ჩვენი ხელითვე, დაე, ჩვენივე ხელით იყოს. მოდი, გავანადგუროთ ჩვენი ძვირფასეულობა და განძეული, რაც აქ გვაქვს, მერე ცეცხლი მოვუკიდოთ ციხე-სიმაგრეს და დავიღუპოთ!"

ზოგმა უარი თქვა, მაგრამ დიდი ნაწილი დათანხმდა. დიდ კოცონში დაწვეს ყოველი ღირებული, რაც მოეპოვებოდათ, და მერე სიმაგრეს მოუკიდეს ცეცხლი. როცა ცეცხლის ალი გიზგიზებდა და ცასა სწვდებოდა მათ ირგვლივ და გავარვარდა, ჯოსენმა ყელი გამოსჭრა საყვარელ ცოლს და გული გაიგმირა. და ყველა დანარჩენიც, ვისაც ცოლ-შვილი ჰყავდა, ასე მოიქცა. როცა ბრბო შემოიჭრა, ნახეს (გარდა აცახცახებული ორიოდე ებრაელისა, კუთხეში რომ მიკუნჭულიყვნენ, რომლებიც დახოცეს) მხოლოდ ნაკვერჩხალთა გროვები და აქა-იქ რაღაც გაშავებული ხესავით ფორმები, რომელნიც აქამდე ადამიანები იყვნენ, ღვთის ხელით შექმნილნი.

ამ საძაგელი დასაწყისის შემდგომ რიჩარდი და მისი ჯარი არცთუ ისე ლაზათიანად გაეშურნენ წმიდა მიწისაკენ. ერთად მონაწილეობდნენ ამაში ინგლისის მეფე და მისი ძველი მეგობარი, საფრანგეთის მეფე. საქმე წამოიწყეს ასი ათასიანი ლაშქრით. ამის მერე ცალ-ცალკე გადაისროლეს თავიანთი ძალები მესინასაკენ, სიცილიაში, რაც დათქმული იყო შეხვედრის შემდგომ ადგილად.

მეფე რიჩარდის დაიმედებული იყო ამ ადგილის მეფეზე, მაგრამ იგი გარდაცვლილიყო და მის ბიძა ტანკრედს მიეტაცა ტახტი, დედოფალი ციხეში გამოემწყვდია და მისი სამფლობელოები მიეთვისებინა. რიჩარდმა ფიცხად მოითხოვა დის გათავისუფლება, მიწების დაბრუნება და (კუნძულის სამეფო ჩვეულებისამებრ) ოქროს სკამი, ოქროს მაგიდა, ოცდაოთხი ვერცხლის ფინჯანი და ოცდაოთხი ვერცხლის ჭურჭელი. რადგან წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, ტანკრედმა შეუსრულა მოთხოვნა; ამან ეჭვი აღუძრა საფრანგეთის მეფეს, ვინც ბრაზობდა, რომ ინგლისის მეფე ისაკუთრებდა ამ კუნძულსაც და მესინასაც და სხვა ყველაფერსაც. რიჩარდი კი ყურადღებას არ აქცევდა ამ ჩივილს; და ოცი ათასი ოქროს ანგარიშში ბრძანება გასცა, მისი პატარა დისწულის არტურისა, მაშინ ორი წლის ბავშვი რომ იყო, და ტანკრედის ქალიშვილის ქორწინებისა. ამ პატარა არტურს კიდევ შევხვდებით.

ეს სიცილიური ამბავი ისე დასრულდა, რომ არავისთვის ტვინი არ გაუსხმევინებია (რამაც ალბათ ძალზე გაუცრუა იმედი), წამოიყვანა თავისი და და აგრეთვე მშვენიერი ქალბატონი ბერენგარია, ვინც საფრანგეთში შეუყვარდა და ვინც დედამისმა, დედოფალმა ელინორმა (იგი დიდხანს იჯდა ციხეში, როგორც გახსოვთ, და რიჩარდმა გამოუშვა ტახტზე ასვლისთანავე) გააცნო საცოლედ, და მათთან ერთად გაცურა კვიპროსისაკენ.

მალე სასიამოვნო ამბავიც შეხვდა, კვიპროსის მეფეს შეებრძოლა, ვინც თავის ქვეშევრდომებს იმ ინგლისელ ჯარისკაცთა გაძარცვის უფლება მისცა, რომელთაც გემი დაეღუპათ; და იოლად დაამარცხა ეს საბრალო მონარქი და წამოიყვანა მისი ერთადერთი ქალიშვილი ლედი ბერენგარიას მხლებლად, ხოლო თვით მეფეს ვერცხლის ბორკილები დაადო. მერე კვლავ ზღვაში გავიდა დედასთან, ცოლსა და ტყვე პრინცესასთან ერთად და მალე მიადგა ქალაქ აკრას, რომელსაც საფრანგეთის მეფე შემოსდგომოდა ზღვიდან. მაგრამ საფრანგეთის მეფე სახარბიელო მდგომარეობაში არ იყო; არმია შეთხელებოდა სარკინოზებთან ბრძოლაში და ჭავ ჭირსაც მრავალი გაეწყვიტა; ხოლო სალადინი, თურქთა მამაცი სულთანი, მრავალრიცხოვანი არმიის სათავეში მდგომი ყოჩაღად იცავდა მიდამოს, ირგვლივ შემოჯარულ ბორცვებზე მდგარი.

საითაც უნდა წასულიყო ჯვაროსანთა არმია, ცოტა რამეში თუ აღწევდნენ თანხმობას, გარდა თამაშისა, სმისა და ჩხუბისა, რასაც მეტად მკრეხელურად სჩადიოდნენ: არბევდნენ ხალხს, ვისთანაც გაჩერდებოდნენ, მტერი იქნებოდა თუ მეგობარი; შფოთი და არეულობა

მოჰქონდათ მშვიდობიან ადგილებში. საფრანგეთის მეფე ინგლისის მეფეზე ეჭვიანობდა, ინგლისის მეფე – საფრანგეთისაზე, ხოლო უწესრიგო და უხეში მეომრები ერთმანეთზე ინევდნენ; ამ ვითარებაში ორი მეფე იმაზეც კი ვერ შეთანხმდა, რომ ერთობლივად შეეტიათ აკრისათვის; მაგრამ ვიდრე ამაზე დავობდნენ, სარკინოზებმა გამოუცხადეს: ქალაქსაც დავთმობთ, წმიდა ჯვრის ნაწილსაც მოგცემთ, ქრისტიან ტყვეებსაც გამოვუშვებთ და ორას ათას ოქროს ფულსაც გადავიხდითო. ყოველივე ეს ორმოც დღეში უნდა შეესრულებინათ, მაგრამ არ გააკეთეს. მეფე რიჩარდმა ბრძანა, სამი ათასი სარკინოზი ტყვე გამოეყვანათ ბანაკის წინ და თავიანთ თანამოძმეთა თვალწინ დაეკლათ.

საფრანგეთის მეფეს მონაწილეობა არ მიუღია ამ დანაშაულში; რადგან ამ დროისათვის თავისი ხალხის დიდი ნაწილით სამშობლოსაკენ მიემგზავრებოდა; იგი შეურაცხყოფილი იყო ინგლისის მეფის მედიდური მოქმედებით; ადარდებდა საკუთარ სამფლობელოთა ბედი; დასნეულდა მავნე ჰაერით იმ ქვიშიანი ქვეყნისა. მეფე რიჩარდმა ომი უმისოდ გააგრძელა; აღმოსავლეთში დარჩა და მრავალი რამ გადახდა წლინახევარში. ყოველ ღამეს, როცა მისი არმია სალაშქროდ იმყოფებოდა თუ ისვენებდა, მაცნეები სამჯერ დაიყვირებდნენ, რათა შეეხსენებინათ ჯარისკაცთათვის, თუ რა საქმეს ადგნენ: „იხსენით წმიდა საფლავი!" და ყველა ჯარისკაცი იჩოქებდა და იტყოდა: „ამინ!" მიეშურებოდნენ თუ დაბანაკდებოდნენ, არმიას გამუდმებით უდაბნოს ქარი დასტრიალებდა და უდაბნოს სიმხურვალე და სარკინოზი მეომრები უტევდნენ, გაგულიანებულნი მამაცი სალადინის მიერ, თუ ეს ყველაფერი ერთად ატყდებოდათ თავს. სნეულება და სიკვდილი, ბრძოლა და ჭრილობები გამუდმებით მათ შორის ტრიალებდა; მაგრამ ყველა სიძნელისას მეფე რიჩარდი იბრძოდა გოლიათივით და შრომობდა უბრალო მუშასავით. დიდი ხნის შემდეგაც კი, როცა იგი მშვიდად იწვა საფლავში, ინგლისური ფოლადისაგან დამზადებული მისი საშინელი საომარი ცული, ოც ინგლისურ ფუნტს რომ იწონიდა, ლეგენდად დადიოდა სარკინოზთა შორის; და როცა ყველანი, სარკინოზებიც და ქრისტიანებიც, მტვრად იქცნენ, თუ სარკინოზის ცხენი გზაზე გაოჩნდებოდა რაიმეს დანახვაზე, მხედარი შესძახებდა: „რისა გეშინია, სულელო, ხომ არა გგონია, რომ მის უკან მეფე რიჩარდი იმალება?"

არავის ხიბლავდა მეფის სიმამაცე ისე, როგორც თვით სალადინს; იგი გახლდათ დიდსულოვანი და მამაცი მტერი. როცა რიჩარდს ცხელება შეეყარა, სალადინმა ქორფა ხილი გამოუგზავნა დამასკოდან და თოვლი – მთის მწვერვალებიდან. ხშირად უგზავნიდნენ ერთმანეთს თავაზიან ბარათებსა და ქებას; და როცა რიჩარდი ამხედრდებოდა და იმდენ სარკინოზს დაანარცხებდა, რამდენსაც გასწვდებოდა, მაშინ სალადინი ამხედრდებოდა და იმდენ ქრისტიანს დასცემდა, რამდენსაც გასწვდებოდა. თავის გზაზე მეფე რიჩარდმა ბრძოლით გული იჯერა არსუფსა და იაფაში, და ასკალონში კი ვერაფერი ნახა უფრო სასეირო, ვიდრე აღდგენა ზოგიერთი სიმაგრისა თავდასაცავად, რაც სარკინოზებს დაენგრიათ, და თავის მოკავშირე ავსტრიის ჰერცოგსაც კი ამოჰკრა პანღური, რადგან მეტად ამაყობდა ამ სამუშაოთი.

არმია, როგორც იყო, წმიდა ქალაქ იერუსალიმს მიუახლოვდა. მაგრამ ეჭვიანობამ, შიმშილმა და ჩხუბმა თავისი გაიტანა და დაიშალა, შეუთანხმდნენ სარკინოზებს სამწლიან, სამთვიან, სამდღიან და სამსაათიან ზავზე. მერე ინგლისელი ქრისტიანები, კეთილშობილი სალადინის მფარველობით, ეწვივნენ მაცხოვრის საფლავს; და მერე მეფე რიჩარდი მცირე ჯარით გემზე ავიდა აკრაში შინისაკენ დასაბრუნებლად.

მაგრამ მისი გემი დაიმსხვრა ადრიატიკის ზღვაში, და იძულებული შეიქნა, გერმანიის გავლით წასულიყო სხვისი სახელით. გერმანიაში მრავლად იყვნენ ისეთები, რომელთაც ემსახურათ წმიდა მიწაზე ავსტრიის ამაყი ჰერცოგის მეთაურობით, ვისაც რიჩარდმა პანღური ამოსცხო; და ზოგიერთმა იოლად ამოიცნო ამ კაცში სახელგანთქმული მეფე რიჩარდი და მსწრაფლ აცნობეს პანღურამორტყმულ ჰერცოგს, ვინც მაშინვე დაატყვევა რიჩარდ ლომგული მცირე ფუნდუკში, ვენის მახლობლად.

ჰერცოგის ბატონი, გერმანიის იმპერატორი, და საფრანგეთის მეფე თანაბრად ნასიამოვნები დარჩნენ ასეთი შარიანი მონარქის გაუვნებელყოფით. ცუდ საქმეში დამეგობრება არასოდეს გამოირჩევა სიმართლით და საფრანგეთის მეფე ახლა ისევე გულით მტრობდა რიჩარდს, როგორც ერთდროს დაუმეგობრდა იმ არაბუნებრივ საქციელში მამისადმი. იგი საზარლად ამტკიცებდა, რომ მეფე რიჩარდმა მოწამვლა დაუპირა ნადიმის დროს; ბრალი დასდო მეგობრის მკვლელობაში; მოისყიდა გერმანიის იმპერატორი, რომ რიჩარდი ციხეში ჰყოლოდა; ბოლობოლო, ორი პრინცის მიერ დადანაშაულებული და მეთქმულების ხლართებში მოქცეული რიჩარდი წარსდგა გერმანული სამსჯავროს წინაშე ამ და სხვა დანაშაულებებში ბრალდებული. მაგრამ იგი ისე იცავდა თავს, რომ საკრებულოს წევრებს ცრემლები მოჰგვარა გულწრფელობითა და ენამჭევრობით. გადაწყდა, რომ მისი ბრწყინვალებისა და ღირსების შესაბამისად უნდა მოქცეოდნენ ციხეში, ტყვეობის დარჩენილ დროში, და მაშინვე გაათავისუფლებდნენ, როგორც კი მძიმე გამოსასყიდს გადაიხდიდა. ინგლისელებმა გამოსასყიდი ხალისით შეაგროვეს და, როცა დედოფალმა ელინორმა გამოსასყიდი გერმანიაში ჩაიტანა, ჯერ თავის დაძვრენა მოინდომეს და უარი თქვეს. მაგრამ ელინორმა გერმანიის იმპერიის ყველა პრინცს მიმართა და შეევედრა ვაჟის გამო, და ისე მოხერხებულად მიმართა, რომ გამოსასყიდიც მიიღეს და მეფე რიჩარდიც გამოუშვეს. ამის მერე მისწერა საფრანგეთის მეფემ პრინც ჯონს: „თავს მიხედე. ეშმაკს ბორკილი ახსნეს!"

უფლისწულ ჯონს ჰქონდა მიზეზი, შინებოდა თავისი ძმისა, რადგან უღალატა, როცა რიჩარდი ტყვედ ჩაიგდეს. საიდუმლოდ გაურიგდა საფრანგეთის მეფეს; არწმუნებდა ინგლისის დიდებულებსა და ხალხს, ჩემი ძმა დაიღუპაო; და ამაოდ ეპოტინებოდა გვირგვინს. იმ დროს საფრანგეთში იმყოფებოდა,

ევრეთ წოდებულ მხარეში. სულმდაბალი და საძაგელი კაცი იყო და ასეც მოიქცა, რათა ძმას შერიგებოდა. ქალაქში სადილად მოიპატიჟა აინაგრის მეთაურები და ყველა დახოცა და სიმაგრე აიღო. ამით შეეგება იგი ლომგულს, გაემურა რიჩარდისაკენ, მუხლი მოიყარა მის წინაშე და დედოფალმა ელინორმაც უთავდება. „მიპატიებია", თქვა მეფემ, „და იმედი მაქვს დავივიწყებ მისგან მიყენებულ ზიანს ისევე ადვილად, როგორც იგი დაივიწყებს ჩემგან მიტევებას".

მეფე სიცილიაში გახლდათ, როცა შინ ახალი შფოთი დაიწყო; ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა, ვისაც ქვეყნის მართვა დაავალა, მეორე დააპატიმრა; და ისე ამაყად იქცეოდა, ვითომც მეფე ყოფილიყოს. მეფემ ამის შესახებ მესინაში შეიტყო და ახალი რეგენტი დანიშნა, ლონგჩემი (ასე ერქვა) გაიქცა საფრანგეთში ქალის კაბაში გადაცმული და იქ მოიპოვა საფრანგეთის მეფის მფარველობა. ამ მიზეზებითა და საფრანგეთის მეფის მიმართ დაგროვილი ბრაზის გამო რიჩარდი არ დაბრუნებულა, რათა მოყვარულ ქვეშევრდომებს შეხვედროდა დიდი ბრწყინვალებით, და არც ხელახლა დაუდგამს გვირგვინი ვინჩესტერში, არამედ გადაწყვიტა ეჩვენებინა საფრანგეთის მეფისათვის, რომ ეშმაკმა მართლაც აიხსნა ბორკილები და ფიცხად წამოიწყო ომი მის წინააღმდეგ.

ამასობაში ახალი მღელვარება დაიწყო ინგლისში, შფოთი ატყდა უბრალო ხალხში; ჩიოდნენ: ჩვენ უფრო მეტ გადასახადებს გვაკისრებენ, ვიდრე მდიდრებსო, — და მგზნებარე ფალავანიც გამოიძებნა უილიამ ფიც-ოსბერტის სახით, ლონგბეარდს (გრძელწვერას) რომ უწოდებდნენ. იგი გახდა წინამძღოლი საიდუმლო საზოგადოებისა, ორმოცდაათი ათას კაცს რომ აერთიანებდა. მოულოდნელად რომ დაიჭირეს, ხანჯალი ჩასცა მოქალაქეს, ვინც ხელი გაავლო შესაპყრობად, და მამაცური ბრძოლით გაიქცა ეკლესიისაკენ, სადაც ოთხ დღეს იყო ჩაკეტილი, ვიდრე ცეცხლით გამოსდევნიდნენ და დაჭრიდნენ გამოსვლისთანავე, მაგრამ არ მომკვდარა, და ცოცხალმკვდარი ცხენის კუდს გამოაბეს და ისე ათრიეს სმიტფილდამდე და იქ ჩამოჰკიდეს. სიკვდილი იყო არჩეული ხალხის მოსარჩლეთა გასაჩუმებლად, მაგრამ ამ ამბებს რომ გავყვეთ, მგონია, ბოლოს მიგნება გაგვიჭირდება.

საფრანგეთთან ომი — დროდადრო ზავით წყდებოდა ხოლმე — ჯერაც არ დამთავრებულიყო. როცა ერთმა ლორდმა, სახელად ვიდომარმა, ლიმოჟის ვიკონტმა, შემთხვევით იპოვნა მიწაში უძველესი ოქროს ფულების განძეული. როგორც მეფე რიჩარდის ვასალმა, მეფეს ნახევარი გაუგზავნა. მან მთლიანად მოითხოვა. ლორდმა უარი განაცხადა. მეფე შემოერტყა მის ციხეს და დაემუქრა, რომ იერიშით აიღებდა და ქონგურებზე ჩამოჰკიდებდა მის დამცველებს.

უცნაურ სიმღერას მღეროდნენ იმ მხარეში, რომ ლიმოჟში დამზადდებოდა ისარი, რომლითაც მეფე რიჩარდი მოკვდებოდა. ალბათ ბერტრან დე გურდონი, ციხის მცველი ყმაწვილკაცი, ხშირად მღეროდა ამ სიმღერას, ან ესმოდა ზამთრის ღამეებისას და ახსოვდა, როცა დაინახა საგუშაგოდან ციხის კედელზე მეფე, მხოლოდ უფროსი მეთაურის თანხლებით, ცხენით რომ მოდიოდა და არემარეს ათვალიერებდა. მშვილდი მოზიდა, კარგად დაუმიზნა და კბილებში გამოსცრა: „ღმერთო, წარმართე ისარი!" და სტყორცნა და მარცხენა მხარში მოარტყა მეფეს.

თუმც თავიდან ჭრილობა საშიში არა ჩანდა, იმდენად მძიმე იყო, რომ მეფე კარავში დარჩა და ბრძანა, შეტევა უიმისოდ დაეწყოთ. ციხე-სიმაგრე აიღეს და ყველა დამცველი ჩამოახრჩეს, როგორც მეფემ დაიფიცა, გარდა ბერტრან დე გურდონისა, ვინც შემოინახეს, ვიდრე მეფე ინებებდა მის ნახვას.

იმ დროისათვის არასათანადო მკურნალობამ ჭრილობა სასიკვდილოდ აქცია და მეფე კვდებოდა. მან ბრძანა ბერტრანის მიყვანა მის კარავში. ჭაბუკი მიიყვანეს მძიმედ დაბორკილი. მეფე რიჩარდი ჯიქურ უყურებდა. ტყვეც ისევე ჯიქურ მისჩერებოდა, როგორც მეფე.

„მოწაე!" — უთხრა მეფე რიჩარდმა. „რა დაგიშავე, რომ სიცოცხლეს მართმევ?"

„რა დამიშავე?" — მიუგო ჭაბუკმა. „შენი ხელით მოჰკალი მამაჩემი და ჩემი ორი ძმა. მე უნდა ჩამომახრჩო, და რა წამებითაც გნებავს, იმით მომკალი. ის მამშვიდებს, რომ ჩემი წამება ვერ გადაგარჩენს! შენც მოკვდები ჩემი ხელით და მსოფლიო დაისვენებს შენგან!"

მეფემ კვლავ ჯიქურ შეხედა ჭაბუკს. და ჭაბუკიც უტეხად უყურებდა. ალბათ დიდსულოვანი მტერი, მუსლიმი სალადინი, გაახსენდა მომაკვდავ მეფეს.

„ჭაბუკო!" — თქვა მან, — „მიპატიებია. წადი უვნებლად!"

მერე იმ მეთაურს მიუბრუნდა, ვინც მასთან ერთად იმყოფებოდა, როცა დაჭრეს, და უთხრა:

„მოხსენით ბორკილები, მიეცით ასი შილინგი და გაუშვით".

მიესვენა სარეცელს და თვალთ დაუბნელდა იმ კარავში, სადაც ხშირად მოუსვენია და მიიცვალა ორმოცდაორი წლისა; ათი წელი იმეფა. მისი ბოლო ბრძანება არ შეასრულეს; მეთაურმა ცოცხლად გაატყავა ბერტრან დე გურდონი და ჩამოახრჩო.

შემორჩა ძველი სიმღერა, სევდიანი მელოდია ხანდახან უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე მძლავრი კაცები, თუნდ ოცფუტიანი ფოლადის საბრძოლო ცულის ქნევაც შეეძლოთ, რომლის კვალობაზეც ტყვედჩავარდნილ მეფეს მიაგნეს. მეფე რიჩარდის სახელოვანი მენესტრელი, ბლონდელი ერთგულად ეძებდა თავის მეფეს, დადიოდა და მრავალი ციხე-სიმაგრის მრუმე კედლებქვეშ მდგომი მღეროდა; ვიდრე ერთხელ დილეგიდან სიმღერის ხმა მოესმოდა და იცნობდა, და სიხარულით შესძახებდა: „ოჰ, რიჩარდ, მეფეო ჩემო!" — შეგიძლიათ, დაიჯეროთ და შეგიძლიათ, არც დაიჯეროთ, როგორც გნებავთ; ცუდი ამბები უფრო იოლი დასაჯერებელია. რიჩარდი თვითონაც მენესტრელი და პოეტი გახლდათ. უფლისწულიც რომ არა ყოფილიყო, ალბათ უკეთესი კაცი იქნებოდა, და ისე იცხოვრებდა, რომ ნაკლებ სისხლს დაღვრიდა და ნაკლებ სიცოცხლეებაც შეიწირავდა, რისთვისაც პასუხი უნდა ეგო.

*ინგლისურიდან თარგმნეს*
*პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა*

# კონსტანტინოს კავაფისი

## (ლექსები)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



*კონსტანტინოს კავაფისი მსოფლიო მასშტაბის ბერძენი ავტორია, რომლის შემოქმედების დიდ ნაწილს ქართველი მკითხველი უკვე კარგად იცნობს. კავაფისის შემოქმედება დიდი მოცულობით არ გამოირჩევა. იგი სამ ასეულამდე ლექსის ავტორია. მას ისტორიიდან აინტერესებს დეტალები, პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტები. კავაფილი ცდილობს ისტორიკოსთა მიერ შემთხვევით თუ შეგნებულად გამოტოვებული ან ყურადღების მიღმა დარჩენილი ფაქტების აღდგენას. ადამიანის შინაგანი სამყაროს კვლევა-ძიებაც ერთ-ერთი წამყვანი ფენომენია მის შემოქმედებაში ბედისწერისა და სიკვდილის ფენომენებთან ერთად. აქ წარმოდგენილი ტექსტები კავაფისის გამოუქვეყნებელი და გადამალული ლექსებიდანაა. ბერძნულიდან ბწკარედი მოამზადა მაია კაკაშვილმა, პოეტური თარგმანი ეკუთვნის მარიამ წიკლაურს.*

### გაზეთის უწყება

წერდნენ რაღაცას თაღლითობაზეც.
გაზეთი კვლავაც ხაზს უსვამდა
თავის სიძულვილს აღვირახსნილი
და გახრწნილი მორალისადმი!

სიძულვილს... მას კი, რეტდასხმულს და დამწუხრებულს,
აგონდებოდა შარშანდელი საღამო, წყნარი,
რომელიც ერთად გაატარეს სარისკიპოში,
პირველ სართულზე რესტორანი მოეწყოთ იქვე.
მას მერე, აგერ, წელიწადია, არ გადაჰყრიან ერთმანეთს არსად.

სიძულვილს... მას კი ტუჩების სიტკბო აგონდებოდა,
განსაცვიფრებლად თეთრი სხეული,
ღვთაებრივი სხეული მისი, რომელიც დარჩა საკადრისად დაუკოცნელი.

ტრამვაიშიც გააგრძელა ნაღვლიანმა უწყების კითხვა.

ღამის თერთმეტზე იპოვეს გვამი. სანაპიროზე.
საეჭვო იყო გარემოება. დანაშაულიც ვერ გამოკვეთეს.
გაზეთი ახლა თავის მორალურ თანაგრძნობას გამოხატავდა,
მაგრამ კი მაინც, ზიზღს აწყლავებდა მსხვერპლის
გარყვნილი ცხოვრების გამო.

### სასმელის ბრალი იქნებოდა

სასმელის ბრალი იქნებოდა, საღამოს რომ ვსვი,
ძილიც ამიტომ მომერეოდა, მთელი დღის დაღლილს.

ჯერ იყო და, ხის შავი სვეტი უეცრად გაქრა,
მერე კაპიტელს ვერ ვხედავდი, სასადილო ოთახის კარსაც,
გაქრა წითელი სავარძელიც, გაქრა დივანიც,
და მათ ადგილას უცებ გაჩნდა მასალიის პატარა ქუჩა.
და ჩემი სულიც იქ აღმოჩნდა, თავისუფალი, როგორც ურჩად და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეურიდებლად მოქმედებდა, ურცხვადაც, რომ ვთქვა.
ჰედონური ჭაბუკის სახით — ვნებააშლილი,
ატაცებული და ქინძოგვრილი. ითქვას ეგ, ესეც!

სასმელის ბრალი იქნებოდა, საღამოს რომ ვსვი,
ძილიც ამიტომ მომერეოდა, მთელი დღის დაღლილს.

ჩემმა საბრალო სულმაც როგორ ამოისუნთქა,
წლების სიმძიმით შეკუმშულმა და დაღეულმა.

უცებ გაშალა, უსამანოდ, თავისი თავი და მომეჩვენა,
მასალიის ერთ ულამაზეს ქუჩაზე იყო,
ბედნიერი და თავაშვებული ჭაბუკის სახით,
რომელსაც მართლაც გაქრობოდა ყველაფრის რიდი.

## ყველაფერი კინეგიროსზე

იტალიელ დიდგვაროვანთა ოჯახიდან რადგანაცაა,
თანაც, ოცი წლის,
და რადგანაც ასე სჩვევიათ მათ მაღალ წრეში,
ჩავიდა სპირნას, რომ ესწავლა მჭევრმეტყველება,
მათი ენის ცოდნაც სრულეყო.
და უსმენს, თუმცა მისი ფიქრი ახლა სხვაგან ქრის,
სახელგანთქმულ სოფისტს, რომელიც
ახლა ათენზე საუბრობს და
ხელების ქნევით და მთელი გრძნობით, მილტიადეზე,
მარათონის სახელოვან ბრძოლაზე ჰყვება.
ეს კი ახლა ნადიმზე ფიქრობს, საღამოს რომ გაიმართება,
წარმოიდგენს და ხედავს თხელ სახეს,
საყვარელ ტუჩებს, ერთი სული აქვს, რომ ეამბოროს,
ფიქრობს, რა კარგ დროს ატარებს აქ ის.
მაგრამ, რა ქნას, ფული ელევა, რამდენიმე თვეც და უკვე
რომში უნდა დაბრუნდეს იგი. აგონდება,
რამხელა სესხი აქვს აღებული. რომ დაიწყება
წამება და წვალება და იქნებ როგორმე, აიცილოს ვალის გადახდა.
იქნებ როგორმე, შემოსავლის წყარო იპოვოს, რათა იცხოვროს საკადრისად
(ვით დიდგვაროვან იტალიურ ოჯახიშვილს შეეფერება).
ბებრუხანა ფულვიუსის ანდერძი ნახოს,
რა იქნებოდა, შიგ ჩახედვა რომ მოახერხოს,
ნეტავი რამე თუ დარჩება ამ ოღრაში ბერიკაცისგან
(ჰა, ორი-სამი წელიწადი, მეტს რაღას გაძლებს?!),
რას დაუტოვებს, ნახევარს თუ სულაც, მესამედს? რომ ვთქვათ,
ვალები უკვე ორჯერ გადაუხადა.
სოფისტი კი — მეტისმეტად აღელვებული
ლამისაა, ცრემლმორეული ლაპარაკობს კინეგიროსზე.

## ათანასიოს

ნავში, ნილოსზე,
ორი ერთგული მეგობარი ბერის თანხლებით.
დევნილი და განაწამები ათანასიოს —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღვთისმოსავი და ჭეშმარიტი რწმენის დამცველი –
ლოცულობდა. მტრები დევნიდნენ,
მცირედი იყო იმედი ხსნისა.
ქარიც სცემდა საპირისპიროდ.
ძირგამომპალ ნავს ძლივს მიჰყავდა მგზავრები წყალზე.

დაასრულა ლოცვა და როცა
სევდიანი მზერა მიაპყრო მეგობრებისკენ,
გაუკვირდა კი,
უცნაური ღიმილი რომ დაჰფენოდათ სახეზე იმათ.
ბერებმა, სანამ ლოცულობდა ათანასიოს,
კარგად იგრძნეს, რაც ხდებოდა
აქედან შორს, შუამდინარეთში.
მიხვდნენ, რომ იმ წამს
სული გააფრთხო სალახანა იულიანემ.

## იულიანეს გადარჩენა

გამმაგებულმა მეომრებმა მერე დახოცეს
ნათესავებიც გარდაცვლილი კონსტანტინეასი,
და სულ ბოლოს კი შემზარავი
ალტყინებით ემუქრებოდნენ ექვსიოდე წლის
ყრმას კეისრისას – იულიუს კონსტანციუსისა.
ქრისტიანმა გულმოწყალე ღვთისმსახურებმა
მას მიაგნეს და წიაღა მიანდეს
ეკლესიისას. გადაარჩინეს ასე იგი, ექვსიოდე წლის იულიანე.

სულაც არ არის საჭირო, ითქვას,
რომ ეს ცნობაა ქრისტიანული წყაროებიდან.
მაგრამ უდავო სიმართლეა, ვინ უწყის ესეც.
ისტორიულად საოცარიც არაფერია: იმაში, თუკი
ქრისტიანი ღვთისმსახურები
ქრისტიან ბავშვებს, უცოდველებს, გადაარჩენენ.

ნეტავი დიდი ფილოსოფოსი ავგუსტინი
ამას ხომ არ გულისხმობდა, როცა ამბობდა:
„დავიწყება ყოფილიყოს იმ სიბნელისა“?!

## დანაშაული

ფული სტავროსმა გაგვინაწილა,
გამორჩეულმა სამეგობროში –
ჭკვიანიც იყო, ღონიერიც, წარმოუდგენლად ლამაზი ბიჭი
და ყველაზე მოხერხებული.
ჩემ გარდა (ოცის ვიყავი მაშინ),
ის ყველაზე უმცროსი იყო, მგონი, ზუსტად ოცდასამისა.

ნაქურდალი სამასი ლირა შუაზე გაყო,
ნახევარი დაიტოვა სამართლიანად.

და ახლა, ღამის თერთმეტ საათზე

შევთავაზეთ გაქცევაში დახმარება ხვალ დილისათვის,
სანამ რაიმეს შეიტყობდა პოლიცია დანაშაულზე,
წერილმან საქმედაც ვერ ჩათვლიდი – დამამძიმებელ გარემოებებს ბევრს შეიცავდა.

მიწისქვეშ ერთად ვიმყოფებოდით,
დაცულ სარდაფში.
რადგან მისი წასვლა გადაწყდა, დანარჩენებმა, სამნი რომ იყვნენ,
მე სტავროსთან მარტო დამტოვეს,
პირობით, რომ ხუთ საათზე დაბრუნდებოდნენ.

მიწაზე ერთი დაგლეჯილი ლოგინი ეგდო.
გადაღლილები ერთად დავწექით. ვშფოთავდით და
ვფორიაქობდით, დაქანცულები იმაზე ფიქრით,
რომ ხვალ უნდა გაქცეულიყო.
მერეღა მივხვდი: ვერ ვიგუმანე რატომღაც ზუსტად,
უკანასკნელი ეს დაწოლა რომ იყო მასთან.

ეს ნაწერიც ვიღაც პოეტის ქაღალდებში აღმოაჩინეს.
თარიღიც ესვა, თუმცა ძნელად იკითხებოდა:
„ერთი" ბაცად ჩანს, მერე „ცხრაა", შემდეგ კი „ერთი",
მეოთხე ციფრიც „ცხრიანს" მიაგავს.

**ტიგრანოკერტი**

მშვენიერების მოყვარე ვარ, გულს გადავუშლი
ჩემს თანამოძმეს და ნათესავს
(სავარაუდოდ, მამაჩემის და უნდა იყოს) –
ბებერ მაჭანკალ კერკოს, რომელმაც მთხოვა ჩამოსვლა –
ახალ ქალაქ ტიგრანოკერტში,
მდიდარსა და აყვავებულში.

თეატრი აქაც საშუალება არის გაცნობის,
კარგად ვერთობი მსახიობთა კვალობაზე. არ არის
აქ ალექსანდრია, არც ათენია.
არაუშავს ვითამაშე სოფოკლეში ემონახი და
ვაი-ვაგლახად – ევრიპიდეს ჰიპოლიტოსი.
მაყურებლებმაც აღნიშნეს, რომ იმათ ქალაქში
ჩემზე მეტად სიმპათიური ახალგაზრდა მსახიობი არც კი უნახავთ.
ერთმა მდიდარმა მოქალაქემ, თანაც, საოცრად ხელგაშლილმა,
გამორჩეული ყურადღებაც კი მომაქცია.
კერკო ზრუნავს ყოველივეზე
(სამაჭანკლოს ნახევარი უკვე აიღო ამ ნაძირალამ).
დროებითი ადგილია ტიგრანოკერტი!
ვნახოთ, როდემდე იარსებებს. უეჭველია,
ბოლოს და ბოლოს, მოსრავენ ქალაქს რომაელები.
სიზმრებს ხედავს მეფე ტიგრანი.
მე რა მანაღვლებს, ყველაზე ბევრი,
აქ ორი თვით დავრჩე და წავალ.

მაშინ ხომ სულაც არ ვინაღვლებ, თუკი მოსპობენ რომაელები
ტიგრანოკერტსაც და ზედ კერკოსაც მიაყოლებენ.

*ბერძნულიდან თარგმნეს მაია კაკაშვილმა და მარიამ წიკლაურმა*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბელარუსი ამოყირავებულია

## (სერია)

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაიბადა 1963 წელს. პროფესიით არქიტექტორია და დღემდე იღებს მონაწილეობას სამხატვრო პროექტებში. არის ათი პოეტური კრებულის ავტორი, ლიტერატურული პროექტის – „მინსკის სკოლა" – დამაარსებელი, სამოქალაქო აქტივისტი. ნათარგმნია უკრაინულ, ინგლისურ, გერმანულ, ჩინურ ენებზე. გამოირჩევა ლექსების დეკლამაციის თავისებური სტილით. წერს რუსულად. ოქტომბერში სახალხო მიტინგებში მონაწილეობისათვის 13 დღის განმავლობაში დაპატიმრებული იყო.

ამჯერად გთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს ციკლიდან „ბელარუსი ამოყირავებულია", რომელსაც იგი სახალხო მღელვარების დღეებში წერს.

***დმიტრი სტროცევი***

* * *

რა საქციელია
მეგობარი გოგონა მიიყვანო მოედანზე მაინც
მთავარმა იარაღის მოყვარუნემ დაიხავლა დილით

დაე იყოს საკუთარი ერის გენოციდი
თავდაპირველად ჯარისკაცები ცაში გაისვრიან
მერე კი ცეცხლს გაუხსნიან ხალხს
მათ კი ერთმანეთს ხელი უნდა ჩასჭიდონ და გამზირი გაიარონ
თითქოს უკანასკნელად
და უცებ მოედანზე
თავისუფლად ამოისუნთქონ

გასაღები მეზობლებს დაუტოვეს
ძაღლს ერთი დღე-ღამის სამყოფი აქვს საჭმელი და წყალი

უნდა გაიარონ ეზო
სადაც უდარდელი ჩრდილი ეცემა

უნდა გავიდნენ ქუჩაში
სადაც წმინდა ყოველდღიურობა დაბორიალობს

შესაძლოა ამდენი ადამიანიდან სწორედ ეს ორი მიემართება
ჩვენს სიგიჟეში
დახვრეტისაკენ

უგანონ?
ჯერ არაფერია გვიან
გულისრევის შეგრძნება პანიკური შეტევა
რა თქმა უნდა ნებისმიერ წამს შეუძლიათ დაიხიონ უკან

თვალები თვალები და კიდევ თვალები
შეფ დაგერხა ჩვენ გავიმარჯვებთ
შეფ დაგერხა ჩვენ გავიმარჯვებთ

ვინ და როდის გადააქცევს ხოლმე
პირველყოფილ ცხოველურ შიშს
თავისუფლებად და ბედნიერებად

ვინაა ის ოცი ადამიანი
ასე რომ ალიზიანებს დიქტატორს
რატომ უჭრელდება მათ გამო თვალი

ლუკაშენკოს ევაკუაცია სასახლიდან
სწორედ ამ წუთებში დაიწყო

ლუკაშენკო ტოვებს სასახლეს
სწორედ ამ მომენტში

არა დრაკონი კვლავ უკან ბრუნდება
კლანჭებში ჩაბღუჯული ავტომატით

შეფ დაგერხა ჩვენ გავიმარჯვებთ

ჩვენ საშინლად დავიღალეთ
ჩვენ გავიმარჯვებთ

* * *

მე და ჩემი ცოლი
უპარტიოები და უიარაღოები
არა ვართ რევოლუციონერები

ჩვენს სახლში დრაკონი ჩასახლდა
ჯავშნიანი და ხორცისმჭამელი

ყველაზე მეტად მას ჩვენი შვილები უყვარს
ისინი კორეული ძაღლებივით არიან უკვე
ნაცემები და გატყავებულები

ჩვენ სასტიკად დავიღალეთ მათი გადამალვით
ჩვენ უკვე აღარ გვაქვს საიდუმლო კუთხე-კუნჭულები

რა ვქნათ ჩვენ
მშვიდობისმოყვარეებო
დრაკონოფილებო

**პარტიზანული ნემიგა[1]**

არაა იოლი
ბელარუსი პარტიზანის გალვიძება
არაა იოლი

ჰიტლერის შემდეგ
არავის გამოსვლია ეს

მაგრამ არაა ის

[1] მდინარე ბელარუსში.



მოჯადოებული

და აი მოახერხა ეს
ერთმა მოძალადემ დროზდიდან[2]

*

რა რთულია
პარტიზანის გალვიძება
რა რთულია

კვლავ დაძინება კი
უბრალოდ შეუძლებელია

როგორც შეუძლებელია
ბოთლში ჯინის
უკან ჩატენვა

არაა ის
მოჯადოებული

**იტირე გულო იტირე**

უნივერსიტეტთან
მიგორდნენ ავტობუსები
უნომრებოდ

ავტობუსებიდან
გადმოლაგდნენ სახედაკარგული
გოპნიკები

მოკლედ ასე:
ჩვენ არ მოვიხსნით
ნიღბებს
და არც არაფერს აგიხსნით

და არ დავიწყებთ თქვენთან ფურთხებას
თქვე მყავე შჩის პროფესორებო

ჩვენ ბავშვებთან მოვედით
ჩვენ სტუდენტებს
შევიპყრობთ და ნივბეგვავთ
უნივერსიტეტის აუდიტორიებსა და
დერეფნებში

ეს ჩვენი შანსია
სხეულით ოფლით სისხლით
შევეროთ უმაღლეს
განათლებას

იტირე გულო იტირე

[2] ქალაქი ბელარუსში.

*თარგმნა შოთა იათაშვილმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ახალი საუნჯის“ გამოწერა!

GE59BG0000000210646500

დანიშნულებაში მიუთითეთ: **„ახალი საუნჯე“,**

საკუთარი ტელეფონის ნომერი და მისამართი.

## 2020 წლის 6 ნომერი – 12 ლარი

b 92/39

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი საუნჯე

ISSN 0134-9848
9 770134 984002